ზაზა სპარსიაშვილი

კაი ყმა ქართულ ფოლკლორში



თბილისი
2007

უაკ (UDC) 894.631.09
ს 761

რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ამირან არაბული

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვალერიან ელანიძე,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ელგუჯა მამუკელაშვილი

© ზ. სპარსიაშვილი, 2006

ISBN 978-99940-37-04-9

კაი ყმა
ქართულ ფოლკლორში

ზაზა სპარსიაშვილის მონოგრაფია — "კაი ყმა ქართულ ფოლკლორში", ავტორის მიერ ქართულ ზეპირსიტყვიერ ძეგლებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია.

წიგნის ავტორი მდიდარი ეროვნული ზეპირსიტყვიერებიდან სკრუპულოზურად არჩევს საანალიზო მასალებს და შესაბამის კვალიფიკაციას აძლევს მათ თავისებურებებს, აკეთებს დასკვნებს.

ნაშრომში წარმოდგენილი თემატიკა გაჯერებულია საკვლევი მასალის საქმიანი ანალიზით, რაც იმის საუკეთესო პირობაა, რომ მკითხველმა თვალი გაადევნოს კაი ყმის ინფრასტრუქტურას, როგორც ხალხური პოეზიის ისე ეპოსის მაგალითებზე. ხალხი — შემოქმედი კი ცოცხალი ხელოვანია სიმართლის მთქმელობისა. მას თაობის აღზრდის საქმეში თავისი საზრისი, თავისი კანონები აქვს, თავისი თეორია და პრაქტიკა გააჩნია, რათა საზოგადოებას მისცეს სწორი მაგალითი და ორიენტირი, განსჯა იმისა, თუ ვინ არის და როდის არის ადამიანი კაი ყმა, ეგ სახელი ვინ და როდის, რა საქმიანობით დაიმკვიდრა, ვინაა თაობათა მისაბაძი მაგალითი, რწმენით აღსავსე პატრიოტი.

წიგნში წარმოდგენილი მასალების ანალიზი მკითხველს გზას უხსნის, უკეთ გაისიგრძეგანოს საკუთარი ერისა და ქვეყნის წინაშე ახლობელი თუ შორეული წინაპრის ღვაწლი, გაითავისოს აზრი ქართული ანდაზისა — "წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო", გულს ჩაინერგოს და მისაბაძ მაგალითად დარჩეს მამულისა და ერის უკეთესი ანმყოსა თუ მომავლისათვის წარმოებულ უწყვეტ ბრძოლაში, რაც სჭირდება ქვეყანას, მის თითოეულ ნევრს.

მართალია, საზოგადოების განვითარება ბევრადაა დამოკიდებული ტექნიკის, თავის მხრივ საბრძოლო-საომარი ხელოვნების უნარჩვევების ცოდნაზე, მაგრამ ძნელზე ძნელი ან სულაც შეუძლებელია ახლის დამკვიდრება წინაპრის მიერ ნაანდერძევი ცხოვრებისეული კანონებისა და წარსულისა თუ მასზე დამყნილი აწმყოს ცოდნის გარეშე.

შვილმა უნდა იცოდეს სად შეჩერდა მამა.

წიგნი გამოსაცემად მზად იყო ჯერ კიდევ 2002 წელს, მაგრამ უამრავ მიზეზთა და გარემოებათა გამო ვერ მოხერხდა მისი დასტამბვა.

წინასიტყვაობა

ამ წიგნს მკითხველი უთუოდ შეიყვარებს.

წიგნი შორსაა ყოველგვარი კამპანიურობისაგან.

აქ დედასამშობლო საქართველოსადმი ჩვენი სულმნათი წინაპრების უმწიკვლო სიყვარული ღაღადებს. ამიტომ ჰქვია ასე - "კაი ყმა ქართულ ფოლკლორში".

ეს წიგნი ერისათვის დახარჯულ კარგ ყმათა ღვაწლისა და ამაგის არდავიწყების სიმღერაა, მარადიული, დაუმჭკნარი და ხელიხელ საგოგმანებელი სიმღერა, რომელიც, კარგად იციან აქ - ჩვენს მთასა და ბარში!

დედამიწაზე ათასნაირი იარაღია... ჩვენთვის კი ჯერ რწმენა, რწმენა და ისევ რწმენაა ეგ იარაღი!

გუშინდელი დღე დღევანდელს კვებავს, დღევანდელი - ხვალინდელს.

არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული.

კაი ყმები კი კვლავ საფლავების გამონგრევას ლამობენ...

ისევ ჭიხვინებენ მათი მერნები! ...

ამ წიგნის მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ნებისმიერი ასაკის მკითხველს თვალწინ დაუყენოს უკვდავ წინაპართა შემართება, ღვაწლი, მამულის მოვლა-პატრონობის ცოდნა და რწმენა, იმის ცხადზე ცხადი შეგნება, რომ უსამშობლოობა თავის ცოცხლად დამარხვაა, იმის ნათელი ცოდნაა, რომ

"როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა!"

/რ. ერისთავი/

ტომას კარლაილი წერდა:

"უშედეგოა ლაპარაკი წარსულის მოვლენებზე, თუ ისინი აწმყოს მოვლენებად არ ვაქციეთ, არა გუშინდელი დღისა, არამედ სწორედ დღევანდლისა და ყველაფერი, რაც კი მნიშვნელოვანი და იმედის მომცემია მათში, გვეკუთვნის ჩვენ".

ავტორი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული ხალხური სიტყვიერი კულტურა საუკუნეებგამოვლილი და ქართველი ერის მიერ ცხოვრებით შემოწმებულ-დადასტურებული ხელოვნებაა.

ერის ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად ქცეული სამშობლოს სიყვარული, იმავე ასაკისაა, რომელსაც ერის არსებობის ისტორია ითვლის. ამ ისტორიის მხატვრული სურათია ეროვნული ხალხური პოეტური შემოქმედების მეტად დიდი ნაწილი, რასაც ჩვენ ხალხური საბრძოლო ხელოვნება ვუწოდეთ. ჩვენ მისი ტრადიციები სკრუპულოზურად შევისწავლეთ, შერჩეულ მასალებს შესაბამისი ანალიზი და კომპოზიცია მოვუძებნეთ, ერთ წიგნად ავკინძეთ, რასაც ამჯერად ვუწოდეთ "კაი ყმა ქართულ ფოლკლორში" და გვინდა მის შემქმნელ და აქამდე მომტან ქართველ ხალხს დავუბრუნოთ იგი, როგორც მისივე განძი და ანდერძი.

კაი ყმის არაერთი დეფინიციაა ცნობილი. მ. ჩიქოვანი შენიშნავს: "ქართულ ფოლკლორში მხატვრული სხვადასხვა ყაიდის გმირი, "კაი ყმა" მოიპოვება. თავისი ქვეყნისათვის თავდადებულთა ერთ წყებას ტომობრივი შეიძლება ვუწოდოთ, მეორეს - ეროვნული, საერთო ქართული."[1] ეს დაყოფა უფრო პერსონაჟის მოქმედების ტერიტორიული ლოკალიზაციით არის განსაზღვრული, რაც, ვფიქრობთ, მეტად პირობითია და კაი ყმის მოღვაწეობის ზოგადეროვნულობას ზღუდავს.

ვაჟა-ფშაველა თავის დროზე წერდა: "ღირსსაცოდნელია მდაბიო ხალხის აზროვნება, მისი იდეალები და თვით იმისი არსება. ხალხის აზრი, ცხოვრება, იმისი ნადილი და იდეალი გამოიხატება იმის პოეზიაში, ზღაპრებში და სხვა."[2] ვაჟას აზრი კი ხალხის ზეპირსიტყვიერი ხელოვნების საფუძვლიანი შესწავლის, ციდნისა და შეფასების შედეგია.

ქართველი კაცის ყოფა და ისტორია განუყოფელ კავშირშია მისსავე სულიერობასთან. სულიერება კი ფართო ცნებაა, სადაც პატრიოტიზმი გამორჩეულთა შორის გამორჩეულია. მას გამოვლენის ფორმას წინასწარ ვერ შეურჩევ. პატრიოტის მიჯაჭვა პროკრესტეს სარეცელზე წარმოუდგენელია. იგი ადამიანის თანმდევი სულია, რასაც უადამიანოდ არსებობა არ შეუძლია და მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა ამისი აძინდი დადგა. ასეთი, შეიძლება იყოს ერის მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდიც და ომის მდგომარეობაც. ცნობილია, რომ ცივილიზაცია, ომი, რატომღაც, განუყრელ მთლიანობაში

---

[1] მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ. 1947, გვ. 2.

[2] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, თბ. 1961, გვ. 72

აღმოჩნდნენ; არც ერთ საუკუნეს არ ჩაუვლია უომოდ. ომი თითქოს ადამიანის თანდაყოლილ თვისებად მოგვევლინა, მიუხედავად იმისა, რომ მისი არსება ნგრევას, კვლას და სისხლისღვრას შეძრწუნებული უპირისპირდება. პატრიოტი მაშინ ჩანს, როცა ქვეყანას, ერს მთლიანად თუ ძე კაცისას უჭირს.

"ომი – კაცობრიობის უბედურება, არასოდეს ყოფილა ისეთი ავის-მომასწავებელი, როგორც ახალი ათასწლეულის დამდეგს."[3] – ნერს მსოფლიო ვეტერანთა ფედერაციის წარმომადგენელი აშშ-ში ჯუნ ველენზი.

კარგად არის ცნობილი, რომ ომებს არაერთი ცივილიზაცია დაუნგრევია, გადაუშენებია მთელი ერები. რაკილა ომი ადამიანური ყოფიერების თანმდევ მოვლენად ქცეულა, მისდამი დამოკიდებულებაც შესაბამისად ასახულა ერის მრავალფეროვან კულტურაში, მათ შორის, სიტყვიერ კულტურაში. გამონაკლისი ამ მხრივ არც ქართული სინამდვილეა; ომს მის მხატვრულ და სულიერ კულტურაშიც დაუტოვებია თავისი ღრმა კვალი, რადგან ქართველი ერის ისტორია თვითმყოფადობისათვის ბრძოლის დიდი ნიგნია, სადაც უმნიშვნელოვანესი როლი მამულის სიყვარულს დაუმკვიდრებია.

თავისთავად საინტერესოა თუ გამუდმებულმა ომებმა რა კვალი დააჩნია ქართველი კაცის ფსიქიკას. დარჩა იგი მშვიდობისმოყვარედ, მისი ომები თავდაცვითი იყო თუ დაპყრობითი? ეს ორი ასპექტი უაღრესად საინტერესოა. რას ამბობს ამის შესახებ ჩვენი ფოლკლორი? რით უპირისპირდება ქართველი მტერს? მის საომარ იარაღთა შორის რა ადგილი უკავია ერისა და მამულისადმი მისსავე სიყვარულს?

მეორე, და არანაკლებ საინტერესო, ასპექტია: სამშობლო ქვეყნის მთლიანობის დაცვისათვის მებრძოლის ხელოვნების სტრატეგიაში როგორია ქართველის ტაქტიკა, ბრძოლის, ომის ხელოვნება, შეიარაღების არსენალი? რა არის მისი არსებობის მიზანთა მიზანი?

მესამე ასპექტია: რა დამოკიდებულება მოჩანს ქართულ ფოლკლორში ომის, ნგრევისა და საერთოდ სისხლიანი კატაკლიზმებისა და კაი ყმის ურთიერთობაში?

ეს თემატიკა განსაკუთრებული აქტუალობის შემცველია დღეს, როცა ქართველ კაცს ისევ უწევს თვითგადარჩენისათვის ბრძოლა, როცა ჩვენი "სისხლის წვიმებიანი ისტორია" მხოლოდ ნარსულს კი აღარ წარმოადგენს, არამედ ჩვენს დღევანდელობას გადაბმია.

ამ პრობლემათა ცოდნა საკუთარი თავის ცოდნაა, დაშვებულ შეცდომათა შეცნობის საშუალებაა და მათი აღარგამეორების პირობაც.

---

[3] ჯუნ ველენზი, ქალები და ომი, იხ. კრებულში მშვიდობიანი კავკასია მშვიდობიანი მსოფლიო, თბ. 1999, გვ. 114.

ეს კი თანამედროვე ცივილიზაციაში ჩვენი კუთვნილი ადგილის დამკვიდრებისათვის ერთი მძლავრი ხელშემწყობი ფაქტორია.

გენერალ-ლეიტენანტი ომარ ლეკვეიშვილი საგაზეთო სტატიაში ანგარიშგასაწევ აზრს გვთავაზობს:

"თანამედროვე სამხედრო მეცნიერებასა და ხელოვნებას თუ ჩვენ ეროვნულ მხედრულ ტრადიციებზე დავამყარებთ, წარმატება უთუოდ მოვა... დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე მრისხანე იარაღი განათლებაა. ამასთან, უსათუოდ უნდა აღვადგინოთ სამხედრო ინტელიგენციის ბრწყინვალე კულტურული ტრადიციები, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი წარსული".[4]

"ჩვენი წარსულისა" და "ეროვნულ ტრადიციათა" შორის უთუოდ იგულისხმება ხალხური სიტყვიერებით შემონახული ერის სულიერი სიმდიდრეები, საიდანაც, როგორც უპირველესსა და უმთავრესს, გამოვარჩევთ კაი ყმის კონსტიტუციას, რასაც მამულის სიყვარულის დიდ კანონს – პატრიოტიზმს – ამჯერად ჩვენი დამკვიდრების ობიექტად ვაქცევთ.

მარტივი ჭეშმარიტებაა: ყველა ფორმაციას, დროსა თუ ეპოქას, თავისი გმირი ჰყავს. ხალხის ზნეობრივ-ეთიკური მრწამსით შექმნილი და მისივე ზეპირსიტყვიერებით წარმოჩენილი გმირი კი, კაი ყმა, თავისი მონუმენტურობით, ერის საყოველდროო, საყოველდღეო, თუ ყოველი ეპოქის სამიზნე ორინტირია.

წინამდებარე ნაშრომის აქტუალობაც და მეცნიერული ღირებულებაც ზემოხსენებული ასპექტების შესახებ ეროვნულ ზეპირსიტყვიერებაში არსებული მასალების ანალიზი, მათი დიდაქტიზმის ჩვენება და ამ მასალებში წარმოჩენილი ეროვნული სულის ხელახალი აღორძინების დიდი სურვილია. ამითვეა შეპირობებული ნაშრომში განხილულ საკითხთა მთლიანობაც.

აღნიშნულთან ერთად, ნაშრომი სხვა, არანაკლებ საინტერესო თავისებურებებსაც მოიცავს, რაც ასევე ერთ მთლიან პრობლემაში ერთიანდება და ხალხის მიერ დანახული და ზეპირსიტყვიერებად ქცეული საბრძოლო ხელოვნების მხატვრულ ისტორიას ქმნის. ეს ის ისტორიაა, რაც სადღეისო ინტერპრეტაციასა და ჩვენი სულიერების სამსახურში ჩაყენებას მოითხოვს. ჩვენ არ გვაქვს უფლება იმისა, რომ მდიდარი ეროვნული ფოლკლორის ამ საგანძურს მხოლოდ ველოლიაოთ. გეინდა, წინაპართა საომარი ხელოვნების ამსახველი ხალხური პოეტური შემოქმედება, კაი ყმის ყველა მახასიათებელი, მისი ჭეშმარიტად ამაღლებული ეროვნული სულისკვეთება კვლავ ერის სამსახურში ჩადგეს.

---

[4] გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკა", №76, 31 მარტი, 2001 წელი

დიდი მწერლობა უფრო იმ ხალხს გააჩნია, ვისაც მდიდარი ზეპირსიტყვიერება აქვს. ამისათვის ქართველი ერის მაგალითიც იკმარებდა.

თუ მწერლობას ყველა დროში თავისი მიზნები და ამოცანები აქვს, იგივე ითქმის ზეპირსიტყვიერებაზეც. ქართული ლიტერატურა, დასაბამიდან დღემდე, დიდი მასშტაბების მქონე ლიტერატურაა. მის მრავალფეროვან თემატიკაში, გამორჩეული ადგილი უკავია ერის საბრძოლო, სამხედრო ხელოვნებასა და მის მუდმივ თანამგზავრს – პატრიოტიზმს. თვით შ. რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" ამ მხრივაც ხომ დიდებული თხზულებაა?! ასეთი მასშტაბისაა აგრეთვე ეპისკოპოს სტეფანე მტბევარის ჰაგიოგრაფიული ძეგლი "გობრონის წამება", იოსებ ტფილელის "დიდმოურავიანი" და მრავალი სხვა.

ზეპირსიტყვიერება ერის ეროვნული იდეოლოგიის გამორჩეული ფორმაა. ეს იდეოლოგია სრულიადაც არ ექვემდებარება რომელიმე გაბატონებული კლასის, ზედაფენის განკარგულებებსა თუ საკანონმდებლო აქტებს. ხალხური შემოქმედება, ფოლკლორი გამორჩეულია თავისი მრწამსით, და არა მხოლოდ არსებობის ფორმით. ზეპირი მხატვრული სიტყვა ეფუძნება არა ერთეულების, არამედ, შეიძლება თამამად ითქვას, მთელი ერის გამოცდილებას, მის ისტორიულ წარსულს, მის თანამედროვეობას. აქ ძნელად, ძალიან ძნელად თუ მოიძებნება ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობისაგან გადაცდენის ფაქტები.

წლები მიდიან, დრონი იცვლებიან, მაგრამ ხალხის მიერ ერთხელ შემუშავებული წეს-რიგი, თუ ის ერის საერთო-სახალხო ინტერესების დამცველი, გამომხატველი, თაობების მისაბაძი მაგალითია, არასოდეს არ იძირება მღვრიე ცხოვრების მდინარების ფსკერზე.

აწმყო წარსულიდან მოედინება და მომავლისაკენ მიდის. მიდის და თან მიიყოლებს თაობებს. რომ არ წაიქცეს ერი, უცილობელი მნიშვნელობა ჯერ მის ეროვნულ იდეოლოგიას ენიჭება, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფო იდეოლოგიის სული და გულია. მისი თავფურცელია. როცა ერი ერობს, სახელმწიფო სახელმწიფოობს, ბუნებრივია მას აწმყოსა თუ მომავალში არსებობის თავისი მიზანი გააჩნია. მიზნის მიღწევადობის გზას მარტივად იდეოლოგია ჰქვია. ამ გზაზე თუ რომელიმე მათგანი "სახელმწიფოებრივი თუ ხალხური" მოსუსტდა, მეორე პირველსაც ენაცვლება და თავის თავსაც ეყრდნობა. დღეს ასე გვესმის ეროვნული ხალხური იდეოლოგიის ამოცანა. ჩვენს ნაშრომს დღეს ასეთი იდეოლოგიის ჩვენება და ხსენებული ფუნქციაც აკისრია. როცა ამას ვამბობთ, ვეყრდნობით არაერთ პუბლიკაციას. გ. ფარულავა წერს: "უიდეოლოგიო ქვეყანაში საკაცობრიო და

ეროვნული სიწმინდეებიც აბუჩადაა აგდებული"[5].მეცნიერი იქვე დაასკვნის, რომ "ნორმალური სახელმწიფოს არსებობა ისევე წარმოუდგენელია ერთი განსაზღვრული, მაღალ კულტურასთან წილნაყარი იდეოლოგიის გარეშე, როგორც კაცი ვერ იქნება ჭეშმარიტი ადამიანი სულიერების გარეშე"[6] აქ აშკარად ისმის სახელმწიფოს ერთიანი, განსაზღვრული და უკვე მყარი იდეოლოგიის შემუშავების აუცილებლობა.

ისტორიკოსი ნ. ლომოური ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დღეს თვალსაჩინოა "ჩვენს თვალწინ მიმდინარე ზოგიერთი პროცესი, განსაკუთრებით საზოგადოების ერთი ნაწილის ზნეობრივ-იდეოლოგიური დეგრადაცია."[7]

ჩვენ გულწრფელად ვფიქრობთ, რომ ხალხური ზეპირი მხატვრული სიტყვაა სწორედ ერის მაღალ სულიერ კულტურასთან წილნაყარი, ჩვენ ვიტყოდით – დიდი იდეოლოგია. ერის ზეპირსიტყვიერებაში არსებული მდიდარი მასალების ერთ ნაწილს, კერძოდ, მამულის სიყვარულის წარმომჩენ, კაი ყმის მოღვაწეობის, მისი საომარი ხელოვნების შინაარსის მქონე მასალებს, ერთად მოვუყარეთ თავი და ვცადეთ მათი იდეოლოგიურ-ეროვნული და იდეოლოგიურ-ესთეტიკური ნიადაგის მოძებნა, ხალხური პატრიოტული იდეოლოგიის გათვალსაჩინოება.

ხალხურ მხატვრულ სიტყვიერ კულტურაში, როგორც ხალხური იდეოლოგიის ქვაკუთხედს, ეროვნული პატრიტიზმის ფაქტს მივაპყრობთ მზერას. აქ გვეგულება დვრიტა ერის სასიცოცხლო ძალებისა, აქედან მოდის სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი პირობაც: იქ, სადაც პატრიოტიზმს ღვიძავს, ერი კვლავ ძლიერია, შრომისუნარიანიცაა და ბრძოლისუნარიანიც. როცა პატრიოტიზმი თვლემს, მას შეძახება სჭირდება, ჩვენი ნაშრომი ამ შეძახების დიდი სურვილითაცაა დაწერილი.

ქართველი კაცის სულიერებაში გამორჩეული ადგილი უკავია საამაყო წინაპრის კულტს. სწორედ მაგ კულტის მხატვრული ისტორიაა ეროვნული ხალხური სიტყვიერი შემოქმედება. ეს ის კულტია ქართველმა თავის სალოცავ ხატად რომ აქცია და როგორც დიდი მისაბაძი მაგალითი წინ დაიყენა.

ილია ჭავჭავაძე, თვალს გაადევნებდა-რა ქართველი კაცის ჭირსახდელით სავსე ისტორიას, ეთაყვანებოდა ერის საამაყო წინაპართა ხატებს. სრულიად მართალი იყო დიდი მამულიშვილი, როცა

---

[5] გ. ფარულავა, რასაც ვადგავართ ამას გზა ვერ დაერქმევა, გაზეთი "კვირის პალიტრა", №3, გვ. 14, 2001 წ.

[6] იქვე.

[7] ნ. ლომოური, გაზეთი "განახლებული ივერია", №8-9, გვ. 35, 2001 წ.

წერდა: "დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, სადაც ერი ერობს."[8]

- "წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო" – ამბობს ჩვენი ანდაზა. "წინა კაცი უკანასი ხიდიაო, მართლა თქმულა," – გვიმოწმებს მეფე-პოეტი არჩილ ბაგრატიონი. წინაპრის "წინა კაცობა" და მოღვაწეობის მაგალითები, ასე საამაყოდ რომ ჟღერს, დღეს გამორჩეულად გვჭირდება. ეს მით უმეტეს, გვჭირდება ჩვენ, დემოკრატიის საძირკვლის მშენებელ ხალხს. წინაპართა ზნეობის, წინაპართა საბრძოლო ტრადიციების, სამშობლო მიწა-მამულის სიყვარულის მაგალითებით და ისინი ცოტა როდია, გაჯერება, ვგონებთ, ისე საჭირო არასოდეს ყოფილა, როგორც დღეს არის. დიდი ილია აქაც ჩვენი მრჩეველი და მოძღვარ-მასწავლებელია: "ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა. შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი - თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინღა გაუძლებს თუ შრომა და გარჯა, ცოდნა, ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველივე ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?"[9]

ჩვენი ნაშრომი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების, აუცილებელი შრომისა და გარჯის, ცოდნისა და ხერხის ძიების ცდაა. სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული ეროვნული საბრძოლო ხელოვნების ისტორიის თავისებურებათა დაუფლება, წინაპართა საომარი ტრადიციების ცოდნა ყველა დროში მომხდურის წინააღმდეგ აღმართული საიმედო ფარი და მახვილია. ნურავინ იფიქრებს თანამედროვე შეიარაღების პირობებში ჩვენი წინაპრების საომარი ხელოვნების შესაძლებლობათა დევალვირებადობაზე. მამა-პაპათა სა-

[8] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. IV, თბ. 1955, გვ. 203.

[9] ი. ჭავჭავაძე. თხ. სრ. კრებ. ათ ტომად, ტ. V, თბ. 1956, გვ. 13.

ამაყო მებრძოლი სული თითოეულ ჩვენგანში ნაცარწაყრილი ნაღვერდალია, რაც, საჭიროების ჟამს ხანძრად იქცევა! თუ არა შენი პატრიოტიზმი, ერისა და მამულისადმი შენი სიყვარული, ძნელია ღმერთთან მიახლოვებაზე ფიქრი. სამშობლომიტოვებული თუ სულაც - უსამშობლო კაცის სული მუდმივად დრეკადია და ადვილად იღლება. თუ შენი არ გიყვარს სხვისას რა შეგაყვარებს?!

ერთი შეხედვით, დღეს არავის სჭირდება '?!' პატრიოტიზმის ცნების განმარტება, მაგრამ ასე რომ არ არის?! იაკობ გოგებაშვილი შეგვაგონებს, რომ პატრიოტიზმი "არ არის თანდაყოლილი გრძნობა," – იგი "აღზრდის საგანსა და შედეგს წარმოადგენს"[10]. დიდი მოძღვარი კითხვას - ვის შეიძლება ეწოდოს პატრიოტი? ასე უპასუხებს: "მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხინითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე."[11]

ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში ვკითხულობთ: "ჩვენ ერთი ძალიან დიდი ისტორიული გამოცდილებით დატვირთული ძველი ერი ვართ და, თუ თავის გატანა გვინდა, ჩვენი ისტორიული ტრადიციებისა და გამოცდილების საფუძველზე ხვალინდელ დღეზე ფიქრიც უნდა ვისწავლოთ."[12]

თუ სამშობლოს სიყვარულს თეორიულ და პრაქტიკულ პატრიოტიზმად დავყოფთ, მაშინ ჩვენი ზეპირსიტყვიერებით ნაქადაგარი პატრიოტიზმი ამ თეორიული და პრაქტიკული პატრიოტიზმის ერთიანობა და მთლიანობაა, ჩვენი ნაშრომი კი ამ ერთიანი და მთლიანი მამულის შეგნებული დაცვის, სიყვარულის ქადაგებაა.

წინამდებარე ნაშრომი მთლიანად ერის იდეოლოგიაზეა გათვლილი და არა მხოლოდ რომელიმე კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურის ინტერესებზე, ამ შემთხვევაში ეგ კერძო თუ სახელმწიფო ერთეული მთლიანი ერის ინფრასტრუქტურის ელემენტია ნიადაგ. ნაშრომში წარმოდგენილი თვალსაზრისი, ეროვნული ზეპირსიტყვიერი მასალების იდეური ანალიზი და მისი შედეგები, ვფიქრობთ,

---

[10] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ. 1977, გვ. 25
[11] ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II, თბ. 1940, გვ. 111
[12] გაზეთი "ახალი ეპოქა", №17, გვ. 4, 2000წ.

საინტერესო უნდა იყოს არა მარტო ქართველი ჯარისკაცისათვის, არამედ საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, საქმით მოღვაწე თითოეული ქართველისათვის.

ქართული ზეპირსიტყვიერება საერთოდ არ იცნობს ფსევდოპატრიოტიზმს. ქართველში გენეტიკურად დევს ჭეშმარიტი პატრიოტის მუხტი. მას არ ახასიათებს და არც ძალუძს – "ზედმეტი ეროვნულობა", მჭლე თავმომწონეობა, თვითმიზნური , ყალბი პათეტიკა.

საქართველომ, ქართველმა ხალხმა უნდა დაიცვას სისხლითა და ცრემლით მოპოვებული თავისი დამოუკიდებლობა! – ეს არის დღეს ჩვენი უმთავრესი საზრუნავი.

დღეს უმთავრესია, და გვინდა, არა ურა, არა "ყოველდღიური" პატრიოტიზმი, არამედ – "მუდმივი", სწორედ ისეთი, რაც ქართული ხალხური პოეტური ხელოვნების ტრადიციებით არის ნაქადაგარი, ეროვნულ ზეპირსიტყვიერებაში თვალსაჩინოდ არის გაცხადებული.

თუ იდეოლოგია, ადამიანივით, ორბუნებოვანია, თუ იდეოლოგია, ადამიანივით, მუდმივ მერყევიც არის და მუდმივ მყარიც, ასეთს ვერ იხილავთ ეროვნულ ფოლკლორში. იქ აქტიური და მყარი სწორედ ის იდეოლოგიაა, რასაც მუდმივად ეროვნული, მუდმივად სახალხო ინტერესები ჰქვია.

არავინ იფიქროს, რომ ზეპირსიტყვიერება მხოლოდ რჩეულთა სადიდებელია. არა! იქ ცოტა როდია ისეთი ლექს-სიმღერები, სადაც კრიტიკის ქარ-ცეცხლშია გატარებული "ომშიით გამოქცეული", ქალთა უბე-კალთას ამოფარებული, მშიშარა და გულჩვილი. ასეთთა შესახებ ზეპირსიტყვიერება კი არ დუმს, პირიქით, შეპირისპირების ხერხის ოსტატური გამოყენებით გვიჩვენებს, რომ

კაი ყმა ხმალსა ჩახედავს –
"ნეტავ გამიჭრის თუ არა?"
ცუდაი - ქალის უბესა:
ნეტავ, შამიხვევს თუ არა.[13]

ან:

ატირდა კაი ყმის ცოლი:
"აღარ მამივა შინაო!"
იცინის ცუდაის ცოლი –
"გამაიქცევა წინაო".
გამაქცეულის მოსვლასა
არ-მასვლაი სჯობს შინაო.[14]

---

[13] **ქართული ხალხური პოეზია**, ტ. III, თბ. 1947, გვ. 83

[14] **ქართული ხალხური პოეზია** თორმეტ ტომად [ქვემოთ, ქხპ] ფრჩხილებში მითითებულია ტომის რიგითობა და გვერდის რომელობა: აქ ტ. III, თბ. 1974, გვ. 109.

აქ, ცხადია, მხოლოდ ცუდი და კარგი კაცისა თუ ქალის მხატვრული ხატი კი არ არის მხოლოდ საინტერესო, არამედ თვით ხალხის პრინციპი, პოზიცია, მსჯავრი, კანონიერი განსჯა – გამოქცეულისათვის შინ მოსვლას, შინ არ-მოსვლა, ანუ სიკვდილი სჯობს!

ხალხი თავისი მორალურ-ზნეობრივი წეს-რიგით ანესრიგებს, ან იცავს ცხოვრებისათვის საჭირო წეს-რიგს. ზეპირსიტყვიერება ხომ, მართლაც, ერის დაუწერელ კანონთა დიდი წიგნია, რომელიც არც არასოდეს არ კარგავს თავის პირველყოფილ სიდიადეს.

ილია ჭავჭავაძე ამ ასიოდე წლის წინ შეგვაგონებდა: "დანახვა ნაკლისა ხომ ნახევრად გასწორებაა, ცოდნა სატკივარისა ხომ პირველი და თავიდათავი საჭიროებაა განკურნებისათვის."[15] დიდი მამულიშვილის ამ დიდაქტიკას საქართველოში არასოდეს დაკლებია მამულის სიყვარულით გაჯერებული მსმენელი. დიდი შემოქმედი წერდა: "ეხლანდელი დრო კი ასეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არა ჰშველის თავის თავსა, თვითონ არ ირჯება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თავის საკუთარ მხნეობას გარეთ ეძებს... ამისთანა კაცი გადადებულია უფრო სასიკვდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ"[16] – თითოეული ჩვენგანისათვის სამუდამდღეო შეგონებაა! დღესაც უმთავრესია ერის სულიერების წინ გაძღოლა. ერის ისტორიული წარსულის დიდი გამოცდილებით მიღებული ცოდნის გასიგრძეგანება, გათავისება, ერის სულიერებაში მისი დაბრუნების მუდმივი ცდა და არა "ენა-ჭრელობა" და "ენა-ბრტყელობა" 'ილია'; ისტორიაზე ხელის აღება კი, როგორც დადასტურებულია, თვითგანადგურების უპირველესი და უბასრესი იარაღია.

და ისევ ჩვენს ღმერთკაცს, ჩვენი გაჭირვების ტალ-კვესს, დღენიადაგ ჩვენთან მყოფ წმინდა ილია მართალს, მოვუსმინოთ, ვინც მართლა თქვა – "მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!" "ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც ზოგს იმათგანს ნმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებრივობას შარავანდედითა, და თაყვანსა ცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა."[17]

თერგდალეულებმა ერის ეროვნული სულიერების აღზრდისა და გამდიდრების ერთ-ერთ წყაროდ ხალხური სიმღერაც აღიარეს. ილია ჭავჭავაძე სამართლიანად წერდა, რომ სიმღერაში ადამიანს შეუძ-

---

[15] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ათ ტომად, ტ. VIII, თბ. 1957, გვ. 283.
[16] იქვე, გვ. 315
[17] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. . . ტIV, თბ. 1955, გვ. 180

ლია "გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა."[18] თვით ეროვნული ზეპირსიტყვიერება,მისი პატრიოტიზმით გაჯერებული სიმღერა განა ადამიანის "სულის მოძრაობისა" და "გულის ძარღვის ცემის" გამომხატველი არ არის?!

შევნიშნავთ, რომ საომარი თავგადასავლის შინაარსის მქონე ხალხური სიტყვიერება, მაინც თავისებურია. ჩვენში ხალხური მხედრული სიმღერების არსებობის შესახებ გამორჩეულად საინტერესოა ი. გოგებაშვილის აზრი. დიდი პედაგოგი წერილში "ვინ და როგორ გადაიღო პირველად ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები სახალხო სკოლებისათვის", მიუთითებს, რომ ზოგი ხალხური სიმღერა გამორჩეულად თავისებურია. ცნობილი ზეპირსიტყვიერი ლექსის "თამარ მეფე და ხონთქარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა" შესახებ საუბრისას კი ფრიად ანგარიშგასაწევ აზრს გვთავაზობს: "პირველი ადგილი ხალხური მოტივების გამოცემაში, – წერს დიდი იაკობი, - უჭირავს სიმღერას: "თამარ მეფე და ხონთქარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა". ეს სიმღერა არის მოკლე, მარტივი, ადვილად დასასწავლი, მეტად მხიარული და **გამამხნევებელი გულისა**. ამ მოტივს ხალხი მღერის, როცა ფერხულსა მართავს და უფრო კიდევ მაშინ, როდესაც მთელი გროვით სადმე მიდის, მაგალითად ჯვაროსნობასა. ამ დროს ხალხი **რამდენსამე რიგად ანუ რაზმად** არის **დამწკრივებული**, მღერის ორსამ-ოთხ პირად და გააქვს გუგუნი ქუხილივითა. **ამბობენ, ეს სიმღერა საომარი იყოფო ჩვენში**. სწორედ მართალი უნდა იყოს ეს, - ასკვნის დიდი განმანათლებელი, – რადგანაც ეს კილო **განსაკუთრებულ მხნეობას და ბრძოლის სურვილს უბადებს კაცს გულში** და გმირულის ხასიათისაა."[19] (დაყოფა ჩვენია, ზ.ს.) ი. გოგებაშვილს საომარი ხალხური ლექსის მაგალითად აქვე მოაქვს ცნობილი სასიმღერო საგმირო ლექსი:

ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს,
ნადირსა შავი ტყისასა,
ვინც დახვდა, იგივ დახვდება
გულ-და-გულ რაზმსა ატრისასა.[20]

ი. გოგებაშვილის ეს წერილი 1878 წელს არის დაწერილი, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს არა მარტო წარმოდგენილი ხალხური ლექსის ჩაწერის, არამედ, ჩვენს სკოლებში საომარი ხელოვნების უთუო სწავლების აუცილებლობის ისტორიისათვის.

დღეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ქვეყნის მმართველი ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი ამო-

[18] **ი. ჭავჭავაძე.** თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. III, თბ. 1953, გვ. 146.
[19] **ი. გოგებაშვილი,** თხზულებანი, ტ. I, თბ. 1955, გვ. 97.
[20] **იქვე**

ცანა ეროვნული არმიის შექმნაცაა. ჯარი ქვეყნის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. აშკარაა, რომ ქართული არმიის შექმნა-ჩამოყალიბების, მისი განმტკიცების სამსახურში უთუოდ უნდა ჩადგეს ქვეყნის ყველა შესაძლებლობა და, ცხადია, მათ შორის მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება... აქ დგება ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა: ისე როგორც ქვეყანას, კვლავ და კვლავ ჯარსაც თავისი სახელმწიფო იდეოლოგია სჭირდება, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და სიმტკიცის დაცვა, დიაღაც, სხვათა და სხვათა შორის, ჯერ ჩვენივე ეროვნული არმიითაა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ დღენიადაგ, ყველა საშუალებით უნდა ვქმნიდეთ ქართული არმიის ჯარისკაცის კულტს. ჩვენ ჭეშმარიტად გვჯერა ვასილ კიკნაძის მართებული პოზიციისა რომ დღეს ეროვნული იდეოლოგიის ერთ-ერთი, უმთავრესი საზრუნავი მამულის უერთგულესი კაი ყმის აღზრდა უნდა იყოს: "პროპაგანდის საშუალებათა ძირითადი პათოსი კი უნდა იყოს ჯარისკაცული ცხოვრების ხიბლის წარმოჩენა, ვაჟკაცობისა და რაინდობის, ფიზიკური და სლიერი ნრთვნის რომანტიზაცია, სახელმწიფოებრიობის შეგნების, სამშობლოს ნინაშე მოვალეობის გრძნობის ამაღლება"[21]. ეს ტვირთი ეროვნულმა სამეცნიერო დისციპლინებმა უნდა გაინაწილონ. ჩვენი ნაშრომის ამოცანა სწორედ იმ ეროვნულ განძში, რასაც ხალხური შემოქმედება ჰქვია, იმის ძიებისა და წარმოჩენის ცდაა, რასაც ჩვენი ეროვნული არმიის საომარი ხელოვნების ისტორიის ფურცელი შეიძლება ვუწოდოთ.

ისე, როგორც თითოეული ჩვენგანი, ერის სულიერი სიმდიდრეც, მისივე ინფრასტრუქტურითურთ, თავისი ბავშვობიდან მოდის. არ გვავიწყდება, რომ ზეპირსიტყვიერება ერის მიერ განვლილი გზის მხატვრული ისტორიაა. აქ, ოდითგანვე, არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული. ამ ისტორიის აქტიური შემადგენელი ნანილია ქართველი კაცის სამხედრო საქმე, მისი სალაშქრო-საომარი თავგადასავალი.

ქართული ეროვნული არმიის, როგორც ეროვნული ლაშქრის სახელოვანი მემკვიდრის საომარი ხელოვნების საინტერესო წარსული თანამედროვეობამ უნდა ცოდეს, რათა ამ წარსულით თავი მოიწონოს და იამაყოს. ამიტომაც ჩვენი შრომის უპირველესი მიზანი ეროვნული ხალხური შემოქმედების საამაყო ტრადიციებზე ერის საამაყო კაი ყმის აღზრდაა!

ჩვენ გვჯერა, რომ ერის ხალხურ პოეტურ შემოქმედებას განუზომლად დიდი ძალა აქვს თუ მას გონივრულად ჩავრთავთ ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობაში. სულ სხვა შთამაგონებელი ძალა აქვს

[21] ჯ. კიკნაძე, ჯარში წასვლა ვის უხარია, გაზეთი "ლიტერატურული საქართველო", №45, 1999.

მისგან ნაქადაგარ შემართებას, გამძლეობას, გამჭრიახობას. შეუძლებელია არ ირწმუნო დიდი ილიას სიბრძნე: "დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარი ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს."[22] დიდი შემოქმედი მიუთითებდა, რომ "ერი, რომელსაც ახსოვს... ეგ თავის დიდ-ბუნებოვანი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვნდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი."[23] ილია ასკვნიდა და ჩვენც ვემოწმებით: "აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, ანმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან."[24]

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაშრომის დასათაურება, ერთი შეხედვით, არავითარ დეფინიციას არ საჭიროებს, ჩვენ მაინც აუცილებლად ჩავთვალეთ მასზე ორიოდე სიტყვის თქმა.

ბუნებრივია, რომ კაი ყმა მამულისა და ერის თავდადებული მოღვაწის აღმნიშვნელი ტერმინია. ძველ ქართულ მწერლობაში მისი ფარდი სახელი უნდა იყოს "მოწამე": შუშანიკ დედოფალი, გრიგოლ ხანძთელი, ქვეყნის განმანათლებელი ნინო, მიქელ-გობრონი, ქეთევან დედოფალი, გიორგი სააკაძე, მღვდელი თევდორე, მაია წყნეთელი და ასობით მათი თანამოსაქმე, განა კაი ყმები არ არიან?

ლექსიკოლოგიური ლიტერატურით, კაი ყმა დიალექტურია, ფშაური, "იგივეა, რაც კარგი ყმა,"[25] "რაინდი, გმირი, მოყმე"[26]. კაი-ს სულხან-საბასეული განმარტებაა "სიკეთის ნაწილი"[27]. "სიკეთე" "კარგის" იდენტური ყოფილა.

კაი ყმის სინონიმებად მიგვაჩნია აგრეთვე — პატრიოტი, გმირი, სახელიანი, თავდადებული, ქვეყნის იმედი და კიდევ ბევრი სხვა, რომელთა შორის გვგონია, რომ ერთ-ერთი უძველესია მოქალაქეობა.

ტერმინის შინაარსის შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ხშირადაა მითითებული: მაგალითად, თხზულების "ცხოვრებაი და მოქალაქეობაი წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაი" მიხედვით, დავითის მოქალაქეობად წარმოჩნდება: "ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თჳსისა" მოსვლა მოწაფე

---

[22] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ათ ტომად, ტ. IV, თბ. 1955, გვ. 204.
[23] იქვე, გვ. 203.
[24] იქვე, გვ. 204
[25] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (ქვემოთ ქეგლ) ტ. IV, 1955.
[26] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ. 1984, გვ. 266.
[27] ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 158

ილარიონთან ერთად; ამ მიდამოებში მობინადრე ვეშაპის უვნებელყოფა "ძალითა [უფლისა] ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა"; მონადირეთათვის ნადირობის აკრძალვა გარესჯის მიდამოებში; მონადირეებთან დამეგობრება - "და იგინი ეველდრებოდეს და ეტყოდეს: "ნუ განგვიტეობ, წმიდაო მამაო, და, უკუეთუ იქმნეს სიკუდილი ჩუენი შენ წინაშე, არავე გუჩნდეს სიკუდილად"[28]; ვინმე ცოდვილი ბარბაროსისათვის ცოდვათა მიტევება, მისი ხეიბარი შვილის განკურნება და სხვა.

მოქალაქეობა რომ კაი ყმის მოღვაწეობის ერთ-ერთი ადრეული თავფურცელი და ამ სემანტიკის მატარებელია, ეს კარგად ჩანს ასევე თხზულებაში "მოქალაქეობაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისაჲ."

აბიბოს ნეკრესელის მოქალაქეობის კონსპექტურა ასეთია: აბიბოსმა ქრისტიანულ სარწმუნოებას "შესწირა თავი თჳსი მსხვერპლად". იგი იყო "განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაჲ", "ოდეს სამეფოჲ ეს ჩვენი ქართული სპარსთა მეფესა დაეპყრა და... ნაკლულევანთა გონებითა შეაცთუნებდეს. ერთგან მივიდა... სამსახურებულისა მათისა, დაასხა წყალი და ხენეში იგი ცეცხლი მათი დაშრიტა."[29] ამის გამო სპარსთა შეიპყრეს და ესოდენ გვემეს,"[30] "საპყრობილესა შეაყენეს", მარზპანთან მიიყვანეს; აბიბოსმა იცის, რომ "მრავლითა ჭირითა გკღირს შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა." მარზპანის კითხვას თუ "რაისათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუენი?" აბიბოსმა მკაცრად უპასუხა: "არა არს ღმერთი იგი". მიკჳრს თქუენი ესე, ესჯთარი სიცოფჱ" მარზპანი "განრისხდა ფრიად", "და შემდგომ მრავლისა და საკჳრველთა სატანჯველთათა ქჳთა განტჯნეს იგი ნეტარი აბიბოს."[31]

აშკარაა, რომ მოქალაქეობაჲ, პირდაპირი მნიშვნელობით ქრისტიანული სარწმუნოების, ეროვნული ინტერესებისათვის თავგანწირვას ნიშნავს, რაც პირდაპირ კავშირშია კაი ყმის ინსტიტუთან.

ასეთ კაი ყმათა ლაშქარია ზეციური მხედრობა. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ბოლო წლებში ლიტერატურის ისტორიის პრობლემათა კვლევაში ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ჰაგიოგრაფიის ყველა პერონაჟი, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისა და ქრისტიანული რწმენის დაცვისათვის იბრძვის, თავს სწირავ, წმინდა მხედარია. ჩვენ დავუმატებდით: ყველა მათგანი მართლაც არის კაი ყმა!

---

[28] ცხოვრება ჲ დავით გარესჯელისა ჲ, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, ტ. I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ. 1946, გვ. 165

[29] იქვე

[30] იქვე

[31] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, I. . . გვ. 169

კაი ყმის ზღაპრისეული მოდელისათვის

ზღაპარი, როგორც ცნობილია, ქართული ზეპირსიტყვიერი შემოქმედების უძველესი და უმდიდრესი ჟანრია. ამდენად გასაგებია თუ ხალხურ ეპიკურ არსენალში კაი ყმის ხატი რატომ შეიძლება იყოს უფრო თავისებური, ვიდრე ეს, ვთქვათ, ფოლკლორული ე.წ. "ახალგაზრდა" ჟანრებისათვის არის ბუნებრივი. ნათქვამს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ზღაპარიც "იცვლება" მისი შემოქმედი და მომხმარებელი საზოგადოებრივი ურთიერთობების რელიგიურ თუ სოციალურ ცვალებადობასთან ერთად, მაშინ უფრო ნათელი იქნება კაი ყმის ნიშან-თვისებათა პერმანენტური ცვალებადობა.

ზღაპრისეული კაი ყმის დამახასიათებელი თავდაპირველი თავისებურებანი იმ საზოგადოების ინტერესების ფიქსაციას ემსახურება, რომლის პირმშოც და მემკვიდრეც თითონვე არის, ემსახურება იმ საშუალებებით, რაც მას ამ საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა უბოძეს, რითაც იგი აღჭურა იმ ხალხმა, ვისი ინტერესების დამცველი და წარმომადგენელიც არის იგი.

ზღაპრისეულ კაი ყმას სხვადასხვა შემთხვევაში შეუძლია იყოს როგორც კეთილი, ისე ბოროტი. ადამიანთა კეთილდღეობისათვის აქ ბევრია საზრუნავი, გასაკეთებელი; ბევრია საშიშროებაც შინ მშვიდობიანად მობრუნებისა, მაგრამ მისი საბრძოლო მიზანი იმდენად ნათელია, იმდენად ზნეობრივია, რომ მიუხედავად, და არც თუ ისე იშვიათად, წინასწარ უკვე ცნობილი წინააღმდეგობების უძლეველობისა, იგი მაინც ამაყად მიაბიჯებს წინ, სძლევს ყველა დაბრკოლებას და გამარჯვებული უბრუნდება თავის სამშობლო მიწა-წყალს.

საერთო-სახალხო ინტერესების იდეალის გამომხატველი, ამ ინტერესებისათვის ბოლომდე მებრძოლი კაი ყმის აღზრდა ყველა დროის საზოგადოების საზრუნავია.

ზეპირპოეტური შემოქმედების უპირველესი მიზანი იყო ასევე კაი ყმის სულიერი, მორალურ-ზნეობრივი აღზრდა. ქს. სიხარულიძე წერდა: "განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობისა არის საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის მიერ შემუშავებული გმირის იდეალის გამომხატველი, პოეტურად გამართული, მოხდენილი ლექსები... ამგვარ ლექსებს, – განაგრძობს მკვლევარი, – დიდი სოციალური ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული. საგმირო სიმღერებზე იზრდებოდნენ სამშობლოსათვის თავდადებული გმირები." იგივე აზრი შეგვიძლია გავიმეოროთ ქართული ზღაპრის მიმართაც. სიმღერასთან ერთად, ზღაპარიც კაი ყმათა აღზრდის დიდი საგანძური იყო.

ზღაპარში წინააღმდეგობას მრავალი სახელი ჰქვია. აქ სიმბოლიკა უჩვეულო სიმაღლეზეა, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ზღაპრის შემოქმედის მხატვრულ აზროვნებას საკმაოდ დიდი დრო და მანძილი გაუვლია: რკინის კაცი, გველეშაპი, დევი და ა.შ. ამ სიმბოლიკის მკვეთრად ჩამოყალიბებული სახეებია, რასაც, მიუხედავად მათი წინასწარ ცნობილი უძლეველობისა, კაი ყმა მაინც უშიშრად ერკინება, ამარცხებს და სპობს კიდეც. ეს, აქამდე "უძლეველი" ძალა, ახლა უკვე ძლევამოსილ კაი ყმას ემორჩილება, მის სამსახურში გადაინაცვლებს, რაც ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებით გვირგვინდება.

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ზღაპრის გმირი, კაი ყმა ოდითგანვე მისი მშობელი ხალხის იდეალებისა და ინტერესების მატარებელია, მასში ხორციელდება კაცობრიობის სანიკვარი მიზანი, რასაც ქვეყნად სიკეთის დამკვიდრება, სიკეთის მუდმივი ზეობისათვის ბრძოლა და გამარჯვება ჰქვია. ეს ქრისტიანული გზაა, რომლის დათმობას ვერასოდეს შეეგუება ქართველი კაცი!

შესაძლებელია დავუშვათ, რომ "ზღაპრის ამბავი არასოდეს ხდება ერთ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში", მაგრამ უეჭველია, რომ ეროვნული ინტერესები უთუოდ გამოსჭვივის ზღაპრიდან, რამეთუ მისი მთქმელ-შემსრულებელი, შემნახველი თუ პრაქტიკულად მისი გამომყენებელი არის ამჯერად ის ხალხი, რომლის კუთვნილებასაც ახლა წარმოადგენს ეგ ეპიკური თხზულება.

ზღაპარი პიროვნების თავგადასავლის ნარატივია, შესაბამისი სიუჟეტისა და შესაბამისი კომპოზიციის ჩარჩოებში. ხელოვნების დარგები ერთმანეთისაგან სწორედ სინამდვილის ჩვენების ფორმებითა და საშუალებებით განსხვავდებიან. ზღაპარს სინამდვილის წარმოჩენის საკუთარი შესაძლებლობები გააჩნია, სადაც სიმბოლიკას უმნიშვნელოვანესი მხატვრული ამოცანა ეკისრება. ზღაპარში დრო და სივრცე დროითა და სივრცით არაა შეზღუდული. სწორედ ამ უნივერსალური შესაძლებლობის გამოც არის იგი მუდამ ჩვენი თანამედროვე. სამართლიანად მიუთითებდა მ. ჩიქოვანი: "ვისაც სურს შეისწავლოს ქართველი ხალხის წარსული, მისი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ, მისი შეუნელებელი სწრაფვა თავისუფლებისა და ეროვნული თვითმყოფადობისაკენ, ის ისტორიულ წყაროებთან ერთად ხალხურ სიტყვიერებასაც უნდა გაეცნოს." ხალხური შემოქმედების მომნუსხველი ძალა მის უტილიტარულ შესაძლებლობებშიც ჩანს. ხალხმა თავისი წარსული თუ ანმყო თავისსავე მხატვრულ სიტყვაში ჩაატია და ასე მოაქვს თაობიდან თაობამდე, საუკუნეებიდან საუკუნეებში.

ქართველი კაცის საომარი ხელოვნება, ზღაპრის მიხედვით, მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში წარმოჩნდება. აქ ბევრი რამ არის რე-

ალისტური, თუმცა ბევრია ფანტასტიკურიც, მაგრამ თვით ფანტასტიკურიც მინიერით, ყოფიერებით არის ნასაზრდოები.

ხალხური ეპოსი უხვ მასალას იძლევა იმაზე დაკვირვებისათვის თუ რა სახის საომარ საშუალებებს მიმართავდა ჩვენი შორეული წინაპარი, როგორ ვლინდებოდა მისი მეომრული შესაძლებლობანი და ა.შ.

ამჯერად ჩვენთვის უმთავრესია: ვაჩვენოთ ბედისმაძიებელი კაი ყმის თავგადასავალში, პირველყოვლისა, მისი ჰუმანიზმის საერთაშორისო ბუნება, საბრძოლო ხელოვნების ის თავისებურებანი, რამაც სხვებისაგან ასე გამოჰყო იგი და მოქმედების ცენტრში მოაქცია, გაათვალსაჩინოვა მოვლენებისა თუ წინააღმდეგობებისადმი საკუთარმა დამოკიდებულებამ, ძნელად გადასალახავი გზის გადალახვის შინაგანმა მონოდებამ, ძნელად მოსაპოვებელი გამარჯვების მოპოვებამ.

ზღაპარს თავისი მხატვრული შესაძლებლობანი გააჩნია. აქ წინააღმდეგობის დაძლევა ხშირად თანამედროვე მკითხველისა თუ მსმენელისათვის უკვე ცნობილი ხერხებითა და საშუალებებით ხორციელდება, ამიტომაც მხოლოდ რამდენიმე პასაჟის შესახებ მსჯელობით შემოვიფარგლებით, პირველ რიგში იმიტომ, რომ არ გამოგვივიდეს ზღაპრის სიუჟეტისათვის ბუნებრივი, მაგრამ ჩვენს მიერ მოხმობილის ანალოგიური მასალის ტავტოლოგია; მეორე, იმიტომ, რომ წინააღმდეგობის დაძლევისათვის ბრძოლაში მოქმედი პირის თავგადასავალი უფრო მეტი სრულყოფილებით გამოჩნდეს.

საანალიზოდ შევარჩიეთ რამდენიმე ეპიკური ძეგლი. ერთი მათგანია "ზღაპარი უხეიროსი".

აქვე გვინდოდა გვეთქვა ზღაპარში ონომასტიკონის, კერძოდ, უხეიროს შესახებ. ალ. ღლონტი შენიშნავდა: "უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ზღაპარს არ სჭირდება საკუთარი სახელით მონათლული პერსონაჟი... მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკა თავად არ საჭიროებდა საკუთარ სახელთა სისტემას". გვგონია, რომ უხერიო, ვაჟკაცობის, კაი ყმის ლიტოტესური ჰიპერბოლაა, რაც თვითონ ეპიკური ხალხური ძეგლის ქსოვილშია გაცხადებული.

მსაზღვრელ-საზღვრული წყვილი "კაი ყმა" ისეთ დიალექტურ ფორმათაგანია, რასაც, საუკუნეებიდან საუკუნეებში, თავისი პოეტური სურნელი ფერშეუცვლელად მოაქვს: ზემოთაც ვთქვით, სახალხო გმირი, ქვეყნის ერთგული შვილი, ერისა და ხალხისათვის თავდადებული მამულიშვილი და ა.შ. არსებითად, კაი ყმის სინონიმიკაა, ვისაც ზაპარში შეიძლება ერქვას: უხეირო, მენახირე, ქოჩორა, ირმისა და ა.შ. ამ შემთხვევაში ისინი, ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, თხისტყავიანი ჰუმანისტები არიან, ვისთვისაც ძვირ-

ფასია არა გარეგნული აქსესუარი, არამედ თანამოძმისადმი თანადგომა, დაჩაგრულის დაცვისათვის ბოლომდე თავდადება.

ხალხური მოთხრობა, კაი ყმის პირადი საბრძოლო ხელოვნების თავისებურებათა ჩვენების თვალსაზრისით მრავალფეროვანია. საანალიზო მასალის მონაცემებიდან გამომდინარე საკითხთა შორის გამოვყოფთ უმთავრესს: **ფიზიკურ ძალასა** და, კიდევ – **სახელიანობას.**

ფიზიკურ ძალას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ზღაპრისეული გმირის საბრძოლო მოღვაწეობაში. ამ ფაქტმა გამორჩეული ასახვა ჰპოვა, ჩვენის აზრით, ჯერ ხალხურ სიტყვიერ კულტურაში, შემდეგ – მწერლობაში. ფოლკლორში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია "ზღაპარი უხეიროსი". მეზღაპრე გვიყვება: "საშინელი ღონიერი იყო უხეირო, მისი გამწევი კაცი არ გამოვიდოდა". (გვ,130). [აქ და ქვემოთ გვერდები მითითებულია – ხალხური სიბრძნე, ტ.I, თბ.1963]. ამ ღონიერებამ გაუთქვა და მოუხვეჭა მას სახელი: ხელმწიფის სურვილია თავიდან მოიშოროს იგი. აქედან იწყება უხეიროს თავგადასავალთა და წინააღმდეგობათა სერიალი, რაც სამეულების დაძლევის პრინციპზეა აგებული, რამაც უნდა სრულყოს მოქმედი პირის მხატვრული სახე.

პირველი – "უბრძანეს უხეიროს: ამა და ამ ადგილას რომ დიდი მთა არის და მთაზე ტყეა, იმ ტყიდან უნდა შეშა მოიტანოო! ის ტყე ასთვიან დევებს ეკუთვნოდა: მათი შიშით "ნიავიც კი ვერ გაიჩუჩუნებდა, ფრინველიც ვერ შეფრინდებოდა იმ ტყეში" (გვ,130). ასეთი წინაპირობა მსმენელში უკვე წინდაწინ ქმნის კაი ყმის მონუმენტურ სახეს. ურთულესი შესაძლებლობების მქონე მონინააღმდეგესთან შერკინების მოლოდინი უკვე ქმნის ფსიქოლოგიურ ამინდს: სახალხო გმირი მაინც გაიმარჯვებს, ოღონდ საჭიროა საამისო მონაცემების არსებობა. ეს შესაძლებლობანი კი მსმენელის იდეურ მრწამსში უკვე დევს.

ზღაპრისათვის დამახასიათებელი ლოგიკის თანახმად, წავიდა უხეირო შეშის მოსატანად. როცა დევებმა გაიგეს ტყის "ლენამტვრევა," მაშინვე მისკენ გამოქანდნენ. არ მოგიკვდეს უხეირო, არც შემდრკალიყოს და არც გაქცეულიყოს! სტაცა ორივე დევს ხელი, ამოიჩარა ცაღლიაში, მიიყვანა, შეაბა კამეჩებივით, დაუწყო ეს მთელმთელი წიფლები და დაირეკა. სულ გუგუნით მიატანინა ხელმწიფის კარებზე" (გვ.130-131).

მეორე - ხელმწიფემ ახლა უკვდავების წყალი მოისურვა. მისი მიზანი ისევ უხეიროს თავიდან მოშორებაა. "ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა უკვდავების წყაროსთან. გამოექანენ კამეჩები, უნდა დაეჯახონ და გაჭყლიტონ. სტაცა უხეირომ ყურებში ხელი, დაგრიხა სქელი ხეები, მოგლიჯა ერთი ჭადარი, დაადო კისერზე უღლად. მერე რუმბები დაავსო, დასცხო და დაირეკა კამეჩები ხელმწიფისაკენ" (გვ.131).

მესამე - ხელმწიფე "კიდევ ეძებდა მიზეზს, სადმე იმისთანა ადგილას გაეგზავნა უხეირო, რომ დაღუპულიყო" (გვ.131). ასი დღის მინაზე ელიას ყანა ეთესა. "უხეიროს უთხრეს: ეს ცხვრის ფარა ელიას ყანაში უნდა გარეკო და აძოვოო" (გვ.131). უხეირომ, ფარა ყანაში შერეკა, თვითონ წამოწვა და მიიძინა. ელიამ დაუშინა სეტყვა და ერთნაირად მოსპო ცხვრის ფარა. რაკი ვერ გააღვიძა უხეირო, ზეციდან ჩამოვიდა და ზედ დააწვა... უხეირომ ქვეშ მოიგდო ელია. ბრძოლა უხეიროს გამარჯვებით დამთავრდა: ელიამ დალოცა: "ჯერზე ნაზევარი პური ეჭამა, ნახევარი ჩარექა ღვინო ესვა და ნახევარი გირვანქა ხორცი მიერთმია. აუშვა უხეირომ და გამოსწია თავის გზაზე" (გვ.132).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზღაპრის პერსონაჟისათვის არსებითია არა ძალაუფლებისა თუ პირადი განდიდებისათვის ბრძოლა, არამედ თავისი ხელმწიფისადმი პატიოსანი სამსახური. მისი ფიზიკური ძალა თუმცა ხელმწიფის ქვენა განზრახულებათა სამსახურში იხარჯება, მაგრამ მთავარია ზნეობრივად ამაღლებული პერსონაჟის სრულყოფა, მიუხედავად იმისა, რომ ხელმწიფის მიზანდასახულობა გასაგებია! სახალხო მიზანი აღსრულებულია!

ბუნებრივია, რომ ზღაპრის გმირს სახელსა და დიდებას სახალხო საქმისათვის თავდადება უხვევჭს: ის ტყეც, ის შეშაც, ის უკვდავების წყაროც, ის ხალხის მტერ-მოყვარე ღვთაება ელიაც გლეხკაცის არსებობისათვის ბრძოლის გზაზე ჩახერგილი წინააღმდეგობებია, რის მოშორებასაც კაი ყმა ყველა შესაძლებლობით ცდილობს. აქ, ამ ბრძოლას, როგორც ვნახეთ, თავისი მიზანი გააჩნია. არადა, ძნელი არ არის უხეიროს თავგადასავალში მილიონობით მშრომელი კაცის ყოფითი რეალიები დავინახოთ: – ბოროტებასშებრძოლებული კაცის გამარჯვება გარდუვალია! – ეს არის ხალხის ზნეობრივი, თუ გნებავთ, ეთიკური თუ ესთეტიკური იდეალი. აქ, როგორც ჩანს, არ ისმის საომარი იარაღის ჟღარუნი, თუმცა ქართველი კაცი არც ასეთი ბრძოლის ცოდნასაა მოკლებული.

სახელიანობა ფიზიკური ძალის დემონსტრირებიდან გამომდინარეობს. ეს მაშინვე გამოჩნდება, როცა უხეიროს "გმირობის სურვილმა მოუარა, ვეღარ დადგა დედ-მამასთან, ადგა და წავიდა თავის თავის საცდელად" (გვ.132).

როცა თავისი ქვეყნის საზღვრებს გასცდა, პირველი, რაც უხეირომ ნახა, ეს იყო: "ერთი დევი მორბის, თან ერთი გორა უჭირავს და ბურთივით მოაქვს. დადგა უხეირო და დაუწყო ცქერა: "კაცო, მე ლამის ქალამნებიც გავიხადო და შენ მაგოდენა გორა სად მიგაქვსო? – ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, ის უნდა გამოვცადოო! – გამოართვა ეს გორა უხეირომ, მოიქნია და სამი მთის იქით გადაისროლა.

მერე უთხრა დევს: - მეძმობი თუ მეყმობიო? – დევმა უთხრა – გეძმობიო!" (გვ.132).

გზაზე შემხვედრ მეორე დევს "ხელში ორჯერ იმაზე [პირველზე, ზ.ს.] დიდი გორა უჭირავს და მოათამაშებს" (გვ.132). მასთან დიალოგში გაირკვა, რომ ისიც ხელმწიფის კარზე მოღვაწე უხეიროს გამოსაცდელად მიდიოდა... ისიც ეძმო უხეიროს.

ახლა მესამე დევი შემოხვდა. მასაც "ორჯერ მეტი გორა დაუჭერია, ვიდრე მეორე დევსა"(გვ.132). დიალოგმა აქაც მოიტანა, ეთქვა: "შორს სიარული რად გინდა, - უპასუხა უხეირომ, – უხეიროც მე ვარო. გამოართვა გორა, მოიქნია და ერთი მთის იქით გადააგდო" (გვ.132).

მოყვანილი მაგალითებით დასტურდება, რომ ხელმწიფის კარზე უხეიროს მოღვაწეობას უქმად არ ჩაუვლია. მისი სახელი ცნობილია "უცხო ქვეყანაშიც". მის მორჩილებაზე უარს არ ამბობენ ადამიანის მტრებიც კი – დევები, პირიქით, ისინი ძმობასა და სრულ მორჩილებას უცხადებენ სახალხო გმირს, კაი ყმას.

ლამის ზღვარდაუდებელია საბრძოლო ეპიზოდებით მდიდარი ზღაპრის კაი ყმის, ამ შემთხვევაში უხეიროს, თავგადასავალი. თეთრი, წითელი და შავი დევების სამფლობელოებში მოგზაურმა უხეირომ ბევრი ჭირსახდელი ნახა. სამივე მათგანი მოკლა... თუმცა, ვნახოთ მოქმედ პირთა ურთიერთშებრძოლების ეპიზოდების ზღაპრისეული პასაჟები. ამით კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთება კაი ყმის საომარი ხელოვნების თავისებურებები, სწრაფვა ბოროტების უთუო დამორჩილებისა.

ნადირობიდან მობრუნებულ დევს პირდაპირ შეება უხეირო: "მაშინ კი წამოდგა უხეირო და დაუძახა: – აბა, თუ მომკლავ, უხეირო მე ვარო და ჩამობრძანდიო! შეიბნენ უხეირო და თეთრი დევი. დაახეთქა უხეირომ ეს თეთრი დევი და მოჰკლა" (გვ.133).

არც წითელ დევთან ბრძოლა გასჭირვებია უხეიროს: "შენ ვინა ხარ, აქ ჩემის შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ფრინველსა. რა სულიერი ხარ, რომ აქ მოსულხარო? ჩამოუხტა დევი და შეიბნენ. იბრძოლეს კარგა ხანს, მაგრამ დასცა უხეირომ და მოჰკლა ისიც" (გვ.134).

ადვილი გასაგებია, თუ რა დიდი მასშტაბის ძალასთან უხდება უხეიროს ბრძოლა: "ჩემი შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ფრინველსაო", – ბრძანებს წითელი დევი. ეს საშიშროება ამიერიდან მოხსნილია. ეს არის თხზულების მთავარი გმირის ძირითადი მიზანიც!

ასევე დასრულდა უხეიროსა და შავი დევის ბრძოლაც: ცხენს შეუტია დევმა: "აჩუ, შე საოხრევ, ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, ისიც კი ცოცხალი ვერ მომრჩებაო და ვინ გაშინებსო! – აბა, თუ ვერ

მოგრჩებაო! – და ამოუხტა კიდეც უხეირო. შეიბნენ. ძალიან დიდხანს იბრძოლეს. ეხეირო დაიღალა და თითქო გაუჭირდა შავი დევის მორევა. ბოლოს, როგორც იყო, მოიკრიბა რაც ჯანი ჰქონდა, დასცა და იქვე სული გააფრთხობინა. დააკრა მკვდარი ცხენს და იმის სახლისაკენ გააგდო" (გვ.135).

ზღაპრის პერსონაჟი არც ბრძოლის წინ, არც ბრძოლაში თუ ბრძოლის შემდეგ, დაუბინავებელს არ ტოვებს მასთან ძმობაშეფიცულ მტერსაც კი. აქაც უხეირომ "წაიყვანა ეს დევები. ერთს თეთრი დევის ცოლი შერთო მეორეს წითლისა და მესამეს შავი დევისა". (გვ.135)

უხეიროს ჭირსახდელი გზა გრძელდება, უფრო ფართოვდება მისი საბრძოლო თავგადასავლის გეოგრაფია. მიუხედავად მისი სახელგანთქმულობისა, იგი თავაღერილი არავის უნახავს. ბევრი სიარულის შემდეგ ერთ ქალაქში მივიდა, სადაც "ექვის ნლისაზე ზევით კაც ვერ ხედავს" (გვ.135). მიზეზიც გასაგები გახდა – "ქალაქის ახლოს, ზღვაში ერთი რკინის კაცია. იმ რკინის კაც ერთი მოტაცებული ქალი უზის კოშკში: როცა ის ქალი გარეთ გამოვა, შუქი ქალაქში შემოდგებაო... ამ ქალაქის ხელმწიფეს უნდა ის ქალი, ეომება რკინის კაცი, მაგრამ ვერას აკლებს... მაშ რაღა ბიჭი ვყოფილვარ, – თქვა უხეირომ, - თუ ის ქალი არ ვავართვაო" (გვ.136). უხეირომ იმ კოშკშიც შეაღწია და იმ მანათობელი ქალისაგან ისიც გაიგო, თუ რა მოკლავდა რკინის კაცს. ვაჟმა ისევ ხერხით შეძლო რკინის ურჩხულის მოკვლა! მეზღაპრე გვიყვება: "როცა რკინის კაცი წავიდა კიდევ სალოცავად, მივიდა უხეიროცა, მოამზადა ორივე ნაჯახი და დადგა საომრად. მოვიდა რკინის კაცი და შეიბნენ. ბოლოს დასცა უხეირომ და დასცხო იღლიის ძირში ნაჯახი, მაგრამ ერთი ნაჯახი გატყდა. მაშინ მეორე დასცხო და სული გააფრთხობინა"(გვ.136-137).

ხალხურ ზღაპარზე დაკვირვება ცხადყოს იმასაც თუ როგორია გზა კაი ყმის სრულყოფისა. ხალხის საყვარელი გმირი, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიცოცხლე ძალიან ხშირად ბეწვზე ჰკიდია, მაინც ახერხებს დაამარცხოს მონინააღმდეგე. ამ ბრძოლაში სახალხო გმირი ბოლომდე იხარჯება და გამარჯვებასაც ამიტომ მუდამ ის ზეიმობს.

ამრიგად, ფიზიკური ძალა პერსონაჟის სახელის განთქმის უმთავრესი პირობაა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ შედეგია მოხერხებულობისა, წინდახედულებისა, გონიერებისა, მიზნის სიცხადისა, თავის ძალებში დარწმუნებულობისა. ჩანს, რომ ზღაპარში მოხერხებასა და უკვე მოხვეჭილ სახელს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მართალია, ეს ყველაფერი ბოლომდე ფიზიკური ძალის დემონსტრირებაზეა დამყარებული, მაგრამ მოხერხებულობის, გაბედულების, გამჭრიახობის, ბოროტებაზე გამარჯვებისათვის მუდმივი ზრუნვის და ა.შ. გარეშე ყველაფერი წყალშია ჩაყრილი.

"ზღაპარი უხეიროსი" ერთი საუკეთესო ხალხურ მოთხრობათაგანია, სადაც ცხადად ყალიბდება გმირის, კაი ყმის იდეალი, სადაც ხალხური ეპოსისათვის დამახასიათებელი სიცხადით, სიზუსტითა და მონუმენტურობითაა გამოკვეთილი ხალხური საბრძოლო ხელოვნების კლასიკური სახე, მოდელი, მისი სტილური თავისებურებანი.

ვნახოთ კიდევ ერთი ხალხური მოთხრობა – "ზღაპარი ივანე ცისკრისა",ოღონდ ვცადოთ, უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ პერსონაჟის თავგადასავლიდან აქტიური ბრძოლის ეპიზოდებს, რითაც ეს ხალხური მოთხრობა გამოირჩევა სხვებისაგან.

ივანე ცისკრისა მჭედლის შვილია. ძმებისაგან იგი ფიზიკური სიძლიერითაა გამორჩეული. როცა ხელმწიფის ქალების გატაცების ამბავს გაიგებს, ივანე დახმარების ხელს უწვდის ხელმწიფეს - იწყებს მისი ქალების კვალის ძიებასა და გათავისუფლებას. ჯერ სპილენძის დევს ეახლა. შინდაბრუნებულმა დევმა ივანეს შორიდან ჰკითხა: "ცისკარო, გამაგებინე: სამტროდ მოსულხარ თუ სამოყვაროდაო? – შენთან სამოკეთო რა მაქვსო, – მიუგო ცისკარმა, – სამტროდ მოვედიო. გადმოხტა ცხენიდან სპილენძის დევი და დაუძახა, – შეუბერე მიწასო - შეუბერე კიდეც და რაც გინდა, ისა ქენიო, – უთხრა ცისკარმა. შეუბერა დევმა და ფეხის სამაგრებლად მიწა აქცია სპილენძად. დაიჭიდნენ კიდეც, – განაგრძობს მეზღაპრე, – მოიქნია ცისკარმა და ჩასვა მუხლამდე, მოიქნია დევმა და ჩასვა მუხლამდე. მოიქნია ცისკარმა და ჩასვა წელამდე. მოუსო ხმალი და მოსჭრა სამივე თავი. გაცოფდა დევი, დაიქნია ცისკარი – ჩაიყვანა საზარდულამდე. ამოფრინდა ისევ ივანე და მოსჭრა ოთხი თავიც"(გვ.96).

მოტანილ ფრაგმენტში მშვენივრად ჩანს სახალხო გმირის ფიზიკური ძალა და ზნეობრივ-მორალური სახე. მხედველობაში გვაქვს მტერთან პირისპირ გულახდილი დიალოგი და ბრძოლის დროს დახვეწილი საომარი ხელონება. ეს ფაქტები ვერცხლისა და ოქროს სასახლეთა მფლობელ დევებთან შებმის ეპიზოდებშიც მეორდება. ვერცხლის სასახლის მფლობელ დევთან შებმის ეპიზოდი მოთხრობაში სულ ორიოდე სიტყვითაა გადმოცემული: დევი "მოვიდა სახლში და მართლაც ივანე კი დახვდა ნამონოლილი ხის გრილში. დაუძახა:

– ცისკარო, სამტროდ მოხველ თუ სამოკეთოდაო?

– მე შენთან სამოკეთო რა მაქვსო, - უთხრა ცისკარმა.

– მაშ შეუბერე მიწასაო.

– არც რას შევუბერავ და არც არაფერიო, – უთხრა ცისკარმა. მალე მოკლა ცხრათავა დევი".

ბრძოლის პანორამა ოქროს სასახლის მფლობელ თორმეტთავიან დევთან თხზულებაში უფრო ვრცლად და თანმიმდევრულადაა ნაჩვენები: "გადმოხტა დევი და ცისკარიც მიეგება. შეუბერა დევმა და ადგილი ოქროდ აქცია. იბრძოლეს, დაიყვანა საზარდულამდე

დევმა ცისკარი და ცისკარმა დევი მხრებამდე. ცხრა თავიც მოსჭრა. დევი დაიღალა. ცისკარმა ჰკითხა: (უნდა იყოს – დევმა ჰკითხა, ზ.ს.)– როგორ იციან თქვენში ომიო? – ჩვენში ომობენ და დაისვენებენო, – უპასუხა ცისკარმა: მაშ, დამასვენეო, – სთხოვა დევმა. ცისკარმა იფიქრა, ეს რომ დავასვენო და ამომასწროს, ხომ მომკლაო. ამოფრინდა მიწიდან და მოსჭრა დევს ის სამი თავიც. ეს კი ვაჟკაცობა აღარ ქნა ცისკარმა: სამი თავი ღალატით მოსჭრა!" (გვ.97). აქ სახალხო მთქმელი პირდაპირ ასამართლებს ცისკარას საქციელს. ვაჟკაცობას უგმობს: – მოწინააღმდეგეს "სამი თავი ღალატით მოსჭრაო", მაგრამ ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ცისკარი არ დათანხმებია დევის წინადადებას – დაესვენათ. გასაგებია მთქმელის საყვედური ცისკარისადმი. მას არ მოსწონს პერსონაჟის ღალატიანი საქციელი, თუმცა, ვიმეორებთ, აქ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა: ბოროტების დასამხობად კი ყველა ხერხი ნებადართულია!

ინტერესს იწვევს მიწისთვის შებერვის დევებისეული სურვილი. თურმე საქმე იმაშია, რომ სპილენძი, ვერცხლი თუ ოქრო მხოლოდ ჯადოსნური მონაგონი ყოფილა, რაც ხელმწიფის დატყვევებულ ქალთა გასართობად მოუგონიათ დევებს. არადა "ოქროს მიწას" "შეუბერა ივანემ და აქცია მტვრად". აქედან ისიც ნათელი ხდება, რომ ივანესაც თურმე შესძლებია "შებერვა", მაგრამ, ამას იგი ბრძოლის წინ შეგნებულად არიდებდა თავს, რათა მოწინააღმდეგეზე ამითაც გარკვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოეხდინა.

ივანე ცისკრისამ ძმებსაც სამაგიერო მიაგო. რკინის კაცს კი, ვინც არაერთი უსიამოვნება მოუტანა ქვეყანას თუ მას, სანაცვლოდ ასე მოექცა: რკინის კაცი რომ მიდიოდა ეკლესიაში და ქალი მიჰყავდა, დაეშვა ივანე ციდან. ის იყო საყდარში უნდა შესულიყვნენ, რომ მოვარდა ივანე, მოუქნია რკინის კაცს ლახტი, დაარტყა თავში და სულ-ხორციანად მიწაში დაჰკარგა" 'გვ.99'. მოტანილ მაგალითში ეკლესიის ხსენება შემთხვევითი არ არის. აქ უთუოდ ჩანს ქრისტიანობის კვალი ჩვენს ზღაპარში, რაც ცალკე კვლევას საჭიროებს.

წარმოდგენილ საბრძოლო ეპიზოდებს სახალხო გმირის მხატვრული პორტრეტის სრულყოფის ფუნქცია აკისრიათ. ისინი სრულყოფენ ადამიანთა თავისუფლების დამკვიდრებისათვისა და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, დედამიწიდან სიავის ასალაგმავად დაბადებული და აღზრდილი კაი ყმის მონუმენტურ სახეს. ივანე ცისკრისა ხომ განთიადისას დაიბადა და ცაში ვარსკვლავებთან გაიზარდა. ამდენად, ცხადია მისი იდეალიც: ბოროტი ძალებისაგან თავისუფალი, მზით გაბრწყინებული სამშობლო ქვეყანა!

არ იქნებოდა უადგილო, თუკი ხალხური ზაპრიდან კომენტარის გარეშე აქვე დავიმოწმებდით პერსონაჟთა ურთიერთბრძოლის სხვა ეპიზოდებსაც, რომელთა მიზანი, კიდევ ერთხელ, კაი ყმის მხატვრული სახის ბუნების სრულყოფაა.

ზღაპარში "მადლიერი მკვდარი" ვკითხულობთ:

უმცროსმა ძმამ მოკლა უმცროსი, სამთავიანი, შემდეგ – საშუალო, ექვსთავიანი, ბოლოს კი – "გამოვარდა ცხრათავიანი დევი. აივნის ქვემოთ იდო ხუთასფუთიანი საწონი, სტაცა მას ხელი და ესროლა ბიჭს. ბიჭმა მერანი გვერძე გაახტუნა და თვითონ ესროლა მშვილდ-ისარი. მშვილდ-ისარმა სამი თავი ნააგლიჯა. ჩამოხტა ბიჭი, სტაცა ხელი დევს, აიტაცა მაღლა, დასცა დედამიწაზე, კისრამდე ჩასვა მიწაში და უთხრა: უნდა მოგაჭრა თავებიო. ხუთი თავი რომ მოაჭრა, ამოიყვანა დევი მიწიდან და უთხრა: – დამატარე ამ სახლში, თორემ მოგკლაო. დევმა დაატარა სახლი და სუყველაფერი უჩვენა, ბიჭმა გამოაგდო სახლიდან დევი: – სადაც გინდა იქ წადიო!..." (გვ. 373-374).

ხალხური მოთხრობის "ოქროკაცას" მთქმელი გვიყვება: "მოანერეს სახალხოდ ხელი ორივემ და გავიდნენ მოედანზე. ხელის ჩამორთმევისთანავე ხელმწიფის მოჭიდავემ მოუჭირა ხელზე, მაგრამ ვერაფერი ვერ დააკლო. მაშინ მენახირემ მოუჭირა ხელზე და შეუნება თითები, სტაცა ფეხში ხელი, დაატრიალა ჰაერში ორჯერ-სამჯერ და გადაუძახა ოქროკაცასკენ. ოქროკაცამ სტაცა ხელი და გადმოისროლა ხალხში" (გვ. 186).

ორთაბრძოლის მაგალითები ქართულ პოეტურ ფოლკლორშიც ბევრია. მთავარი ის არის, რომ ხალხური საბრძოლო ტრადიციები ზღაპარში წარმოდგენილია, შეიძლება ითქვას, პირველქმნილი სინატიფით, პირდაპირობით, პერსონაჟის საკუთარ ძალასა და მოხერხებულობაზე დაყრდნობით. მართალია, ზღაპარში აშკარად ჩანს საუკუნეების რელიქტი, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს, რათა კაი ყმამ სხვა ფაქტორების მოშველიებით გამოამჟღავნოს საკუთარი შესაძლებლობანი: გონიერება, მოხერხებულობა, ეძებოს სიძნელის დაძლევისა და გადალახვის გზები, მიიღოს კეთილისმსურველთა რჩევა-დარიგება, სადაც უკვე აშკარად ჩანს ზღაპრის დიდაქტიზმი, მისი უტილიტარული დანიშნულება.

ზღაპრების დიდ ნაწილში შექებულია თავმდაბალი და შრომისმოყვარე; სამარცხვინო ბოძზეა გაკრული უქნარა, მატყუარა კაცი. ხალხი გმობს ბოროტებას, სიცრუეს, სოციალურ უკუღმართობას, სიზარმაცეს, ქურდობას, მატყუარობას, სირეგვნეს, სიბრიყვეს... პირველ რიგში იმიტომ, რომ ადამიანი თავისი ცოდნითა და შემოქმედებით ბოროტებას უნდა ებრძოდეს. ასეთი სახის ხალხურ ზღაპრებს წითელი ზოლივით გასდევს მაღალი ფილოსოფიური აზრი – "ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია". ასეთი და მსგავსი შინაარსის ზღაპრები ადამიანს უნერგავენ სამშობლოს სიყვარულს, ზრდიან მას კაცთმოყვარეობისა და ჰუმანურობის სულისკვეთებით, ხელს უწყობენ ადამიანში დადებითი მორალური თვისებების ჩამოყალიბება-განმტკიცებას. ეს კი, პირველ-ყოვლისა,

ხალხის სიყვარული, ყოვლისმძლეველი გმირის თავგადასავალშია კოდირებული, გმირისა, რომელსაც სახელად კაი ყმა ჰქვია. მართლაც, "კაი ყმის ნათქვამსა და ნაქნარს, წარუვალი ღირებულების შემცველი ზნეობრივი მაგალითის ძალა გაჩნია" (ა.არაბული, სამგლოვიარო პოეზია, თბ. 2006, გვ.55)

ჯადოსნურ ზღაპრებში შემოქმედი ხალხი ერთმანეთს უპირისპირებს ორ საწყისს — კეთილსა და ბოროტს. მისი სიმპათია ყოველთვის კეთილის, დაჩაგრულის, ღარიბის, შრომისმოყვარე ადამიანის მხარეზეა. ხალხის გენია, ერთი მხრით, მხატვრულ ფერებს არ იშურებს საყვარელი მებრძოლი გმირის, კაი ყმის პორტრეტის შესამკობად, გაატარებს მას ათასი განსაცდელის ბენვის ხიდზე, დააძლევინებს საბედისწერო დაბრკოლებებს და შემდეგ თავზე ადგამს გამარჯვების გვირგვინს; მეორე მხრით, მუქი ფერებით ხატავს ცბიერ, ბოროტ, უკეთურ ადამიანს, ნიღაბს გლეჯს და აშიშვლებს მის ბილწ ქვენა გრძნობებს. ხალხის ფანტაზია, სავსებით მართებულად, ასახავს საზოგადოების განვითარებისა და მისწრაფების ბუნებრივ ტენდენციას, ობიექტურ კანონზომიერებას. ზღაპრის მხატვრულ ფორმას ხალხი იყენებს თავისი შეხედულებების უფრო სხარტად და ცოცხლად გადმოსაცემად. ხშირად, სავსებით რეალისტურ ქსოვილში ჩართულია სასწაულმოქმედი ნივთები, ბედისწერა, ჯადოსნური აქსესუარი, რაც შემოქმედს სჭირდება იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოსწიოს სოციალური მოტივი, სრულჰყოს და გამარჯვება არგუნოს მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის მებრძოლ პერსონაჟს.

ხალხურ თხზულებაში თითოეულ ეპიზოდს, თითოეულ პასაჟს, თითოეულ მხატვრულ სახეს, მოტივს თავისი მიზანი და დატვირთვა გააჩნია. კაი ყმის საომარი ხელოვნება, როგორც ირკვევა, საერთოსახალხო ინტერესების გამომხატველია. ასეთი პერსონაჟები აყალიბებენ მსმენელის ფსიქიკას, მორალს, ზნეობას, ქმნიან წინაპირობას კარგ ყმათა აღსაზრდელად.

ის, რასაც ქართველი კაცის სულიერ თუ ყოფით სინამდვილეში ადგილი დაუმკვიდრებია, მისსავე ზეპირსიტყვიერებაშიც უპოვია ასახვა. ამიტომ არის ჩვენი ზღაპარი თემატურად ასე უმდიდრესი. აქ გამორჩეული ადგილი უკავია კერპებისადმი კაი ყმის დამოკიდებულებასა და მსხვრევის პრობლემატიკასაც. ასეთ შემთხვევაში ზღაპარში უთუოდ იკვეთება დედამინაზე დამკვიდრებული ბოროტებისა და განუკითხაობის წინააღმდეგ ადამიანის ბრძოლის, წესრიგის დამყარებისა და თვითდამკვიდრების ჰუმანური იდეა. ეს ბრძოლაა, რაც პერსონაჟს გამორჩეულ პიროვნებად აქცევს.

კაი ყმათა "სახელი" უამრავია ზღაპარში: მესამე ძმა, ასფურცელა, მენახირე, ქოჩორა, ირმისა, ცისკარა, უხეირო და ა.შ. ამ ბრძოლაში პერსონაჟი იზრდება იქამდე, რომ ღვთაებებისათვის ნიშანდობლივ კომ-

პონენტებს იძენს და ამრიგად მაღლდება, ან თვითონ იქცევა ასეთად. მკვლევარები თუ მწერლები არ სცდებიან იმის აღიარებაში, რომ ესა თუ ის ღვთაება წარსულში ხალხის სახელოვანი შვილი, მისი დამცველი და მოამაგე იყო. ასეთთა შორის გვეგულება წმინდა გიორგიც, რომელსაც, როგორც ღვთაებას, დღემდე შერჩა თავის საყმოსთან ადამიანური დამოკიდებულების, მისი მფარველისა და დამცველუნარიანობის ფუნქცია. ამიტომ ამბობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დაუფარავად: დიდგორის ომშიო (1121 წ.). "პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ჴელი მაღლისა შეენეოდა, და ძალი ზეგარდმო მას, და წმინდა გიორგი განცხადებულად ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თკისითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თჳით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგკითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მონამისა გიორგისსა". წმინდა გიორგის კულტისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების ტრადიციას, ზეპირსიტყვიერებასთან ერთად, ძველმა თუ ახალმა ქართულმა მწერლობამაც თავისი პატივი მიაგო. საამისოდ მე-19 საუკუნის ჩვენი ლიტერატურიდან თუნდაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გახსენება იკმარებდა. ამ მხრივ გამორჩეულია მისი თხზულებები, პოემები: "ბახტრიონი", "წმინდა გიორგი, შვილი რა მიყავ?" ლექსი, "ფშაველი ჯარისკაცის ნერილი" და სხვა. პოეტს ფაქტის დამონმებისათვის ისტორიული მასალა არ სჭირდება, როცა ეს ფაქტი როგორც ცოცხალი სული მის თვალწინ იმავე რწმენითა და ფუნქციით ტრიალებს და არსებობს, რაც ღვთაებას ოდითგანვე გააჩნია. აქ ისტორიკოსიც და ვაჟაც, ჩვენი რწმენით, ერთი წყაროთი სარგებლობენ — წმინდანის შესახებ ხალხური ცოდნით! ამიტომაც არის, რომ დავითის ისტორიკოსმაც იგივე თქვა, რასაც ვაჟა ამბობს ჯარისკაცის მიერ დედისადმი ლექსად მინერილ წერილში:

ერთი რამ უნდა გაუნყო,
გავკვირვებულვარ ამითა:
როცა ომი გვაქვს, ქართველის ჯარს,
ნათელი გვიძღვის ღამითა.
კაცი – რამ ლურჯ – ცხენიანი,
ამოღებულის ხმალითა,
მაღლიდან თავზე დაგვბრუნავს
ტურფა იერით, ტანითა.
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდის კაეშანითა,
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანითა.

(ვაჟა-ფშაველა, თხზ.სრ.კრებ.
ხუთ ტომად, ტ.I, თბ.1961, გვ.356).

ქართული ჯადოსნური ზღაპრის მდიდარ რეპერტუარში, სადაც მრავალი სიუჟეტური თავისებურება გამორჩეული ინტერესის სფეროს წარმოადგენს, არის ისეთიც, რასაც კერპების მსხვრევის ეპიზოდი გვინდა ვუწოდოთ. ამჯერად გამორჩეული ინტერესით ვზვერავთ წყლის მფლობელი გველეშაპისა და კაი ყმის ურთიერთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის, გველეშაპის მოკვლისა და წყლით მშრომელი ხალხის მუდმივი უზრუნველყოფის მოტივს. ეს ის მოტივია, რაც წმინდა გიორგის კულტისა და ზღაპრისეული კაი ყმის ურთიერთობის ანალოგების ძიებისაკენ გვიბიძგებს და არც თუ ქვეშიან საყრდენზე გვაფუძნებს. იგი იქნებ ქრისტიანული წმინდანისადმი მიბაძვის ზღაპრისეული შესაძლებლობაა, ანდა — პირიქით?!

სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია, რომ ქართულ სინამდვილეში წმინდა გიორგის კულტის არსებობას ჩვენში ხანგრძლივი ისტორია აქვს. როცა ამ ფაქტის გამო ვფიქრობთ, გვგონია, რომ ჩვენში წმინდა გიორგის ცხოვრებისა თუ თავგადასავლის ერთ, თუნდაც მცირე ნაწილს, ზეპირსიტყვიერებაში ჰქონდა ნიადაგი მანამდეც, სანამ მის შესახებ წერილობითი ლიტერატურა თუ ნათარგმნი ძეგლები გაჩნდებოდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ზღაპარში წყლის მფლობელი გველეშაპის მოკვლის მოტივი და მისი რიგი მომენტების გაბნევა ზეპირსიტყვიერ ძეგლებში. ეს აპიზოდი წმინდანის სასწაულთა შორის გამორჩეულია და ამიტომაც ბუნებრივია, რომ იგი წმინდანის სასწაულთა შორის პირველ ადგილზე დგას.

კაი ყმას ჩვენ წმინდა მხედრად მივიჩნევთ და ვთვლით, რომ, იგი, თავისი მოღვაწეობით ისეთივე ფუნქციითაა დატვირთული, როგორითაც ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლის წმინდანი, ვთქვათ, შუშანიკ დედოფალი, ქეთევან წამებული, გრიგოლ ხანძთელი, მიქელ-გობრონი, ნინო განმანათლებელი და მრავალი სხვა. ისინი ადამიანის კეთილდღეობისათვის მოღვაწეობის ფორმებით არიან განსხვავებულნი და სხვა არაფრით. თავიანთი ღვაწლით განა ერთმანეთის ანალოგიური არ არიან მიქელ-გობრონი და, ვთქვათ, გველეშაპს ხმლითა თუ ისრით, "ლეკურა" ხანჯლითა თუ ნაჯახით შერკინებული კაი ყმა?! ნათქვამს წმინდა გიორგის შესახებ წერილობითი ძეგლისა და ჩვენი ზღაპრის სიუჟეტი აღნიშნული შერკინების ეპიზოდის ურთიერთ მიმართება და შესაბამისი მსგავსება ადასტურებს. აი, რას გვაძლევს ძეგლებიდან ამ ეპიზოდის შეპირისპირება:

ზღაპარი

1. წყალთან აბია ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი და მწარედ ტირის 'გვ.91'.
2. ვაჟმა ჰკითხა: – რა გატირებსო? – როგორ რა მატირებს, გველეშაპი მოვა საცაა და შემჭამსო (გვ.91).
3. იშხუვლა ცაში ვეშაპმა და დაეშვა ძირს (გვ.91).

4. ჩვენი ხელმწიფე წელიწადში თითო ქალს აძლევს (გვ.91).
5. მოსწია მშვილდს, გასხლტა ისარი, ეცა ჰაერში მომფრინავ გველეშაპს და შუაზე გააპო (გვ.91).
6. გახარებული ქალი მამასთან გაიქცა[32] (გვ.91)

წერილობითი ძეგლი:

1. ნახა ტბის პირას მჯდარი ქალი, რომელიც მწარედ ტიროდა (გვ. 78)
2. - რატომ ტირი, ან რატომ ზიხარ ამ ადგილას?... მოვიდა მამაჩემის რიგიც და გამომგზავნა მე ვეშაპის შესაჭმელად (გვ.79)
3. ვაიმე, ბატონო ჩემო, გაიქეცი აქედან, აი, აგერ მოდის ბოროტი ვეშაპი (გვ.81).
4. მამაჩემმა ბრძანება გამოსცა, რომ ყველას რიგ-რიგობით თავისი შვილი უნდა მიეცა მისთვის (გვ.79).
5. მაშინ იშიშვლა წმიდამ თავისი ხმალი, მოკლა ვეშაპი (გვ.82).
6. და ქალიშვილი დაუბრუნდა მეფეს [33]

დაკვირვება ნათელყოფს, რომ წერილობით ძეგლს ზეპირსიტყვიერ ტექსტთან არა მხოლოდ ლამის ფაქსიმილური მსგავსება, არამედ ხვა მნიშვნელოვანი ფაქტებიც აახლოვებენ. ასეთია: ამბის გადმოცემის ხალხური სტილი, სიუჟეტის გაშლის მარტივი გეგმა, თხრობის მანერა და სხვა.

წმინდა გიორგის კულტის გავლენა აშკარად ემჩნევა ჩვენს ზღაპარს.

ხალხური ზღაპრისა და წმინდა გიორგის პირველი სასწაულიდან წარმოდგენილი ეპიზოდის რემინისცენციები სხვა ხალხურ ეპიკურ ძეგლებშიც არის გაბნეული. ასეთია თუნდაც "გაუცინარი ხელმწიფის" ზღაპარი. უფრო მეტია მსგავსება "ბრონეულის ზღაპარში". დავიმოწმოთ იგი: მესამე ძმა იძულებულია შავ რაშზე შეჯდეს. შავმა "შეისვა და გაუძახა ქვესკნელს". ზღაპრის ტრადიციისამებრ, ბიჭი ერთმა ბებერმა შეიფარა. "გათენებამ რომ მოატანა, თურმე ბებერს პური არ სდებოდა, გაცრა ფქვილი, ქვევრში ნვიმის წყალი ჰქონდა მღვრიე, ამოიღო, ქვაბში გაათბო" და პურს ზელვა დაუწყო. იმ დროს ბიჭს არ ეძინა და ბებერს ჰკითხა – ნუ თუ წყალი არ გაქვთ, რომ მღვრიე წყლით ზელავ პურსაო? ბებერმა უპასუხა: – წყალი კი გვაქვს, მაგრამ გველეშაპი ჰყავს დაპატრონებული და არ გვაძლევსო, მარტო ხელმწიფეს აძლევსო და ხელმწიფესაც იმიტომ აძლევს, რომ თავისი ქალი მისცაო"... დედაბრის წინააღმდეგობის მიუხედავად, (– არ

[32] მითითებულია, ხალხური სიბრძნე, ტ. I, თბ. 1963.

[33] მითითებულია, წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარი დაურთო ე.გაბიძაშვილმა, თბ. 1991. 'გვ.82'.

გაგიშვებ, უცხოეთიდან ჩამოსულხარ, შენი რა ბრალიაო), ბიჭი მაინც ნავიდა წყლის მოსატანად. იქ, ერთი დიდი კოშკის თავზე "ერთი მთვარესავით ქალი იყო გადმომდგარი"... ქალმა ვაჟი მაღლა აიყვანა და ჰკითხა ვინაობა. ბიჭმა უამბო თავისი ვინაობა და ჰკითხა: - სად არის გველეშაპიო? ქალმა უთხრა: - მაღლა ცაში არის სანადიროდ წასულიო"... მტირალი ქალის ცრემლი რომ დაეცა მძინარეს, "მაშინვე წამოხტა ბიჭი, მოავლო მშვილდ-ისარს ხელი, სტყორცნა და შიგ გულში გაუტარა... ქალს უთხრა: – წადი მამაშენთანაო"... "ხელმწიფეს ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა თავის ქალს: – როგორ მოხვედი, შვილო? ქალმა უთხრა: - ერთი ვიღაც ბიჭი მოვიდა წყლის ასავსებად და იმან მოკლაო" (გვ. 402-403).

ქართული ზღაპრისეული უსახელო სახალხო გმირები არიან შემდეგში, ხალხის საყვარელი შვილების, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სახელიან, ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეთა — ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, ერეკლე მეფის და უამრავ სხვათა და სხვათა დიდი წინამორბედები.

ამრიგად, კაი ყმა თავისი ბუნებით მისაბაძი და გამორჩეულია, მიმნდობი და მტერთან შეურიგებელი მებრძოლია, წინაღობათა ბოლომდე მძლეველია, გაჭირვებაში მყოფთა ქომაგია, გამოცდილ მრჩეველთა დამჯერია, მოძმეთა ერთგული მეგობარია, თავისი პატრონის ჭირის მოზიარეა, საქვეყნო სიკეთის მოპოვებისათვის ბრძოლაში პირდაპირი და საქმის ბოლომდე მიმტანია, არ იცის შური, მოკეთისათვის უხვი მწყალობელია და ა.შ. რაზედაც ზღაპარი ხშირად გვესაუბრება. ყოველივე ეს მაგალითების დაუმოწმებლადაც ნათელია, რამეთუ ჩვენ, ზღაპრის ქართველი მკითხველი, ამ სიკეთეთა ფესვებზე ვართ ამოზრდილი.

ათასეული წლებით ზეპირ ბრუნვაში არსებობის გამო ქართული ზღაპრიდან სხვა ზეპირსიტყვიერ ჟანრებში ბევრი რამაა კონტამინაციის წესით შესული. აქ არც კაი ყმისათვის დამახასიათებელი თავისებურებანია მიჩუმათებული. ეს, ქვემოთ, კაი ყმის მოდელზე საუბრისასაც კიდევ უფრო აქტიურად გამოიკვეთება.

კაი ყმის შესახებ ეროვნული შეხედულებები მისსავე ზეპირსიტყვიერებაში აისახება და გარკვეულ სისტემას ქმნის, რაც საფუძვლად ედება ფოლკლორულ ძეგლში პერსონაჟის სრულყოფას. არ შევცდებოდით თუ ვიტყოდით, რომ ზღაპრისეული კაი ყმა ამ სისტემის სრულყოფის შედეგია.

ერის მფარველი, მომველელ-შემნახავი, მისთვის მუდმივი მაგალითის მიმცემი კაი ყმა დღესაც გამორჩეულად გვჭირდება!

მეორე თავი

„ამირანიანი“ კაი ყმის სახისმეტყველების სამზერიდან

ამა თუ იმ საზოგადოებრივ წყობას, პოლიტიკურ ფორმაციას, ეპოქას, კაი ყმის პროფილის გამოსაძერწად საკუთარი, მისთვის აუცილებელი კრიტერიუმები და ტერმინები გააჩნია. ამ აუცილებლობის გათვალისწინება გარკვეულად აწესრიგებს ზეპირსიტყვიერების მოამაგეთა პოზიციებს, იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ კაი ყმის პროფილი ფორმაციისა თუ ეპოქის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს დავუქვემდებაროთ. ეს თავისებურება ისეთ უნიკალურ ფოლკლორულ ეპოსზე დაკვირვებითაც შეიმჩნევა, როგორიცაა "ამირანიანი".

"ამირანიანი" ქართული ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ძეგლთა კრებულია და ამდენად - კაი ყმის საკმაოდ თავისებური უძველესი აკვანი. ერთგვარად თავისებურია მისი სახისმეტყველებაც თხზულების თავისებურებათა შესახებ დღემდე არაერთი მონიგრაფია თუ ნარკვევია გამოქვეყნებული. ფოლკლორისტები, არქეოლოგები, მხატვრები, ჭედური ხელოვნების სპეციალისტები, ენათმეცნიერები, მედიკოსები, ისტორიკოსები... მათთვის საინტერესო ბევრ კითხვაზე პასუხს ამ უნიკალურ ფოლკლორულ ძეგლში ეძებენ და პოულობენ კიდეც. მიუხედავად "ამირანიანის" თავისებურებებთან დაკავშირებული არაერთი გამოკვლევისა, დღემდე ცოტაა ნათქვამი თხზულებაში წარმოჩენილი საბრძოლო სულისკვეთების, შერკინებათა იმ საინტერესო ეპიზოდებისა და, ასევე, პერონაჟის საომარი იარაღის შესახებ, რომელთაც ქართულ საბრძოლო გამოცდილებათა თუ მათი ხალხური წანამძღვრების შესწავლისათვის აქვთ მნიშვნელობა, რაც საბოლოო ანგარიშში თავს იყრის კაი ყმის სრულყოფის ისტორიაში და ყალიბდება როგორც ერის შორეული წარსულის განუმეორებელი ზეპირი მატიანე.

"ამირანიანით" შესაძლებელია საბრძოლო ხელოვნების ისეთ სახეობებთან შეხვედრა, რომელთა მითოლოგიური ძირძველობა ბუნებრივია. პარალელურად ზღაპრისა, თხზულებაში ავსულებთან ადამიანის ბრძოლის ისეთი ეპიზოდებია შემონახული, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ერის, მამულისა და ქვეყნის ერთგული შვილის საბრძოლო ხელოვნების ისტორიის გათვალისწინებისათვის.

იმისთვის, რომ ეპიკური ძეგლის ჩვენთვის საინტერესო მასშტაბით "ათვისება" შევძლოთ, – ვაჩვენოთ ამირანის როგორც კაი

ყმის პრაქტიკული უმთავრესი შესაძლებლობანი, საჭიროდ ვცანით თხზულების სიუჟეტიდან ზოგი ელემენტის გამოყოფა. ასეთთა შორისაა ამირანის დამოკიდებულება ავსულებთან.

ამირანის **ბრძოლა ავსულებთან** მისი თავგადასავლების ერთ-ერთი გამოკვეთილი ეპიზოდია. დევი, როგორც ზოგადად ზღაპარში, ისე "ამირანიანის" მითოლოგიურ სამყაროში, ერთ-ერთი ბოროტ სულთაგანია.

ეპოსში ამირანისა და ბაყბაყ დევის შერკინების ეპიზოდი ხაზს უსვამს კაი ყმის ფიზიკური ძალის უსაზღვროებას. იგი ორთაბრძოლის გამორჩეული ნიმუშიცაა. ეს ეპიზოდი ტექსტის არაერთ ვერსიაშია წარმოდგენილი. კახურ, კერძოდ, იყალთოურ ჩანაწერში, რომელიც 1938 წელს მ. ჩიქოვანის მიერაა ფიქსირებული, დევთმებრძოლი გმირის ფიზიკური შესაძლებლობები და ბრძოლის პანორამა მეტ-ნაკლები სისრულითაა ფიქსირებული:

ამირან დევნი შეიბნენ,
ჯერ დილა იყო მზიანი.
ამირანმა დევი დასცა,
დააწყებინა ღრიალი,
დასცა და მხარი მოსტეხა,
ადგილი დახვდა ქვიანი.[34] [გვ.303]

ორთაბრძოლის მსგავსი ფორმა ხალხურ ეპოსში ხშირად გვხვდება. ფშაურში ჩაწერილი ტექსტის ერთ ვარიანტში ეს ადგილი განსხვავებული ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი:

დევ და ამირან შეიბნენ,
მიწას გაპჭონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა,
ადგილი შეჰხვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა
დააწყებიდა ღრიალი [გვ.315].

მტერთან შერკინების ეპიზოდი "ამირანიანის" ერთ-ერთი თვალსაჩინო სიუჟეტური ელემენტია. ასეთი ბრძოლიდან ამირანი თითქმის მუდამ გამარჯვებული გამოდის.

დევების, გველეშაპების და სხვა სახის ბოროტი ძალების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ირკვევა, ამირანის თანდაყოლილი თვისებაა. ადამიანთა მოდგმის მტერი ამირანის პირადი მტერია, ამიტომ არის, რომ მისდამი გმირის დამოკიდებულება ყოველთვის უარყოფითია. ამ ბრძოლაში ამირანის დევიზი ერთადერთია: – ბოროტება – ბოროტების ნილ! ეს კარგად იციან მოწინააღმდეგეებმა და ამი-

[34] აქ და ქვემოთ ტექსტები მითითებულია, მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ. 1947.

ტომაც ცდილობენ მის მოტყუებას, ღალატს. ამირანმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოქმედება შესანიშნავად პასუხობს გმირის, კაი ყმის ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს, იცის, რომ მტერი უნდა მოისპოს. იგი ხშირად მიმნდობია და მოწინააღმდეგის ნათქვამში დაჯერებული, მიუხედავად იმისა, რომ ამას შეიძლება მხოლოდ უსიამოვნება და უბედურება მოჰყვეს: კახელი ავქსონი გვიყვება: "დააჭრა ერთი თავი ამირანმა ბაყბაყ დევს, დააჭრა მეორე თავი, მესამე თავს რომ აჭრიდა ამირანი, – მაგ თავს რომ მაჭრიო, – უთხრა ბაყბაყ დევმა, მაგ თავიდან სამი ჭია გამოძვრება და აიმებს მაინც ნუ დახოცამო. მართლაც დაჭრა ამირანმა მესამე თავიც და გამოვიდა სამი ჭია".[გვ.303]. აქედან გამომდინარე, თუმცა დარწმუნებულია მომავალ უსიამოვნებებში, მაგრამ ჭიებს მაინც არ ხოცავს.

მართალია, როგორც ნესი, ამირანი სიტყვისა და საქმის მთლიანობის დამცველია, მაგრამ მან ისიც კარგად იცის, რომ ბოროტების მოსპობა აუცილებელია.

ამირანი განთქმულია ომში შეუპოვრობით. ეს იცის მისმა მოწინააღმდეგემ: ცამცუმის, როგორც ქრისტიანი კაცის გვამის შეურაცხმყოფელს, მოძალადე ბაყბაყ დევს გადაეღობა:

ამირან დევი ბაყბაყი
ჩასაუბრობენ მტრულადა.
ხმალზე ხელი აქვს ამირანს,
ცხარე ომი აქვს გულადა [გვ.310].

თუმცა ამირანმა იცის, რომ "დევი არ დაიზავება" [გვ.315], მაგრამ მომაკვდავ მტერს ბოლო სურვილს მაინც უსრულებს. მართალია, ამის გამო ამირანმა ბევრი ჭირსახდელი ნახა, მაგრამ, როგორც ნესი, იგი დადებულ პირობას თითქმის არასოდეს არღვევს. ეს კაი ყმის კონსტიტუციური ეთიკაა!

ამირანის ეპოსში არაერთი მაგალითია იმისა, თუ როგორია ამირანის ომი უამრავი მტრის წინააღმდეგ. ისე, როგორც პირველ შემთხვევაში, ამირანი აქაც დიდ ფიზიკურ და, თუ გნებავთ, ზნეობრივ გამძლეობას იჩენს: მტერს ბოლომდე ანადგურებს და გამარჯვებასაც დამსახურებულად ზეიმობს:

"ამირანმა მზეთუნახავი ქალი ერთ მაღალ გორაზე დასვა და უთხრა: აქედან უყურე ომსაო. ახსენა ღმერთი, შეჯდა თავის რაშზედა, შეერია ჯარში და როგორც თვითონ, ისე ცხენიც, ულეტდა ჯარს"[გვ.276].

"ამირანი მიადგა ერთ მინდორში მდევების სახლს. მდევებმა ბრძოლა დაუწყეს. ამირანმა დახოცა"[გვ.284].

"მოხდა ბრძოლა. ამირანს მოუკლეს ორივე ბიძა. გავარდა ამირანი და გაბრაზებულმა ეს უამრავი ჯარი ნახევარ საათში დახოცა"[გვ.307].

"ამირანიანი" ომებით მდიდარი თავგადასავლის მქონე გმირის მხატვრული ბიოგრაფიაა. აქ, როგორც ამირანოლოგები მიუთითებენ, სხვადასხვა ეპოქის თავისებურებათა ძიება და მიკვლევა, ცხადია, შესაძლებელია, ომები კი ყველა ეპოქაში ადამიანის თანამდევი, თითქოს ბედისაგან ნაბოძები აუცილებლობაა. გულწრფელია ამირანის ამონაკვნესი:

– მოვღალე გმირის მარჯვენა
ამდენი ომში ქნევითა,
ჯაჭვის კალთები დამაცვდა
ამდენი სისხლში რევითა [გვ.319].

კაი ყმა, როგორც ვთქვით, სიტყვის პატრონი, ნათქვამის მტკიცედ დამცველი და შემსრულებელია. ეს ფაქტი მოწინააღმდეგისათვისაც ცნობილია და ამიტომ ცდილობს ის მებრძოლ ამირანს შეახსენოს: "დევი შეშინდა, ღრიალი დაიწყო, ამირანს აფიცა:

ნუ მომკლავ დარეჯანისძევ,
ხელი გაფიცო ხმლიანი,
მანდილი დედიშენისა,
თაკლაი ოქროიანი"[გვ.315].

ამირანი რაინდული ბუნების გმირია. მისთვის ომი ვაჟკაცობის გამოვლენის საშუალებაა, ამასთან, ერთგვარი მოთხოვნილებაა, თავის გამოცდის შინაგანი სურვილია. ტექსტის ფშაურ, თედო რაზიკაშვილის ჩანაწერში პირდაპირაა ნათქვანი: ცამცუმის ცხედრის მოვლა-პატრონობის შემდეგ "ამირანს ომი სწყუროდა: დიდი ხანი იყო გასული, რაც თავი არ ეცადნა, უნდოდა ომის გადახდა"[გვ.314]. როგორც ცნობილია, ხალხურ "ამირანიანს" ბევრი რამ აქვს საერთო მოსე ხონელის "ამირანდარეჯანიანთან"[35] და პირიქით. არ იქნებოდა უადგილო თუ ვიტყოდით, რომ ხალხურმა შემოქმედებამ ბევრი რამ მისცა მოსე ხონელს, იმისათვის, რომ ბრწყინვალე სარაინდო რომანი, კარგ ყმათა საგალობელი თხზულება შეექმნა: ტრადიცია შემდეგში ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა მწერალთა შემოქმედებით გრძელდება.

"ამირანიანის" სახისმეტყველებაში თვალაჩინოა გმირის შეიარაღების სახეობანიც, უფრო მეტად: ხმალი, დანა, ლახტი... და თვით ფიზიკური ხმაც, როგორც საომარი იარაღი .

ამირანი დანას მუდამ ჯიბით დაატარებს, ეს მისი გვარის წარმომადგენელთა წესია:

წესია დარეჯანელთა
ჯიბეს ჩადება დანისა [გვ.283].

---

[35] **მ. ჩიქოვანი**, მიჯაჭვული ამირანი, თბ. 1947, გვ. 237-262.

ეს ტრადიცია "ეთერიანში" და "ვეფხისტყაოსანშიც" იჩენს თავს. ეთერს მოყვრისეული დანა უდევს ჯიბეში; ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული ნესტანი მიჯნურს უთვლის... ქაჯებთან ომში რომ მკვდარი გნახო, თავს დანით მოვიკლავო:

არამ სიცოცხლე უშენოდ, ვარ აქამდისცა ნანითა;
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა.[36]

დავარმაც, ეთერის მსგავსად "დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა"[37]

ამირანის საომარ იარაღთა შორის გამორჩეულია **ხმალი**. ამირანის ხმალი ყურადღებას იქცევს თავისი სიმოკლით, რაც აფართოებს ჩვენს წარმოდგენას პერსონაჟის ფიზიკური ძალის გრანდიოზულობაზე, მოქმედი პირის საომარი ხელოვნების თავისებურებების ბრწყინვალე ცოდნაზე, იარაღის ამ სახეობის პოპულარობაზე.

ამირანი "დაერია თავის მოკლე ხმლით და სულ ერთიანად ამოწყვიტა დევები".[გვ.319], ხოლო მათთან შერკინებამდე თავის თავს ნაუმღერა [მთქმელი ამბობს, "ნაიკაფიავაო", ზ.ს.].

ვაჟიკაცო გულოვანო,
ღვინის ფერო, მცინარეო,
ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის,
ფეხი წადგი ნინარეო [გვ.319].

მომდევნო საუკუნეებში გორდა, მოკლე ხმალს ზეპირსიტყვიერებაში თავისი გამოხატულება უპოვნია. ერეკლე მეორის გმირობის ამსახველ ხალხურ პოეზიაში კი აფორიზმული შინაარსი შეუძენია:

ხმალსა არ უშლის სიმოკლე,
ფეხი წინ ნასდგი — მისნვდება.[38]

გარდაუვალი ომის წინ ამირანმა ყამარი ამგვარად ანუგეშა:

მოვლენ და მეც აქ დავხვდები
ამ ჩემი გორდა ხმალითა,
უსუპითა და ბადრითა,
მესამით ამირანითა [გვ.321].

ხმალთან ერთად, ამირანის შეიარაღებაში გამორჩეული ადგილი უკავია ასევე მშვილდისარს. იარაღის ამ სახეობას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეთმობა ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟის საბრძოლო თავგადასავლების მხატვრულ ისტორიაში.

ძმებთან ერთად მონადირე ამირანმა ჯადოსნურ ირემს

...ბოძალი ჰკრა,
ნითლად დასჭრა მკერდი მისი[გვ.273].

---

[36] შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ. 1957, გვ. 270.
[37] იქვე, გვ. 128.
[38] ჩვენი საოჯახო კოლექციიდან

ყამარის სამყოფელისაკენ მეგზური შიკრიკის, "ღალატიანი ვაჟის" კვალდალვალ ძმებთან ერთად მიმავალი ამირანი მხოლოდ საომარი ისრის მონიშვნით შეძლებს გზის გაგნებას: "უსუპმა შეატყო შიკრიკის ღალატი და გავლისას ერთს კუნძს ისარი დაჰკრა. მართლაც, მეორე დღეს შიკრიკმა იმაზედვე გაატარა. უსუპმა თავისი ისარი და ნაისრალი დაინახა", რამაც აიძულა ეყვირა:

– ვერ გაგიგია, ამირან,
არ გამარჯვების ნიშანი:
მესამედ იქვე მოვედით,
გუშინ რო დავკარ ისარი [გვ.316].

ამირანისათვის ხმალი, ისარი, დანა, აბჯარი, ლახტი განუყრელი საომარი შეიარაღებაა. შეიარაღების ეს სახეები მომდევნო საუკუნეებშიც კაი ყმის შეიარაღების არსენალშია.

ამირანი დაჯილდოებულია არა მხოლოდ გოლიათური ფიზიკური ძალით, არამედ მისი ღირსების შესაფერისი საჭურველითაც.

"ამირანიანში" **ხმას**, როგორც ბრძოლის ერთგვარ იარაღს, საგანგებოდ ესმის ხაზი.

ამირანმა "მოჰგლიჯა ალვის ხე, გაისროლა შორს და ისეთი დაიყვირა, რომ იმის ხმამ ქვეყანა შესძრა და შეაზანზარა"[გვ.273].

სხვა მაგალითი: "გზაში ჯაგებიდან ერთი დევი წამოუხტათ. ამირანმა, ერთი საშინლად დასჭყივლა და იქვე დაიჭირა"[გვ.275].

კიდევ: ამირანმა "შამაიკრიფა გულხელი, დაიკივლა და სამასი კაცი დაეცა ძირს. სამოცი სკამზე მჯდომი ღენერალი მომკვდარიყო, წვრილი ჯარი უთვალავი იყო" მკვდარი.[გვ.289].

ხმას, როგორც საბრძოლო იარაღს, ბრძოლის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მომენტი შენიშნულია არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში, არამედ წერილობით ლიტერატურასა და საისტორიო ძეგლებშიც. ისტორიკოსი ჯუანშერი "ქართლის ცხოვრების" იმ თავში, სადაც ნარმოდგენილია "ვახტანგ გორგასლისა და პალეკარპის ბერძენთა სპასპეტისა ომი და მოკლვა პალეკარპოსისი ვახტანგისაგან", მებრძოლთა ხმასაც აქცევს ყურადღებას: "და აღიზახნეს ორთავე მათ განწყობილთა ჴმითა საშინელითა, და იყო ჴმა იგი ვითარცა ჴმა ქუხილისა, რომლითა შეიძრა ქვეყანა".[39]

ჩანს, ეროვნულ პოეტურ ფოლკლორში, როგორც ლირიკაში, ისე ეპოსში, საკმაოდ ბევრია ისეთი მომენტი, სიუჟეტური ეპიზოდი, როცა პერსონაჟის ხმას განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. ზემოთქმულის გარდა, "ამირანიანის" ყვარლურ ვარიანტში ვკითხულობთ: ამირანი, "ამ ხეზე ცხრა თვეში ერთხელ ადიოდა და დაიყყი–

[39] **ქართლის ცხოვრება**, ტ. I, თბ. 1955, გვ. 175

რებდა. მის ყვირილზე ყველა მდევს მუცელი დააწყდებოდა"[გვ.306], "ავიდა ამირანი ამ ხეზე და დაიყვირა. იმის დაყვირებაზე ათნლიანი ბალღებიც გასნყდნენ" [გვ.307]; "ატკივდა გველეშაპს მუცელი. იმისი კივილი ქვეყანას ანგრევდა"[გვ.308];"ისეთი დაიკივლა ამირანმა, რომ ის ბალღი იქვე დავარდა და ქალს ყურები დაუსკდა" [გვ.309].

ტექსტის სვანურ ვერსიებში ნათქვამია: "ერთხელ ამ მჭედელ კაცს მოესმა კლდიდან ისეთი კივილი, რომ ქვეყანასა სთხრიდა, ნედლ ხეებს ახმობდა"[გვ.379], "შუაღამისას ამირანი ცოლის კივილმა გამოაღვიძა. ნახა, მისი ცოლი მართლა გახეთქილი იყო"[გვ.272], "ერთ ღამეს, ორივეს რომ ეძინათ, ყამარის ქმარი გააღვიძა მისი ცოლის კივილმა".[გვ.365].

ხმის, როგორც ფიზიკური ძალის პრაქტიკული გამოყენების შესახებ საუბარია არაერთ ხალხურ ზღაპარში. აქ ერთი მათგანის დამოწმებაც იკმარებდა. ხალხურ ტექსტში "მეფე მუზარბიი" ვკითხულობთ: "თუ მუზარბიი დაიძახებდა კოშკიდან, იმ ღამეს დევები ვერ შებედავდნენ მის სამფლობელოში. ამნაირად მუზარბიი ღამით იფარავდა თავის სახელმწიფოს ყვირილ-კიჟინით, სადაც კი ხმა მიუნვდებოდა"[40]. იმავე ზღაპარში, ქვემოთ, ნათქვამია: მუზარბიის შვილი "მზე რომ ჩავიდა, ავიდა კოშკის თავზე მამამისისავით და ისეთი დაიკიჟინა, რომ ვარსკვლავებმა ცახცახი დაიწყეს"[41].

ვნახოთ მაგალითები ხალხური პოეზიიდანაც:

თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ტექსტში მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაჭრილი ქვეითი მეომრის ხმა ისმის:

შალვა, მტრის გადმოხვენილი,
გეზელ ქორივით ჰკიოდა;
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
გულს სისხლი ჩამოსდიოდა.[42]

ახლა ვნახოთ, როგორ არის გამოყენებული ხმა, როგორც ბრძოლის თანმხლები საბრძოლო იარაღი "ამირანდარეჯანიანში" ამ ხმას თხზულებაში ყივილი ჰქვია. ყივილი – ხმამაღლა ძახილია [ა. შანიძე]. ხმა, ძახილი და ყივილი რომ საომარ მოქმედებაში გარკვეულ როლს ასრულებენ, ნაწარმოებში ამის არაერთი მაგალითია მოცემული. აი, ზოგი მათგანი: "წამოდგა ზედა და ყიოდა: "მოვიდა, მოვიდაო!" ვითა დაესწორა, ჩახდა ციხესა დარეჯანისძე და გამოიწოდა ხრმალი და იწყო ხოცად" [გვ.32]; "მერმე იყივლა მან სიმან სინდთა მეფისა ძემან, ვითა: "ასფან მეფეო, ან ნახო ბუმბერაზი შენიო!" შემოუტივა, ჰკრა

[40] ხალხური სიბრძნე, ტ. I, თბ. 1963, გვ. 461.
[41] იქვე, გვ. 464
[42] ე. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, თბ. 1937, გვ. 220

ხრმალი ჩაბალახსა ზედა, ყელამდის ჩაკვეთა და ფიცხლად მოკლა" [გვ.64]; "მერმე გაიყვანა ცხენი ამირან დარეჯანისძემან და უყივლა: "ლასურ დელამთა მეფისა ძეო, ან ჩემგან ნახე სიფიცხე შენ ზედა, თუ რა მოვანიო!"[გვ.70]; "ყივილი იყო ლაშქართა და უკანით – ქარავნისა ზრუნვა, რომე არა ისმოდა ყურთა ხმა" [გვ.79]; "იგი დიდი კაცი ხმამაღლა ყიოდა ხმითა რათამე საშინელითა" [გვ.84]; "ეგრე იყივლა: "გამოვედ დარეჯანისძეო!" ფიცხლა გავიდა დარეჯანისძე და შემოუვლეს ნავარდი ერთმანეთსა. და გაფიცხდა ომი" [გვ.96]; "მზემან ჭაბუკმან ფიცხლა გაიყვანა ცხენი, შემოექცა და შემოუტივა და შემოჰყივლა: "კარგად გამიკაცურდი, მით რომე, რა შემიძლია, ვმალავ არარაო!"[43]

პერსონაჟის ხმა საბრძოლო იარაღის თავისებურ სახეობას წარმოადგენს შ. რუსთაველის "ვეფხისტყაოსანშიც". ეს ხმა ომში ისევე მნიშვნელოვანია, როგორც, ვთქვათ, ხმალი, მათრახი და ა.შ.

ქაჯეთის ციხის აღებისათვის ბრძოლაში

კაცთა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა,[44]
აბჯარსა ფრენდის, გაცუდდის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა.[45]

დაკარგული ნესტანის კვალმაძიებელი, ვაჭართა ქარავნის დამცველი ავთანდილი ხვდება მეკობრეებს, რომლებიც

კიოდეს და მოდიოდეს, იზახდეს და ბუკსა ჰკრესა,
შეუშინდა ქარავანი მათ ლაშქართა სიდიდესა.[46]

ხატალებეთან ომის შესახებ თხრობისას ტარიელი იტყვის: იგი ნახეს, გასაქცევად გაემართნეს, შეჰკივლენით.[47]

დავუბრუნდეთ "ამირანიანის" ვარიანტებს.

თხზულების ზემოთ დამოწმებულ პოეტურ ეპიზოდში ყურადღებას იქცევს პირველი ორი ტაეპი: "დევ და ამირან შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი". ეს ჰიპერბოლა უნაკლოდ გამოხატავს ამირანის უსაზღვრო ფიზიკურ ძალას, მის ყოვლისშემძლეობას, ავსულის ძალნაკლულობას, ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარის სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების მოულოდნელობებს, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილს, ისეთ სიტუაციას, როცა ძნელია შედეგის წინასწარი განჭვრეტა.

"ამირანიანის" სხვა ვარიანტში ამირანი ბადრს უსაყვედურებს:

---

[43] ტექსტები დამოწმებული და გვერდები მითითებულია — მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, თბ. 1969

[44] ხაფი —ზარის დამცემი, საშინელი. ა. შანიძე, იხ. ვეფხისტყაოსანი, გვ. 296

[45] შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ. 1957, გვ. 294

[46] იქვე, გვ. 219

[47] იქვე, გვ. 98

მაშინ სად იყავ, შავ ბადრო,
როცა ჩემ ხმალი წრთებოდა?
ცა სჭექდა, მიწა გრგვინავდა,
სამჭედლო ექანებოდა,
მჭედლები — მემჭედურები
ერთმანეთს ეფარებოდა [გვ.194]

მიწის გრგვინვა-გრიალი იმის დასტურია, რომ ხდება რაღაც განსაკუთრებული, გამორჩეული, ჩვეულებრივისაგან ფრიად განსხვავებული, რაც ზესკნელურ სასწაულთან არის გათანაბრებული და კაი ყმის ხატს გამორჩეულად სრულყოფს. ამბის ასეთი პოეტიზირება არა მხოლოდ პერსონაჟის გოლიათურობაზე, არამედ ნარმოუდგენელ ფიზიკურ ძალაზეც მიუთითებს. ამირანის ხმლის წრთობის მასშტაბურობა მისი მფლობელი გმირის გასაოცარ ბუნებასა და მისი საბრძოლო იარაღის ყოვლისშემძლეობაზე მითითებას უნდა ნარმოადგენდეს.

"ამირანიანში" ყურადღებას იპყრობს ამირანისა და მისი სიმამრის, ყამარის მამის ურთიერთშერკინების ეპიზოდი. ამირანის თხოვნით, მის ნინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ უსუფი ჩაება. თხზულებაში მარტივად არის ნათქვამი, რომ "იომა უსუფმა და ჯარის მესამედი ამოხოცა და ბოლოს თვითონაც მოკლეს". შემდეგ "ბადრიც ჩავიდა. იომა ბადრმა და ბოლოს ისიც მოკლეს. ბოლოს ჩავიდა ამირანი. გასწყვიტა მთელი ჯარი, მხოლოდ დარჩა ქალის მამა. შაიტაკნენ ამირანი და თავისი სიმამრი. სცემენ ერთმანეთს და ერთი მეორეს ვერა ჰხოცავენ. ქალმა იცოდა, რომ მის მამას მუხლს ზევით რკინის ტანსაცმელი ჰქონდა. ქალმა დაუძახა ამირანს:

- ამირან, ცოლ-დედამკედარო,
ომი არ იცი კილოსა,
მაღლა რასა სცემ სპილოსა,
დაბლა შემოჰკარ რბილოსა,
დაჰკარ და ძარღვი შეანყდეს
დაეცემიან ძიროსა,
ბოძნი რომ მიეჭრებიან,
დარბაზნი დაეცემიან [გვ.305].

საინეტერესოა ტაეპის "ომი არ იცი კილოსა" სემანტიკა. ტექსტის სხვა ვარიანტში ვკითხულობთ:

ამირან, დევო, დევ-გმირო,
კილო არ იცი ომისა [გვ.308]

ტაეპი "კილო არ იცი ომისა" ვარიაციული სახესხვაობით ხშირად მეორდება თხზულებაში. რას უნდა ნიშნავდეს "ომის კილო" და მისი ცოდნა-არცოდნა?

კილოკავურ ლექსემას მრავალი ახსნა ახლავს,[48] მაგრამ თითქმის არცერთი მათგანი არ ესადაგება "ამირანიანის" კონტექსტს. თუ მაინცდამაინც რომელიმეს ავირჩევდით, უფრო ს.ს. ორბელიანისეული ერთი განმარტებაა მისაღები. ლექსიკოგრაფი წერს: "კილოდ ითქმის გალობათა და ჴმოანებათა მიმოქცევა[თა]."[49]

სულხან-საბასთან სიტყვა "მიმოქცევა" უნდა გულისხმობდეს იმის ცოდნას, რაც უნდა ითქვას [იმღერებოდეს] მაშინ, როცა ეს საჭიროა და როგორც ეს საჭიროა. ამ ნიშნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ ამირანმა ჯერ კიდევ არ იცის, როდის და ვისთან როგორ იბრძოლოს. "კილო არ იცი ომისა" ნიშნავს: ომის დროს არ იცი ვისთან, როდის, რა ხერხის გამოყენებაა საჭირო! მართლაც, ამირანის ბრძოლა დევებთან სრულიად სხვა ცოდნას საჭიროებს, ყამარის მამასთან ბრძოლას კი, როგორც ჩანს, სულ სხვა ტაქტიკა, ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ეს არცაა გასაკვირი: ნუ დაგვავიწყდება, რომ ყამარის მამა ზესკნელის წარმომადგენელია!

ყამარის მითითება ამირანის მიერ წარმოებული ბრძოლის უკილოობის შესახებ ეხება მამამისის სამხედრო შეჭურვილობის საიდუმლოებას, რაც, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ამირანისათვის, არამედ ყველა მიწიერისათვის იდუმალებითაა მოცული. ყამარის მამა, ფაქტიურად, არამიწიერია, ვისთანაც დედამიწელის ომი მთლად წარმატებული ვერ იქნება. არადა, ამირანს მიწიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა არ უჭირს. ეს ბრძოლა ორთაბრძოლაა, ხელჩართული ან ჭიდაობა. ომის გადახდა ამირანის სურვილია, რაც ზოგჯერ მოურეველ მოთხოვნილებად ექცევა ხოლმე. ასე მოხდა მაშინაც, როცა ამირანმა და მისმა ძმებმა ცამცუმის ცხედარი მიწას მიაბარეს. ამირანი ბაყბაყ დევის საძებნელად წავიდა, ვისი ჯავრიც თურმე გაჰყოლია ცამცუმს. ამირანის შეხვედრა დევთან და მათი დიალოგი, როგორც უკვე ვთქვით, მშვენიერი დახასიათებაა ამირანისა, როგორც ომმოწყურებული გმირისა. აქვეა მათი შერკინების ორიგინალური ბატალიაც. "ამირანს ომი სწყუროდა, – ვკითხულობთ ტექსტის თ. რაზიკაშვილის ჩანაწერში, – დიდი ხანი იყო გასული, რაც თავი არ ეცადნა, უნდოდა ომის გადახდა. გზაზე ბაყბაყ დევი შემოჰხვდათ, გაეგო, ცამცუმი მომკვდარაო და მიდიოდა საჭმელად.

– სად მისდიხარ, შე აყროლებულო, საითკე მიეჩქარები?

– უსიპის ძმისწული ცამცუმი მომკვდარა და იმის შესაჭმელად მივალო, – უპასუხა დევმა.

---

[48] **ს. ს. ორბელიანი**, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 167; **ნ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი, თბ. 1961, თბ. გვ. 249; **ქეგლ**, ტ, IV, თბ. 1955.

[49] დასახელებული ლექსიკონი, გვ.167

– შენ ქრისტიან კაცს არავინ შეგაჭმევსო, – უთხრა ამირანმა, – ტყუილად მიხვალ და მიეხეტები.
– მაშ, შენ დამიჭერ გზასაო? – უპასუხა ბაყბაყმა დაცინვით.
– ეძგერა კიდეც ამირანი და დაიწყეს ცხარე ომი. დასძლია ამირანმა, დასცა, მოსტეხა მხარი და დააზიანა:

დევ და ამირან იბრძოდნენ,
მინა და მყარი ხვიოდა;
იმათ ნაომარ ადგილზედ
სულ ქვა და ლოდი ცვიოდა[50] [გვ.315].

ადამიანის ზნეობის დამცველი ამირანის ბრძოლას აქაც „მინისა და მყარის" ზარდამცემი ხვივილი, გრგვინვა-ქუხილი ახლავს თნ. დამოწმებული ეპიზოდი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამირანის ფიზიკური ძალის განუმეორებლობას, მისი ომის სასნაულობრიობას, რაშიც ძალაუნებურად ჩართული აღმოჩნდება „მინა და მყარი". ამირანი მოწინააღმდეგეს ებრძვის იქ, სადაც ნამოეწევა. ქვა და ლოდის ცვენას, მინის გრიალს, რიყე ადგილზე მინიშნებას კიდევ ერთხელ მივყავართ იმის ფიქრამდე, რომ ამირანის მოწინააღმდეგე ისეთი ადგილის ბინადარია, სადაც ვარდ-ყვავილთა საუფლო არ ივარაუდება, სადაც უფრო მეტია საშიშროება, ვიდრე – მშვიდობა და მყუდროება.

ამირანს, როგორც ითქვა, მუდამ აქვს ომის ნადილი. ამაზე თვითონვე მიუთითებს. თხზულებაში ვკითხულობთ: „ნაუძღვა შიკრიკი ძმებს და გაიყვანა ერთს ტრიალს მინდორზედ. გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ის სამნი ჭიანი, ბაყბაყის თავებიდან რომ ამოცოცდნენ, ვეშაპებად ქცეულიყვნენ. ერთი თეთრი იყო, ერთი წითელი და ერთიც შავი. მინდორში მიდიან და მიიმღერიან:

მინდორში სამნი ჭიანი
მიდიან, მიიმღერიან,
თვალს უცემს დარეჯანისძეს, –
მაგათთან ომი მწადიან [გვ.316].

ამირანი მინის ბინადარ თუ მინასთან კავშირის მქონე ბოროტ ძალებთან ბრძოლაში თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. მინა, ჩანს, ამირანის ისეთივე საყრდენი თუ ფიზიკური ძალით ამავსებელი წყაროა, როგორიც იგი ბერძენი ანთეოსისათვის იყო.

შესაძლებელია თუ არა აქ ხსენებულ სამ ვეშაპსა და სამ ძმას შორის (ბადრი, უსიპი, ამირან) იმანენტური კავშირის არსებობის შესახებ სიტყვის ჩამოგდება? ვფიქობთ, რომ შესაძლებელია!

---

[50] თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, კახეთსა და ფშავში შეკრებილი, 1909, გვ. 62-63

ამირანმა სამ ვეშაპთან შესაბრძოლებლად ძალები ასე გაანაწილა: "თეთრი ბადრს, წითელი უსიპს, შავი ჩემად გინებებიათ" [გვ.316]. ამ განანილებაში ქვეცნობიერად ხომ არ იგულისხმება ამირანის შინაგანი დარწმუნებულობა ასეთი შეპირისპირებით გველეშაპების უთუო დამარცხებისა? ფერთა სიმბოლიკაში ხომ არ იმალება ამ შეპირისპირების შესაძლებლობა, საფუძველი?

ბადრის სახის ფერიც თეთრია. ტექსტის ვარიანტები გვეუბნება:

"ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა,
საქმარეთ გამზადებულსა" [გვ.314].

გველეშაპთან ბრძოლაზე ბადრის უარმა ამირანს ათქმევინა:

"არა ყოფილხარ, ძმავ ბადრო,
ფერი არქატი გქონია "[გვ.316].

სულხან-საბასთან **ალქატი** ნიშნავს "გლახას"[51][გვ.24] აქ "გლახა" უნდა ნიშნავდეს არაშესაფერისს, წამხდარს, მისთვის არაბუნებრივს, შეშინებულს. ლექსემაში რ-ს ასიმილაცია ლ-დ ბუნებრივია. (მაგ. რ-ბილი, ლ-ბილი).

ბადრს ცხენიც თავთეთრი ჰყავს. ყამარის მოსაპოვებლად გამგზავრებული ამირანი მიმართავს ძმას:

– ბადრო, მათხოვე თავთეთრი,
ზღვაში გავიდე ღელვითა:
ყამარ ქალ გამოვიყვანო,
ამომავალი მზე ვითა [გვ.283].

ირკვევა: თეთრ გველეშაპს თავთეთრ ცხენზე ამხედრებული ბადრი შეებრძოლება. აქ ხომ არაა წმინდა გიორგისთან მხედრის მიახლოვების ასოციაცია?

თუ ფერთა ანალოგების ძიება ბადრსა და თეთრ გველეშაპს შორის მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, ასეთის აღმოჩენა გაცილებით ძნელია უსიპისა და წითელი გველეშაპის შემთხვევაში.

ტექსტის მიხედვით, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ უსიპი განუსაზღვრელი ფერის ბროლის ციხეს ჰგავს: "უსუფი ბროლის ციხეს" ჰგავსო, - გვეუბნება კახელი მთქმელი. თუ ბროლის ფერის მიხედვით ვიმსჯელებდით, ვიტყოდით, რომ ბროლი სხვადასხვა ფერისაა და მათ შორის — წითელიც. კონტექსტში კი "ბროლის ციხე" მყარად ნაგებს", თავ-ბოლო გამაგრებულს", შეუვალს უნდა ნიშნავდეს, ან "ბროლი" ეპითეტი უნდა იყოს კოშკისა. სხვათა შორის, ბროლის კოშკის შესახებ საუბარია "ეთერიანშიც". იქ მურმანი თავისი ციხე-კოშკის შესახებ "შეახსენებს" აბესალომს:

შენც ხომ იცი, ბროლის კოშკი
როგორ ცამდე მაღალია.

[51] **ს. ს. ორბელიანი**, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 24

ცამდე მაღალია ასევე სანადიროდ ნამოსული ამირანისა და მისი ძმების მიერ ალგეთში ნანახი უკარო კოშკიც:

იქ იპოვნეს ერთი კოშკი,
ცასა სწვდება ნვერი მისი [გვ.301].

უფრო გარკვეულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ამირანთან დაკავშირებით. ამირანი, მთქმელის დახასიათებით, ჰგავს "შავსა ღრუბელსა — სანვიმრად გამზადებულსა". [გვ.302]. ამირანი მგლის-მუხლა რაინდია ("სადაც რომ მზემ სხივი სტყორცნა, ამირანმა – მუხლი მგლისი" [გვ.302] არჩევანში მისი ხვედრი შავ გველეშაპთან შებრძოლებაა.

გველეშაპებთან შებრძოლების წინ, არჩევანის დროს, ამირანმა ძმები გააფრთხილა: "შავი ჩემად გინებებიათო". ძმებმა იუარეს გველეშაპებთან ბრძოლა. "მაშინ ამირანი თავის აბჯარს მიუბრუნდა და უთხრა: "ჩემო ხმალო და აბჯარო, საძალედ მომეშველენით!" და დაუწყო სასტიკი ომი გველეშაპებს. მოჰკლა თეთრიც, მოჰკლა წითელიც.

თეთრი მოჰკლა და ნითელი,
შავსა შეება მაშვრალი [გვ.316].

... შეება შავ გველეშაპს დაღალული, დამაშვრალი, გამარჯვების იმედითა და რწმენით სავსე, მაგრამ მოხდა სასწაული:

შავმა აიღო, ჩაყლაპა,
შავი ზღვისკენ გასწია [გვ.316].

როგორც მკითხველს ახსოვს, ამირანისა და გველეშაპის ბრძოლა ამით არ მთავრდება. ჩვენ კი აქ შევჩერდეთ, ოღონდ ნუ დავივიწყებთ, რომ ამირანი ისევ იბადება. მეორედ დაბადება კი განღმრთობის საფუძველი და აუცილებელი გზაა...

გაირკვა, რომ ამირანიც და მისი მოწინააღმდეგე გველეშაპიც ფერით შავნი არიან. ისიც ჩანს, რომ ეპოსში ფერი ფერთანაა შეპირისპირებული (თეთრია გველეშაპი – თეთრია ბადრი, ნითელია გველეშაპი – ნითელია '?' უსიპი. ბადრი დღესაც ნიშნავს ლაშაზს, არ არის გამორიცხული, რომ „ამირანიანში" ანთროპონიმები გარკვეული სემანტიკის მქონე სახელებია, ისევე, როგორც შ. რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ტარიელი, ავთანდილი, თინათინი, ნესტანდარეჯანი...

ჩვენ ისევ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ.

მტერთმებრძოლეობა, ეს იქნება ფიზიკური ძალით თუ საომარი იარაღით, ამირანის ეპოსს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს. ამირანის როგორც კაი ყმის ბრძოლები, მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობისა არ უნდა იყოს. იგი ყველგან და ყოველთვის ებრძვის დედამიწაზე ადამიანების დასაღუპად მოსულ მტრებს. ამრიგად, ნითელი, თეთრი და შავი გველეშაპებით, სიმბოლურად, მთელი სამყაროა ნარმოდგენილი თავისი სკნელებითურთ. ფოლკლორში ნარ-

მოდგენილი: ნითელი – სიკვდილის სიმბოლურ ფერად მოჩანს. თეთრი – უფრო ამქვეყნიურის, სამზეოს ფერი, ხოლო შავი – ქვესკნელის ფერი უნდა იყოს. ეს რომ ასეა, ამაზე თვით "ამირანიანის" ცალკეული ეპიზოდებიც უნდა გვემოწმებოდეს. ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის ლოკალში ჯერ ყამარის მამა და მასთან ამირანის მიერ წარმოებული ბრძოლაა.

ჯერ ის, რომ სასიმამრო ზეცის ბინადარია და იქიდან ეშვება მინაზე. მერედა რა ბუნებითი მოვლენები ახლავს მინაზე მის დაშვებას! მისი შვილის, ყამარის, განმარტებით, მამის დაშვებას თან სდევს ამინდის სრული ცვლა. ამირანის შეკითხვებს ყამარი ასე განმარტავს: "შემოისვა თეთრონზე ყამარი ამირანმა და გაქუსლა. ცოტა გზა რომ გაიარეს, **საშინელი ქარი** ავარდა, **გრიგალი** ასტყდა. ამირანმა აიხედა მაღლა და სთქვა: ამ ცაში კი არაფერი ნიშნებია და ამ მინის პირზედ რაღა ამბავიაო... კარგა გზა გაიარეს და დაუშვა **წვიმამაც**. ამირანმა კიდევ აიხედა ცაში და სთქვა: დიდება შენთვის, ღმერთო, წეღან ცა ვათვალიერე, საავდრო ჰაერი არ იყო და ეხლა საით მოვიდა წვიმაო. ეგ ქარი მამაჩემის ლაშქრის ფეხის მტვერიაო, უპასუხა ყამარმა: – **ეს წვიმა კიდევ დედაჩემის ცრემლია**, ჩემს დაკარგვას ჩივიან" [გვ.320].

თხზულების სხვა ვარიანტში ბუნების ცვალებადობას სხვა საფუძვლები ახლავს: ყამარის მამა ამირანს გამოეკიდა. "ხელმწიფე როცა თავისი **ჯარით წყალში შევიდა** და დაიწყეს ჭყაპა-ჭყუპი, მაშინ ამირანს ცუდი ტაროსი დაუდგა და **წვიმა თავ-პირში სულ კოკისპირულად ასხამდა**. მაშინ ქალმა უთხრა ამირანს: ეს სწორედ მა**მაჩემის ჯარი წყალში გაშოვიდა** და იმათ ფეხის ჭყაპა-ჭყუპისაგან არისო. ცოტას კიდევ რომ გასცდნენ, ამოვარდა **საშინელი ქარიშხალი**, ამირანმა ჰკითხა ქალს: ეს რისგან ჯრის? **მამაჩემის ცხენები დაიღალნენ და ამოისუნთქესო**, – უპასუხა ქალმა" [გვ279]. ყამარის ასეთი შესაძლებლობების მქონე მამასთან ბრძოლა ცხადია,ადვილი ვერ იქნებოდა!

ყამარის მამა ჯარის სიმრავლითაც გამორჩეულია. მოლაშქრეთა რაოდენობა ამირანმა თავისი ცხენის ჭენებით გაზომა: "შეჯდა ამირანი ცხენზე. დაარჭო შვილდისარი და შემოურბინა ერთ დღე-ღამეში"[გვ.304].

საოცარი პოეტური აქსესუარი ახლავს ქაჯთ-ბატონისა და ამირანის ხელჩართული ბრძოლის აღწერას. ამ ბრძოლაში კიდევ ერთხელ იხატება სურათი იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სამყაროს წარმომადგენლები არიან. სახალხო ავქსონის მიერ წარმოსახული ბრძოლის სურათი კი ისე შთამბეჭდავად არის შესრულებული, თითქოს ეს ყველაფერი მთქმელის თვალნინ მოხდა, თითქოს ის ბრძოლის თვით-

მხილველია: "ჩავიდა ამირანი საომრად, გაუსვა და გამოუსვა სიმამრის ლაშქარს, სჭრა ცხვრებსავით თავები, გასწყვიტა მთელი ლაშქარი და შეჰხვდა ბოლოს პირისპირ სიმამრს. შეუტიეს ერთმანეთს ამირანმა და ყამარის მამამ სცეს ერთმანეთს ხმალი, ფარი უფარეს; ორივეს ბეგთრები ეცვა; ვერცერთის ხმალი ვერ სჭრიდა ჯაჭვსა; ამირანის ხმალი ყამარის მამის მუზარადს რომ მოჰხვდებოდა, ნაპერწკლის ცეცხლი ენთებოდა. ყამარის მამის ხმალი ამირანის ბეგთარს რომ მოჰხვდებოდა, ჯაჭვი გველივით ნიოდა" [გვ.322].

სიმამრთან ამირანის ბრძოლის აქ ნარმოდგენილი აღწერის მსგავსებას ვხედავთ მოსე ხონელის "ამირანდარეჯანიანში", სადაც საუბარია დარეჯანისძისა და სეფედავლეს ურთიერთშერკინებაზე: "შემოუვლეს ნავარდი ერთმანეთსა, შეუტიევს და შეიბნეს. დიდთა კლდეთა ჯახებასა ჰგვანდა მათი ჯახება და ხმალთა ცემა ჭეხასა ჰგვანდა"[52].

ვინ არის ყამარის მამა? როგორც გამოკვლევებით არის ცნობილი, ამირანის სიმამრი ამინდის ღვთაება, ცა-ღრუბლის პატრონია. მ. ჩიქოვანი არკვევდა რა ყამარის მამის ვინაობას, ნერდა: "ყამარის მამა, ცაში მყოფი "ქაჯთ-ბატონი", იგივე ტაროსის ღვთაებაა და მას მითოლოგიაში ცა-ღრუბლის საქმე აბარია".[53] უფრო ადრე, 1913 ნელს, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: "თუ დავაკვირდებით კამარქეთუ ქალის მამის ციურ ბინადრობას, მის ცეცხლისმფრქვეველ მუზარადსა, ანუ ფარსა, მის ლაშქრობის თვისებას, რომ მოლაშქრეთა დაძვრა ტაროსსა სცვლის და ავდარი დგება, უნებლიეთ ფიქრად მოგივად, რომ იგი ზეციური არსების გამოხატულება უნდა იყოს, ერთ-ერთი იმ ღვთაებათაგანი, რომელსაც, როგორც ხევსურები ამბობენ ხოლმე, "ღრუბელთა საქმე აბარია და ნვიმას მოიყვანს ხოლმე".[54]

აქვე ვიტყოდით, რომ "ამირანიანის" სახისმეტყველებაში სიმბოლიკას განსაკუთრებული სიმკვეთრე გააჩნია. ამ მხრივ ეპიკური ძეგლი გარკვეულ კავშირშია ბიბლიასთან. თხზულების პერსონაჟთა დიდ უმრავლესობას სიმბოლური შინაარსი აქვს: უსიპი — მზის განმასახიერებელია, ბადრი — მთვარისა, ყამარი — ზეციური ცეცხლისა, ყამარის მამა — ცა ღრუბლის პატრონია, თვითონ ამირანი — "ღმერთ-კაცია", იგრი — ნყლის ღმერთია... "ამირანიანი", ჩანს არა მხოლოდ მინის, არამედ მიწისა და ცის ბინადართა ურთიერთობის მხატვრული ისტორიაცაა, სადაც პირველობისათვის ბრძოლას თავისი კონკრეტული მიზანი გააჩნია.

---

[52] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, თბ. 1959, გვ. 125

[53] მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ. 1947, გვ. 106

[54] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ. 1913, გვ. 155.

ბრძოლებისა და საომარი ბატალიების "ამირანიანისეული" მონაცემები თითქმის არ იძლევა იმის მყარ საფუძველს, რომ პერსონაჟის ბრძოლის რაღაც მნყობრ, დახვეწილ თუ უკვე ჩამოყალიბებულ სისტემაზე ვილაპარაკოთ, თუ არ ჩავთვლით პირისპირ, ხელჩართული ბრძოლის მომენტებს. პერსონაჟის ჩანაფიქრის განხორციელებისათვის ბრძოლის მომენტი კი შესაძლებელია არ გულისხმობდეს ბრძოლის წინასწარ განსაზღვრულ გეგმას და იარაღის შერჩევას.

რ. ჩხეიძე სწორად შენიშნავს: "სულიერი სიწმინდე და ამირანული ძალ-ღონეა ერთიანი განუყოფელი გზა ეროვნული თავისუფლებისაკენ"[55].

ამირანის შეიარაღებაში პრიმიტივი ჭარბობს, რაც მთქმელთა მიერ ამირანის მოღვაწეობის ეპოქის დაძველების მეტ შესაძლებლობებზე მიუთითებს. არ არის შეუძლებელი, რომ აღნიშნული პოზიცია მომდევნო საუკუნეებშიც კაი ყმის სრულყოფის განსაკუთრებულ აუცილებლობად მივიჩნიოთ.

[55] რ. ჩხეიძე, ამირანის თქმულება, თბ. 1991, გვ. 247.

მესამე თავი

მეფე — სწორუპოვარი კაი ყმა

საომარ – სალაშქრო შინაარსის ეროვნული ზეპირსიტყვიერი მასალების ძიებამ, ჩვენდა უნებურად, ქართველ მეფეთა ცხოვრების ამსახველი საისტორიო წყაროების ზეპირგადმოცემითს ბუნებაზე გვაფიქრებინა. "ქართლის ცხოვრების" ავტორთა ცნობები, ხშირ შემთხვევაში, ზეპირი ტრადიციით უნდა იყოს ნასაზრდოები.

საისტორიო წყაროებში ქართული ზეპირსიტყვიერების შესახებ არანაკლებ საინტერესო ფაქტებია დაფიქსირებული, ოღონდ განსხვავებული სტილით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ნებისმიერი ერის ისტორია თვითგადარჩენისა და თვითშენახვისათვის ნარმოებული ომების ისტორიაა. ეს გამუდმებული ომები კი თავისთავად "ითხოვს" არა მარტო თავდაუზოგავ, გულად თუ უშიშარ ბრძოლას, არამედ ომის წარმოების ცოდნასაც. ეს ყველაფერი კი სწორედ იმ ცოდნას ქმნის, რასაც კაი ყმის მოღვაწეობის ასპარეზი ჰქვია.

მეფეთა ისტორიებიც ხშირად ხალხის მეხსიერების ნერილობითი აღდგენის ცოცხალი მაგალითია. იგი არა მხოლოდ ლექსით, ლეგენდით, თქმულებით და ა.შ. შეიძლება იყოს გადმოცემული, არამედ – ზეპირი თხრობითაც, მარტივი სასაუბრო ენით. ჩვენ ასე წარმოგვიდგება ისტორიული ნყაროს არსებობის ერთ-ერთი შესაძლებლობა. ფაქტის საჩვენებლად, ერთი მხრით, სახელოვან მეფეთა ცხოვრების ისტორიული ფაქტები ავირჩიეთ, მეორე მხრით, ზეპირ-პოეტურ მასალებს მივმართეთ. ორივე შემთხვევა ადასტურებს მხოლოდ ერთს: ხალხი-ისტორიკოსი და ხალხი-პოეტი ერთნაირი სიყვარულით, გამბედაობით, მაგრამ რიდით ეკიდება მეფეთა საომარ საქმიანობას, მტერთან ბრძოლის მათეული სტრატეგიის, ტაქტიკისა თუ ბრძოლის ველზე პირადი მაგალითის აღნერა-ჩვენებას. მეფეთა თავგანნირვა კი უპირველესი მნიშვნელობის ფაქტორი იყო ბრძოლის ველზე მტერთან მეომარი ლაშქრის პატრიოტული შემართებისა და თავდადებისათვის.

მეფეთა ისტორია, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის უპირველეს კარგ ყმათა ისტორიასა და იმის განუმეორებელ მაგალითს წარმოადგენს თუ ერი ვისი ცხოვრების მაგალითით უნდა ცხოვრობდეს, ქმნიდეს, იცავდეს თავის მიწა-მამულს, ზრდიდეს მომავალს, მტერს მტრულად უხვდებოდეს და მოყვარეს მოყვრულად უძღვებოდეს.

დასმული საკითხის გასარკვევად სამი დიდი მეფის — ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლისა და ერეკლე მეორის შესახებ არსებულ ისტორიულ ნყაროებსა და ეროვნულ ხალხურ სიტყვიერ

შემოქმედებაზე შევჩერდით. საკითხის უშუალო განხილვამდე ჩვენი საისტორიო წყაროების ერთი სპეციფიკა უნდა აღინიშნოს. ამის შესახებ დიდი ილია შენიშნავდა: "ჩვენი ერის ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ და თუ არის, კანტიკუნტად სადმე... ჩვენი "ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია".[56] დიდი შემოქმედის ეს დაკვირვება ეჭვს არ იწვევს. ამ აზრის მართებულობა დღეს საყოველთაოდ არის გაზიარებული. მეფეთა ისტორია კი, როგორც ვთქვით, მეტ-ნაკლებად, ერის ისტორიაცაა.

სალაშქრო საქმისადმი ქართველი კაცის დამოკიდებულების ისტორიული ხატის წარმოჩენის თვალსაზრისით უთუოდ დიდმნიშვნელოვანია "ქართლის ცხოვრებისეული" მონაცემები. ამის გასათვალსაჩინოებლად ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის და ერეკლე მეორის ისტორიკოსთა მონათხრობი, და ამასთან, ზეპირსიტყვიერი შესაძლებლობანი ავირჩიეთ. ვახტანგ გორგასალის ცხოვრების შესახებ "ქართლის ცხოვრების" მონაცემებიდან მხოლოდ რამდენიმე მომენტი შევარჩიეთ და ვცადეთ ასე გვეჩვენებინა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი მეფის ცხოვრებისა და ხასიათის თავისებურებანი.

ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი ჯუანშერი, თხზულების მიხედვით, ფრიად განათლებულ პიროვნებად მოჩანს. იგი არა მარტო მეფის კერძო (თუ სამეფო კარის) თავგადასავლითაა დაინტერესებული, არამედ იმ ზეპირი წყაროებითაც, რომელიც სამეფო კარსა თუ კერძოდ, მეფესთან არის დაკავშირებული. ჩვენ აქ ერთ, ფოლკლორულ მასალას მოვიტანთ, რომელიც ჩვენის აზრით, მეფის მეტსახელის – "გორგასალის" ახსნასთან არის დაკავშირებული და ჯუანშერის მიერაა ჩაწერილი. კარზე მომდგარი სპარსი ურდოების წინააღმდეგ ბრძოლის გამო ისტორიკოსი წერს: – "განგრძელდა მათ შორის ბრძოლა ოთხთუე ოდენ. ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი. და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნითცა მიმართის და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი, მიერითგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, – თქუან: "დურ აზ გორგასალ", რომელ არს ესე: "მირიდეთ თავსა მგლისასა" და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა

[56] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ათ ტომად, ტ. IV. თბ. 1955, გვ. 175.

გორგასალ". ასევე საინტერესოა ჯუანშერის ეტიმოლოგიური ინტერესი ცალკეული ტოპონიმებისადმი. მალითად, თხზულებაში თუხარისის შესახებ ისტორიკოსი ასეთ ხალხურ, ჩანს, ტრადიციული ზეპირგადმოცემის ინტერპრეტაციას გვთავაზობს: "და ვითარ მოინია თუხარისად, მიხედნა და შეუყუარდა ციხე, და თქვა: "ჭეშმარიტად თუ ხარ შენ ციხე".[57]

ბრწყინვალე პატრიოტისა და კაი ყმის გორგასალის საომარი ბიოგრაფიიდან საინტერესოდ წარმოგვიდგება მთის პირობებში მისი ბრძოლის თავისებურებანი. ისტორიკოსი ჯუანშერი, როგორც ჩანს, კარგად ერკვეოდა კლდოვან ადგილებში მტერთან შერკინების თავისებურებებში და, ალბათ, ამიტომაც მსჯელობს ფაქტის ზედმინევნითი ცოდნით მეფის საომარი ხელოვნებიდან ასეთი ეპიზოდის შესახებ. ოვსეთზე ერთ-ერთი ლაშქრობის გამო წერს: "და დაიბანაკეს ორთავე სპასთა ამიერ და იმიერ, რამეთუ მდინარისა მის პირსა ორგნითვე ქარაფნი იყვნეს კლდისანი, ჭალაკნი და ველოვანნი პირთა მდინარისათა, და განეკრძალნეს ერთმანერთისაგან, და დაიცვნეს გზანი ქარაფთანი, და დადგეს ეგრეთ შკდ დღე. ამა შკდსა დღესა ბრძოლა იყო ბუმბერაზთა მდინარესა მას ზედა"[58].

აშკარაა, რომ მეფე-სტრატეგისათვის ომის თეორია და პრაქტიკა ერთმანეთისაგან განუყოფელია. ჩანს, რომ ხელმწიფე მტრის დასამარცხლებლად საჭირო ყველა აუცილებლობას ითვალისწინებს: მეფის ბრძანებით, მოლაშქრეებმა "დაიბანაკეს", "დაიცვნეს გზანი ქარაფთანი", მტერთან პირისპირ შებმისათვის შეარჩიეს ღია ადგილები – "ჭალაკნი და ველოვანნი პირთა მდინარისანი" და ა. შ.

ვახტანგ მეფის დიდი ნიჭი საომარი ხელოვნებისა მემატიანეს არაერთხელ აღაფრთოვანებს. ამიტომ არის, რომ იგი უეპითეტებოდ წერს მეფის საომარი თავგადასავლების შესახებ: ვახტანგმა ბრწყინვალედ იცის ლაშქრის წყობა და სამხედრო შენაერთის მოძრაობის თავისებურებანი. ერთი მაგალითი: როცა მეფემ ბუმბერაზი მოწინააღმდეგე ბაყათარ მოკლა, შემდეგ: "სპანი იგი წარემართნეს განმზადებულნი ცხენ-თოროსანნი და ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი, წინა კერძო და მათ უკანა ქუეითნი, და ქუეითთა უკანა სიმრავლე მჴედართა, და ესრეთ მიმართეს ოვსთა."[59]

კიდევ ერთი მაგალითი: ამ ომში: "მაშინ ვახტანგ მეფე მოქცეულ იყო სპასა მისსა ზურგით რჩეულთა მჴედრითა, უზახებდა და განაძლიერებდა და ნუგეშინის-ცემდა სპათა მისთა. მაშინ წინა ცხენ-

[57] ქართლის ცხოვრება. . . I, თბ. 1955, გვ. 180
[58] იქვე, გვ. 151
[59] ქართლის ცხოვრება, ტ. I. , გვ. 155-156

თოროსანთა აღვლეს გზა ქარაფისა, აღჴდეს ვაკესა, და აღუდგეს უკანა ქუეითნი და შემდგომად სიმრავლე მჴედართა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის. ხოლო ვახტანგ, – განაგრძობს მემატიანე, – უკეთუ მარჯუენით – კერზო იბრძოდის, მარცხენით – კერძო ძრწოდიან; და უკეთუ მარცხენით – კერძო იბრძოდის, მარჯუენით – კერძო ძრწოდიან"[60].

მეომარი მეფე არა მხოლოდ სამხედრო საქმის ბრწყინვალე მცოდნეა, არამედ თავისი ხალხის, ერის, ლაშქრის, სამშობლოს ერთგული მოამაგეცაა. ამ თვალსაზრისით იგი კაი ყმის კლასიკური მაგალითია.

საინტერესოა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მეფეს თაეის ხელქვეითებთან, მებრძოლებთან? უთუოდ მშობლიური ურთიერთობა უნდა ჰქონოდა მეომრებთან, თითოეულ მოლაშქრესთან. ვახტანგი "ჰკაზმიდა მჴედართა". მან "განუყო ხუასტაგი დიდძალი გლახაკთა". მეფე თავის "რჩეულთა მჴედართა უზახებდა და განაძლიერებდა და ნუგეშინის – ცემდა სპათა მისთა".[61] ყოველივე ეს კაი ყმის ბუნებრივი აუცილებლობაა და მით უმეტეს ამ შემთხვევაში მეფისა.

არ შეიძლება მეფე ვახტანგის ფიზიკური ძალის აღუნიშვნელობა. ფიზიკური ძალა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კაი ყმის მოღვაწეობაში. ეს ნიშანი უთუოდ აახლოებს მას რაინდობის ინსტიტუტთან, რაც უფრო საინტერესოსა და სრულყოფილს ხდის კაი ყმის ბიოგრაფიას. ამ მხრივ დიდი სტრატეგი შუა საუკუნეების ქართული საგმირო-საფალავნო ეპოსის ცალკეულ პერსონაჟთა არქეტიპად მოჩანს. დასტურად რამდენიმე მაგალითის დამოწმებაც იკმარებდა. ჯუანშერი წერს: "მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდაორისა; და იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უშვენიერეს სახითა და **ძლიერი ძალითა**, რომელ ჭურვილი **ქვეითი ირემსა მიეწიოს**, უპყრის რქანი და დაიჭირის, და ცხენი ჭურვილი აღიღის მჴართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა"[62].

ბერძენთა სპასპეტ პალეკარპოსთან პირისპირ შერკინებისას "მისცა ფარი იგი მეფემან ლახუარსა მისსა და მიეტევა პირისპირ, და სცა ჴრმალი ჩაბალახსა ზედა და განაპო თავი მისი ვიდრე ბეჭთამდე".[63]

ჩანს, ჯუანშერმა კარგად უწყის ორთაბრძოლის თავისებურებანიც. თხზულებაში ავტორის მიერ ორი გოლიათის შერკინების მეტად საინტერესო სურათიცაა აღწერილი. წარმოდგენილია, ერთი

---

[60] ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 156.
[61] იქვე, გვ. 151
[62] იქვე, გვ. 159
[63] იქვე, გვ. 175

მხრით, ოვსი ბაყათარისა და ვახტანგ მეფის, ხოლო, მეორე მხრით, ვახტანგისა და თარხანის ბრძოლის მეტად საინტერესო ეპიზოდები.

აქ არ შეიძლება გამორჩეული ყურადღება არ მიექცეს ღვთისადმი მეფე-კაი ყმის სიყვარულსა და რწმენას, რომელიც მეფეს მუდამ თან ახლავს როგორც ბრძოლის, ისე მშვიდობიანობის დროს. ისტორიკოსი გვიყვება: როცა ვახტანგის გოლიათი ფარსმან-ფარუხი ოსთა გოლიათმა თარხანმა მოკლა, მაშინ ვახტანგი ჯერ მთელი ღამე "დადგა ლოცვად... და ვიდრე გათენებადმდე არა დაჯდა ქუე ლოცვისაგან", შემდეგ კი "რქუა სპათა თჳსთა: "არა მინდობილ ვარ მე ძალასა ჩემისად და სიმჴნესა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმრთისა დაუსაბამოსათა, სამებისა ერთარსებისა ყოვლისა დამბადებლისათა განვალ თჳთბრძოლად თარჴანისა".[64] თარხანს შემოუთვლია: "მე გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მაბრძოლი ვარ, არა ყრმწურილთა, გარნა შენ ზედაცა დავიმდაბლო თავი ჩემი"[65]. აღიზახნეს და მიეტევნეს ერთმანეთსა, და პირველსავე შეკრებასა სცნა ვახტანგ ოროლნი სარტყელსა ზედა, და ვერა უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, და განვლო ზურგით და მოკლა"[66].

მეორე დღეს ვახტანგი ოვსთა სხვა ბუმბერაზს შეება, "რომელსა ერქუა ბაყათარ. იგი იყო გოლიათი."

თხზულების ავტორი, ვახტანგის ფიზიკური ძლიერების შესახებ წარმოდგენა რომ შეგვიქმნას, მოწინააღმდეგის ფიზიკურ საოცრებებზე გვიყვება: "ვერვის დაედგნეს მისთვჳს ბრძოლასა შინა. და მოესრა ყოველი მებრძოლი მისი: რამეთუ იყო სიგრძე მშჳლდისა მისისა თორმეტი მტკაველი და ისარი მისი ექუსი მტკაველი".[67]

ჯუანშერი დიდი ოსტატობით ხატავს ვახტანგისა და ოვსი ბაყათარის ორთაბრძოლის საინტერესო პანორამას. მდინარის გაღმა-გამოღმა მდგარი ორი მორკინალის გადაძახილ-დიალოგის შემდეგ "ვახტანგ უკუდგა. გამოვლო მდინარე ბაყათარ, და უწყო სროლად ისრითა. მაშინ ვახტანგ სიფიცხლითა თვალთათა, და სიმახჳლითა გონებისათა, და სიკისკასითა ტაიჭისა მისისათა ირიდებდა ისარსა: რამეთუ შორსვე იხილის ისარი მომავალი, და უხლდებოდა და სიმარჯჳთ მიეახლებოდა. ამიერ და იმიერ სპათაგან იყო ცემა ბუკებისა და დაბდაბთა. და იზახდეს ჴმითა აღწევნულითა სპანი ორნივე, ქართველნი და ოვსნი, რომლითა იძრვოდეს მთანი და ბორცუნი. და ვერ ჰკრა ისარი, ორისა ისრისაგან მეტი, ბაყათარ ფარსა ვახტანგისა, და

---

[64] ქართლის ცხოვრება, ტ. I. , გვ. 156.
[65] იქვე, გვ. 153.
[66] იქვე, გვ. 153
[67] იქვე, გვ. 154

ვერ ჰკუეთა ყოვლად. და კუალად ჰკრა სხუა ისარი ცხენსა ვახტანგისასა, და გააგდო შიგა. და ვიდრე დაეცემოდა ცხენი ვახტანგისი, მიუჴდა ზედა და უხეთქნა ჴრმალი მჴარსა ბაყათარისასა, და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე... აღჴდა ცხენსა ბაყათარისსა, და მოდგა მახლობელად სპათა თჳსთა, და რქუა ჴმითა მაღლითა: "მჴნე იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი ჩუენ-კერძო არს"[68].

ტექსტის ამონარიდში უხვადაა ნაჩვენები გმირი მეფის საბრძოლო თვისებები, სამხედრო ხელოვნების ღრმა ცოდნა, ფიზიკური ძალა, ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებისადმი ცალსახა დამოკიდებულება, რაც, ვფიქრობთ, ჯუანშერამდე ხალხური ტრადიციით უნდა მოდიოდეს.

რელიგიური რწმენისა და მასთან დაკავშირებული რიტუალების მიმართ სახელმწიფოს გონიერ მმართველთა დამოკიდებულების შესაებ საისტორიო თხზულებებში ხშირადაა ხოლმე ხაზგასმული. აქ ერთ მაგალითს დავიმოწმებთ: თარხანის მოკვლის შემდეგ ვახტანგი ბაყათარს უნდა შეებას. მათ შორის დიალოგში, კერძოდ, ვახტანგის პასუხში, ღვთისადმი მის დიდ რწმენაზეცაა მითითებული: "მაშინ პასუხ უგო ვახტანგ და რქუა: "არა ძალითა ჩემითა ვსძლიე თარჴანს, არამედ ძალითა დამბადებლისა ჩამისათა".[69]

ფარსმან-ფარუხი სახელგანთქმული გოლიათი ყოფილა. ისტორიკოსი გვიხსნის, რომ "ამისდა ვერვის დაედგნეს ბრძოლასა შინა, რამეთუ მრავალი ლომი ჴელითა შეეპყრა"[70]. ამ სახელგანთქმულ ფალავანთან შერკინების წინ, როცა დაღამდა, "ვახტაგ შევიდა კარვად თჳსად. და დადგა ლოცვად, და ცრემლითა ევედრებოდა ღმერთსა, და ვიდრე განთენებამდე არა დაჯდა ქუე ლოცვისაგან: ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა. და მონდობითა ღმრთისათა ეგულებოდა თჳთბრძოლა თარჴანისი, რამეთუ უშიშ იყო, ვითარცა უჴორცო, და იმედი ჰქონდა ღმრთისაგან და ძალისა თჳსისაგან".[71]

საშიშ მონინააღმდეგესთან ბრძოლის წინ მეფე გულწრფელად ავლენს ღვთისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებას და სჯერა მისი უთუო დახმარება-შეწევნისა: "მაშინ ვახტანგ რქუა სპათა თჳსთა: არა მინდობილ ვარ მე ძალისა ჩემისად და სიმჴნისა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმრთისა დაუსაბამოსათა ყოვლისა დამბადებლისათა განვალ თჳთბრძოლად თარხანისა".[72]

---

[68] ქართლის ცხოვრება, ტ. I. , გვ. 155
[69] იქვე, გვ. 154
[70] იქვე, გვ. 152
[71] იქვე, გვ. 152
[72] იქვე, გვ. 152

თხზულებაში ღვთის სიყვარული ვრცლადაა წარმოდგენილი, მითითებულია იმაზე, თუ "მირულებასა შინა" რა სასნაულთა სამყაროში აღმოჩნდა დიდი მეფე.[73]

ჯუანშერი ზოგჯერ მეფის სამხერდრო აქსესურზედაც მიაქცევს მკითხველის ყურადღებას. ვახტანგის ფარი იყოო "ვიგრის ტყავისა". სხვაგან ავტორი წერს: "და განაწესნა ვახტანგ სპანი და დაადგინა განმზადებულად: და აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშნითა, და აღიღო მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკუეთდა მახჳლი".[74]

სულხან-საბა ორბელიანი "სიტყვის კონაში" განმარტავს: ჳოგრი – ქართლის ცხოვრებაში წერია: ვახტანგს აქუნდა ფარი ჳოგრისაო. წმინდა ბასილი წერს: ლომი, ჳოგრი და ვეფხიო. ან ვიგრის ტყავს ზღვის თევზის ტყავს უჴმობენ და ჴმელთა ცხოველიც არს. მისი ტყავი ეგრევე ძვალით მოლურსმულია"[75]

გენიოსმა ხალხმა მრავალი საქმის მოქმედი სახელოვანი მეფის დამსახურება საუკეთესოდ წარმოაჩინა იმ მინიატურული ლექსით, რომელიც დღესაც ზეპირ ბრუნვაშია.

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკვა;
იალბუზზედ ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შეჰქმნეს დრეკა.
ოვსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა.[76]

ვახტანგ გორგასალი საგმირო თავგადასავალთა რემინისცენციებზე არაერთი ფოლკლორული თხზულებაა აგებული. მართალია, მასალა რაოდენობრივად შედარებით ცოტაა, მაგრამ ისტორიკოსისა თუ ფოლკლოსტისათვის დიდია მათი მნიშვნელობა. ზეპირსიტყვიერ ძეგლებშიც მითითებულია მეფის იმ საომარი თავგადასავლების შესახებ, რასაც ისტორიკოსიც გამორჩეულ ყურადღებას აქცევს.

ფოლკლორულ ტექსტში ისტორიული ანალების დამოწმება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხალხური მასალის წყაროც იგივე ისტორიული სინამდვილეა, რაც მემატიანემ დააფიქსირა. ლექსში "ნარს სოფელს ნუზლა საყდარზედ დაწერილნი ლექსნი" ვკითხულობთ: ვახტანგის მიერ მტერი დამარცხებულ იქნა:

ბაღათარ წყალსა მიეცა,
აღიხოცა ოსთა ჯარი.[77]

---

[73] ქართლის ცხოვრება, ტ. I. , გვ. 154

[74] იქვე, გვ. 154

[75] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 207.

[76] ქართული ხალხური სასტორიო სიტყვიერება, ტ. I,ტექსტების მომზადება, რედაქცია და შენიშვნები ჭს. სიხარულიძის, თბ. 1961, გვ. 53

[77] იქვე, გვ. 55

ქსენია სიხარულიძე აღნიშნული ლექსის ისტორიულ ექსკურსში ოსი ბაღათარის შესახებაც მიუთითებს.[78] ვფიქრობთ, ეს ის ოსი ბაყათარია, რომელიც ზემოთ დამოწმებული ისტორიული წყაროს მიხედვით, ვახტანგ გორგასალმა დაამარცხა.

ისტორიული მასალები სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ ვახტანგ მეფის ბრძოლებზედაც მიუთითებენ. აღნიშნულის შესახებ ზეპირსიტყვიერ ტექსტებშიც არაერთხელაა მითითებული. ერთხელ მეფე მხედარმთავრის წინამძღოლობითო ქართველებმა "სულ ამოწყვიტეს სპარსელი"; გზა-კვალ არეული მტერი ადიდებულ იორში "ჩაცვივდა" და "საბოლოოდ განადგურდა"[79].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვახტანგ გორგასალის შესახებ არსებული ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ცნობის გამო, რომელიც წარმოდგენილია გორგიჯანიძის ტექსტის ს. კაკაბაძისეულ გამოცემაში.[80] აღნიშნული ფაქტისათვის თვით ივ. ჯავახიშვილსაც კი მიუქცევია ყურადღება და მიუთითებია, რომ "ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში მოთხრობა **ვახტანგ გორგასალზე ზეპირგადმოცემებზეა დაშყარებულიო**"[81]. ამ ცნობაზე დაყრდნობით შეგვეძლო გვეთქვა, რომ მემატიანისეული თხრობა ხშირად, სხვა შემთხვევაშიც, ზეპირგადმოცემებს უნდა ეფუძნებოდეს.

საქართველოს მეფეთა ისტორია, არსებითად სამშობლოს მტრებთაბ ბრძოლისა და ქვეყნის აღორძინებისათვის ზრუნვის ისტორიაა. ნათქვამის დასტურად **დავით აღმაშენებლის** შესახებ მისი მეისტორიის რამდენიმე ცნობაც იკმარებდა: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: "ხოლო თჳთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უნდა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა, და ვითარცა ლომი შეუზახებდა ჴმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თჳთ გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამჴობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხუეულთა ყოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა ძუელსა დავითის ელიაზარის ჴელი ჴრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ჴრმლით მისით უკმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს, რომელი შემდგომად ომისა გარდაჴდისა და სარტყლისა განჴსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყნად რა დაითხია ესეო-

---

[78] **ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება**, I, ტექსტების მომზადება, რედაქცია და შენიშვნები **ქს. სიხარულიძის**, თბ. 1961, გვ. 184-186.

[79] იქვე, გვ. 54.

[80] ტექსტი დამოწმებულია – **ქს. სიხარულიძე**, ქართული ხალხ. საისტ... გვ. 187-188.

[81] ვიმოწმებთ ქს. სიხარულიძე მითითებულ ნაშრ. გვ. 189.

დენი მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თჳთ მისგან ვგონებდით გამოსრულად. და მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხესაღა ზედა მჯდომმან სრულ იყო მის დღისა ომი"[82]. მეფის საბრძოლო შემართების თვითმხილველი ისტორიკოსის აღწერას კომენტარი არ ჭირდება. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ იგი "სპათა... თჳთ წინა უძღოდა" "სრვიდა და დასცემდა" მტერთა. დავითი, როგორც ჩანს, მართლაც ყოფილა ქვეყნის უპირველესი კაი ყმა, "მტერთა მიმცემი რისხვისა."

დავითის ისტორიკოსის მონათხრობს არ ახასიათებს მეფის საომარ მოქმედებათა ვრცელი აღნერილობანი. ასეთი შემთხვევები მის თხზულებაში განსაკუთრებული სიმოკლით, მაგრამ სიცხადითა და სიზუსტითაა ნარმოჩენილი. ასე, მაგალითად: "ჩამოიტყუენნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა... და არა ჰრულოდა მეფესა, არამედ გარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და ძლივ ვინმე შეეწირა ცხენსა და გარდაიხუენა..."[83]

სხვა მაგალითი: "თუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოისრნა და იავარყვნა, და წარმოიღო ნატყუენავი მათი ურიცხვ. ჩამოავლო მგზავრ, დაესხა სევლეგამეჯს თურქმანთავე და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა, ესე ერთისა წლისა".[84]

საინტერესოა საისტორიო თხზულების ავტორის ერთი შენიშვნა: "და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს ჴმად მისათხრობელად, ამისათჳსცა მის ხელოვნებითა რიტორობისათა განავრცელნეს, ვითარცა იტყჳს თვით სადმე ალექსანდრე: "არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხჳე მაქებელსა უმიროსს. რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლასასა ვერ-რა ღირსი ქებასა იქმნა. ხოლო მეფისა დავითისა, – განაგრძობს ჟამთაღმნერელი, – ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამამდე იყო, და ვერცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინადადგომად. ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობასა"[85]. ჩანს, თხზულების ავტორი მოკრძალებულ დამოკიდებულებას ავლენს მეფის საომარ მოქმედებათა აღნერისადმი, უკმაყოფილოა თავისი მხატვრული შესაძლებლობებისა. არადა, ზემოთ უკვე ვნახეთ, რა საოცარი სიცხადით წარმოგვიდგენს დიდი მეფის საბრძოლო თავგადასავალს. მან მშვენივრად იცის ის პოეტური შესაძლებლობანი, რითაც ხატოვნად

---

[82] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955, გვ. 329.

[83] იქვე, ტ. I, . . . გვ. 338.

[84] იქვე, გვ. 339.

[85] იქვე, გვ. 342

გვიჩვენებს მეფე — კაი ყმის მონუმენტურ მხედრულ სახეს. მარტივნისის სამხედრო ოპერაციების წარმატებით განხორციელების შემდეგო, მეფემ "მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან" და შემდეგ ჩამოთვლილია ის ქალაქები და ტერიტორიები, რომლებიც მეფემ "ჩამოელო... დიდითა გამარჯვებითა".[86]

და კიდევ: სულთან მალიქ-შას სიკვდილის შემდეგო, ლიპარიტ ამირა "დადგა ყოველსა გზასა არაკეთილსა".[87] "იხილა რა მშჯდმან და ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კუალად შეიპყრა..."[88]

ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებელი იყო არა მხოლოდ საომარ მოქმედებათა ჯადოქარი, არამედ - განსწავლული მწიგნობარი, ეკლესია-მონასტრების აღმშენებელ-გამამშვენებელი. მან ბრწყინვალედ უწყოდა: "...ლაშქრობათა მეცადინეობანი, მჭედართა განწესებანი... სპათა დანყობანი" და ბევრი სხვა, რაც "საქმენი" ეთხოვებოდნენ "მეფობასა" მისსა. ახლა წიგნისადმი სიყვარული! ისტორიკოსი წერს, რომ სადა გარდაჴდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნნი მოაქუნდიან ჴელითა,... ნაცულად ძილისა ანუ სხჳსა საქმისა, კუალად კითხვა წიგნთა... თჳთ ნადირობასა შინა წიგნნი აქუნდიან ჴელთა... საცნაურ-მყოფელი წიგნთა სიყუარულისა"[89]... მეფემ დიდებულად უწყოდა წაკითხულის დაუფლების მნიშვნელობაც. ამის გამო შენიშნავს თხზულების ავტორი: "და რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწადისასა მით ნიშნითა აღვთუალეთ: ოცდაოთხჯერ წარეკითხა".[90]

დავითმა იცოდა, რომ ქვეყნისათვის საჭირო იყო მშვიდი, მდაბალი, სულგრძელი, სამართლიანი, მოწყალე, მოსიყვარულე, მამულის გამაძლიერებელი, ღვთისმოყვარული, გლახაკთა თხოვნისაებრ მბოძებელი, ყურის მიმპყრობი, სიტყვის გამგონე, რჩევის დამჯერებელი... ეკლესია-მონასტრების მაშენებელი, მოწყალე... ერთი სიტყვით – აღმაშენებელი კაი ყმა.

ეროვნული საომარი ხელოვნების უძველესი კვალი, ნებისმიერი ძირძველი მასალის დარად, უპირველესად ჩვენს ზეპირსიტყვიერებაშია საძიებელი. ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, თუ რომელ ისტორიულ ეპოქას ან პერსონას "მი-

---

[86] ქართლის ცხოვრება, ტ. I, . . . გვ. 344
[87] იქვე, გვ. 326
[88] იქვე, გვ. 325
[89] იქვე, გვ. 348
[90] იქვე, გვ. 349

აკუთვნა" ხალხის მეხსიერებამ ესა თუ ის ფაქტი. ეს აზრი რამოდენიმე ასპექტით არის უტყუარი და ამდენად მართებული. ჯერ ერთი, ხალხის მეხსიერებას საერთოდ სჩევეია ისტორიულ ფაქტთა დროსა და სივრცეში გადაადგილება და, მეორეც: ზეპირსიტყვიერება არა მარტო ზეპირი ლიტერატურა, არამედ ზეპირი ისტორიაცაა. ამ თვალსაზრისით თუ გადავხედავთ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ამსახველ ეროვნულ ხალხურ შემოქმედებას, აღმოჩნდება, რომ იგი, ზეპირი ლიტერატურა, ამდიდრებს და, ხშირ შემთხვევაში, ავსებს მატიანისეულ ცნობებს, მონაცემებს, წყაროებს.

როგორც ჟამთაღმწერლის მიხედვით, ისე ხალხური ზეპირი ლიტერატურითაც დავით აღმაშენებელი არის გლახაკთათვის "ქუჱლთა საქმეთა ურიცხუთა" მოამაგე; "მტკიცესა მკლავსა გამგე"; მფლობელი "წყობასა სპარაზენთასა" 'მხედრობათა' ხელოვნებისა; მშენებელი ხიდთა, გზათა, ზღუდეთა და ხანაგთა 'საგლახაკო სახლი'... დავითი

სთესდის მადლსა და სიბრძნესა, –
სულმნთებთა აღმაფრენთასა."[91]

ლექსი, საიდანაც მასალას ვიმოწმებთ, ილია ჭავჭავაძის მიერ 1902 წელს არის ჩაწერილი. იგი დასათაურებულია ასე: "ძველი ლექსი დავით აღმაშენებელზე" მის ხალხურობაში ეჭვი არ ეპარება ჩამწერს, რაც ტექსტის ავტორიტეტულობაზე მიუთითებს.

ზეპირსიტყვიერი თხზულების მიხედვითაც დავითმა საქართველოში "ყველგან ეკლესიების შენება დაიწყო".[92] "დავით აღმაშენებელს უომია თათრებთან",[93] დარუბანდიდან მოუტანია ქალაქის რკინის კარი, რომელიც, ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით, გელათის ეკლესიას "ჰკიდია ზღუდის კარი ბჭესა მისსა, რკინისა, აღმაშენებლის მოტანილი დარუბანდიდამ".[94]

ერის ზეპირი მხატვრული ლიტერატურა დავით აღმაშენებლის შესახებ მემატიანის მიერ შემონახულ ცნობებს არა მხოლოდ იცნობს, არამედ, გარკვეულწილად ამდიდრებს მათ, ქმნის იმის დამაჯერებელ საფუძველს, რომ ვთქვათ – მეისტორიე გადაუჭარბებლად აფასებს ერის წინაშე დიდი წინაპრის ღვაწლსა და ამაგს. ვაჟა-ფშაველა წერდა: "ღირსსაცოდნელია მდაბიო ხალხის აზროვნება, იმისი იდეალები და თვით იმისი არსება. ხალხის აზრი, ცხოვრება, იმისი წადილი და იდეალი გამოიხატება იმის პოეზიაში, ზღაპრებში და სხვ."

---

[91] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, . . . თბ. 1961, გვ. 62-63.
[92] იქვე, გვ. 197.
[93] იქვე, გვ. 194.
[94] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973. გვ. 754.

ჩანს, არა ერთმა სახელოვანმა ქართველმა მეფემ განადიდა ერი და სამშობლო. ერის ისტორიაში ნარუხოცელია მათი სახელი და ხსოვნა. ხსენებულ მეფეებთან ერთად ერეკლე მეორე გამორჩეულია თავისი ღვანლით. "ერეკლემ... მარტო საქართველოში სულ ცოტა ორასი ბრძოლა გადაიხადა და უმეტესად გამარჯვებული გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველთვის მცირერიცხოვანი ძალები ჰყავდა" - გვიყვება გენერალ-ლეიტენანტი, აკადემიკოსი ირაკლი ჯორჯაძე, და დასძენს: "ქართველმა ხალხმა დიდი მოამაგე მეფის ერეკლეს სახელი დიდების შარავანდედით შემოსა ხალხურ ლეგენდებში, ზღაპრებსა და გადმოცემებში"[95]... ფრიდრიხ დიდის ცნობილი ფრთოსანი სიტყვა-შეფასება დიდებით ამკობს ერეკლეს ისტორიულ ღვაწლსა და სახელს – "ევროპაში მე ვარ უძლეველი, აზიაში კი ივერიის მეფე ერეკლეო". თავისი საყვარელი მეფისადმი ერის დიდი სიყვარულის გამოხატულება იყო ისიც, რომ მან გარდაცვლილი მეფის ცხედარი თელავიდან მცხეთამდე მხრებით წაასვენა და იქ, სვეტიცხოვლის წმინდა სავანეში, მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი.

ქვემოთ წარმოდგენილი მიმოხილვით ჩვენი მიზანი მოკრძალებულია: მდიდარი ეროვნული ხალხური სიტყვიერი კულტურის ფონზე ვაჩვენოთ მეფე ერეკლე მეორის, როგორც ჭეშმარიტი კაი ყმის საბრძოლო ხელოვნების ეპიზოდები. ამ შემთხვევაშიც ერის ფოლკლორული ცოდნა, ვგონებთ, უტყუარი და შეუმცდარია.

მრავალფეროვანი ხალხური პოეტური მასალიდან საანალიზოდ ჩვენ უფრო პოეზია ავირჩიეთ. ეს ის ცოცხალი მასალაა, რასაც დავიწყების ჟანგი არ ეკიდება. მეტიც, ახალ დროში ახალი იერსახით მდიდრდება, ახალ ემოციას იძენს, ახალი ვარიანტებით ივსება.

1898 წელს ილია ჭავჭავაძე ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან ასი წლისთავის გამო იგონებდა ხალხურ ლექსს:

ვერ გაიგითა, ქართველნო,
შეგეხსნათ რკინის კარია,
აღარ გყავთ მეფე ერეკლე
ბაგრატიონთა გვარია.

და იქვე შენიშნავდა: "აი, ასე ამოიკვნესა ერმა... მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი, მისი ისტორიული ხატი ეს არის და, თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას".[96]

ცნობილი მკვლევარი სოლ. ცაიშვილი ერეკლე მეფის შესახებ შექმნილი ხალხური სიტყვიერების შესწავლის გამო წერდა: "ხალხი

---

[95] ი. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ. 1990, გვ. 218

[96] გაზ. "ივერია", 1898, №39

მუდამ ობიექტურია, პირუთვნელი და მიუდგომელი. ის არასდროს არ აქებს ან აძაგებს მას, ვინც ამის ღირსი არ არის. ამიტომ ნამდვილის ისტორიის დასადგენად მარტო წერილობითი, – დოკუმენტური ძეგლები როდი კმარა, აუცილებელია ამ პერიოდის ფოლკლორის,- ზეპირგადმოცემათა და სხვადასხვა თქმულებათა შესწავლაც, ურომლისოდაც კვლევა სრული არ იქნება".[97]

ცნობილი ფოლკლორისტი ქს. სიხარულიძე 1949 წელს შენიშნავდა: ქართულ ფოლკლორში "განსაკუთრებული თემატიკური მრავალფეროვნებით ხასიათდება ერეკლე მეორის ციკლი".[98] მკვლევარი შემდეგ ასეთ ათ თემატიკურ ჯგუფს გამოყოფდა. ჩვენ გვაინტერესებს თვით ნათელი მეფის პიროვნება და მის საომარ მოქმედებათა ბატალიები, სამხედრო სტრატეგია და ტაქიკა, სამშობლოს მტერთა წინააღმდეგ მისი მუდმივი ომების თავისებურებანი, რაც ხალხს არა მხოლოდ ისტორიული დოკუმენტებით, არამედ საკუთარი ზეპირი მხატვრული სიტყვითაც შემოუნახავს.

იმისათვის რომ თემაზე შექმნილი მდიდარი ზეპირსიტყვიერების[99] მოხილვა უკეთ მოხერხდეს, ვცადედ მისი თემატურ ციკლებად დაყოფა. ამ გზით წარმოდგენილმა ანალიზმა ერთგვარად სრული სახე უნდა მიიღოს და შესაძლებელი გახადოს ერეკლე მეფის მონუმენტური ხალხური პოეტური სახის წარმოჩენა. დიახ, ქვემოთ ჩვენ ვსაუბრობთ არა დიდებული სარდლის ეპოქაზე, არამედ იმ ფოლკლორულ მასალებზე, რომლებიც თვით მეფის, როგორც კაი ყმის კონკრეტულ თავგადასავალს ასახავენ.

დავიწყოთ იმით, რომ მეფე ერეკლე ხალხურ სიტყვიერ ხელოვნებაში ფიზიკურად უძლიერეს პიროვნებად არის წარმოდგენილი. მართალია, ხალხურ ლექსში გვირგვინოსნის ფიზიკური ძალის გაზვიადება ბუნებრივია, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ხალხს სწორედ ასეთი მეფე სურს, ასეთი მეფე სნამს, მეფეს ასე ხედავს, რასაც მხატვრული ჰიპერბოლის გამოყენებით წარმოგვიდგენს:

ეს ჩვენი მეფე ერეკლე,
ერთი პატარა კახია.
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაპკრა ხელი და გახია.[100]

---

[97] სოლ. ცაიშვილი, ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში, თბ. , 1949, გვ. 9

[98] ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ, . 1949, გვ. 164

[99] თ. ჯაგოდნიშვილი, ერეკლეს ეპოსი, თბ. 2005, გვ. 2

[100] ჩვენი საოჯახო კოლექციიდან

დღემდე თხზულების ცხრა ვარიანტია ფიქსირებული. ტექსტები ჩაწერილია — თელავში, დიღომში, თბილისში, ვარდისუბანში (ყაზბეგის რ.), წესში (რაჭა), ხევსურეთში, ფშავში. ცნობილია ასევე გ. ნათაძის და ივ. ბუქურაულის ჩანაწერები. ჩვენი მასალა თელავშია ფიქსირებული. იგი სხვებისგან მაინც განსხვავებულია.

ლექსის ვარიანტები ერეკლეს წარმოგვიდგენენ როგორც ლეკთა წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლს:

ერეკლე ბატონიშვილი
განა უბრალო კახია?!
საგურამოში ლეკისა
ჯარ მარტომ შუა გახია.[101] [გვ.9]

სხვა ვარიანტში მოქმედების ადგილი გადანაცვლებულია:

ჭარის ბოლოში ლეკების
ჯარი შუაზე გახია [გვ.9].

მეფისადმი ხალხის განსაკუთრებულმა სიყვარულმა დიდი სარდლისა და მზრუნველი წინამძღოლის მხატვრული სახე მალევე მითოლოგიურ სამოსელში გაახვია, რითაც ახალი სიცოცხლე შესძინა მას: ამ შინაარსისაა ზ. ბილანიშვილის მიერ 1883-1887წწ. კახეთში ჩაწერილი ტექსტი "ბატონიშვილს ერეკლესა". აი, ისიც:

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვია,
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია.
დაკარგულა საჩალეში,
მონადირეს უპოვნია. [გვ.9]

ტექსტის კომენტარებში ქს. სიხარულიძე შენიშნავს, რომ "ლექსი ციკლიზაცია — კონტამინაციის წესით დაკავშირებულია ერეკლე მეორის სახელს. პირველად იგი ლაშა-გიორგიზე იყო ნათქვამი და უკავშირდებოდა ლეგენდის ვარიანტებს თამარ მეფის შესახებ"... ჩვენ ამჯერად ლექსის მხატვრული სივრცე და მოცულობა გვაინტერესებს. სიმბოლურად რაზე უნდა მიუთითებდეს ტაეპი "ირმის ძუძუ უწოვია"?

ირმის მხატვრული ფუნქციის შესახებ არა ერთ ზეპირსიტყვიერ თუ ბიბლიურ-ლიტერატურულ ძეგლშია მითითებული. მაგალითად, 41-ე ფსალმუნში ვკითხულობთ:

---

[101] აქ და ქვემოთ გვერდები მითითებულია კრებულიდან, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძისა, თბ, . 1964.

როგორც ირემი მიილტვის წყლის
ნაკადულისაკენ,
ისე მოილტვის ჩემი სული შენსკენ,
ღმერთო[102]

გვიან, ძალიან გვიან გალაკტიონი იტყვის:

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...[103]

ხალხურ ზღაპარში "ირმისა" ნათქვამია: მოხუც ცოლ-ქმარს ღვთისადმი ვედრების შემდეგ შვილი მიეცათ. ბერიკაცი მოკვდა. "ცოლს მწუხარებით რძე დააკლდა და ბავშვის რჩენა არ შეეძლო. ბავშვი ერთ კოჭლ ირემს მიაბარა და სთხოვა: შენ გამიზარდეო. ბავშვი მიეჩვია ირემს"... ბიჭი უძლიერესი გაიზარდა. მეფის შვილმა ტყეში ნახა და მოისურვა მისი დაჭერა, უფლისწულმა მამას სთხოვა "ეშოვა მისთვის სამოცდაათი ფუთი ჯაჭვი და ოცი კაცი ჯაჭვის მსროლელი..." ბავშვმა "თავის კაცებს უბრძანა, დაეჭირათ. ესროლეს ქამანდი და შემოახვიეს ბავშვს, მაგრამ, ბავშვმა რომ გაინია, ჯაჭვი გაწყვიტა და გაიქცა".[104]

ფოლკლორული ტექსტის სიმბოლიკაზე ბევრის თქმა შეიძლება. ვფიქრობთ, რომ ტაეპი "ირმის ძუძუ უწოვნია" ერეკლეს გაღვთაებრივებისა და მისი ფიზიკური სიძლიერის გამომხატველი სიმბოლიკა უნდა იყოს, პერსონაჟის გამითიურების ფაქტზეც ინდა მიუთითებდეს.

გავსინჯოთ ლექსის მომდევნო ტაეპი – "წყალი უსვამს ელგეთისა".

არა გვგონია, რომ ალგეთის ფოლკლორული, გნებავთ ისტორიული, სამყაროს მცოდნეს თვალწინ არ ნარმოუდგეს საოცრებანი, რაც ხალხურ "ეთერიანში" ასეა დაფიქსირებული: ეთერის სიყვარულითა და მისი დასაკუთრების იმედგაცრუებულობით მურმანი გაცოფებულია. აბესალომს სურს დაიბრუნოს ეთერი და ცნობილ ხერხს (უკვდავების წყლის მოტანა) მიმართავს. თ. რაზიკაშვილის მიერ სოფელ ვეჯინში ჩანერილი ტექსტის მთქმელი გვიყვება: აბესალომმა "მოინდომა მურმანის მოშორება და ეთერის ისევ ხელში ჩაგდება." დაიბარა მურმანი და უბრძანა: "წადი, უკვდავების წყალი მომიტანე, ეგები კარგად გავხდეო. მურმანი გულში შეფიქრიანდა", ეთერთან მივიდა და საწყალობლად შეღაღადა:

ამაღამ კი ჩამიტოლე,
ქალო, მკერდსა ბროლისასა:

---

[102] ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, თბ. , 1966, გვ. 565.
[103] გ. ტაბიძე, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ. , 1966, გვ. 7
[104] ხალხური სიბრძნე, ტ. I, თბ. , 1963, გვ. 53-54.

ქალო, ალგეთში მგზავნიან,
პირსა ალგეთის მთისასა.
სურვილისა ქვას ისვრიან,
მონატეხის ლოდისასა,
ვაიმე, თავს გამიტეხენ,
უზარელსა ლომისასა.[105]

უკვდავების წყლის ალგეთის სამყაროში ძიება ხალხური მასალების მიხედვით თვით ამ სამყაროს რთულ გეოგრაფიულ პირობებსა და ზღაპრულ-ფანტასტიკურ სასწაულებთან უნდა იყოს დაკავშირებული. წარმოდგენილი ფოლკლორული ტექსტიც ამის ამსახველი მასალაა. ხალხს ერთი მიზანი აქვს — უკვდავჰყოს თავისი საყვარელი მეფე, წარმოადგინოს იგი როგორც უკვდავი, რამეთუ ბავშვობიდანვე უკვდავების წყალნასვამი მეფე შემდეგ აღარ შეიძლება გარდაიცვალოს!

ამ მშვენიერ პოეტურ ხერხს ხალხი – შემოქმედი ხშირად მიმართავს. მაგალითი კი ზეპირსიტყვიერებაში უამრავია.

საანალიზო ხალხური ლექსის ტაეპი "თრიალეთზე უძოვნია" მხოლოდ უკვე ხსენებული ტაეპებით ნათქვამის სრულყოფაზე, ერთგვარ დაზუსტება-შევსებაზე უნდა მიუთითებდეს.

ლექსის ბოლო – ორი ტაეპის ანალიზისათვის – "დაკარგულა საჩალეში, მონადირეს უპოვნია", შედარებით "მარტივი" გზა ავირჩიეთ. ამჯერად მნიშვნელოვანია სიმ. თედეიშვილისეული მონათხრობი: "თამარ მეფეს ქმარი არა ჰყავდა. ლაშა გიორგი ღვთის ბრძანებით დაებადაო. მერე ეს ყმანვილი ტყეში ერთს ხის ძირას დასტოვესო. იქ იმ ყმანვილს ღმერთმა ერთი ირემი მიუჩინა, რომელიც ყმანვილს ძუძუს აწოვებდაო. გავიდა ხანი და ერთს ნადირობის დროს თამარი ამ ყმაწვილს თავის მაწოვარის ირმით ერთ ალაგას შეჰყარაო. ეს ყმანვილი და ირემი თამარ მეფემ თავის სახლში ნააყვანინაო. ეს ყმანვილი იყო ლაშა გიორგიო." ამაზე არისო ნათქვამი:

ბაგრატიონთ გვარის კაცსა,
ირმის ძუძუ უწოვნია,
ჭალაში გადაგდებული
მონადირეს უპოვნია.[106]

ხალხური ლექსის ნარმოშობის წყაროს ძიება და მიგნება უფრო უკეთ თითქმის შეუძლებელიც კი არის, ვიდრე ლექსის აქვე ნარმოდგენილი პრეამბულითაა შესაძლებელი. სიტყვიერი მასალა, ჩანს

---

[105] **ხალხური სიტყვიერება**, IV, ეთერიანი, **მ. ჩიქოვანის** რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ. , 1954, გვ. 99

[106] იხ. **ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება**, ტ. I, თბ., 1961.

დამოწმებული ლექსის საშენ მასალადაა გამოყენებული. როგორც ჩანს, საანალიზო ტაეპების საძიებელი ნყარო ნათელია იმ შემთხვევაში, თუ თვით ზეპირსიტყვიერი მასალის ჩარჩოებში დავრჩებით. დიდი ილია კი შეგვაგონებდა: "ყველაზედ უნინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველ საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზე აქვს სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა"[107].

ერეკლე მეფის მიერ გადახდილი ყველა ბრძოლა მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა. ხალხურ ლექსში მეფის საბრძოლო მოქმედებანი შეფასებულია როგორც საქრისტიანოს დაცვა-გადარჩენისათვის წარმოებული ომი:

საქრისტიანოს გულისთვის
ერეკლემ ხმალი აიღო.[108] [გვ.27]

ამაზე სხვა ფოლკლორულ ტექსტებშიცაა მითითებული. აზატხანის ნინააღმდეგ ბრძოლის ამსახველ ლექსში ნათქვამია:

საქრისტიანოს გულისთვის
ნელს შემოიკრა ხმალია.[გვ.25]

ერეკლე მეორეს მრავალი ომი გადაუხდია. მრავალი ჭირსახდელი უნახავს. ბევრჯერ შინაურებსაც და გარეშეებსაც უღალატიათ, მაგრამ მეფის სარდლურ გონიერებას მაინც გაუმარჯვნია. ერთი ასეთ ეპიზოდთაგანია 1770 წელს ასპინძის ომი. ამ თემაზე შექმნილი ხალხური პოეზიის პოზიცია ნათელია. ასეთ თხზულებებში გადმოცემულია ამ ომის მიზეზი, მსვლელობა და შედეგი. ქს. სიხარულიძის თქმით, "მთქმელები რეალისტურად აშუქებენ ისტორიულ სინამდვილეს"[გვ.177]. ასეთია ეკატერინე მეორის მიერ რუსის ჯარის გამოგზავნა გენერალ ტოტლებენის მეთაურობით თურქ-ლეკთა ჯარებისაგან საქართველოს გაწმენდის მიზნით; აწყურის ციხესთან რუს-ქართველთა ბრძოლა მტერთან, ტოტლებენის ღალატი, მეფის ჯარის განსაცდელი და შემდეგ ერეკლეს სტრატეგიული ნიჭის შედეგად მტერთან პირისპირ შებრძოლება და ბრწყინვალე გამარჯვება. ლექსში "ასპინძის ომი", ომის პროლოგი, თანმიმდევრობა და მტერზე გამარჯვება ამბის დიდი ცოდნითაა წარმოდგენილი. გულნატკენი მელექსე ნუხს იმის გამო, რომ ერეკლეს

რუსის ჯარი შემწედ ჰყავდა,
სულ არ დაუჭირეს მხარი.

---

[107] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII, თბ., 1941, გვ. 133.

[108] აქ და ქვემოთ იხ. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძისა, თბ. 1964.

ლექსის ვარიანტში ხშირადაა ხაზგასმული ტოტლებენის მოღალატეობის შესახებ:

ტოტლებენმა უღალატა,
სხვას დაადვა თავის ბრალი,
ზარბაზნები არ ახმარა,
გაბრუნდა შურისგან მთვრალი."[გვ.30-31]

ერეკლემ თავისი არ დაიშალა:

მეფემ არაფრად ჩააგდო
იმისთანა წუწკი, მყრალი,
ანყვრითგანა გარდავიდა,
ასპინძას მიადგა მწყრალი,
რაც იქ დაუკლო ლეკ-ოსმალთ,
აქ შეუთავა ზარალი. [გვ.31]

შემდეგ ლექსში საუბარია კოხტა ბელადთან შებრძოლებისა და ერეკლეს მიერ მისი მოკვლის საინტერესო ეპიზოდებზე: როცა მტერი ხაფანგში მოექცა, ერეკლემ შეტევა განაგრძო:

იქ დახვდა კოხტა ბელადი,
მას გავარდა ორივ თვალი.
ეს ერეკლე გაითხოვა:
"აგერ არის საბურთალი"...
ორივ ხმალდახმალ შეიბნენ
მწვე გათამამდა მურტალი,
ზედ შევარდა მოურიდლად,
ვაი მისი ბედის ბრალი. [გვ.31].

ერეკლეს ძლიერი ფიზიკური ძალა ლექსის ამ ეპიზოდში ზღაპრული ფანტასტიკის რანგშია წარმოჩენილი: კოხტა ბელადიო – მეფემ

ისრე გადასჭრა ცხენზედა,
წყალივით გაავლო ხმალი,
რომ თვითონაც ვერ შეიტყო,
გადავარდა ლეკი მყრალი [გვ.1-33].

ლექსში ნათქვამია მეფის გონიერების, მოხერხებულობის, საბრძოლო ტაქტიკის დიდი ცოდნის ერთი ეპიზოდის შესახებაც, კერძოდ, თუ როგორ მოუჭრა მტერს გზა და აიძულა იგი ხიდისთვის მიემართა. ხიდი კი უკვე "დამუშავებული" იყო.

ვერ შეუტყვეს ხიდის აყრა,
არავინ იყო ჰალალი.
იშვირეს პირი, ხიდს ეცნენ,
აყრილ იყო გასავალი.
პანტ-პუნტით წყალში სცვიოდნენ
ქალ მაჰმადა და სარალი... [გვ.31].

ასპინძის ომის ამსახველ სხვა ხალხურ ლექსში ერეკლეს შეუპოვარი მხედრული სახე განზოგადების ხერხის გამოყენებით საინტერესოდაა წარმოდგენილი:

ასპინძას ერეკლე ვნახე,
ხელში ეჭირა ხმალია,
ლეკებს თავებს ანყვეტამდა
ის ტყვიასავით მალია. [გვ.37].

ლექსის მესხურ ვარიანტში მეფისადმი სიყვარული და მტრისადმი გარკვეული ზიზღი ისმის:

ასპინძას ერეკლე ვნახე,
ხელში ეჭირა ხმალიო,
ჩეხვა დაუწყო ლეკ-ოსმალთ,
ადინა სისხლის ღვარიო.
კოხტა ბელადიც იქ მოჰკლა,
მასაც გაუპო თავიო,
რისთვის ეომე ერეკლეს,
ხომ არ გეგონა ქალიო?! [გვ.270].

ერეკლე მეორის შესახებ არსებულ ხალხურ პოეზიაში აშკარად შეიმჩნევა მტრის, მომხდურის სატირულ-იუმორისტული ხერხით წარმოსახვაც. ზეპირსიტყვიერ ტექსტში ეს მომენტია, როცა ხდება, ერთი მხრით, მეომარი მეფის ჰიპერბოლიზაცია, მეორე მხრით, მონინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობათა დაკნინება. ამ შემთხვევაში ხალხს თავისი მიზანი, მრწამსი, თავისი ესთეტიკა აქვს, სადაც საყვარელი მეფის სამხედრო შესძლებლობათა აფიშირებაა მთავარი. აქ რამდენიმე მაგალითის დამოწმებაც იკმარებდა. ფაქტი ნათელია თ.რაზიკაშვილის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი ლექსითაც. ამ ლექსში, ა. შანიძის მითითებით, "წარმოდგენილია ერეკლე მეფის ბრძოლა აბდულა ბეგის წინააღმდეგ 1748 წელს, რომელიც აბდულას დამარცხებით გათავდა".[109] აი, ეს ლექსიც:

აბდულა

აბდულის ყარაულები
ქალაქის ჯიდზე მდგარაო;
მანდით აყრილა აბდული,
დიღომჩი გადმომდგარაო.
ერეკლეს კაცსა ულალავს:
"ერეკლევ, ჩემო ნალაო,
გამამილალე სურსათი,
ჩემი ქალაქის ღალაო!"

[109] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, თბ., 1931, გვ. 363

ეგ რომ ერეკლემ გაიგო,
სიცილით გამაძღარაო:
"რა ქნა მა ნითელ მელამა?
ტყავ კარზე მამიტანაო!"
გონსა მოვიდა მთიული,
ეგ რო ი ღორის ფარაო.
ვაჟები თიანელები
ჩაიჭრეს კარავანთანაო,
ჩაჭრეს, ჩაკაფეს კარავი,
ჩაყარეს ფარი-ფარაო.
ეუბნებოდეს ოსები:
"კარგი, მთიულო, კმარაო!"
გამოქცეული აბდული
სამშვილდეს ჩამომდგარაო.
წამაეგება დიაცი:
– "ბიჭო, რამ აგაჩქარაო?"
– "სულ დამიღუპა ჯარები,
მანდ რო ერეკლე მდგარაო".[110] [188, გვ.21].

აბდულა ბეგის ხალხური ეპითეტი პამპულა ხაზს მკაცრად უსვამს მომხდურის ბუნებას, მის სატირულ ხატს. ლექსი კი გამანადგურებელი ძალით უტევს შინშემოჭრილ იმტრის უსუსურობას, ისევ და ისევ ხაზს უსვამს მტრის წინააღმდეგ ერეკლე მეფის დიდ პრიორიტეტს. ლექსის ვარიანტი, რომელიც 1872 წელს პ. უმიკაშვილის მიერ სოფ. ნორიოშია ჩაწერილი, ასეთია:

აბდულა შეკაზმულიყო
ჯაჭვითა და ჯინჯილითა:
"მინდა ქალაქს შემოვადგე,
ამოვწყვიტო შიმშილითა".
მეფე ირაკლიმ გაიგონა
გადაბრულდა სიცილითა,
"შენ ეს ბიჭი მოგიკვდება
ვერ გაგხეთქო სირბილითა,
კოჯორი მოგარბენინო,
მონასტრები — ტირილითა!"
შეჭამანდებ ანელებენ
კოფბითა და პილპილითა:
"დაჯე, აბდულ, პური ჭამე,
რაზე კვდები შიმშილითა?!"

[110] ა. შანიძე, დასახ. კრებული, გვ. 21

– რა პურისა მეცხელება,
კუჭი მტკივა სირბილითა.[111]

ერეკლე მეფის შესახებ არსებულ ზეპირსიტყვიერ პოეზიაზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს, რომ არსებული საკმაოდ მდიდარი მასალა ორ ნაწილად დავაჯგუფოდ: პირველ ნაწილში უფრო ეპიკური ხასიათის ვრცელი ფორმის ტექსტები მოექცევა, მეორე ნაწილში კი — მცირე ზომის ტექსტები. პირველი ნაწილის თხზულებებში მეტია თხრობა. ისინი უფრო სათავგადასავლო შინაარსის მატარებელი ტექსტებია. მეორე ჯგუფში კი უფრო განზოგადებული სახის, ე.წ. აფორისტული, მოკლე, მაგრამ მდიდარი შინაარსის მქონე ძეგლებია წარმოდგენილი. პირველის მაგალითად უკვე დამოწმებული "აბდულას" ლექსის ვარიანტებიც გამოდგებოდა. მეორის ნიმუშად მიგვაჩნია:

ბატონი მეფე გვიცოცხლოს,
ერეკლე ჩვენი გმირიო,
მტერს წინ ნაუვა გულადად,
რაზმში იქნება პირიო,
უმისოდ ჩვენი ბიჭობა
იქნება გასაჭირიო.
მტერი მოვა და დაგვხოცავს
როგორც ხორველა-ჭირიო [გვ.51].

კიდევ:

აგერ კარავში ერეკლეს
ომს შემდეგ მოუსვენია,
სძინავს მოქანცულს ბატონსა,
თავით უნაგირს ბჯენია.
მისი მერანი ჭიხვინებს,
კრინტს სხვა ვერ იღებს ვერავინ,
და შინაყმანი კახისა
მის ხმალს სისხლიანს ჰფერავენ [გვ.51-52].

და კიდევ:

ხმალო ხევსურეთს ნადებო,
ალვანში თუშმა გაგფერა,
გაკურთხა ნეფე ერეკლემ,
საომრად ჯვარი დაგწერა [გვ.52].

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მეორე ჯგუფად წარმოდგენილი ტექსტების უტილიტარული მნიშვნელობა გამორჩეული უნდა იყოს. ჩანს, ისინი, უფრო მეტად იყო ყოველდღიურ მიმოქცევაში თუნდაც

[111] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1937, გვ. 104.

იმიტომ, რომ ისინი სასიმღერო რეპერტუარში დომინირებენ. ამას გვაფიქრებინებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღესაც ხალხურ სიმღერათა შორის აქტიურია "ჩაკრულო" ("ხმალო, ხევსურეთს ნადებო")[112].

გარდა ეპიკური ფორმის ლექსებისა, რომლებიც **ხალხური პოეზიის** ნიშნებს ატარებენ, ერეკლე მეორის მოღვაწეობის ამსახველ ზეპირსიტყვიერებაში არის დიალოგური სახის გაბაასების ფორმის ტექსტები და თხრობითი სახის თქმულება-გადმოცემები. ამ ხასიათის მასალის თემატიკური მრავალფეროვნება მაინც შეგვეძლო ასე დაგვეჯგუფებინა: 1) ერეკლე და გარეშე მტერთა შემოსევები; 2) ერეკლე მეფის შინაური მტრები; 3) ერეკლე და ხალხი და სხვ. აქ წარმოდგენილი პირველი და მეორე ჯგუფის თხზულებები უფრო ხშირად ზემოთ დამოწმებული მასალის ეპიკური ვარიანტებია. მესამე ჯგუფის ტექსტები კი მეტ დამატებით ცოდნასა და ცნობებს გვაძლევენ ხალხის საყვარელი და ხალხის მოყვარული რაინდი მეფის შესახებ.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ გარკვეულ პერიოდში ერეკლეს შესახებ არსებულმა ზოგიერთმა ხალხურმა ტექსტმა მეფის გაღვთაებრივების ტენდენცია შეიძინა, რაც მასალის მითოლოგიზირებაშიც გამოვლინდა. ეს პროცესი შეიმჩნევა არა მხოლოდ ლირიკულ, არამედ ეპიკურ ხალხურ თხზულებებშიც. მეტიც, ერეკლეს მხატვრულ სახეს თანდათან შეემატა არა მხოლოდ მითოლოგიური, არამედ რელიგიური ნიშნებიც, რაც კიდევ უფრო ზრდის მისდამი მსმენელის ინტერესს, მთქმელთა იდეოლოგიურ ხედვას, ერეკლე მეფის წმინდანად ნარმოჩენის სურვილს. აქ მხოლოდ ერთ, ჩვენის აზრით, საუკეთესო მაგალითს დავიმოწმებდით. იგი თ. რაზიკაშვილის მიერაა ფიქსირებული: "ხალხს სწამს, მეფე ერეკლე და თამარ მეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მიეშველებიანო. – მირონი მეფე ერეკლეს ძვლებს ჩამოჰდისო; – ერეკლემ ჴმალი წინ დაიდვის და ისევ თავის-თავად შემაერტყისო; – ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ჴმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივისაგან ისევ აიღებდა ჴმალსაო"[113]

ერეკლე მეფე მშობელი ხალხის უსაყვარლესი გმირია. მისთვის თავგანწირვა, ხალხური მასალების მიხედვით, ბუნებრივი, ჩვეულებრივი მოვლენაა. სახალხო მთქმელებმა, სამხედრო ხელოვნების საუკეთესო მცოდნე და პრაქტიკოსი მეფის შესახებ შექმნილ ფოლკლორულ თხზულებებში სწორედ იმას მიაქციეს ყურადღება, რის გამოც ასე წუხდა ილია ჭავჭავაძე: მატიანეში "ქართლის ცხოვრებაში" მშრომელი და მებრძოლი ხალხი ჩრდილშიაო მიყენებული.

---

[112] **ქართული ხალხური სიმღერები** (კახური), ნაწილი მეორე, ჩაწერილი ო. ჩიჯავაძის მიერ, თბ., 1968, გვ. 16-24 (ნოტები)

[113] **ა.შანიძე**, დასახელებული კრებული, გვ. 365

მეფისა და სამშობლოსათვის თავგანწირული არაერთი სახელოვანი მეომრის საქმე და სახელი უკვდავჰყო ხალხმა-შემოქმედმა. ეს ლექსები, როგორც სახალხო ავქსონი მიუთითებს, "სახელის არ დამარხვის" ლექსებია. ამავე სახის თხზულებებით, მართალია, მეტად ძუნწად, მაგრამ მაინც ხაზგასმით იმასაც ვგებულობთ, თუ რით გამოიჩინა თავი ამა თუ იმ სახალხო გმირმა, მამულის, სარწმუნოებისა და ერისათვის თავგანწირულმა კაი ყმამ. ა. შანიძეს ხევსურეთში 1913 წელს ერთი ასეთი ლექსიც ჩაუწერია:

ომ იქნა გორის ბოლოსა:
სისხლსა წვიმს, ზეთი დარიო.
- მინდვრად ჩეედით, ხევსურნო,
სანგლად მაივლით მკვდარიო.
უთურგასიძემ გაჭარბათ,-
კარგად უჭრიდა ჴმალიო.
კარზედ გიორგა დაგიდგათ,
ეგ ყვირილობის ჴარიო.
თოფის ჴმა მოდის მალ-მალედ:
ღულელ მანგია ვარიო.

და შემდეგ:

სამნი გვეტანნეს მჴედარნი
ცხენებზე ხქონდათ თვალიო.
ბიას ჴელში აქვ მათრაჴი,
ლომნისა — ლაგმი ტარიო;
დეზთ იკრავს ნაოგურაი:
"ლიქოკთ ჩალხისძე ვარიო.
იარ, ნავიდათ, მოკლიავ,
დავხიათ ქართლის ნყალიო...[გვ.18].

ნ. ხიზანიშვილის (ურბნელი) მიერ ჩანერილი ტექსტი "სათრუსოოდ" ზემოხსენებული ფაქტი ასეა წარმოდგენილი:

ერეკლე ბატონიშვილი
ას ღთისგან დავლათიანი:
სათრუსოოდა გაღბედავს,
– სავსე ას საქონიანი:
ჴევსურებს დაიბარებდა:
"თავი დამჭირდა ყმიანი".
დაემზადნიან ჴევსურნი:
"ოსების ჩვენ გვჭირს ზიანი".
ჩამავა გაიდაური,
მანძილა, რქა — ჯანგიანი;
მახყვების თამარის ძეი,
დროშამ მაიღა ძგრიალი.

თრუსო გალეწეს ჴევსურთა,
ა ისრ რო კალო ძნიანი.
გახუა ხიტალიონი
ბასრი ჴმალია ფხიანი.
ღვთისია ატაბიონი
შაორდენია მჴრიანი,–
ციხის კარ შატანებიყო,
მკვდარ დარჩა სისხლ-ტიგრიანი.[114]

ნარმოდგენილი მაგალითებითაც ნათელია, რომ ხალხური ლექსი თავისი დრიოს მხატვრული ისტორიაა. აქ, მართლაც, არავინ არ არის დავიწყებული! კაი ყმის მარადიული უკვდავება ხალხის მეხსიერებაა.

სამშობლოსმოყვარულ, მისთვის თავდადებულ, ერისა და ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავგანწირულ მეფეთა შესახებ ისტორიული მასალები თუ ზეპირი ხალხური წყაროები მხოლოდ ერთი თავისებურებით განსხვავდებიან: ეს გახლავთ თხრობის სტილი. არადა ისტორიკოსიც და მთქმელ – შემოქმედიც საუბრის დროს გულწრფელია. მის ნათქვამში დაეჭვება ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ საყვარელი მეფის შესახებ თხრობა მხოლოდ დამსახურებული, ობიექტური და უტყუარი უნდა იყოს. აქ საუბარი არ არის იმაზე, ნერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი ლიტერატურა ამა თუ იმ გვირგვინოსნის სიცოცხლეშივეა შექმნილი თუ მისი მიცვალების შემდეგ.გ. ქიქოძე წერდა: ერეკლე მეფეს "ქართველმა ერმა საალერსო სახელი, პატარა კახი უწოდა. ის შედარებით პატარა იყო თავისი ტანით, მაგრამ თავისი ანთებული სულით, თავისი პოლიტიკური და სამხედრო გენიით (ხაზი ჩვენია – ზ.ს.) ის თითქოს უფრო ფართო სოციალური გარემოცვის მასშტაბზე იყო გამოჭრილი და უფრო ფართო დიდი ეპოქის წინამორბედს წარმოადგენდა"[115]. ფრიად საგულისხმო შეფასებაა!

ერეკლე მეფე, ვფიქრობთ, მართლაც არის ხალხური ლექსით ნარმოჩენილი კაი ყმის კლასიკური სახე.

ჯარისკაცები კი გენერლობაზე ყოველ დროში ფიქრობენ!

აქ არც იმის დავიწყება შეიძლება თუ ერეკლე მეფის გარდაცვალება როგორ განიცადა და წარმოაჩინა მისმავე მშობელმა მშრომელმა ხალხმა.

1798 წელს ერეკლე გარდაიცვალა. ტრაგედიას, ბუნებრივია, დიდი მწუხარებით შეხვდა ერი. მაშინ დაიწერა მეფის უერთგულესი მსაჯულის სოლომონ ლიონიძის დატირება მეფისა; მაშინ დაიტირა

---

[114] გაზეთი "ივერია", №90, 1891წ., №90, 1891წ.

[115] გ. ქიქოძე. ერეკლე მეორე, თბ. , 1941, გვ. 151

მეფე ვაქირელმა ქალმა, მაშინ შეიქმნა არაერთი ხალხური ლექსი, რომელთა ერთი ნაწილი ჩვენამდე ზეპირი გზით მოვიდა.

ერეკლე მეფის გარდაცვალებით გამოწვეულ ზეპირპოეტურ ლექს-სიმღერაში, ცხადია ერის წინაშე ერის მამულიშვილის დამსახურებაზეა ყურადღება გამახვილებული.

ერეკლე მეფის გლოვის გამომხატველ ხალხურ ლექსში სახის-მეტყველების არაერთი თვალსაჩინო მაგალითია დავიწყებას გადარჩენილი:

ერეკლე მეფე — საქართველოს შეუვალი რკინის კარი იყო:
ვერ გაჲრგეთა ქართველნო?
შაგევსნათ რკინის კარიო.
მზე ჩაგვივიდა უკუღმა,
ჩავარდა შუა ზღვაშიო [გვ.55].

სახალხო გლოვის გამორჩეულობაზე მიუთითებს ლექსის მხატვრული სახე:

ა) ატირდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაშალა ნამიო [გვ.55].
ბ) არ გიფრიალებთ დროშები,
არცა სჭეხს ზარბაზანიო [გვ.55]
გ) არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არის, განაყარიო. [გვ.55]

დატირებაში თვით დახასიათების ცნობილი ხერხით, გამორჩეული სიზუსტითაა მითითებული ქვეყნისადმი ერეკლეს სამსახური, მისი თავდადებისა და ღვთივკურთხეულობის შესახებ:

სანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯე,
მივძრენ და მოვძრენ ზღვანია,
ახლა თქვენ გაიმაგროდით
ქალაქის მეიდანია [გვ.55]

ლექსში ხაზგასმულია ისიც, რომ "იმის სანეფოზედა, იცილებიან სხვანია". თვითონ დიდი მეფე კი "ზეცას წავიდა ღმერთთანა, ქრისტესთან წილ-ნაყარია".

ისტორიაც და ფოლკლორიც ერის წარსული ცხოვრების, ათასი ჭირსახდელით განვლილი წლების სურათია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ეპოქის ახალგაზრდობის სულიერი ამაღლებისათვის.

მეოთხე თავი

კაი ყმისა და მისი სიკვდილის სახისმეტყველება ხალხურ სამგლოვიარო პოეზიაში

სახისმეტყველება მხატვრულ სახეთა შესწავლასაც გულისხმობს... და სახეებით აზროვნებასაც. ტერმინი უფრო ადრინდელია, მერვე საუკუნიდან გვხვდება,[116] (რ. სირაძე), ვიდრე მისი იდენტური **პოეტიკა.**"

ცნობილია, რომ **პოეტიკა** ლიტერატურული **ნაწარმოების** მხატვრულ თავისებურებებს გულისხმობს.

ა.ჭილაია წერს, რომ **პოეტიკა** მეცნიერებაა მხატვრული ლიტერატურის შესახებ, ლიტერატურის თეორიის შემადგენელი ნაწილია, რომელიც სწავლობს აზრის მხატვრულად გამოსახვის ფორმებს, საშუალებებს, ნაწარმოების კომპოზიციური აღნაგობის ხასიათს, პოეტური ენის ბუნებას საერთოდ.[117]

პოეტური თავისთავად ნიშნავს აზრის გადმოცემის ყველა დანარჩენი თავისებირებებიდან გამორჩეულს, განსხვავებულს. ნებისმიერი თხზულება იმდენადაა **მხატვრული** რამდენადაც მისი პოეტური ენა მხატვრული ხერხების, მხატვრული საშუალებების სიუხვითაა მდიდარი. აქ, ლიტერატურულ ძეგლებთან ერთად, თავის სათქმელს ამბობს ქართული ხალხური შემოქმედება, პოეზია.

ხალხურმა მხატვრულმა სიტყვამ კაი ყმის ანუ კაცური კაცის იდეალი შექმნა და დაუვიწყარი პოეტური შესაძლებლობებით გამოაქანდაკა მისი საზოგადოებრივი ხატი. კაი ყმის ხალხური მონუმენტური ხედვის ანკარა წყარო კვებავს ქართული მწერლობის ისეთ შედევრებს, როგორიცაა შ. რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსანი", ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის და ა.შ. განუმეორებელი პროზისა თუ პოეზიის ნიმუშები.

ვიმეორებთ, ზეპირსიტყვიერებამ კაი ყმის დიადი საგალობელი შექმნა, რომელსაც ტოლს ვერ დაუდებს რომელიც გნებავთ ქვეყნის არა მხოლოდ ფოლკლორი, არამედ – თვით მწერლობაც.

ხალხური საგმირო პოეზია არაჩვეულებრივი სიზუსტით, სიცხადითა და გულთამხილაობით წარმოაჩენს ხალხის წრიდან გამოსული მოყმის იერ-სახეს.

---

[116] **რ. სირაძე**, სახისმეტყველება, თბ. 1982. გვ. 5

[117] **ა. ჭილაია**, ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ. 1971. გვ. 330

კაი ყმა, მგელი, არწივი,
არც ერთ არ გაინურთნება,
მგელი არ მაშლის მგლობასა,
კაი ყმა – მამაცობასა,
არწივი – არწივობასა,
მთის ყურეთ ნადირობასა [III, 94].*

მაღალზნეობრივი კაცის მასწავლებლად, მოძღვრად დღესაც გამოდგება კაი ყმის შესახებ ხალხური ლექსი. განა დღეს არ გვჭირდება ქვეყნის გამრიგე და სოფლის პურ-წყალი კაი ყმა?! არადა

კარგ ყმასა ჰშურობს სოფელი,
იტყვიან: კარგი რათ არი?
საქმე რომ გაუჭირდება,
ყველა იბარებს — სად არი?! [III, 105]

ანდა:

შაუპატივეთ კას ყმასა
ჯარზედა დიდის თასითა,
რახან გაჭირდას, კაი ყმა,
საყიდ ას დიდი ფასითა [III, 105]

კაი ყმა ადვილად არ მოიძებნება, იოლად არ იპოვება. მას მხოლოდ ჭირსახდელი ბადებს, რასაც შეიძლება ერქვას სამშობლოსა და მოძმის დაცვისათვის ომი, ქვრივ-ობოლთა მოვლა-პატრონობა, უშოვარ-უპოვართათვის ზრუნვა და ა.შ.

კაი ყმა მხოლოდ ჭირსახდელში იბადება, იხვეწება, იწრთობა. ეს ყველაფერი იცის კაი ყმის მშობელმა ხალხმა:

ნადირი როგორ მაილკას
სამჯერ მთა გადუველადა,
კაი ყმა როდი იცდება,
ომში შიგ შაუსვლელადა. [III,107]

კაი ყმა შრომაში იცნობა. იგი ბუხართან ნაცრის ქექვით არ იბადება. იგი არც მექალთანეა, არც ღვინის ტრფიალი, არც ზნეობადამდაბლებულთა სულის სათბურებში იზრდება, არც ციდან ვარდება. იგი მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ინტერესებიდან მოდის და მას ემსახურება. იდეალიც იგია:

კარგ ყმას შეჰყვარდი, ქალაო,
ნუ-სახლსა ცხვარ-ბევრისასა, –
ბევრი ცხვარი და ქონება
მუხლს მოაქვს კარგის ყმისასა! [III, 109].

კაი ყმა ალღოშეუმცდარი ნინამძღოლია, სოფლის შეუვალი კარი, მისი ფარი და მახვილია, ადამიანთა თვალთა ჩინი და პატრონია, სოფლის გაუტეხელი სიმაგრეა.

---

* აქ და ქვემოთ ფრჩხილებში მითითებულია, ქართული ხალხური პოეზია, თორმეტ ტომად, (ქხპ) ტომის რომელობა და გვერდი).

სოფლად სტირიან ქალები:
სოფელს კაი ყმა კვდებაო,
ღმერთო, ნუ მაჰკლავ კას ყმასა,
სოფლობა ნაგვიხდებაო [III,113].

კიდევ:

ღმერთო, ნუ მაჰკლავ კარგ ყმასა,
ნუ ჩამააცლევ ავ ხმასა! [III, 112]

ღვთისადმი სავედრებელ ასეთ ხალხურ აფორიზმებში ხალხის საქვეყნო ღაღადი ისმის. ასეთი მიმართვები, თხოვნა, ხვეწნა-მუდარა აგებულია სახალხო შეხედულებებზე.

კაი ყმას თურმე, სამარეშიც არ ასვენებს მამულზე ფიქრი. თუ მტერი მის სიკვდილს გაიგებს, მაშინაც კი იგი "სამარეშიით ადგება, ან თოფს აიღებს, ან ხმალსა" [III, 112].

კაი ყმა სახალხო საქმის მკეთებელს ჰქვია. იგი სხვისი ქომაგია, დღენიადაგ სხვისი დამპურებელი და დამცველი; ამხანაგთათვის მზრუნველი, მათი ერთგული, მოამაგე, მათი ჭირ-ვარამის გამზიარებელი:

სადაც კარგია კაი ყმა,
რაის კარგისა მქნელია?
წავალის, მაჰკლავს ნადირსა,
ჭალაში მწვადის მწველია,
დააძღებს ამხანაგებსა,
თავად მშიერა მგელია. [III,99]

საინტერესოა ამ ტექსტის ჩაწერისა და მწერლობაში გამოყენების ისტორია: ვაჟა-ფშაველა ფეოდალიზმის ეპოქაში შექმნილ ზეპირსიტყვიერებაზე საუბრისას ნიმუშად, სხვათა შორის, ხსენებულ ლექსსაც იმონმებდა:

სადაც კარგია კაი ყმა,
რაის კარგისა მქნელია —
წავალის, მოჰკლავს ნადირსა,
ჭალაში მწვადის მწველია;
დააძღებს ამხანაგებსა,
თავად მშიერა მგელია[118]

1889 წელს დაწერილ ნარკვევში "გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით" ვაჟა-ფშაველა ამ ლექსს ხელახლა იმონმებს და ასკვნის: "დიაღ, გმირი მსხვერპლია სოფლისა,... სხვისი სიცოცხლისათვის თვითონ სიკვდილს ეძლევა პირში".[119] პოეტის თქმით,

[118] ვაჟა-ფშაველა, თხზ. ხუთ ტომად, ტ. V, თბ. 1961, გვ. 18-19.
[119] იქვე, გვ. 76

ამ ლექსში "საზოგადო აზრია" წარმოდგენილი – "გმირი თავისის თანამოძმისათვის მუდამ თავს დასდებს"[120].

ლექსი ვაჟას ძმას თედო რაზიკაშვილსაც ჩაუწერია.[121]

ამ ექსკურსით ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ მოტანილი ლექსი თავისი მიზანდასახულობით ფრიად პოპულარულია და სახალხო ფუნქციას აქტიურად ასრულებს.

ხალხურ ლექსში კაი ყმის შესახებ საუბრისას არც ცუდი ყმაა დავიწყებული. ორიოდე მაგალითი:

კაი ყმა ხმალსა ჩახედავს:
"ნეტარ, გამიჭრის, თუ არა?"
ცუდაი — ქალის უბესა:
ნეტარ, შემიხვევს, თუ არა?[122]

ან:

კაი ყმა ლაშქარს მოკვდება,
სნორების მჯობინობასა,
ცუდაი — ბოსლის ყურესა,
ქალებთან ლოგინობასა.[123]

კიდევ:

ატირდა კაი ყმის ცოლი:
"აღარ მამივა შინაო".
იცინის ცუდაის ცოლი:
"გამაიქცევა წინაო".
გამაქცეულის მასვლასა
არ-მასვლაი სჯობს შინაო. [124]

კაი ყმის თავგადასავლისა და კაი ყმობის ამსახველ ხალხურ პოეზიაში აშკარად შეინიშნება, რომ კაი ყმის ოჯახური გარემო ერთგვარად თავისებურია. აქ უფრო ცოლის მხატვრული სახეა წინ ნამოწეული.

ჯერ ის ხალხური მინიატურა გავიხსენოთ, რომელსაც დღესაც ამაყად ვმღერით:

ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო.
დაბრუნება და შინ მოსვლა –
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.[125]

---

[120] ვაჟა-ფშაველა, თხზ ხუთ ტომად, ტ. V, თბ. 1961, გვ. 76.

[121] ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მ ჩიქოვანის რედაქციით, თბ. 1953, გვ. 53.

[122] ქხა, ტ. III, თბ. 1974, გვ. 83

[123] იქვე, გვ. 83.

[124] იქვე, გვ. 109.

[125] ერ. ჩხიკვაძე, სადახ. კრებ. გვ. 203.

უკომენტაროდაც ნათელია თუ რატომ უხარია კაი ყმას მტერზე გამარჯვების შემდეგ შინ მობრუნება: კარგი ცოლი კი უთუოდ ნიშნავდა ნამუსიან, ოჯახისა და მეუღლის ერთგულ, ქმრისა და შვილებისათვის თავდადებულ ქალს.

კაი ყმას, გუმანითაც კი არ ჰქონდა მორალური უფლება სხვის ცოლზე აუგის გაფიქრებისა. აქ პირდაპირ ბატონობს ბიბლიური მცნება: "არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა"[126]...

ეს მცნება უთუოდ უდევს საფუძვლად ამ ხალხურ მინიატურასაც:

ვაჟკაცო, გულო ჯომარდო,
აბჯარი გინდა ხისაო,
ხარი, კამეჩი თავისი,
ცოლი რად გინდა სხვისაო?![127].

გასათხოვარი ქალის სურვილი, ბუნებრივია, კაი ყმის მეუღლეობა იყო. ძნელია იმის გამოცნობა ბედი რას უმზადებდა ასეთ შემთხვევაშიც ქალს, მაგრამ მაინც სვილისფერაის ცოლობა ერჩია: ხალხიც გულწრფელად მღეროდა:

კარგისა ყმისა ცოლობა
ნუ გიხარიან, ქალაო:
წავა და ლაშქარს მოკვდება,
დარჩები ცარიალაო.[128]

კაი ყმის ცოლი დაქვრივების მუდმივ საფრთხეშია, რამეთუ ცხოვრებაა თვითონ ამის საფუძველი:

რად იტყვის კარგის ყმის ცოლი,
დიდხანს ვიქნები ქმრიანი?!
სიკვდილისა და ქმრისაგან,
ორისგანვე აქვს ზიანი...
წაუვა, დარდით მოკვდება,
ვაჰმე, თუ დავრჩე ტიალი![129]

კარგ ვაჟკაცს ვერაფერი ერევა, გარდა მეუღლის მსუბუქი ყოფა-ქცევისა: - "რა მაჰკლავს ვაჟკაცის გულსა, ცუდისა დიაცის მეტი?!" – იტყვის ხალხი და იქვე შეღაღადებს მეუფეს:

ღმერთო, ნუ შაჰყრი ვაჟკაცსა
ცოლსა ყბედსა და მძინარსა,
ის დააბერებს, ის მაჰკლავს,
ის შერთავს წყალსა მდინარსა![130]

---

[126] საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ, 1980, გვ. 17
[127] ჭბა, ტ. III, თბ. 1974, გვ. 79
[128] იქვე, გვ. 109.
[129] იქვე, გვ. 109-110.
[130] იქვე, გვ. 110.

– "სხვის ცოლის მდომელს ვაჟკაცსა სამარემც დაეკვეთება!" – ასეთია სახალხო რისხვა. ასეთ კაცს საიქიოში სამოთხე არ აქვს. მისაღები და დასაჯერებელია ხალხის ზნეობა, მისი მორალი, დიდაქტიკა:

ღრუბელო მიდეგ და მოდეგ,
პირს ნუ დაჰმალავ მზისასა,
ცოლს ნურას შეეხუმრები
თავს უკეთესის ყმისასა,
თორ გზაში შამოგეყრება,
სულს ჩამოგაბნევს მგლისასა,
გასწავლის ომის გახდასა,
ამომღერებას ხმლისასა,
არ გონებულჩი გვიჩვენებს
ფხას თეთრის ფრანგულისასა. [III, 111].

კაი ყმის შესახებ საუბრისას ჩვენ იმიტომ მივაპყრობთ გულისყურს ქალისადმი ვაჟკაცის დამოკიდებულებას, რომ კაი ყმა პოტენციურად მთელი ხალხის, ტომისა თუ ოჯახის განმასახიერებელია, საბოლოო ანგარიშში კი – ეტალონი მშობელი ერისა.

კაი ყმა ადამიანის შრომითი საქმიანობისა თუ საბრძოლო თავგადასავლების ერთგვარი შემკრებელია. იგი მთელი საზოგადოების კუთვნილებაა, მისი მრავალწახნაგოვანი მოღვაწეობის თავი და თავია, მისი ამაღლებული იდეალის გამოვლენაა. გასაგებია თუ ერის ზნეობრივი მოღვაწეობის ისტორიაში რა დიდი უნდა იყოს კაი ყმის როლი და მნიშვნელობა.

ჩვენი ეროვნული ფოლკლორი სახისმეტყველების უდიდეს საგანძურს ფლობს.

აღნიშნულის საილუსტრაციო მდიდარი მასალიდან ქვემოთ ცალკე გამოვყავით— კაი ყმის სიკვდილის მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი. გვაინტერესებს, რა პოეტური დატვირთულობით წარმოჩნდება ხალხურ ლექსში კაი ყმა და მისი სიკვდილის ცნება, როგორია მისი პოეტიკა, რა მოცულობასა თუ სიღრმეს იძენს ხალხურ პოეზიაში სიკვდილის ესთეტიკა.

ხალხური ხმით ნატირლების მიხედვით, სიკვდილი მოგზაურია: გადადის მთიდან ბარში, ბარიდან-მთაში. იგი ყველაზე საუკეთესო პიროვნებას დაეძებს, რჩეულთა შორის რჩეულს ამოარჩევს. ბერდედა ნუხს და ანათემას უთვლის სიკვდილს:

სიკვდილო გასაოხრებელო,
მთაჩიგით ბარად ჩამოსულო,
ორნივამც დაგტეხნიყვეს ფეჴნიო,
ორნივამც წამოგთხარნა თვალნიო.[131]

[131] აქ და ქვემოთაც ფრჩხილებში მითითებულია ქართული ხალხური პოეზია თორმეტ ტომად, ტომის რიგობითი ნომერი და შესაბამისი გვერდი.

სიკვდილზე ლაპარაკი ძნელზე ძნელია. მოტირალის გულის ვარამის გაქარვება, ალბათ, მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ სიკვდილსაც ეყოლებოდა შვილი და მას სხვა სიკვდილი მოუკლავდა! ეს პოეტური პირობითობა ხმით ნატირალში განსაკუთრებული ემოციითაა წარმოდგენილი და პოეტურად დამუშავებული:

ნეტავ სიკვდილსამც მისცა შვილიო,
იმას სხვა სიკვდილ შამაჰყარაო,
დედასა, დასამც ახდევნიაო. [V,73]

აქ მოიარებითაა ნათქვამი იმ დიდი სევდისა და მწუხარების შესახებ, რაც შვილ თუ ძმამკვდარი დედისა თუ დისათვის ბუნებრივია.

ქართულ ხალხურ პოეზიაში სიკვდილის სიმბოლიკა განსაკუთრებული ემოციურობით არის გათვალსაჩინოებული. მასალაში თავს იყრის პოეტური აქსესუარი, რაც მთქმელთა წარმოსახვასა და, აქედან გამომდინარე, მათს ყოფით შესაძლებლობებს, ემოციურ თვალსანიერს სცილდება. აქ ყველაფერს თავისი საზომი გააჩნია.

დავიწყოთ იმით თუ, კაი ყმის დატირებისას რატომ უნდა იყოს მხატვრული სახე ასე დატვირთული, ასე ემოციური, ასე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი?

კაი ყმის სიკვდილი სამყაროს აზრიალებს, ისიც ტირის. სამყარომაც იცის მამულის ერთგული შვილის ადამიანური დატირება. აქ ჯერ ხოგაის მინდის სიკვდილის გამო შექმნილი ის ხალხური ლექსი გვახსენდება, სადაც ბუნება გმირის უბადლო დამტირებლადაა ნარმოდგენილი და რაზედაც ამ ნაშრომში სხვაგანაც გვაქვს საუბარი:

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე ნითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭეხდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა,
ჩამოდიოდა მასკვლავი,
მთვარეც უკუღმა დგებოდა,
ქორ-შავარდენი, არწივი
სუ მხრებით იხოშებოდა.
მაღლის ჭიუხის ნადირი
სატირლად ემზადებოდა. [IV, 33]

ეს ჭეშმარიტი ხელოვნების რანგში აყვანილი პოეზიაა! როდის ხდება ასეთი რამ? – მხოლოდ მაშინ, როცა მოვლენა, ფაქტი, შემთხვევა არა შენს გარეთ, არამედ შენს შიგნითაა, შენს სულშია, შენი საკუთარია, როცა უიმისოდ არ არსებობ. დამოწმებულ ხალხურ ლექსში კი, როგორც ჩანს, ხოგაის მინდი ის კაცია, ვინც მამულს, ერსა თუ ბერს, ცასა თუ მიწას ერთდროულად შვენოდა. ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი – "ძნელია მოკვდეს ვაჟკაცი"...

ნარმოდგენილ ლექსში თამამად შეიძლება ვილაპარაკოთ თითოეული პოეტური სახის ნარმომავლობის შესახებ. სანიმუშოდ თუნდაც მეორე ტაეპის – "მზე წითლდებოდა, ცხრებოდა" მხატვრულ სამოსელს გადავავლოთ თვალი.

ლექსზე საუბრის დროს ვ. კოტეტიშვილი იმაზედაც ამახვილებს ყურადღებას, რომ იგი, "ხოგაის მინდი", არის "ზედმეტად გმირული და ნახევრად მითოლოგიური მსოფლმხედველობის საუკეთესო ნაშთი"[132]

ზეპირსიტყვიერებაში წითელი ფერი ძალიან ხშირად გარდუვალი სიკვდილის მაუწყებელი ფერია. ვ. კოტეტიშვილი ხალხურ ბალადაში "თავფარავნელი ჭაბუკი" ნათქვამი ტაეპის "წითელი მოვის პერანგი", გამო წერდა: "წითელი ფერი ამ შემთხვევაში ჭაბუკის სიკვდილთან არის დაკავშირებული". შავ ფერთან ერთად "წითელი ფერიც სიკვდილის ფერად ითვლებოდა... ბერძნულ-რომაული მითოლოგიის მიხედვით... ქვესკნელის ღმერთი, წითელ პერანგიანია"[133].

ცნებას ანალოგიური შინაარსი ახლავს ხალხურ ეპოსშიც. თ. რაზიკაშვილის მიერ ჩანერილ ზღაპარში "ვაშლა" ვკითხულობთ: "– გაუვსო ჭიქა წყლით და უთხრა: სანამ ეს წყალი ჭიქაში ფერს არ იცვლის, ცოცხალი მიგულეთ, განითლდება და მკვდარი ვარო"[134]. ხალხურ ლექსში მინდის მზის განითლებაზეა ხაზგასმა, მაშასადამე, მინდის სიკვდილი გარდუვალია.

ფაქტის შინაარსზე ხაზგასმის უამრავი მაგალითიდან შეგვეძლო ერთი სატრფიალო მინიატურაც დაგვემოწმებინა:

შირაქის ველზე მივდივარ
უკან მაბრუნებს ქარიო.
წინ შემეყარა პეპელა
წითლად უჩანდა მხარიო.
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო.[135]

აქაც კაბის ფერი უმალ მოსალოდნელი სიკვდილის განცდას ბადებს, რაც, თუ დავაკვირდებით, თვითონ ნარმოდგენილი სტროფის შინაარსშიც თავისუფლად იგულისხმება.

არანაკლებ საინტერესოა ტაეპის მეორე პოეტური ხატი — მზის დაცხრომა '"მზე წითლდებოდა, ცხრებოდა"'.

---

[132] ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ. 1961, გვ. 336
[133] იქვე, გვ. 336
[134] ხალხური ზღაპრები, თ. რაზიკაშვილის მიერ კახეთში ჩაწერილი, თბ. 1909, გვ. 21
[135] ჩვენი საოჯახო კოლექციიდან.

დაცხრომა –ძველ ქართულში დაწყნარებას, დამშვიდებასაც ნიშნავს და — დადგომა, დადუმებასაც[136]. ჩვენს ტექსტში აშკარაა, რომ მზის დაცხრომაში მზის მოსალოდნელი დადგომა, ჩაქრობა იგულისხმება. ხალხურ ძეგლებში ხომ გვაქვს მზის დადგომა — შეჩერების უნიკალური მაგალითები:

მზეო, დადეგ და დაგვიანდი,
მზე სდგეხარ უკენობისაო [V, 104].

სხვა მაგალითი:

ო! მზეო დადეგ დაგვიანდიო [V, 106].

თანამედროვე ქართულ პოეზიაში მზის შეჩერების ხალხური მხატვრული სახე საკმაოდ ხშირად გაიელვებს. საკმარისია გავიხსენოთ გ. ლეონიძის ცნობილი ლექსი "არ დაიდარდო, დედაო".

კაი ყმის სიკვდილი მხოლოდ **გმირული** შეიძლება იყოს. მისი გარდაცვალება მართლაც არის ერის დიდი დანაკლისი. ქვეყნის მომვლელ-შემნახავთან სამუდამო განშორება ისევე ძნელია, როგორც მისი ასეთად აღზრდა. მისი სიკვდილით ამ ქვეყნად რაღაც ირღვევა, შეუვსებელი სიცარიელე ჩნდება. იქნებ ამიტომაც არის, რომ ხალხური ლექსი კაი ყმის გარდაცვალებას მაღალმხატვრულად გადმოსცემს, რითაც ცდილობს შარავანდედი მოჰფინოს და უკვდავების გვირგვინი დაადგას მის ხსოვნას. ესეც იმიტომ, რომ ამ მხატვრული აქსესუარის აფიშირება მომავალ კაი ყმებს ზრდის. მათი მსმენელი უთუოდ ითვალისწინებს წინაპრის ადგილს ჩვენს ყოფიერებაში და უშურველად აგრძელებს მემკვიდრეობას.

ლექსში კაი ყმის სიკვდილი დედის წიაღიდან ნაყოფის იძულებით ამოგლეჯვის გამო გამონველი ტკივილების ტოლფასია, რაც მხატვრული წარმოსახვების გამას ქმნის და ლირიკის განუმეორებელ შედევრად იქცევა.

მტრის გამჯავრებლის, მტრის ჯავრის ამომყრელის სიკვდილი ცის ქუხილს ჰგავს, რაც მარტივი შედარება არ არის:

ცის ქუხილივით გაისმა
პირიქით სიკვდილ გმირისა [V,126].

არც ქვემოთ წარმოდგენილი მეტაფორებია მარტივი. კაი ყმის სიკვდილით:

მზე დაგვიბნელდა ცისაო [V, 139].

ან:

ლიბო იშლება ქვისაო [V, 136].

ან კიდევ:

ნაპირი მოსტყდა ცისაო [V, 199].

---

[136] ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973, გვ 133.

ვინც მტრის ჯავრს არ ჭამს, ვინც ხმელეთის თვალია, მისი სიკვდილია ასე დამაღონებელი, ასეთი პოეტური ძალით ცხადყოფილი, ასე სადარდელი და სატირალი. მრავალგვარ პოეტურ სახეს შეხვდებით აქ: გმირის სიკვდილის გამო: "ატირდა დედამინა", ქვის ციხე დაინგრა '"ციხე დაგვექცა ქვისაო"', ციდან მეხი დაგვეცა '"მეხი დაგვეცა ცისაო"', "ცანი დაეცა ზანდუკსა" [V, გვ.137], ციხე შუაზე დაიშალა [V, გვ.125], "ინგრევა ციხე მაღალი" [V, 180], "ციხემან ჩარდახნ ჩამოყარნაო" [V, 103], "ოჩიაურნი ჩამასეტყვნა" [V, 106], "ციხე, უდროოდ ჩამოშლილო" [V, 110], "ცა გასქდა, მეხი გაისრივაო" [V, 115], "ხიდი გაუტყდა გველეთელთა" [V, 116], "ციხე დაგვექცა ქალო-დ ზალოო" [V, 71] და ა.შ.

სიკვდილის ფაქტს განსხვავებული ემოცია ახლავს. აქ განცდა და მისით გამოწვეული მწუხარება მეტად ხელშესახებია და აშკარა. მართალია, ყოველივე ეს, საერთოდ, ბუნებრივი მახასიათებელია ხალხური ლექსისა, მაგრამ კაი ყმის სიკვდილის სახისმეტყველებაში მეტია დამარწმუნებელი ძალა, რაც მსმენელსა თუ მკითხველს უთუოდ ჩაგითრევს, გაგიყოლიებს. ასეა ლექშიც "კვირაეს გათენებადა". კაი ყმათა სიკვდილის გამო თქმულ ხალხურ ლექსში ზღვარდაუდებელია ტკივილი რაც საოცარი პოეტური ხილვებითაა შეძერწილი:

ჩამოგეშალათ ციხეი,
შაგეხსნათ რკინის კარია,
კუთხე დაეძრა ციხესა,
გამაეყრივნეს ქვანია,
ჩარდახნ მინაზე დაეცნეს,
ჩამოჰყვა უფლის თვალია.[137]

კაი ყმის სიკვდილის მხატვრულ სტრუქტურაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სიკვდილის სიზმრისეული საზრისი.

სიზმარი, როგორც ნესი, წინასწარმეტყველების ხალხური შესაძლებლობაა, რაც სიმბოლიკის სფეროს განეკუთვნება. სიზმარი თავისებური ფორმაა ნათელმხილველობისა. სიზმრის უამრავ სახეებს შორის (რამდენი ადამიანიცაა იმდენივეა სიზმარიც!) თავისი ახდენა – გაცხადებით ჩვენ ე.წ. "მხრიან სიზმარს" ("შირაქში ერთმა მოყმემა სიზმარი ნახა მხრიანი"...) გამოვარჩევდით. ასეთი სიზმრის ერთ-ერთ ნიმუშად მიგვაჩნია გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაწერილი ტექსტი პ. უმიკაშვილის ფოლკლორული არქივიდან:

ქალმა სთქვა: სიზმარი ვნახე
დამდეგ ენკენისთვისასა:
ცა ნითლად, ყვითლად ელავდა,
სეტყვას ისვრიდა ქვისასა,

[137] ქართული ხალხური პოეზია თორმეტ ტომად, ტ. V, თბ. 1976, გვ. 150

თავზედ მაქცევდა ჩარდახსა,
ჩამოსხმულ კელაპტრისასა,
ბაღში ხეხილსა ამტვრევდა,
დარგულსა ალვის ხისასა,
ნეტავ ვიცოდე, რა არის —
სიკვდილს იტყვიან ქმრისასა.[138]

ტექსტის ვარიანტის დასკვნითი ტაეპები მოცემული სიზმრის ახსნას წარმოადგენს:

ვნახე და კიდეც მოვენარ
სიკვდილსა თავის ქმრისასა.[139]

სიკვდილის წინასწარხედვითა და მასთან დაკავშირებული მხატვრული სიმბოლიკით უდავოდ მდიდარია ქართული ხალხური პოეზია. აქ უამრავია დახვეწილი მხატვრული სახე. ნატიფი ხალხური მეტყველების სტილი და გამაოგნებელი ტროპიკა საშუალებას იძლევა იმის ნათლად წარმოდგენისას, რა დიდია ხალხი-პოეტი, რა გლობალური შინაარსისაა მის მიერ ნაძერწი მხატვრული ღირებულება. სანიმუშოდ ანტიფონური შესრულების ერთი პოეტური ტექსტის დამოწმებაც იკმარებდა. ლექსის სათაურია "სიზმარი".დიალოგური ფორმის ლექსში დედა-შვილის კითხვა-პასუხის ფონზე წარმოდგენილია ტრაგიკულის მომასწავებელი სიზმარი და მისი დედისეული ახსნა-წინათგრძნობა. ტექსტის ლექსიკა საფუძველს გვაძლევს, იმისას, რომ ძეგლის პოეტური სახეების მითოლოგიურ წარმომავლობაზე ვიფიქროთ. აი, ისიც:

სიზმარი

"წუხელისა სიზმარშია –
ნეტავ დედავ რაო?
მთვარე დაბნელებულიყო,
ნეტა დედავ რაო?
– შენი წუთისოფელია,
ვაჰ შენ დედასაო!
წუხელისა სიზმარშია,
ნეტა დედავ რაო?
ალვის ხე ნაქცეულიყო,
ნეტა დედავ რაო?
– შვილო, შენი ტანი არი,
ვაჰ შენ დედასაო!
წყალსაცა ყუთი მიჰქონდა,
ნეტა დედავ რაო?

[138] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ. 1937, გვ. 207
[139] იქვე,

– შვილო, შენი კუბო არი,
ვაჰ შენ დედასაო!
შიგვე იყო ერთი ბოხჩა,
ნეტა დედავ რაო?
– შვილო, შენი მორთულობა,
ვაჰ შენ დედასაო!
გვერდით ჰქონდა თეთრი ტილო,
ნეტა დედავ რაო?
– შვილო, შენი სუდარაა,
ვაჰ შენ დედასაო!
კარებზე დგას ალვის ხეო,
ნეტა დედავ რაო?
– შვილო, შენი ტანი არი,
ვაჰ შენ დედასაო!
იმას ჰქონდა ორი ტოტი,
ნეტავ დედავ რაო?
– შვილო, შენი ხელ-მკლავია,
ვაჰ შენ დედასაო!
იმას უჯდა ორი მტრედი,
ნეტა დედავ რაო?
– შვილო, შენი და-ძმანია,
ვაჰ შენ დედასაო!
გაღმით ირემი ბღუოდა,
ნეტავ დედავ რაო?
– შვილო, მამაშენი არის,
ვაჰ შენ დედასაო!
მინდორში ძროხა ბღაოდა,
ნეტა დედავ რაო?
– შვილო, შენი მშობელია,
ვაჰ შენ დედასაო!
ცაში ჩიტი მიფრინავდა,
ნეტა დედავ რაო?
შვილო, შენი სული არის,
ვაჰ შენ დედასა![140]

მართლაც, სამყაროს მითოლოგიური აღქმის საფუძველზე შექმნილ სახეებად წარმოგვიდგება ლექსში დამოწმებული ტროპის ნიმუშები: "მთვარე დაბნელებულიყო", "ალვის ხე ნაქცეულიყო", "თეთრი ტილო", "ალვის ხე" და მისი "ორი ტოტი", ირმისა და ძროხის ბღა-

[140] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ. 1937, გვ. 179.

ვილი, "ცაში ჩიტი მიფრინავდა" და ა.შ. თითოეული მათგანი სიმბოლური მითოლოგემაა, ხელშემწყობი პერსონაჟის ბედის წინასწარ განჭვრეტა-აღქმისათვის. ყოველივე ეს კი მხატვრულ სახეზე დაკისრებული სიმბოლური შესაძლებლობაა, სადაც ფართოა სამყაროში არსებული მოვლენების პოეტური ხედვა.

როცა ჩვენი ზეპირსიტყვიერებით ცნობილი, ე.წ. ხალხური სიზმრების პოეტიკას ვსინჯავთ, გასაკვირი აღარ უნდა იყოს ვაჟა-ფშაველასეული სიზმრების მრავალპლანიანობა თუ შინაგანი იმპულსები, პერსონაჟის მოღვაწეობაში სიზმრის როლი და ფუნქცია. გავიხსენოთ თუნდაც კვირიას სიზმარი "ბახტრიონიდან", ალუდას სიზმარი პოემა "ალუდა ქეთელაურიდან" და სხვა.

ხალხური პოეზიის მიხედვით, სიკვდილის პოეტიკაში, როგორც ზემოთაც ვთქვით, გამორჩეული ადგილი უკავია ფერს. წითელთან ერთად სიკვდილის მაუწყებელი ფერი არის შავი. სიკვდილთან დაკავშირებულ ფერთა შესახებ საუბრისას შავი უფრო იმიტომ უნდა დომინირებდეს, რომ თვითონ მინაა შავი, რითაც ღმერთმა შექმნა ადამიანი და სიცოცხლის შემდეგაც მინა სამუდამოდ მიიბარებს ადამიანს. ხალხმა-შემოქმედმა იცის, რომ "რა ნამსაც დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი". სიკვდილის ფერი, ხალხის ცოდნით, შავია:

– რა მიყავ, შავო სიკვდილო,
რად მომიჯარე კარია?! [V, 133].

კიდევ:

მოვიდა შავი სიკვდილი,
მომირახუნა კარია [V, 177].

შავი სიკვდილის საბრძანებელი შავეთია:

ამას რა მომაგონებდა,
შავეთს ვნახავდი ბნელსაო [V, 128].

ან:

გამოუგზავნე მშობლებსა
ამბავი შავეთისაო...
რა ანბავია შავეთში,
რას ხედავ გასაჭირსაო? [V, 129].

სიკვდილის ფერის პოეტიკაში შავი აქტიური ფერია. იგი თრგუნავს ყველა დანარჩენს. კაი ყმის სიკვდილის გამოო

დაბრუნდი მზეო უკუღმა,
ჩაეშვი შავსა მთაშია,
გასცივდით ცისა ვარსკვლავნო,
ჩასცივდით შავსა ზღვაშია [V, 125].

ადამიანმაც იცვალა ფერი:

შავი ბოძიც დედაჩემი
გაშავდა ჩემზეო [V, 126].

კაი ყმის სიკვდილი მზის დაბნელების იდენტურია:

– ვაიმე, ჩემო ბუთლაო,
მზე დაგვიბნელე ცისაო,
შენ გაგვილაღე დუშმანი,
ფიქრი ასრულდა მტრისაო [V, 139].

კაი ყმის სიკვდილის გამო შავებს იცვამენ ილილ-ბილილი მინდორ-ველები, ჭრელკაბა მთები, შავით იმოსება მზით გაჩახჩახებული ცა, ტირიან ბალახ-მცენარეები... "ნამეტნავ კარგი ყმის" სიკვდილია იმის მიზეზი, რომ

ამბობენ, საქართველოში
ცრემლი დის, როგორც წყალია.
ინვება გუდამაყარი,
ატირდა მთა და ბარია.
ფრინველთ შენყვიტეს გალობა,
ცასა ცემს ცოდვის ალია,
მთებმა შავები ჩაიცვეს,
დიდი დგას ცოდვა-ბრალია... [V, 152]

ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები ხომ იმის ლექსად თქმაა, რასაც ხალხი-შემოქმედი ყოველდღე ჭვრეტს, აკვირდება, რაც აფიქრებს, რაც აფორიაქებს, რაც მისი ყოველდღიურობაა. როცა კაი ყმა კვდება, დედამინაც ადამიანივით წუხს, ადამიანივით ტირის, დედამინაც ადამიანურ სულს იდგამს და ამიტომ არის, რომ ისიც გოდებს:

კვირაე დაღამებადა
რა შანუხებით ვარია,
შატილით ამბავ მავიდა,
შამაიარნა გზანია.
ატირდა დედამიწაი.
მაღლა მთა, დაბლა ბარია,
სიკვდილი გიგიაისა
ღმერთმა იცოდა, ბრალია [V, 147].

კაი მყის სიკვდილის შესახებ შექნილი ხალხური ლექსის პოეტიკაში ბევრი რამაა საყურადღებო, თვალსაჩინო, საინტერესო. ასეთთა შორის გვეგულება ქალის მიერ გარდაცვლილი კაი ყმის, ძმის, მამის, ბიძის და ა.შ. სიკვდილის გამო თმების დაჭრა. ხალხურმა ლექსმა, ჩანს, უძველესი ტრადიცია შემოინახა და დღემდე განსაკუთრებული პატივით მოიტანა.

ნანნავ-ნაჭაპნი თმა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალის ცხოვრებაში. იგი სამკაული იყო ქალისა. ძმამომკვდარ თუ თემ-სოფლის კაი ყმის სიკვდილის შემდეგ ქალს არაფერი აღარ ესამკაულებოდა: იცვამდა შავებს, იჭრიდა ნანნავს, მდუმარებით გლოვობდა

გარდაცვლილს. ალ. ჭინჭარაულის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი ტექსტი პირდაპირ ტრადიციის ჩვენებით იწყება:

ხახაბოს რა ამბავია?
იხევა მიწა პყარია,
იხოშებიან დედანი,
ქალებმ დაიჭრნეს თმანია,
აღარ მავიდა გაგაი... [V, 241].

როგორც ითქვა, აშკარაა, რომ კაი ყმა გამორჩეული სემანტიკის ცნებაა. იგი მხოლოდ თოფ-იარაღში ჩამჯდარსა და ხმალ-ხანჯლის მქნეველს არ გულისხმობს. კაი ყმაა ისიც, ვინც ფხიზელი და წინდახედულია ცხვარ-ძროხის მწყემსვაში; კაი ყმაა ისიც, ვინც ობოლთა მოსარჩლე და ჩაგრულთა დამცველია, ვინც მეზობელ-ნათესავთა მონაგარს – ეს იქნება ცხვრის ფარა თუ სხვა, თვალის ჩინივით უფრთხილდება, ბეწვსაც არავის დაანებებს... მტერი კი მრავალია. ასეთი ყოფილა მწყემსი პაპი ნათათრიშვილიც. პაპის შესახებ ლექსში, რომელიც თედო რაზიკაშვილის 1911 წელს ფშავში, სოფელ ჩარგალში ჩაუწერია, თმის მოჭრის ტრადიციის გამო ნათქვამია:

ადე და წადი, ყორანო,
სავალსა ერთის თვისასა,
ფშავს მიიტანე ამბავი,
იარე არაგვისასა,
მიხვალ, უამბობ ფშაველებსა
სიკვდილსა კარგის ყმისასა:
პაპი გყავ სახელიანი,
სამარხს ეცადნენ მკვდრისასა.
ტირილით მოგვაქვ, ცრემლის ხმა
ჩქერ [ა]სა[14] ჰგავის წყლისასა.
მოალთ და ცოლსაც ვახარებთ
სიკვდილსა თავის ქმრისასა,
გავაჭრეინებთ სამადა
თითოს ნაჭაპნსა თმისასა,
კარგის ვაჟკაცის სიკვდილი
გულსაც დაადნობს ყმისასა[V, 246].

ალ. ჭინჭარაულის მიერ შატილშია ჩაწერილი ასევე ლექსი "სალაშქროს ჭალას დაგროვდა". ლექსი უთუოდ საინტერესოა სისხლ-მესისხლეობის ტრადიციის ასახვის თვალსაზრისით. აქ არც ქალთა მიერ უკიდურესი მწუხარების გამომხატველი თმის დაჭრის ტრადიციაა დავინყებული.

[14] დაბეჭდილია "ჩქერსა", უნდა იყოს — "ჩქერასა" [ზ. ს.]

ქალნ ზეზეგორას ატირდეს,
ძირით დაიჭრნეს თმანია:
"დაგვლივნეს ტურაიშვილთა,
ცეცხლზე დაგვისხეს წყალია"... [IV, 75].

სხვა ლექსში ნათქვამია:

"შინ წეედ, აპარეკაო.
წასვლა წესია მთლისაო,
დედას უამბი ამბავი
ჩვენის – ქისტების ცდისაო!"
დედასა ვინ ახარებდა?
ბებერ ხყავ, იქამს ლხინსაო.
დათ თუ ვინ გააგებიებს,
ნაჭაპნ დაიჭრენ თმისაო... [IV, 95].

გალაკტიონ ტაბიძე ერთ ლექსში ბრძანებდა: "მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია"[142]. ქართულ ხალხურ პოეზიაში არის მცირე, მაგრამ ერთი ციკლი ლექსებისა, სადაც საუბარი სწორედ ისეთ მდგომარეობაზეა, როცა მტრისაგან შეშინებულის შინდაბრუნებას სიკვდილი სჯობს. ასეთზე იტყოდა დიდი ვაჟა-ფშაველა –

ვაჰ მკვდარო ვაჟკაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა![143]

ხალხური ლექსების ეს ციკლი იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც მტრისაგან შეშინებული, სიცოცხლეშივე მკვდარი, გულდედალი და ჯაბანი პიროვნებაც არაა ხალხურ პოეზიაში დავინყებული. იგი ხალხი-შემოქმედის, ხალხი-აღმზრდელისა და მასწავლებლის კილვის საგანია, პირდაპირი ნიმუშია იმისა, როგორი არ უნდა იყოს ახალგაზრდა. იგი მტრის გამჯავრებელი გმირის ანტიპოდია. ფაქტი უფრო საომარი მდგომარეობის დროს, ან ბრძოლის ველზე იჩენს თავს. ასეთების აღზრდას კი აზრი ეკარგება. ლაჩრები საზოგადოებისათვის გაუფასურებული, მომავალნართმეული ადამიანები არიან. აი, ამ ვითარების გამო შემოგვაქვს მსჯელობაში ამ შინაარსის ტექსტები, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც საინტერესო ხალხური პოეტური მასალა. უფრო ზუსტად რომ გვეთქვა, ხალხურში შედარებით ცოტაა კაი ყმის საპირისპირო ცუდი ყმის, ჩვენი ტერმინით – ვაჟკაცობამკვდარი ყმის გასაკილავი, სატირული ხასიათის ლექსები.

იმის შესახებ, ვინ არის ცუდი ყმა, თავისი შეხედულება, თავისი დამოკიდებულება შეუმუშავებია ხალხს, რაც ლექსად უთქვამს,

---

[142] გ. ტაბიძე. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IV, თბ. 1966, გვ. 91
[143] ვაჟა-ფშაველა, პოემები, თბ. 1990, გვ. 53

რათა დღემუდამ ჰქონდეს მასთან შეხება, რათა არ დაუშვას ანალოგის წარმოქმნა, საფუძველი არ შეექმნას ასეთის აღზრდას. ამ შინაარსისაა ერასტი ბალიაურის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი საგმირო ლექსი:

ცუდი ყმა მოხეს ვერ წავა,
ნადირს ვერ მახკლავს კლდისასა;
რო მოკლას, ტყავსა ვერ გაჴდის
შუნ-ჯიჴვსა ბოტობისასა,
რო მაეზიდას, ვერ მახგლეჯს
სასულას ჯიხვ-მაზვრისასა
ზედ ფიცხი, ფეჴჩი ყინული,
ჯიჴვებს ვერ ჩაეპარები.
შინ რად არ იჯე, ცუდაო?
დედას უკეთე ტარები! [III, 106].

"ცუდაის ნაბინავარში ქარნი ნაცართა ჰყრიანო" (III, გვ.106). ცუდი ყმის უარსაყოფად ხალხურ ლექსში გამოყენებულია კარგი და ცუდი ყმის შეპირისპირების ხერხი, რითაც უფრო თვალსაჩინოა "ცუდაის" დამახასიათებელი ნიშანი:

კარგ ყმას აჭმიე, დედაო,
დილა ადრიან სადილი:
ან ჴმა რა შამაღვარდების,
ან მთას გაუვას ნადირი.
ცუდას რად უნდა, დედაო,
მზის დაცხომამდე სადილი?
არც რა ჴმა შამაღვარდების,
არც მთას გაუოს ნადირი [III, 106].

კიდევ ერთი, მაგრამ თავისი სემანტიკით დამოწმებულზე არანაკლებ ნათელი, უფრო სარკასტული, უფრო გამგმირავი მაგალითი:

ატირდა კაი ყმის ცოლი:
"აღარ მამივა შინაო".
იცინის ცუდაის ცოლი:
"გამაიქცევა ნინაო".
გამაქცეულის მასვლასა
არ-მასვლაი სჯობს შინაო [III, 109].

საინტერესოა, რომ, ხალხური ლექსის მიხედვით, "ცუდაი" ის ყმაა, რომელიც ქალის კაბის კალთასა თუ ბოსლის კარს ვერ გასცილებია, რაც ხალხურ საგმირო ზნეობას არ შეესაბამება. კარგსა და ცუდს ერთმანეთისაგან ის ანსხვავებს თუ როგორია თემ-სოფლისადმი, საბრძოლო იარაღისადმი, ლაშქრისადმი მისი დამოკიდებულება. აქ ყველაფერი, როგორც იტყვიან, დაუწერელი კოდექსის მიხედვითაა გააზრებული და ლექსად ამღერებული:

კაი ყმა ხმალსა ჩახედავს:
"ნეტარ, გამიჭრის თუ არა?!"
ცუდაი — ქალის უბესა:
ნეტარ, შამივხვევს თუ არა?![III, 83].

კიდევ:

კაი ყმა ლაშქარს მოკვდება,
სნორების მჯობინობასა.
ცუდაი — ბოსლის ყურესა,
ქალებთან ლოგინობასა. [III, 83].

ხალხმა-შემოქმედმა იცის და მხატვრული სიტყვითაც ხელს უწყობს იმის დაკანონებას, რომ მშიშარა, ღალატიანი, ლაშქრობა-ომისათვის სუსტი, მცონარა და უსაქმური არავის სჭირდება — არც სატრფოდ, არც ქმრად და, თქვენ ნარმოიდგინეთ, არც შვილად. მოღალატეს სიცოცხლის უფლება არ აქვს. მის არსებობაზე ბუნებამაც კი უარი უნდა თქვას — ასეთია ხალხის მკაცრი, მაგრამ სწორი განაჩენი. აქ უთუოდ გავიხსენებდით ხალხურ სიმღერას – "არაგვისპირული ლაშქრული":

ქალებს ჩაუბამთ ფერხული
და გასძახიან არაგვსა:
"არაგვო, უყარაულე
ომში მიმავალ ლაშქარსა.
თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
ლამი აჭამე შერცხვენილს,
რომ სახლში ვეღარ მოვიდეს![144]

ხალხური ლექსი პერსონაჟის გადაუჭარბებელი ხოტბაა. აქ ჯერ სახელს იხვეჭენ და შემდეგ მსჯელობენ ამ სახელის "შინმომღებელი" გმირის, კაი ყმის შესახებ.

როგორც ვნახეთ, კაი ყმის სიკვდილისა თუ ვინაობის ამსახველი ზეპირსიტყვიერი ძეგლი გამორჩეულად მდიდარია ზესრულყოფილი პოეტური სახეებით.

აქ თავისი წილი უდევს ბუნებასაც, რომელიც ამ ხასიათის პოეზიაში პერსონიფიცირებულია, მისი განცდები კოსმოსური გლობალურობით ხასიათდება, რითაც გმირის გარდაცვალება სამყაროსეულ მოვლენად იქცევა, რაც მამულისადმი ახალთაობის სიყვარულის სულისკვეთებით აღზრდის განუმეორებელი საშუალებაა.

ვამჯობინეთ ნაშრომში ცალკე გამოგვეყო საუბარი საკარგყმოსა და ხმით ნატირლების შესახებ.

---

[144] გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. I, თბ. 1960, გვ. 207.

იმისათვის, რომ ნაშრომი კომპოზიციურად უფრო დახვენილი გამოგვსვლოდა, ასეთ არჩევანზე შევჩერდით: უმდიდრესი ქართული ხალხური სიტყვიერებიდან ცალკე გამოვყავით საანალიზო მასალა, სამუშაო მეთოდად თემატური ანალიზის პრინციპი ავირჩიეთ და ვცადეთ მოგვეშველიებინა უფრო მეტად პოპულარული სტილი, რამეთუ, ჩვენის აზრით, წინამდებარე ნაშრომს არა მარტო მასალის ისტორიზმის პრინციპი, არამედ მისი უტილიტარული ასპექტიც, მისი პრაქტიციზმიც უდევს საფუძვლად. ყველა საგმირო-საისტორიო ლექსი, მართლაც, საკარგყმოა, მაგრამ აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანსა და მის რიგ თავისებურებებზე მოგვიწია მსჯელობამ.

საგმირო ლექსს, ხალხური პოეზიის სხვა ჟანრებს შორის, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მართალია, ეს ლექსები სხვადასხვა დროსაა შექმნილი, მაგრამ ყველა დროში მათი დანიშნულება ერთია: აწმყო მომავლის გზად და ხიდად დადვან, აღზარდონ თაობა სამშობლოს ერთგულებით. ქს. სიხარულიძე მიუთითებდა: "საგმირო ლექსები ერთი უნყვეტი სიმღერაა სამშობლოს სიყვარულზე, მამაცობაზე, მეგობრობასა და კაცთმოყვარეობაზე, წარსულ ბედუკუღმართობაში ქართველი კაცის ჭირში გაუტეხელობასა და ზნეობრივ სიფაქიზეზე!"[145]

დადასტურებულია, რომ დაბალი კულტურის მქონე ხალხებად მიჩნეული დიაკები, მაიორები, თრაკიელები, მიზიელები... ბრძოლის დაწყების წინ სამხედრო ცეკვა-პანტომიმას მიმართავდნენ. მიზანი ამ ცერემონიალისა ბრძოლის ჟინით მოლაშქრეთა ავსება ყოფილა.[146] ამ ცნობაზე დაყრდნობით, ქს. სიხარულიძე მართებულად შენიშნავდა, რომ "**ეს გარემოება ანგარიშგასაწევია სამხედრო სალაშქრო სიმღერების საგმირო პოეზიის ამ მნიშვნელობანი ციკლის წარმოშობის, ტრადიციისა და სოციალური ფუნქციის შესასწავლად**".[147] (ხაზი ჩვენია, ზ.ს.).

ქართული ხალხური საგმირო ლირიკის და ლირო-ეპიკური ძეგლების სამხედრო-პატრიოტული ასპექტებით შესწავლას დღეს გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება.

ასეთი პოეზიის ზნეობრივმა სისპეტაკემ, სავაუკაცო კოდექსის წინ წამოწევამ ქართველ მეომარს უნდა გააააზრებინოს და შთაბეროს წინაპართა სულიერი სიმაღლე, მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლაში თავდადების რწმენა და შეგნება.

ხალხურ საგმირო პოეზიაში უხვად ვხვდებით მტერთან კაი ყმათა უთანასწორო ბრძოლის შემაძრწუნებელ ეპიზოდებს. მოძმისა

---

[145] **ქს. სიხარულიძე**, საგმირო პოეზიის ძირითადი საკითხები, იხ. კრებ.

[146] **ქართული ხალხური პოეზია** 12 ტომად, ტ. III, თბ. 1974, გვ. 7

[147] **ქს. სიხარულიძე**, დასახ. ნაშრ. გა. 8

და სამშობლოს დაცვა ხალხური საგმირო ლექსის ამოუწურავი თემაა. ასეთი ლექსები კი – მამულიმოყვარული ქართველის დაუსრულებელი სადიდებელია. ამ შინაარსით მდიდარი ხალხური პოეზიიდან ქვემოთ ისეთ ეპიზოდებზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომელთაც დღესაც აქვთ თავისი უტილიტარული ღირებულება, დღესაც შეუძლიათ გარკვეული სამსახური გაგვინიონ.

მონოგრაფიაში უმთავრესად საუბარი გვაქვს ხალხური სიტყვიერებით გათვალსაჩინოებული კაი ყმის შესახებ. ეს ბუნებრივიცაა! არ შეიძლება აქაც არ შევნიშნოთ, რომ კაი ყმობას თავისი კანონზომიერება გააჩნია, რაც ერის არსებობისათვის აუცილებელი კოდექსია და რასაც ლექსის სახე აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ კანონთა ეს კრებული, ცხოვრების სხვა კანონებთან ერთად, ზეპირად გადაეცემოდეს თაობიდან თაობას, საუკუნეებიდან-საუკუნეებს.

ხალხური ლექსი გვასწავლის ვაჟკაცისათვის საჭირო წეს-რიგს. "ჯერ თქმა და მერე გადათქმა" კაი ყმის მოღვაწეობის კანონთა წიგნში არ წერია. ის კი ყველა კაი ყმის საამაყოა, რომ "მტრის დედასა გველ ჰკბენდეს და ტანზე ეცვას შავია". სოფლის იმედი და სახელი უნდა იყოს ყველა მამრი, ვინც ქუდის ტარების პატივი ირგუნა, ვისაც უკვე შეუძლია ყმის სახელი ატაროს. ასეთებისაა საომარი ასპარეზი:

ვინა სთქვა, ენამც ჰხმებია,
ჩარგალში ცუდნი ყმანია,
აფხუშო, ჭიჭახევაზე
სამას ლეკს მასჭრეს თავია.
აფხუშურაზე გამოჩნდა
სისხლისა ალაზანია,
წინ მააქვ ფარი და ხმალი,
უკვენ — ლეკების თავია. [III, 153].

მტრის გამჯავრებელი და სამშობლოს მთა-წვერთ დამცველი კაი ყმის დაბადებაც გამორჩეულია. ამ ქვეყნად მისი მოვლინება სასწაულს ჰგავს: მგელაის შვილს, ახალას

დაბადების დღეს გამახყვა
ოქროს პერანგი საცმელი [III, 152].

იმავე მგელაის შვილს, რომელსაც "პირად უბრძანებს ჯვარია",

უწოვავ ქრისტის დედაი,
არ თუ ჯორციელთ ქალია! [III , 152].

ფაქტის მეტაფორისტიკა ცხადია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ჭეშმარიტი პოეზიაა. პოეზიას კი იმის სრული უფლება აქვს, რომ წარმოსასახავი რაც შეიძლება მთელი სისავსით წარმოაჩინოს. კაი ყმის ბუნების შეცნობას, ამ ბუნების გათავისებას ბევრი რამ სჭირდება და, ცხადია, ღვთიურობაც. ეს კარგად იცის ხალხმა-შემოქმედმა.

ვინ დაუდგება წინ ლეკთა ადევებულ ლაშქარს თუ არა ათასი ანთა, ათასი გიორგი, მშობლიურ მთებს რომ დარაჯად უდგანან:

ლეკი გადიდდა ლეკეთსა,
მძიმედ აბიჯებს ბანზედა;
აიწყოს სამკლავეებსა
მარცხენა-მარჯვენაზედა.

მტერი ღრუბელივით დასწოლია სოფელს. იქ კი

შიგა დგას ლუის ანთაი
ჴმალ სისხლში გარეულია [III, 159].

ხალხურ პოეზიაში ხშირია იმაზე საუბარი, რომ მოლაშქრე-მეომრებს როგორ მიუძღვის ხოლმე წინ მფარველი ღვთაება. ამას ფშაური ფერხულიც გაგვახსენებს:

ჰარალე, ბიჭო ჰარალე...
ჯერ პირველ ღმერთი ხსენდება
ეკლესიაზე მდგარია.
მემრე ეგ წმინდა გიორგი
ფშაველების საკვეხარია,
ახლა ეგ ლაშარის ჯვარი
ლაშქართა წინამძღვარია [III, 135].

კვლევა-ძიებამ, რაზედაც ქვემოთ გვაქვს მსჯელობა, დაადასტურა, რომ სალაშქროდ გამგზავრებამდე მხედართა მიერ საღვთო ფიცის საჯარო დადება აუცილებელი ყოფილა. ფიცი ამტკიცებდა მეომართა გამარჯვების უეჭველობას:

ბექურის ძისი ლაშქარმა
ფიცი ჰქნა მეუფისაო,
ნუ ვუღალატოთ ერთურთსა,
დროშის ქვეშ ფიცავდისაო [III, 165].

"დროშის ქვეშ ფიცი" კი, აშკარაა დაფიცებულის შესრულების გარდუვალობაზე უნდა მიუთითებდეს.

დროს არ შეუძლია ერის ხსოვნიდან ამოფხიკოს იმავე ერის აწმყოსა და მერმისისათვის მებრძოლთა საქმე და სახელი. ლეკებთან მეომარი კაი ყმა უამრავია. მათი გმირობის ცოცხალი მემატიანე კი ხალხია, უკვდავი და უბერებელი ხალხი! ასეთთა შორის არიან "ნარჩევი ყმანი": ვეფხვია, ივანეური, ხახიკაური, იდუა ციხელიშვილი, მგელათ ჯემალა, გამახარეთა იმედა, ბერიძე მჭედლურიშვილი, ნასკვაურიძე, ნაკუდა გამაროშვილი... და ვინ ჩამოთვლის ყველა მათგანს. მათი უკვდავება დღესაც ხალხური ლექსია. ვაჟიკა მაჩურიშვილი ერთი ასეთთაგანია. მრავალზე მრავალი ხალხური ლექსის ობიექტი ლეკებთან მეომარი კაი ყმა და მისი მოღვაწეობის აფიშირებაა:

გამაემართნეს ლეკები,
მოდიან ფშავის გზისასა,
წინ მიუძღვება ბელადი,
უამბობს თავის ცდისასა,
ვაჟიკა, ფშაველის გაზრდილი,
მარცხნივ გახედნებს ლიშანსა,
თოფი ჰკრა ძმისა მამკლავსა,
წყალს მისცა დაღისტნისასა.
გაგერშილ ჯოგის მგელსა ჰგავ
ვაშლოვანაის ტყისასა.
ვეფხვსა გვანილა პწკლიანსა
სპეროზიაის კლდისასა [III, 168].

სხვა ლექსი ბერიძე მჭედლურიშვილის ვაჟკაცობის საგალობელია, ზოგადად კი — თაობათა მზრდელი:

ადგეს, ნავიდეს მშაველები,
შადგეს სამტერო გზაზედა,
გადმაეშლება ლეკები,
ნასახელრები სხვაზედა.
ბერიძე მჭედლურიშვილსა
გული ჰქონიყო ცდაზედა,
სიათას ეჩურჩულება:
"გავარდი გუნებაზედა,
ორწყეს დაგაყრი ნამალსა,
თოფო, შენც გინდა გაძლება!"
ეგ თქვენი ალი მამადი
ბერიძემ წითლად შაღება [III, 170].

ნასკვაურისძეც მტერთან შეურიგებლობითაა სახელგანთქმული, მისი სიტყვა და საქმე ერთია — მოძალადესთან პირისპირ ომი, სიკვდილი ან გამარჯვება!

სწორებ დაინყებს კითხვასა:
"ნასკვაურიძე სად არსა?"

აქვეა პასუხიც:

– ომშია ნასკვაურიძე,
მაგის გამოსვლა გრძლად არსა!

აქვეა ტრადიციის დაცვის აუცილებლობის შესახებ პოეტური შეძახილიც:

კაცებს ჯოცს, ჯელს კი არა სჭრის:
"ჯევსურის წესი არასა!"

– და შეგონებაც:

ჯელ მასჭერ, ნასკვაურისძევ,
– უჯელოდ სახელ არ არსა! [III, 177].

ისევ მომხდურ მტერთან ომი, ისევ ხმალ-ხანჯლის ძგრიალი... და გამარჯვებულთა საქებარი შეძახილი:

თრიალეთს ყარაულებსა
ლეკები დახვედრიანო,
თითოს მაუკლავ შვიდ-შვიდი,
ბიჭობაც ამას ჰქვიანო [III, 189].

ზემოხსენებული შინაარსის ლექს-სიმღერა ხალხურ საგმირო ლირიკასა თუ ლირო-ეპიკურ პოეზიაში უამრავია. მონუმენტური სიდარბაისლისა და შესაშური პოეტური დახვეწილობის მქონე ეს ლექსები, უთუოდ ზრდიან თანამედროვეს სულიერად; მომხიბლავი პოეტურობა და ესთეტური მიმზიდველობა ამ შინაარსის ხალხურ პოეზიას დღესაც უნარჩუნებს უტილიტარულ მნიშვნელობას. ჩვენ გვჯერა, რომ თანამედროვე მკითხველს წინაპრის პირშეურცხვენელი, მისაბაძი ცხოვრება-მოღვაწეობის ცოდნა ნამდვილად სჭირდება! ხალხურ პოეზიას კომპანიურობისა არაფერი სცხია.

სალაშქრო-პატრიოტული ხასიათის ხალხური ლექსის შესახებ მსჯელობისას მის კიდევ ერთ თავისებურებას გვინდა გავუსვათ ხაზი: საინტერესოა, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავშენირულთა საიქიო ხალხურ ლექსში როგორ არის წარმოდგენილი?

საომრად მიმავალი, სახელის მოყვარული სახალხო გმირი, გზიდან უკან არ ბრუნდება, ხელხანჯლიანი თუ ხელხმლიანი პირდაპირ ბრძოლაში ებმება. მან იცის, რომ იქ ან მოჰკლავს, ან შეაკვდება. ამ ნაშრომში ცალკეა საუბარი კაი ყმის სიკვდილის სიმბოლიკასა და ტროპულ მრავლფეროვნებაზე. აქ მხოლოდ იმას ვიტყოდით, რომ ასეთის სიკვდილი სოფლისათვის ცის ნაპირის ჩამოტეხვისა თუ მზის დაბნელების ანალოგიურია. ასეთის სააქაო მისაბაძია, საიქიო კი — სანატრელი. მშობელი მიწა-წყლისათვის თავდადებული გმირის საიქიოს წარმოსახვასაც ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორიც გმირის სიცოცხლეში მის საამაყო, მისაბაძ სახელს.

მომხდურ-მოძალადე ურიცხვი იყო: თათრებთან ბრძოლაში დაღუპულ გიორგის შობა დღეს გაუღეს სამოთხის კარი.

შიგ მიაბრძანეს გიორგი,
დაუდგეს ოქროს სკამია,
დაუნთეს კელაპტარები,
ოქროს შანდლებით არია [III, 122].

მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში დაცემულს საიქიოში უეჭველად ოქროს სკამზე სვამენ. ასეთი სკამი კი მხოლოდ წმინდანთა და დიდებულთა ხვედრია. მათი ადგილი სულეთის სათავეშია.

სულეთ სათავეს ბერიძეს
ოქროს დაუდგეს სკამია [III, 134].

ომში ისინი იმარჯვებენ, ვინც "სატევარს ენით გაღლოკვენ – გახდება უფრო მჭრელიო... ვისაც უყორდეს თავის სამშობლო, ომჩითოფი და ცხენიო" 'III, გვ.189', ვინც იცოდა:

ჴმალს რომ შემოჰკრავ ლეკებსა,
შინ მოდის მაგის წკრიალი,
ლეკი რომ იდგეს ფეხზედა,
თავი მიგორავს თმიანი! [III, 225].

ასეთები იყვნენ ჩვენი წინაპრები.

წარსულზე ხელის აღებაზე არასოდეს უფიქრია ქართველს.

ცხრაღარიანი ფრანგულის მბღუჯველი და ამომმღერებელი, ფარს ქვეშ ნაწური მეხმლე და მტრის გამჯავრებელი ისევ სჭირდება ქვეყანას!

საიქიო, სულეთი სააქაოს მოდელზეა აგებული, ოღონდ ერთგვარად რომანტიზებული. ბრალია იმ "მენადირის" სიკვდილიც, ვისაც "ცდისა არ ხქონდა ხანია". თუ დავუშვებთ, რომ ნადირობაც ბრძოლის თავისებური სახეობაა, მაშინ ობოლას საიქიოც ამიტომ უნდა იყოს ომში დაღუპული გმირის სულეთში "მიღების" ანალოგიური:

სულეთ შავიდა ობოლა,
შააღა ციხის კარია,
აბიკა წამაეგება,
ერცხვას დახჴელვენ ძმანია.
მოგვიხვე სახელიანი,
მერდალ რო გქონდას ჯვარია,
სათავეს გადააჴდინეს,
დაუდგეს ოქროს სკამია,
გვერდით დაუდგეს სანდეი,
დაუკრეს კელაპტარია [IV, 225].

ცნობილია, რომ ხალხური საგმირო ლექსების საკმაოდ დიდი ნაწილის წარმოშობის საფუძველი ისტორიული სინამდვილეა. მხოლოდ პოეტურ ფანტაზიას, ასეთ შემთხვევაში რომ უჭირდეს, გასაკვირი არა.

ომის პერიპეტიები მეტად რთულია. ჩვენს ხალხურ სიტყვიერებაში ომი-ომია; "დიდი" და "პატარა" ომი არ არსებობს. ჭეშმარიტი პოეზია იქმნება იქ, სადაც ადამიანი მტერზე პირისპირ მიდის, სადაც მახვილის კვეთება და ფარის ფარება გარდუვალია.

სამშობლოს ერთგულ კაი ყმათა უკვდავი საგალობლის – ხალხური საგმირო ლექსისათვის ბუნებრივია ის ლექსიკა და სინონიმიკა, სახისმეტყველება, რაც მტერთან ბრძოლის ხელოვნებასთან არის დაკავშირებული. საომარი ხელოვნების ლექსიკაში საინტერესოდ მივიჩნიეთ ლექსემები: **მზიარი, თარეშნი, მეკობარი, ლაშქარი, ჴელობა.** ყველა მათგანს ერთი საერთო შინაარსი აქვს: თავდასხმა მოწინა-

აღმდეგეზე; შეაგონონ მოძალადე-თავდამსხმელს, რომ მათ სათარეშოდ ქცეული მეზობლები ლაჩრები და ომის უმეცარნი არ არიან. ასეთნი კი ერთმანეთისათვის შეიძლებოდა ყოფილიყვნენ თუშები, ხევსურები, ფშავლები, ლეკები, ქისტები, ოსები... ცნებებზე მხოლოდ ხალხურ ლექსში ჩარჩენილი ლექსიკით მივუთითებთ:

მზირი:

ჴაჴმატით გაუბედავის
საქისტეთოდა **მზირსაო.**
გამუძღვის ხათუთისძეი,
მუჴლი შაიბა მგლისაო.
.....
ჴოჴიდით ჩამაიარეს,
ხანია მზის მოსვლისაო;
მზირი შეყრილა მზირზედა,
თოფის ჴმა ამადისაო [IV, 65].

სასურველად მივიჩნიეთ წარმოდგენილ ტერმინთა სემანტიკის გახსენება. პოპულარული ლექსიკონისეული განმარტებით, **მზირი** არის "ძვ. დამზვერავი, მოთვალთვალე, მსტოვარი, ჯაშუში"[148]

მეკობარი იგივეა, რაც მეკობრე.[149] **მეკობარი მეკობარის** დიალექტურ ფორმად მოჩანს. ხალხურ მასალებში ვკითხულობთ:

ათენგენობის დილასა
სად მიდის **მეკობარიო?**
ტერელოს ჭალას ჩამადის
სამის გუროვლის კვალიო [III, 94].

ან:

ბორბალ აყეფდა ყორნები:
"სად მიდის **მეკობარიო?**"
გადადის ანუნტაზედა
მენადირეთა კვალიო [III, 65].

ჴელობა – კუთხ. საომრად ან სათარეშოდ წასვლა, ყაჩაღობა.[150]

გუროს ჴელობა ნუმც ქნილა,
გამასვლა ორის ძმისაო!
ამაგათ იარაღები
– საჴსარი თითოს ტყვისაო [V, 93].

ან:

---

[148] ქეგლ, ტ. V, თბ. 1918
[149] იქვე,
[150] ქეგლ, IV. 1955

მთა გაშრა, მინა გამოჩნდა,
ახლა **ველობის** ხანია;
ზამთარში ნაკვეხნ ვაჟისა
ახლა ცხადების ხანია [IV, 111].

ლაშქარი — იგივეა, რაც ჯარი... სალაშქროდ, საომრად.[151]

თარეშნი — დარბევა, აკლება, შესევა.[152]

დაღბერებია ხაძეი
დარჩა ველკეთილ მთაზედა.
ჴაჴმატ ჩაუშვა **თარეშნი**
მაგ ჯოყოლაის ჯავრზედა [IV, 65].

ან:

თუშნი ლაშქრადა გავიდნენ,
ქისტეთს გაიღეს გზანიო,
ჰარჩის თავს გადაიხედეს,
კარგად გაიგეს გზანიო.
ჩაუშვეს იმათ **თარეში**
სწორედ ვახშმობის ხანსაო [IV, 111].

ხალხური ლექსი არამარტო ერის მხატვრული ისტორიაა, არამედ ერის მხატვრული ბიოგრაფიაცაა. მასში შემონახული არქაიკა წინაპრის კულტისადმი მოკრძალებას და მამულის ჭეშმარიტი სიყვარულის ძალით კვლავაც გვავსებს. ამაშია ხალხური სიმღერის პრაქტიციზმი.

აშკარაა: ერის ერთიანობას, მის მთლიანობას, სიმტკიცეს ხალხური ლექსიც ინახავდა, უფრთხილდებოდა და ამდიდრებდა. ქართველი კაცი სიმღერითაც ცდილობდა მტრის დამარცხებას. გმირის სახელი შორს გაითქმოდა, წლებიდან წლებში გადადიოდა, საუკუნიდან-საუკუნეებში, წინაპრის სახელოვან საქმეთა ჰიმნად იქცეოდა, თაობებს სამშობლოს სიყვარულით ზრდიდა, მემკვიდრეობას მამულის სიყვარულის ნათელ რწმენას აზიარებდა.

ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას "მენადირე-მონადირის" შესახებაც:

ამ ნაშრომში ზოგადად არის ნათქვამი, რომ ნადირობას, იმ შემთხვევაში თუ მას დაპირისპირებულთა ბრძოლის სახეობად მივიჩნევთ, ხალხური სამონადირო ეპოსი მთელი სისრულით წარმოგვიდგენს ორთაბრძოლის სურათებს. ამის კლასიკურ მაგალითად გამოდგებოდა პოპულარული ხალხური ბალადები: "ლექსი ვეფხისა და მოყმისა", "ჯარჯი" და სხვა.

ხალხური საგმირო ლექსის მიხედვით, **მონადირე** მართლაც არის მტერზე შემტევი კაი ყმის სინონიმი. მონადირე, მემეტე, სახელიანი,

---

[151] ქეგლ, IV. 1955
[152] იქვე,

მომხდურის დაუძინებელი კვალმაძიებელია, თავისი წყალ-ჭალის ერთგული დარაჯია. არხოტიონი "მონადირენი" შემოსეულ მტერს ზვერავენ და პირისპირ ებრძვიან.

გაიგეს არხოტივნებმა,
ურჯულო დადგა ძალზედა.
ნავიდეს მონადირენი,
იქ შახდეს ტერლის მთაზედა.
ტერლის წვერ გადამდინრებსა
ყორნები დაჰყეფს თავზედა [IV, 72].

ქისტების ერთ-ერთი თავდასხმისას ბრძოლაში ბევრმა ისახელა თავი, მაგრამ

მზეს რად არ ხფიცავ, ქალ-ზალო,
იმ ორის ოშკაცისასა?
ვინ იყვნეს მენადირენი,
შიბთ ვინ გამაჰყვეს კლდისასა?
ამბობენ კარგად გასჯასა
ძმათ სისკარაის შვილთასა [IV, 96-97].

ლექსემა "მენადირე" მტერს ისე გაიაზრებს, როგორც ნადირს, რომლის მონადირება აუცილებელია. მენადირის თვალი შორს ხედავს. მისი სამიზნე შეუმცდარია!

გამაიბრუნეს ღილღვლებმა
ყაზიბეგიანთ ცხვარიო,
ფარეხის კარზე გაწირეს
ნითლად ნაღები მკვდარიო,
ვინ იყავ მენადირეო,
შორით მახკიდე თვალიო?
შუა ჴორჴს გადმასწევიყო:
"ქისტო, დაყარე ცხვარიო!
თორე ბულეჯან მოვიდა,
მგელაის შვილი ჴარიო".

და შემდეგ:

მეთოფეს ბულეჯან ხქვიან,
მაგის თოფს არ უნდ ტალიო.
"რად არ დასდგებით, ძაღლებო?
რადა გძრავთ ტყვიის ქარიო?"
ერთ ნამაიღეს დაჭრილი,
ორ ემანდ დარჩა მკვდარიო [IV, 109].

დასამონმებელი მაგალითი უამრავია: ჩანს, "მენადირე" 'მონადირე' კაი ყმის ერთ-ერთი სინონიმია და მომხდურ — მოძალადის წინააღმდეგ ბრძოლასთან არის დაკავშირებული.

ხევსურეთში ჩაწერილი ლექსის მიხედვით, "მენადირედაა" წარმოდგენილი თავდამსხმელიც:

ბორბალ აყეფდა ყორნები:
"სად მიდის მეკოპარიო?"
გადადის ანუნტაზედა
მენადირეთა კვალიო.
ჩაელენ ქვა–ჯიდის ჭალასა,
ავი აუტყდა დარიო.
აჩქარდა ხათუთისძეი:
"მტერსა მოვხკიდე თვალიო" [IV, 65-66].

"მონადირე" თავდამსხმელის სინონიმია სხვა ლექსშიც:

შენ მითხარ, ჩორეხის ეხო
გადანაყარი შენია:
ოროლთა მონადირეთა
როგორ შეუწყვი ჴელია,
გამშვენებს სანადიროთა
ელიგანიას წვერია,
ვაუკაცის გადანავალო,
სხვარიგ რადა გძე ფერია?
ჰყოფილხარ ჩვენ დამლუპავი,
ცოდვამც გექნების ჩვენია.
არხოტს დაეცა ლაშქარი,
მთა დაიჭირა, ველია [IV, 55].

ნადირობა საბრძოლო-საომარი ხელოვნების არეალშია განსახილველ- გასათვალისწინებელი.

საგმირო ლექსს ახასიათებს ტროპულ სამკაულთა არაჩვეულებრივი სიუხვე, ემოციურობა, დახვეწილობა, მიზანმიმართული, ჩვენ ვიტყოდით — ეროვნული სული.

ხალხური საგმირო-სალაშქრო ლექს-სიმღერებში ბევრი რამ არის საყურადღებო. აქ სახისმეტყველების ერთი ნიმუშით დავკმაყოფილდებით. ეს არის — "ჯავრი არ სჭამონ მტრისანი".

არაერთ ზეპირსიტყვიერ თხზულებაშია საუბარი იმის შესახებ, რომ გმირის მიერ მტრისთვის სამაგიეროს მიზღვა აუცილებელია. ქართველმა კაცმა კარგად უწყის მიტევების ფასიც, იცის ისიც, რომ სისხლი სისხლით არ დაიბანება, მაგრამ ეს მაშინ, როცა ეს ცოდნა მოწინააღმდეგესაც გააჩნია. არადა გამუდმებული ქიშპისა და ომის, სეპარატიზმისა და სხვისი მოსპობის სურვილით აღტყინებული მოპირდაპირე როცა ამას არ დაგიდევს, იგი მტერია. მტერს კი მტრულად უნდა დახვედრა! საგმირო ლექსი ასწავლის თაობებს, რომ მტერთა ნებისმიერი სიხშირის თავდასხმები გმირს "ფერს ვერ უვცლიან მგლისასა",

ყაყიჩა შავერდაშვილი
ქორსა ჰგავ მაღლის მთისასა,
ხმალ და ხმალ გადმაუფრინდა
"ჯავრსა არ შავჭამ მტრისასა". [III, 128]

"მემეტეობა" მომხდურის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის გამართული შეჯიბრია, ეს შინაგანი, ასე ვთქვათ, ღვთაებრივი შურია, რაც ყველა მოლაშქრეში თავისთავად ბატონობს. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება მტრისგამარჯვებული, მტრის ჯავრის ამომყრელი მამულიშვილი. ის ტრადიციული "საკარგყმოც" ისეთთა სახალხო სადიდებელი იყო, ვინც ჯავრი არ ჭამა მომხდურ-მოთარეშისა.

მამულიშვილებს სულეთშიც კი არ ასვენებთ მამულზე ფიქრი:

ამბობენ, შეწუხებულავ
სულეთში ნიქაისასა,
უხათრავად დის ქისტები
ჩვენის ძირ ჭალაისასა:
ძმასა აფშინას მითქვიდით,
ჯავრსა ნუ მაჭმევ მტრისასა,
ადგას, ჩაიდვას საგძალი,
ტანს გახყვეს სიათისასა [IV, 45].

ჯურხა აოხრებულ სოფელს ნახავს, ცხენზე ამხედრებული, სოფლის პირით დალოცვილი მამულიშვილი გულს ჩაიმჯიღავს, შემდეგ კი მოთარეშესთან სისხლის საზღვევად გაენთება:

სისხლი უდუღდა ჯურხასა,
ფერი დაიდვა მკრთალიო:
მე მაგათ ჯავრი შავჭამო,
ნუ მიტიროდით მკვდარიო,
დეზი ჰკრა, ნითლა გამალდა
ეგ მუხლით ნიავ-ქარიო [IV, 49].

"სახელის მქმნელი" შინმოუსვლელი გმირის სურვილი მისსავე დაბარებულშია[153] გამოკვეთილი:

სამნი მეც დამრჩენ მოძმენი,
არწივსა გვანან მთისასა,
გრცხვენოდეთ, ბექაურებო,
თუ კი ჯავრს შეჭამთ მტრისასა [III, 137].

აქამდე ცნობილი ყველა საგმირო ხალხურ თხზულებასთან ერთად არანაკლებ საინტერესოა ზეპირსიტყვიერი ძეგლი, რომელიც,

[153] დაბარება, როგორც მთელი რიგი თავისებურებების მქონე პოეტური ჟანრი, შესაძლებელია ცალკე გამოიყოს ხალხურ პოეზიაში, ისე როგორც, ვთქვათ, ლექს-ბარათი. ამისი ცდა ჩვენს ფოლკლორისტიკაში უკვე მოჩანს. [იხ. მ. ჩიქოვანი, დ. გოგოჭური და სხვა].

როგორც ვთქვით, გადარჩენილი ნამსხვრევი უნდა იყოს რომელიღაც ხალხური თხზულებისა. ეს არის მრავალი თვალსაზრისით დღეს საც ფრიად საინტერესო ხალხური ლექსი, რომელიც თ. რაზიკაშვილს ქართლში ჩაუწერია.

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შეჭამონ მტრისანი [III, 81].

საინტერესოა ტექსტის მიხეილ ჯავახიშვილისეული ვარიანტი თუ მისი მნერლისეული ინტერპრეტაცია. რომანში "არსება მარადდელი" ვკითხულობთ:

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი.[154]

ტაეპი "ჯავრი შეჭამონ მტრისანი" სემანტიკურად უკუპროპორციულია ტაეპისა "ჯავრი არ სჭამონ მტრისანი".

"– არავის არ აქვს ჩვენი სამშობლოს კარის გამომტვრევის უფლება!" აი, კაი ყმის საზრუნავი, მისი სიცოცხლის, მოღვაწეობის საზრისი.

ორიოდე სიტყვა **კაი ყმის დაჯილდოების** ტრადიციის რამდენიმე სახეობის შესახებაც:

დაჯილდოების ტრადიცია უძველესია. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ერის ლიტერატურასა და ფოლკლორში მას შთამბეჭდავად უჩენია თავი (იხ. ჩვენი, საჩუქარი ქართულ ფოლკლორში, თბ. 2002).

კაი ყმისადმი საზოგადოების დამოკიდებულების მრავალფეროვნებიდან კიდევ რამდენიმეს გამოვარჩევდით. ასეთთა შორისაა ჯილდო.

დაჯილდოების სახეებს ჯილდოთმცოდნეობა ანუ ფალერისტიკა შეისწავლის.[155]

ჯილდო და საჩუქარი, დაჯილდოება და ჩუქება იდენტური შინაარსის ცნებები ჩანს.

ჯილდო სახელის განთქმის, გმირობა-ვაჟკაცობის პოპულარობის საშუალებაა.

ჯილდო როგორც ადამიანის საქმიანობის, მისი შრომისმოყვარეობის, ბრძოლისუნარიანობის, მოხერხებულობის, ფიზიკური

[154] მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. IV, თბ. 1960, გვ. 218.
[155] იხ. ნ. ჯავახიშვილი, ფალერისტიკა, თბ. 1995

ძალის, გონიერების გამორჩეულობის გამოხატვის შესაძლებლობა საუკეთესოდაა შენახული, გარდა ლიტერატურისა, ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში.

ჩვენ ვფიქრობთ: ჯოლდოს ოდითგანვე თავისი უტილიტარული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა; ფუნქციას კი, ყველა შემთხვევაში,- საზოგადოების ინტერესები წარმოადგენდა; ჯილდო, რაც უნდა ყოფილიყო იგი, ოდითგანვე "სახელმწიფოს მნიშვნელოვანი კომპონენტი" (რ. მეტრეველი) იყო. ამაზე უნდა მიუთითებდეს მისი არსებობის რეალობა, რაც ასე კარგად შემოინახა ჩვენმა ხალხურმა პოეტურმა შემოქმედებამ.

ფალერისტიკის – მხედრული მამაკაცობისათვის გაცემული ჯილდოთმცოდნეობის შინაარსი გასაგებია, მაგრამ რა ვუყოთ ერის ხალხურ სიტყვიერ კულტურაში ნასათუთარ ჯილდოებს? ისინი ხომ ქართული ფალერისტიკის "ბავშვობაა"! მიგვაჩნია, რომ ამ დარგში ერის ისტორიის ერთიანი, უწყვეტი სურათის შესაქმნელად, აუცილებელია ეროვნული ფოლკლორული მონაცემების შესწავლა – გათვალისწინება.

ქართული ხალხური უმდიდრესი ეპოსი ჯილდოს არა ერთ სახეობას გვთავაზობს, თუმცა ეპოსს ტოლს არც ხალხური პოეზია უდებს. საქმე ის გახლავთ, რომ თვითონ ზეპირსიტყვიერი ლექს-სიმღერაც ჯილდო იყო. ლექსი იყო ის საშუალება, რითაც გმირი, კაი ყმა შორს გაითქვამდა სახელს, უკვდავებას ეზიარებოდა. ასეთი შინაარსის ძეგლი ხალხურ პოეზიაში ბევრზე ბევრია. როგორც წესი, ჯილდო სხვებისგან რაიმეთი გამორჩეულთა ხვედრია. ნადირობის ხელოვნებითა და გულადობით სახელგანთქმული ჴირჩლა ნისლაურისძე ნამდვილად იმსახურებს ამ ლექს-ჯილდოს:

ნისლაურისძე ჴირჩლაი
კლდისა ვეფხვია მწკლიანი,
სიბერე ლომსა არ უშლის,
ას მაინც სახელიანი.
ბევრჯელ ჩავიდა ღილღოსა
საომრად გულ-ჯავრიანი,
ბევრჯელ ისრივა ჴირიმი,
მთა და ბარს ედგა გრიალი,
ბევრკან დააგდა ღილღველი
დაჭრილი, პირ-სისხლიანი. [156] [92, 113]

ლექსი ადრესატის უდიდესი ჯილდოა, მისი უკვდავებაა, რასაც ადამიანი ელტვის. აქ, კიდევ ერთხელ, შესანიშნავად ჟღერს შინა

[156] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, თბ. 1031, გვ. 113

არსი შ. რუსთაველის ცნობილი აფორიზმისა "სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!"[157] [სტრ.799][93].

მტრის რისხვის მიმცემი კოზმანაშვილისათვის რა არის ეს ლექსი თუ არა ჯილდო?

კახეთში კოზმანაშვილო,
შენი ხმა თუშეთს ამოდის!
გაგიმაგრებავ კონდოლი,
ჯარი ველარსით შამოდის
ეგ ჩვენი ცხენი ლურჯაი
თელაეში მალ-მალ შემოდის,
ეგ ჩვენი ხმალი ფრანგული
ქარქაშში ლაღად ამოდის.
ეგ ჩვენი აზნაურები
გაღმით ხმა გამოღმ გამოდის.[158]

მაგალითი ბევრზე ბევრია.

თანამედროვე ქართული ენის იმავე განმარტებითი ლექსიკონით, **ჯილდო** არის – (სპარს. ჯალდუ) 1. საპატიო საჩუქარი, ასევე – ძღვენი ვისიმე დამსახურების, ღვაწლის აღსანიშნავად.

ჯილდოება – ... ჯილდო ეძლევა, – საჩუქრდება [ქეგლ, IV].

იმავე ლექსიკონით, "**საჩუქარი**" არის ის, "რაც უნდა აჩუქონ ან აჩუქეს, – ძღვნად მისაცემი ან მიცემული" [ქეგლ, IV].

ახლა უფრო ცხადია, რომ ჯილდო, არც მეტი, არც ნაკლები, "საპატიო საჩუქარია", ხოლო სემანტიკის მიხედვით, ჯილდოს ანალოგიურია **საჩუქარი**, იგივე – **ძღვენი**.

მრავალფეროვან საჩუქართა შორის ცალკე გამოვყოფთ **ხმალს**.

ძვირფას საჩუქართა შორის საბრძოლო იარაღს გამორჩეული მნიშვნელობა აქვს. ეს გასაგებიცაა, რადგან პიროვნების სახელის მოხვეჭა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა თუ მოსახლეობის მშვიდობიანობის დაცვა კარგ ყმათა იარაღზე იყო დაფუძნებული. აქ ხმალს დიდი უპირატესობა ჰქონდა. ამის დასტურია თუნდაც ის უამრავი ხალხური ლექსი, რომელთა თემა ხმალია, მიზანი კი — მისი მხმარებელი ვაჟკაცის ქებათა-ქება. ეს ხმა ისმის იმ ზეპირსიტყვიერ ძეგლებში, რომელთა შინაარსში ცნაურდება ერეკლე მეფის დამოკიდებულება ამ ბრწყინვალე იარაღისადმი. რად ღირს თუნდაც ლეგენდები, თქმულება-გადმოცემები ხიმიკაურის ხმლის შესახებ! აი, ერთი მაგალითი, რომელიც ალ. მამულაშვილს სოფელ ზემო ალვანში, 1937 ნელს ჩაუწერია. ხალხური თხზულება საინტე-

[157] შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ. 1957, გვ. 170

[158] დიალექტში "ამოდის" რითმასთან იქნებოდა "შამოდის" [და არა "შემოდის" ზ.ს.].

რესო ვარიანტია ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილი ტექსტისა – "ხიმიკაურის ხმალი" ("ივერია", №196, 1902წ.). გავეცნოთ ალ. მამულაშვილისეულ ჩანაწერს. იგი ლამის სიუჟეტიანი მოთხრობაა, რაც, ჩვენი აზრით, ჩამწერის მწერლურ-შემოქმედებით შესაძლებლობებზეც მიუთითებს.

ძაღლიკა ხიმიკაურის ხმალი

პატარა კახი მეფე ერეკლე მეორე 54 წელს მეფობდა. ამ ხნის განმავლობაში მას ორასამდე ომი აქვს გადახდილი. ამათში 44 დიდი ომია. არ იყო წელიწადის თითქმის არც ერთი დრო, რომ იგი ლაშქრობაში არ ყოფილიყო. ერეკლე საქართველოს საზღვრების მედგარი დამცველი იყო. საქართველოს ასაკლებად ხან ოსმალო, ხან სპარსი და ხან კიდევ ლეკი მოიწევდა. მტრისაგან მოსვენება არ იყო. ერეკლეს ერთგული მეომრები თუშნი, ხევსურნი და ფშაველებიც იყვნენ. მათ ბატონყმობის უღელი არ ედგათ. ამისაგან თავისუფლები იყვნენ და ამიტომაც თავის სამშობლოს მედგრად იცავდნენ. მეფე-სარდალი მუდამ აფასებდა კარგ ყმათა ვაჟკაცობას და ყოველთვის უხვად აჯილდოებდა, ასაჩუქრებდა მინა-წყლით, იარაღით, თანამდებობის მიცემით, რაიმეში დაწინაურებით. ერთხელ ლეკ-ოსმალთა გაერთიანებულ ჯართან ბრძოლაში ერთმა თუშმა მეომარმა გვარით დილოიძემ თავი მეტად ისახელა. ერეკლე მისი გმირობით აღტაცებული დარჩა. ომის ასპარეზიდან დაბრუნებულმა მეფემ ნალკის ხეობაში შეისვენა. დილოიძე თავისთან მიიხმო და ჯილდოთ მთელი ნალკის ხეობა შეაძლია. დოლიძე ამით უკმაყოფილო დარჩა.

– მინა-წყალი რო მინდოდეს, განა ჩვენში მთა-ველები ცოტააო? – მიუგო მეფეს. – მე მეომარი ვარ, უმჯობესია კარგი იარაღით დამაჯილდოოთ, უფრო უკეთ გამომადგებაო.

– რა იარაღი გინდა გიბოძო?– შეეკითხა მეფე. იმავე ომში ყოფილიყო ერთი სახელოვანი მეომარი ხევსური ძაღლიკა ხიმიკაური. მისი გორდა ხმალი დილოიძეს ძალიან მოსწონებოდა. იგი მაგარი ფოლადისა ყოფილა, კაცი მას ხელზე დაიხვევდა და ხელის გაშვებისთანავე ბზრიალით გაიშლებოდა. მშვენიერი ჭრა ჰქონდა. ოსმალ-ლეკთა მეომრები ხიმიკაურმაც მარჯვედ კაფა თურმე. დილოიძეს ამ ხმალზე გული ძალიან შევარდნოდა და ამიტომაც ჯილდოდ ერეკლეს მისი ხმალი სთხოვა. მეფემაც მეომრის გულის მოსაგებად ხიმიკაური დაიბარა და სთხოვა ხმლის გადაცემა. ხიმიკაური ერეკლეს უარს როგორ ეტყოდა! სამაგიეროდ მეფემ თავის ოქროს ზარნიშიანი თოფი მიუძღვნა. დილოიძე კმაყოფილი შეიქმნა, ხიმიკაური-კი განაწყენდა, არ ესიამოვნა კარგი ხმლის ხელიდან გაშვება.

ბევრ დროს არ გაუვლია. მტრებმა საქართველოს საზღვრები ისევ გადმოლახეს. მეფემ საბრძოლველად მთასაც მოუწოდა. დილოიძე გახარებული ნავიდა მტრის კისერზე თავისი საყვარელი იარაღის ფხის გასასინჯად. ძაღლიკა ხიმიკაური კი გაჯიუტდა:

– განა მე დიაც ვიყავ, მეფემ რომ ხმალი ჩამომართვა და სხვას გადასცა?

ხევსურთ ჯარი უწინამძღვროდ ომში არ მიდიოდა, ძაღლიკა კი მტკიცე უარზე იდგა.

– ომში არ ნავალ! – ამბობდა იგი.

ბოლოს ხევსური დედაკაცებიც ჩაერივნენ. ერთმა მათგანმა მანდილი მოიხსნა და ძაღლიკას მიმართა: – ძაღლიკავ, თუ დიაც ხარ, აჰა მანდილი, წამოისხი და ჩვენში დაჯექიო!

ეს კი ხიმიკაურისათვის მეტად სანყენი იყო. იძულებული შეიქმნა ომში ნასვლაზე დათანხმებულიყო. ჯარს მიმართა: თქვენ იარეთ, მეც მოგეწევით. აიღო ჯოხი, გათალა ხის ხმალი, ჩამოიკიდა და ჯარს ნამოენია, მეფე ერეკლესთან ჩამოიყვანა. ერეკლეს ეუცხოვა ხის ხმლის დანახვა. ერთბაშად ვერ მიუხვდა ძაღლიკას ეშმაკობას; ბოლოს ერთი გულიანად გადიხარხარა. მოაგონდა ძველი ამბავი. უბრძანა მხლებლებს სამეფოს ხმლის გამოტანა და ძაღლიკას გადასცა. ძაღლიკას შუბლზე ნაკეცები გაეშალა, წარბები გაუსწორდა, დამხიარულდა და მტერს მედგრად ეკვეთა.

მას შემდეგ თითქმის 180-200 წელინადია გასული. ხიმიკაურის ჩამომავლობას – ახლა ლიქოკელებს – ჯერ არ დავინყებიათ მათი წინაპრის საამაყო ხმალი. სწყინთ, რომ იგი თუშთან არის და არა მათთან. ამ ათიოდე წლის წინ ერთ-ერთი ლიქოკელი ზემოალვანში – ლიდოიძიანთ ჩამომავლობაში ამ ხმალს დაეძებდა.

– დამიბრუნეთ, კარგ ფასს გავიღებო. დილოიძიანთ ჩამომავლობას ამ ხევსურისათვის ეს ხმალი ეჩვენებინათ. იგი ახლა ჟანგისაგან შეჭმული და ქარქაშ გაქუცული იყო. ხევსურს იგი აღარ მოენონა, – მატყუებთ, ეს ის ხმალი არ არისო – ამბობდა იგი და ხელცარიელი უკანვე გაბრუნდა"[159].

ერეკლეს ამ ხმალს დღემდე უკვე აქვს თავისი საინტერესო ისტორია. ეს ისტორია დღესაც გრძელდება.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ხალხურში საჩუქრის მრავალსახეობაა ცნობილი. ასეთთა შორის უნდა გავიხსენოთ საკარგყმო.

საკარგყმო, ღაბახსა და ჯილდოსთან ერთად, გამორჩეული ჯილდოა. ალ. ჭინჭარაული განმარტავს:

---

[159] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძის. ტ. II, თბ. 1964, გვ. 95-97

"საკარ/გ/ყმო — კაი ყმის ჯილდო (განსაკუთრებული დამსახურებისათვის მისაცემი საჩუქარი, სადღეგრძელო, მისართმევი სასმისი, ლუდიანი სანდე, ცხვარი, ხარი და მისთ.[160]).

ალ. ღლონტის მიერ შედგენილ "ქართულ კილო – თქმათა სიტყვის კონაში" ვკითხულობთ: "საკარგყმო (ფშ., ხევსურ., მოხ.) კაი ყმის სადღეგრძელო... ვაჟკაცთა დასამწყალობებელი, საჩუქარი მოთავის, წინამძღოლისა, კარგი ყმის შესაფერი საჩუქარი, სადღეგრძელო... კარგი ყმების, კარგი ვაჟკაცების სადღეგრძელო.[161] ეს ნიგნი კი, როგორც შემდგენელი ბრძანებს, "მკითხველს ეხმარება ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში დამონმებული მრავალი კუთხური სიტყვის სწორად გაგებაში."[162]

"ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც" მიუთითებს: "საკარგყმო – კარგი ყმისათვის განკუთვნილი 'სადღეგრძელო საბოძვარი...'" (ტ.VI,1960).

საბოძვარი იგივეა, რაც საჩუქარი (ქეგლ, 1,ტ.VI).

შ. რუსთაველი წერს: მეფე ფარსადანმა, ტარიელის მამას, სარიდანს

"ერთი სამეფო, საკარგყმო, უბოძა ამირბარობა"

კარგი ყმა კი ის არის, ვინც ქვეყნისა და ხალხის სამსახურით თავი გამოიჩინა.

ვაჟა-ფშაველას თხზულებებში არც ეს ლექსემაა დავინყებული.

ალუდას საქციელით გაკვირვებულ ხევსურებს მინდიამ დამამშვიდებლად შეუძახა:

"– ვაჟნო, ვინდომებ თქვენთვისა
წყალობას ბატონისასა,
საკარგყმო დამალეინეთ
მოგიტანთ ხელსა მტრისასა"[163].

ტერმინს ვაჟა-ფშაველა ხშირად მიმართავს:

კარგ ყმათ საკარგყმოს ასმევენ,
მოიხსენიეს მკვდარია,
პირ-ოფლიანნი, ვინაც-კი
ლაშქარს მოკლული არია.

ცხადია, რომ საკარგყმო უკვდავების გვირგვინს ადგამს ადამიანს, ვინც წუთისოფელს ხალხისა, თემისა თუ ქვეყნის სიყვარულში ათენ-აღამებს.

---

[160] ა. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ. 1969, გვ. 233.
[161] ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984, გვ. 464
[162] იქვე, გვ. 8
[163] ვაჟა-ფშაველა, პოემები, თბ. 1990, გვ. 78.

საკარგყმოთი მონადირის ხელმარჯვეობა თუ მიზნის მოუმცდარობაც აღინიშნებოდა: ალ. ჭინჭარაული ხალხური ერთი გადმოცემის თაობაზე წერს: "არნივის მოკვლას მაინცდამაინც არ ცდილობენ (სიკვდილის წინ თუ დაკივლება მოასწრო არნივმა, ეს მკვლელის საშინელი წყევლაა და მას დიდი უბედურება არ ასცდებაო), მაგრამ არნივის მკვლელს დღეობაში ლუდიან კოშს მაინც აძლევდნენ საკარგყმოდ"

ხალხურ პოეზიაში არც ასეთი საჩუქარია დავინყებული: შიოლა ღუდუშაურის ლექსების ციკლში ვკითხულობთ:

საკარგყმო დადგეს ჴევსურთა,
"შიოლას ვინც სცემს ფარზედა?"[164]

საკარგყმო, როგორც საჩუქარი არაერთ ზეპირსიტყვიერ ტექსტშია ფიქსირებული. მარტია მისურაული "სახელის მოყვარულია", მისი ნამოქმედარი კი – დასაფასებელი:

მითხოს საკიდელს ჩამახჴსნის,
სანეს საკარგ-ყმოდ მოგვივა"[165]

გარდა მრავალფეროვანი ბეგარისა, თორღვა ძაგანი უცნაურ საჩუქარსაც მოითხოვს:

საკარგ-ყმოდ შამიკრიფიდით
ლაღის არნივის მჴარიო [166]

თორღვას მიერ დადებული ბეგარის თვალსაწიერი მეტად რთულია თავისი მორფოლოგიით...

საგმირო ლექსის ფუნქციათა შორის მისი ესთეტიკური იდეალი გამორჩეულია: მტრის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა და ამ ბრძოლაში სიკვდილი ან გამარჯვება პერსონაჟის უკვდავების ტოლფასია. სალაშქრო თუ ყოფაცხოვრებითი ხასიათის საგმირო ლექსი თავისი მონუმენტურობითა და პერსონაჟის უკვდავების გაუბზარავი რწმენით, სამშობლოს უანგარო სიყვარულით, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლის კაცობრიული მიზნით დღესაც ჩვენი თანამედროვეა. მისი ტროპული სამყარო კი — ერის სულიერი თუ ზნეობრივი სიმდიდრის ჭეშმარიტი მაჩვენებელი.

ხმით ნატირლების ექო იმდენად ძლიერია, რომ ნაშრომის ამ თავს, ჩვენდა უნებურად, ლამის ბოლომდე გასდევს.

ხალხური სიტყვიერება მისი შემოქმედი ხალხივით ბრძენია. აქ, როგორც ნესი, თავს იყრის და პოეზიად იქცევა ის ჭეშმარიტი გრძნობა და განცდა, სურვილი, სიხარული, ტკივილი... რაც ასე ბუნებრივია

---

[164] ა. შანიძე, ხალხირო პოეზია, I, თბ. 1931, გვ. 14
[165] იქვე, გვ. 11
[166] იქვე, გვ. 16

თითოეული ქართველისა თუ სრულიად საქართველოსათვის. ასეთთა შორის ნაშრომში ცალკე გამოვყავით სამგლოვიარო პოეზიის რამდენიმე ეპიზოდი, სადაც ყურადღება კონკრეტულად ხმით ნატირლების სახისმეტყველებაზეა გადატანილი.

ხმით ნატირლების ისტორია შორეული საუკუნეებიდან მოდის. (იხ. ა. არაბული, სამგლოვიარო პოეზია, თბ. 2006.) აქ თუნდაც მტრის მიერ ღალატით მოკლული ფარსმან ქველის ხმამაღლა დატირების გახსენებაც იკმარებდა, რაც მემატიანემ დააფიქსირა და ისტორიამ დღემდე მოიტანა. იგი უძველეს ფოლკლორულ ჩანაწერად წარმოგვიდგენა:

ვაჲ ჩუენდა,
რამეთუ მოგჳძინა სუემან ბოროტმან,
და მეფე ჩვენი,
რომლისგან ჴსნილ ვიყვენით
მონებისაგან მტერთასა,
მოიკლა იგი
კაცთა მგრძნებელთაგან,
და ან მივეცენით ჩუენ
წარტყუენვად ნათესავთა უცხოთა.[167]

აქვე გლოვის უძველეს წესსა და თემატიკაზედაცაა მითითებული: "დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი და აჴსენებდიან სიმჴნესა და სიქუელესა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა." [168]

ჩვენი შორეული თუ ახლო წინაპარი საბრძოლო-საომარ ხელოვნებაში საკმაოდ კარგად ერკვეოდა. იგი თვითონ იყო ომის გამრიგეც და ბჭე-მოსამართლეც.

პიროვნების ღვაწლის დაფასება ხალხისადმი მისივე სამსახურის ხარისხით იწყება. იგი არა მხოლოდ სიმღერაში, არამედ ტირილშიც იჩენდა თავს.

საგლოველ ხმაში, ხმით ნატირლებში აშკარად არის გამოკვეთილი დასატირებელის სააქაო სახელიანობა, მისი სააქაო სახელის უტილიტარული ასპექტები. ა. არაბული წერს: "მდევართმეტობა" და "ლაშქართმეტობა" ნატირალთა ადრესატების განმადიდებელი სახოტბო სიტყვებია. "ყმა, რომელიც ლაშქრის რიგითი წევრია, მაგრამ ბრძოლაში სხვებს "აჭარბებს", სხვებზე მეტია, საყოველთაო კრძალ-

---

[167] **ქართლის ცხოვრება**, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. **ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I, თბ. 1955, გვ. 53.

[168] **ა. არაბული**, ქართული ხალხური სამგლოვიარო პოეზია, სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ. 1998, გვ. 70-71.

ვასა და დაფასებას იმსახურებს თვისტომთა შორის" ხმით ნატირლებში კაი ყმობის არაერთი ატრიბუტია ხაზგასმული.

ა. არაბულის დაკვირვებით, "ვაჟკაცი, ნატირალთა თანახმად, ომში გამოჩენილი სიმამაცით, თოფის, ფარ-ხმლისა და ხანჯლის მოხერხებული ხმარებით ფასობს"[169]. მკვლევარის თვალსაზრისს სრულიად ეთანხმება ზეპირსიტყვიერი მასალა, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი გამოქვეყნდებულია.[170]

ხმით ნატირალის მსმენელის სქესისა და ასაკის მიხედვით დანაწევრება ძნელია. ადამიანი მიმბაძველია. აქ უმთავრესია სიტყვის მაგიზმი და მისი აღმზრდელობითი შინა არსი. საგმირო ლექს-სიმღერასა თუ ხმით ნატირალს ეს ფუნქცია დღესაც გააჩნია. ხალხური ზეპირპოეტური კულტურის ერთი უმთავრესი მიზანი ყოველთვის კაი ყმის აღზრდა იყო. როცა მოდალავენი "დალაის" ასრულებენ, მას მთელი სოფელი უსმენს. თავისთავად, თითოეული ამ დალაობის მონაწილეა, დიდაქტიკოსი შემოქმედი აქ თავის საქმეს აკეთებს: ამ გენიალურ რეკვიემში საქვეყნოდ ისმის მსმენელის დამმუხტველი სიტყვა-საგალობლები: "ბრალია შენი ულაშქროდ სიკვდილი", "მტერთან ხმალამოღებულო", "მტრისათვის რისხვის მიმცემო", "იმედო თავის ქვეყნისა", "ნეტავ შენს საიქიოსა" და ა. შ. ეს და რიგი სხვა მიმართვებისა უკვდავების ძეგლს უდგამს მამულიშვილს, სამუდამოდ ამკვიდრებს მის სახელს ჩვენს ხსოვნაში. სახელი კი გარჯით მოიპოვება. ზეპირი სიტყვაა მილიონებს რომ სამშობლო ქვეყნის იმედად ზრდის. დიახ, ამიტომაც "ომით მაშვრალი, სისხლით მთვრალი" კაი ყმა ყოველთვის სავაჟკაცო საქმეზე ფიქრობს, მზად არის, პირველი შეეგებოს შიშველ ხმალსა და ცხელ ტყვიას, საორბედო ბრძოლაში გაცინებული პირით შევიდეს, ვერაგი მტერი ოილად მოიგერიოს, დაჯაბნოს და საკუთარი სისხლის ფასად იხსნას განსაცდელიდან მოძმე და მოყვასი".[171]

ყოველი ხმითნატირალი თავისებური ეპოპეაა, სადაც გაუხუნარი პოეტური ხატოვანებითაა მოთხრობილი კაი ყმის გარდაცვალების, მისი ბუნებისათვის ნიშანდობლივი წარსული. ეს ის პოეტური ტროპიკაა, რომელიც მთქმელთა მიერ იმავე სოფლის წყალ-ჭალის ხმებსა და ველ-მინდვრებზე მოკრეფილ ყვავილებს ჰგავს, რომლებიც არასოდეს არ ხუნდებიან, არც ჭკნებიან, არც სურნელს კარგავენ. ალ. ოჩიაურს 1937 წ. ჩაუწერია "მზექალუასაგან ნატირალი

---

[169] ა. არაბული, ქართული ხალხური სამგლოვიარო პოეზია, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 1998, გვ. 14.

[170] ქართული ხალხური პოეზია, თორმეტ ტომად, ტ. V, თბ, 1976.

[171] ა. არაბული. დასახელებული დისერტაცია, გვ. 72.

სამუკაზე", სადაც საუცარია პოეტურ სამკაულთა საბრძოლო – საომარი იარაღის დითირამბი:

ალაღებულსა ღგვანდი წყალსაო,
ვერგასავალსა ცხენისასაო.
პირ-გამართულსა ღგვანდი თოფსაო,
ჴმაძალიანსა სიათასაო,
დაფხაებულსა ღგვანდი ხმალსაო,
ფრანგულსა სისხლჩი დაჩვეულსაო[172] [V, 100].

ხმით ნატირლებში აშკარადაა ხაზგასმული საბრძოლო იარაღის შესახებ, რაც გარდაცვლილის ბიოგრაფიას უკავშირდება. "დედის ძმაზე ნატირალში" ნათქვამია:

თოფი თუ გინდა, მაგცემ თოფსაო,
პატრონის გულზე ნამართებსაო.
ჴმალი თუ გინდა, მაგცემ ჴმალსაო,
ფრანგულსა ხოლიგაისასაო [V, 101].

სიცოცხლეში საომარ იარაღთა მიზნის სიზუსტე და დაუმცდარობა გარდაცვლილი კაი ყმის უმთავრესი მახასიათებელია.

– ტროპის სიუხვე კი, თვით ხმით ნატირალის ბუნებიდან, მატირალის მიერ გარდაცვლილის ვაჟკაცური ცხოვრების თავისებურებათა ამონურვის სურვილიდან უნდა მოდიოდეს. ალ. ჭინჭარაულს ზემოხსენებული ტექსტის საინტერესო ვარიანტი ჩაუნერია:

ადიდებულსა ღგვანდი წყალსაო,
ვერ გასატეხსა ცხენისასაო,
გამწარებულსა ღგვანდი მთასაო,
ვერ დასანონსა მგზავრისასაო,
პირ-კვამლიანსა ღგვანდი თოფსაო,
ჴმა-ძალიანსა სიათასაო;
პირ-დაფხაულსა ღგვანდი ჴმალსაო
ფრანგულსა, სისხლჩი დაფერულსაო;
მგორიალესა ღვანდი ქვასაო
მთაჩიითა ჭალას გავარდნისაო...[V, 79-80].

აქ ტროპის ყველა სახეობა შეუმცდარი შეფასებაა გარდაცვლილი კაი ყმისა. ეს პოეტური შედარებები სამზეოსდაკლებულის ბრწყინვალე სიცოცხლის, მისი სახელის არდავიწყების საუკეთესო წანამძღვრებია:

ხმით ნატირლებში საბრძოლო იარაღის მიმართ მთქმელთა დამოკიდებულება აშკარაა. კაი ყმის სიკვდილი სოფელში ზარბაზნის საშინელ ქუხილს ჰგავს:

---

[172] აქ და ქვემოთ ტექსტების გვერდები დამოწმებულია — **ქართული ხალხური პოეზია**, ტ. V, თბ. 1976.

შატილ გავარდა ზარბაზანიო,
ცაზე გაიღა გურგუალიო 'V. 79'.

თოფსა და ხმალს ველარ შეიბამს მტრის გამჯავრებელი კაი ყმა:

ბევრაი ჯიჯვის გამგორესაო,
თოფსა ჴირიმსა ზიდავღაეო.
მტრისა ბევრაის გამჯავრესაო,
წელზე ფრანგულსა იბამღაეო [33, 92].

დასტირიან იმათ, ვინც იყვნენ "გაუტეხელნი ბასრი ჴმალნი", [V, 117], ვინც "ლაშქარს ნამყოფი ვაჟკაცია", [V, 122], ვინაც "აისხა იარაღი" [V, 85], ვისიც "დავა ლურჯაი უმჴედროი" [V, 76], ვინც "დისწულია ჴმალთეთრაი" [V, 76], ვინც "თოფი ჩუგლუგით გამასწვადა" [V, 94] და ა.შ.

ადამიანი სწორედ თავისი საქმით გადადის უკვდავებაში. კაი ყმა მართლაც არის "სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი". ადამიანს, თუ ის თავისი მიწა-მამულისა და ერის კაცია, სიკვდილი ვერაფერს წაართმევს. ხმით ნატირლებში ეს ფაქტი კაი ყმის უკვდავების ძეგლად ქცეულა.

დროშათ ქვე ვინღა აგვიბემდაო,
ჴმალას ნითლითა ატლასისთაო,
ლაშქართ ქვე ვინაღ შაგვიყრიდაო,
გიგაურ-სამხარაულისთაო,
მუხრანს ქვე ვინღა გაღბეგრევდაო,
მინდორსა სისხლით შაღებულსაო [V, 95].

ხმით ნატირლებში მატირალთა სევდა უსაზღვროა და გადამდები, თანაგრძნობა უტყვია და დამყოლი; სიკვდილმა გარდაცვლილის კუთვნილ ყველაფერს შეახო თავისი "გამაოხრებელი" ხელი:

გაოჴრდა ცელი, საფარცხველიო,
თორმეტის მთიბლის საყოფინიო,
ლურჯა გაოჴრდა, ცხენ ოჴერიო,
პატრონის ჴელჩი დაუცდელიო.
დაოჴრდა ვერცხლის იარაღიო,
პატრონის ცხენზე ნაშვენებიო,
ციხევ, უდროოდ ჩამოშლილოო,
გულს უნადილოდ დაფშვნეტილოო,
თოფო, ნეტა ვინ აგაძრახაო,
ენამც ჩაგიდგა პატრონისაო [V, 119-120].

ხმით ნატირლების პოეტური სივრცე და განი ზღვარდაუდებელია. საკითხავი ის არის, საიდანა მოდის მატირალთა განცდებში ამდენი მხატვრული სახე, თანაც ასეთი ღრმა და დახვეწილი, შინაარსდაუტეველი და გლობალური, ნაცნობი, მაგრამ თურმე უცნობი თავისი შინა არსით: ჩამღელებს "ცა დახურვიათ"... გულის გამდარ-

დიანებელი ტირილი გარდუვალია. მატირალს პატრონმომკვდარი საომარი იარაღისაკენ გაურბის გულიც და სიტყვაც:

თოფსამც ჴარასა ვენაცვლებიო,
ჩამღას გაგაის გატენილსაო.
თოფის ისარსამც ვენაცვლებიო,
ჩამღას გაგაის ჩაგებულსაო [V, 101].

ხმით ნატირლები "ომში კივილით დამავალთა" [V, 92] ჰიმნია, მათი უკვდავებისა და მზეჩაუვალობის ჰიმნი. ისინი დაუოკებელი ბუნების დაუოკებელი შვილები არიან: ვეფხვები, არწივები, ჯიხვები, ირმები... აქაც დავიმოწმებთ:

ვეფხო, დახყარე იარაღიო,
არწივმა დაჭუჭკენ მჴარნიო,
ჯიჴვო, საწოლთით გადმაღვარდიო,
ირემო, დაინაყენ რქანიო!" [V, 96].

საომარი საქმისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდა სამუდამო ვალად ედვა ქართველ კაცს. კაი ყმის დაბადებიდან სიკვდილამდე, და სიკვდილის შემდეგაც კი, ხალხური შემოქმედება არ თმობდა თავის პოზიციას: ეს იყო — მიწისა და ხალხისადმი თავდადების, სიყვარულის შეგნების აღზრდა, ამ შეგნებით სურდა ცხოვრება, ამ შეგნებით სიკვდილი და თვით საიქიოშიც კი ამავე შეგნებით ცხოვრების გაგრძელება. ამ შინაარსით, თუშურ "დალაისთან" ერთად, საყურადღებოა 1948 წელს ჩაწერილი ერთი მოხეული ხმითნატირალი. ლექსში მდიდარ პოეტურ სახეებში საოცარი ხელოვნებითაა დაწნეხილი სალაშქრო საქმის დიდი მცოდნის, ან უკვე გარდაცვლილის ცხოვრების მიზანი, მისი მოღვაწეობის, სიცოცხლის არსი და აზრი, რაც უკვე იყო და რაც საჭიროა გაგრძელდეს მომავალ თაობებში:

ზეითკენ წახოლ, ქორი გინდა,
ქოითკე წახოლ, – შავარდენი,
თეთრისა ქორისა ნაშობოო,
შავარდენისაგან ნაქნაროო,
თავლაჲ გინდა შაკაზმული,
აცალე, თავლავ, პატრონი ომჩი ემზადება,
თავლაჲ გინდა მოჭედილი,
ოსმანეთის ნალურსმითა
ოთხავ ფეჯზე მოჭედილი.
თავლას უნაგირი უნდა
ოქრო-ვერცხლით ჩაარტნული,
სამკლავ გინდა, საფუჯარი,
ჯაჭვი პერანგად დაგშვენდება... [V,89]

ქს. სიხარულიძე ეს ხმითნატირალი "სამხედრო ხასიათის"[173] ტექსტად მიაჩნია. მართლაც, ლექსი სრულ საფუძველს გვაძლევს იმისათვის რომ ისე განვიხილოთ, როგორც სალაშქრო შინაარსის მქონე ზეპირსიტყვიერი ძეგლი.

ხმით ნატირლები ერის ცოცხალი პოეტური საგანძურია. იგი ხალხური სამგლოვიარო ლექსის სახეობაა. მასში შეუმწიკვლელადაა შენახული ჩვენი წინაპრის სიხარული თუ ცოცხალი სევდა, რაც სხვა საინტერესო შინაარსთან ერთად, ააშკარავებს კაი ყმის აღზრდის ხელოვნებისათვის ნიშანდობლივ თავისებურებებს.

სამგლოვიარო ლექსის მეტად ორიგინალური და მრავალფეროვანი სახისმეტყველებიდან ცალკე გამოვყოთ ციხის სიმბოლიკას.

ციხე როგორც სახისმეტყველების პოეტური ნიმუში სხვადასხვა ასპექტით ხშირად არის წარმოდგენილი ხალხური სამგლოვიარო ლექსის ინფრასტრუქტურაში. ცხადია, აქ ჯერ გამორჩეულია ხმით ნატირლების პოეტური სივრცე.

როგორც უკვე ითქვა, სამგლოვიარო ლექსის შენაკადთა შორის 'მოსაგონარი, საგმირო-სამგლოვიარო და სხვა' ხმით ნატირლების სახისმეტყველებაში სამყაროში არსებული მოვლენებისა და ფაქტების პოეტური გარდასახვის შესაძლებლობანი დიდია, მიღებული შედეგი კი — დახვეწილი და ამაღლებული. აქ პოეტური სახე უცნაურ გამომსახველობით იერ-სახეს იძენს, რაც ერთი ფიქრის მდინარებაში ვერ ეტევა, დიდ სივრცეს სნვდება და მსმენელის მეხსიერებაში გამორჩეულ ადგილს იკავებს. ზემოთქმულთან ერთად გამორჩეულია ციხის ტროპული თავისებურებანი.

კაი ყმის სიკვდილი ხმით ნატირლებში, ძალიან ხშირად ციხის დანგრევასთანაა ასოცირებული:

ციხე დაგეექცა ქალო-დ ზალოო,
ჩაწვა როსტომი მინაშიაო [V, გვ.71]

კაი ყმის სიკვდილი ციხის ჩარდახის ჩამოქცევის იდენტურია

ტანიეს ამბავ გავიგონეო –
ციხემა ჩარდახნ ჩამოყარნაო [V, გვ.103]

ხმით ნატირლებში კაი ყმის გარდაცვალება ნიადაგ ციხის დაშლასთან არის გაიგივებული:

ამბად მოვიდა ჴევსურეთა,
მომკვდარა მარაისძის შვილი,
ამღას ციხეი დაიშალა [V, გვ.106]

ამრიგად, კაი ყმა თვითონაა ციხესთან გაიგივებული:

[173] ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, თბ, 1970, გვ. 63.

რა ვქნა დედანო, მატირალნო,
რაჴელ ვიქჩერა სატირლადაო
ეგ ცისკარაულთ ფალავანიო
ციხეი ახილელთაიო,
ციხე უდროოდ ჩამოშლილიო. [V, გვ. 110]

სხვა ხმით ნატირალშიც ნათქვამია, რომ "თავად ციხესა თანგულასაო, ციხეს ციხენი ქვე რაღად უნდაო" [V, გვ.97].

კაი ყმის სიკვდილი თემ-სოფლისათვის ხმლის შემოხსნაა, მშვილდიდან გოზალის ჩამოყრაა [V, გვ.115], გულის უწადინოდ დაფშვნეტაა, გულის გამლეწავი გმინვაა. ჭალას ქვითკირად ნაყუდებ მამულიშვილზე ნატირალშიც, ჩანს, ტირილის ღმერთის ხელი თუ ურევია! არადა საიდან მოდის, საიდან — ეს ზღვარდაუდებელი მეტაფორისტიკა?!

ხმით ნატირლებში როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს ლექსემა ციხის სახისმეტყველებითი ძალა და შესაძლებლობა. ციხე თავდაცვითი მნიშვნელობის საფორტიფიკაციო ნაგებობათა შორის ყველაზე უფრო გამორჩეულია. ჩვენს მაგალითებში ციხე არცერთ შემთხვევაში არ არის პატიმართა თუ სიკვდილმისჯილთა საპყრობილე. იგი სოფლისა თუ გვარის, ოჯახისა თუ ნათესავ-ახლობელთა თავდაცვითი საშუალებაა. ამიტომ არის კაი ყმის სიკვდილი ციხის დაშლის სიმბოლიკად აღქმული:

გუშინ გავიგით ჴევსურეთაო,
ციხე ახიელ დაიშალაო —
ციხეი ჯურჯიაულთაიო.
კოჭლით აღარ ჰყავ ბერდიაიო,
შაეჴსნა ჴმალი თემ-სოფელსაო,
მშვილდმა გოზანი ჩამოყარნაო. [V, გვ.115]

არა მხოლოდ ხმით ნატირლებში, არამედ **მოსაგონარ** ლექსიმღერებშიც ციხის დაშლის სიმბოლიკა სოფლის სახელოვანი ადამიანის სიკვდილის ტროპულ სახედაა ფიქსირებული. ობოლათ ნიკოს სიკვდილის გამო მოლექსე მოთქვამს:

ჩამოგეშალათ ციხეი,
შაგეხსნათ რკინის კარია.
კუთხი დაეძრა ციხესა,
გამაეყრივნეს ქვანია,
ჩარდახნ მიწაზე დაეცნეს,
ჩამოჰყვა უფლის თვალია. [V, გვ.150]

მოსაგონართა საშუალებით წარმოდგენილი ციხის ტროპული შესაძლებლობანი ხმით ნატირლებისეული სიმბოლიკის ანალოგიურია. ლექსში "სიკვდილი ახალ-უხლების" ნათქვამია – "ციხე დაგვექცა ქვისაო" [V, გვ.144]; იქვე ვკითხულობთ:

ღულით ამოდის ტირილი,
ცრემლი ნყალივით დისაო.
გიგიას ციხე დაექცა
ნაგები ბასრი ქვისაო [V, გვ.147]

სხვა ლექსში მეტაფორა უფრო გართულებულია:

შატილს დაეცა ციხეი,
მასტყდა მარჯვენა მხარია [V, გვ.147].

მომხდურებთან ბრძოლის ამსახველი ლექს-სიმღერებშიც ციხე როგორც პოეტური შედარების მაგალითი თავის შინაარსს მყარად ინარჩუნებს:

სამუკავ, სოფლის ციხეო,
შენი დაქცევა ბრალია 'V, გვ.339'.

ანალოგიურია სხვა მაგალითებიც:

ციხე ზენ უბან დაიქცა,
კუთხი გამასქდა ქვისაო;
მამკვდარას ოჩიაური
მგელი მჭამელ ცხვრისაო. [IV, გვ.78]

პოეტური სახე ხსენებულის იდენტურია საგმირო-სამონადირეო თემატიკის მქონე ზეპირსიტყვიერ თხზულებებშიც.

ბაბღიათ ჩუას სიკვდილით,
ციხევ, დაგეძრა ტანია. [IV, გვ.258]

ციხის დაშლა-დაქცევა ხალხურ ხმით ნატირლებში, სამგლოვიარო თუ რიგ სხვა თემატიკის ლექს-სიმღერებში ერთ-ერთი საინტერესო და შინაარსით მდიდარი ტროპული შესაძლებლობაა.

ქართულ სამგლოვიარო ნეს-ტრადიციათა შორის განსაკუთრებული თავისებურებებით უთუოდ გამოირჩევა "დალაჲ".

ხალხურ ხმით ნატირალთა შორის "დალაჲ" თავისებურია. იგი სტრუქტურული თავისებურებით და ხალხური რეჟისურით მამულის ინტერესებისათვის ბრძოლაში დაცემულ კარგ ყმათა ხმამაღლა ნათქვამი რექვიემია. "დალა" ხალხური სამგლოვიარო სიმღერის რეფრენია. რიტუალს, რასაც ეს სიმღერა ერთვის, დალაობა ჰქვია. დალაობა თუშური ეთნოსისათვისაა ნიშანდობლივი.

დალაობა ეთნოგრაფიული ყოფისა და ფოლკლორული სინამდვილის ურთიერთშერწყმაა, რაც ტრადიციადაა ქცეული. მისი ფესვები საუკუნეებში იკარგება.

დალაობის თავისებურებათა შესახებ ბევრია თქმული და დაწერილი. [ივ.ჯავახიშვილი, ს. მაკალათია, ქ. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი, თ. უთურგაიძე, ა. სპარსიაშვილი., ნ. აზიკური და სხვ.] ის ერთნაირად აინტერესებთ ეთნოგრაფებს, ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებს,

სიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორის სპეციალისტებს... "დალაის სახით, – წერს გ.ჭელიძე, - თუშეთში ხელთ გვაქვს ტრაგიკული ჟანრის მცირე პიესა თავისი ამაღლებული... სურათოვნებით"[174]. იგი კაი ყმათათვის თუშთა საგლოველი ხმაა. დიდმა ივ. ჯავახიშვილმა ფაქტის გამორჩეულობაზე მიუთითა, როცა თუშეთში ფიქსირებულ მუსიკალურ მელოდიათა შორის "დალაი" ცალკე გამოყო. მეცნიერმა შენიშნა, რომ: "დალაობის ჴმაი... სათქმელი სამგლოვიარო სიმღერის ჴმაა"[175].

"დალაობა" "დალაის" შესრულების პროცესს გულისხმობს. იგი მოდალავეთა მიერ გუნდური შესრულების სიმღერაა.[176]

"დალაობა" მხედართა სიმღერაა, რასაც ჩვენ ამჯერად განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. იგი ამ მხრივ გამორჩეულია არა მხოლოდ თუშეთში.

რიტუალურობის მხრივ იგი ხმით ტირილის სახეობაა, "მიცვალებულის წლისთავზე მამაკაცების მიერ შესრულებული სამგლოვიარო სიმღერაა".

დალაობას, როგორც ვთქვით, თავისი ისტორია აქვს. მკვლევარები შენიშნავენ, რომ იგი ნადირობის ღვთაება დალის საგალობელი უნდა იყოს [მ. ჩიქოვანი, შ. ასლანიშვილი, ე. ვირსალაძე და სხვა.] ამრიგად, მისი წარმოშობა მითოლოგიურ სამყაროშია საძიებელი. სხვანი მიუთითებენ, რომ "დალაობის" წარმოშობის ისტორია XVIII საუკუნეს არ უნდა სცილდებოდეს და მეფე ერეკლე მეორის მოღვაწეობა-გარდაცვალებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მ. ჩიქოვანსა და ნ. შამანაძეს მიაჩნიათ, რომ დალაის ტექსტში "ყურადღებას იქცევს ერეკლეს ხსენება. ეს ლექსი, ვფიქრობთ, სწორედ ერეკლე მეორის დატირებას უნდა წარმოადგენდეს"[177].

ასეთი დასკვნის საფუძველს თურმე თვითონ დალაის ტექსტი იძლევა. მკვლევარები მიუთითებენ: "აბა, სხვას ვის უნდა შეეფერებოდეს ასეთი მიმართვები: "ჭკვიანო, საქციელიანო, გამჭრელო მოსამართლეო", "იმედო თავის ქვეყნისა, გამრიგეო თუშეთისაო", ანდა: "ჩვენ ნუვის შევატყობინებთ ლომის ერეკლეს სიკვდილსა" და ა.შ.[178]

---

[174] გ. ჭელიძე, ქართული ხალხური დრამა, თბ. 1987, გვ. 177

[175] ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ. 1938, გვ. 284

[176] მგოსანნი გლოვისანი, ტექსტები შეკრიბა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნ. აზიკურმა, თბ. 1986, გვ. 15

[177] ქართული ხალხური პოეზია, ტომი მეხუთე, შემდგენლები: პროფ. მიხეილ ჩიქოვანი, ნოდარ შამანაძე, თბ. 1976, გვ. 338

[178] იქვე,

ვფიქრობთ, რომ ამ ფოლკლორული ტექსტის "გაახალგაზრდავების" ეს გზა ძნელად მისაღებია. რაც შეეხება თხზულების სიტყვიერ ქსოვილში ერეკლე მეფის სახელის ამოტივტივება, მეფის მოღვაწეობასთან თხზულების დაკავშირება, ფოლკლორული ტექსტის ბუნებაა. კონტამინაცია ზეპირსიტყვიერი შემოქმედების თვისებაა. არადა, "დალაის" ტექსტში ხსენებული აზრის უარყოფისათვის მასალა უფრო მეტია ვიდრე, ვთქვათ, აღნიშნული მოსაზრების გაზიარებისათვის.

რამდენიმე მაგალითი: თვითონ ტექსტიდან დამოწმებული მასალა: "ჭკვიანო, საქციელიანო, გამჭრელო მოსამართლეო"... "გამრიგევ თუშეთისაო"... მიუთითებს ან გარდაცვლილი კაი ყმის მოღვაწეობაზე, როცა იგი ცოცხალი იყო, იმასთან ერთად, რაც ტექსტში უხვადაა ნარმოდგენილი. ასეთია: "სნორში თავგამოდებულო... ჭკვიანო, საქციელიანო, გამჭრელო მოსამართლეო, გამრიგევ თუშეთისაო, ვაჟი ხარ სახელიანი" და ა.შ. ეს და ბევრი სხვაც, რაზედაც ტექსტშია ხაზგასმული, კაი ყმის მამულიშვილის ღვაწლის შეფასებაა. ასეთი უნდა ყოფილიყო ყველა, ვინც იყო "პურ-ნყალი თუშეთისა", ვინც იყო "მტრისათვის რისხვის მიმცემი"

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ "დალაი" ზოგადად გარდაცვლილ მხედართა, სამზეოდან ნასულ კაი ყმათა სადიდებელი ჰიმნია, სამშობლოს დამცველი გმირის თავგადასავალი კი — ამ ჰიმნის მსმენელთა პატრიოტიზმით აღზრდის საუკეთესო შესაძლებლობა. იგი ხვალინდელ მამულიშვილთა თავისებური სულიერი სამჭედლოა. მამულის მტერთან ბრძოლაში გახარჯული სიცოცხლე უკვდავების ტოლფასია, რაც კარგად უწყის დალაის დღევანდელმა შემსრულებელმაც. განუმეორებელი ოპტიმიზმით ამიტომ ჟღერს სიმღერაში: "მტრისათვის რისხვის მიმცემო", "ლაშქარს გიკითხვენ სნორები", "მტერთან ხმალამოღებულო", "იმედო თავის ქვეყნისა", "სტუმართა დღეო მზიანო" და ა. შ.

სიმღერა "დალაის" ინფრასტრუქტურა ზოგადქართულია და არც ერთ შემთხვევაში მხოლოდ ეთნიკური ბუნებისა. სასიამოვნოა, რომ იგი თუშეთში იქნა შენახული და დღემდე უდანაკარგოდ მოტანილი.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მიგრაციის პროცესში, სხვა სიმდიდრეთა შორის, ხალხს თან მიაქვს ყველაზე ძვირფასი: წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, თავისი რწმენა, ხატ-სალოცავები... ასე ნარმოგვიდგება მთიდან თუშთა დალაის" ბარში "ჩამოსახლების" ფაქტიც. თუშები კი, ბარში მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან დასანყისიდან სახლდებიან.[179] დალაი როგორც საგლოველი ხმა, თუშებს მთებში ცხოვრებისას უკვე უნდა ჰქონოდათ.

---

[179] საკითხის ირგვლივ იხ. ჯ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები, თბ. 1988, გვ. 340-364

დალაი გარდაცვლილთათვის ტაძარში პარაკლისის[180] საჯარო გადახდის ანალოგიური რიტუალია. ამ ორ ურთიერთ განსხვავებულ წესს [დალაობა და პარაკლისი] ამ შემთხვევაში ერთი საერთო მიზანი აქვს, ეფექტი კი, ვგონებთ, – განსხვავებული: დალაის საშემსრულებლო დეკორი და კომპონენტები უფრო მეტადაა საჯარო, საერთო-სახალხო, ვიდრე, ეკლესიაში გადახდილი პარაკლისისა. რიტუალის შინაარსის იდენტურობის გამო მლოცველს, ჩანს, შესაძლებლად ის მიუჩნევია, რომ "დალაის", ჩვენ ვიტყოდით, პარაკლისის ხალხური სახე-ფორმა, ტაძარშიც შეიძლებოდა შესრულებულიყო. ფაქტის დადასტურებად მიგვაჩნია 1915 წელს ალავერდის დღესასწაულის შესახებ გაზეთ "სახალხო გაზეთში" გამოქვეყნებული მეტად საინტერესო შემდეგი ცნობა: "დღეობის გათავებისას (იგულისხმება ალავერდობა) ძველი ჩვეულებაა: 200-300 ცხენოსანი თუში ალავერდს გარს შემოუვლიან და ძველი ომის ღმერთის დალაის სიმღერას დასძახებენ. ადმინისტრაცია წინათ ცდილობდა მოეშლევინებინა თუშებისათვის ეს ჩვეულება, მაგრამ ვერას გახდა.

წელს ომის გამო, სულ 100-მდე ცხენოსანი იყო, – განაგრძობს კორესპონდენტი, – უნდოდათ, მაგრამ ალავერდის ბერი-ხაზინადარი ჯოხით წინ გადაუდგა და გალავანში არ უშვებდა. ამ ამბავმა ბევრი აღაშფოთა. ჩვენ გვესმოდა, როცა ადმინისტრაცია ცდილობდა ჩვეულების გადაგდებას, მაგრამ ბერებს ნუთუ არ ესმით, რომ ამ ჩვეულებაში ერთგვარ რელიგიოზობის გარდა ისმის გმირული სული ჩვენი წარსულისა, სიმღერა ჩვენი წარსულისა, სიმღერა თავისუფლებისა?

თუშებმა მაინც თავისი გაიტანეს და ალავერდის გარშემო ძველი სიმღერა თქვეს".[181]

ცნობა, ცხადია, მრავალმხრივ არის საინტერესო, თუნდაც იმით, რომ:

1. ალავერდობის დღესასწაულზე "დალაის" შესრულება "ძველი ტრადიციაა".
2. აქ "დალაიში" 200-300 მხედარი მონაწილეობს.
3. ალავერდობაში "დალაი" იმღერება ალავერდის ტაძრის გარშემოვლისას...
4. "დალაი" "ძველი ომის ღმერთის" სიმღერაა.
5. "დალაიში" ისმის "გმირული სული ჩვენი წარსულისა".
6. "დალაი", ჩანს, აქ ტრადიციული შესრულებისაა და იმავე ფუნქციით სრულდება, როგორც ტაძრის გარშემოვლისას შესაბამისი "საევედრებელი ან სამადლობელი ლოცვა".

---

[180] პარაკლისი — თხოვნა, ვედრება, საეკლესიო მღედელთმსახურება, საევედრებელი ან სამადლობელო ლოცვა, ქეგლ. ტ. IV.

[181] კარბელი, ალავერდობა, გაზეთი "სახალხო ფურცელი, №383, 1915,გვ. 4

7. ადმინისტრაცია [სახელმწიფო თუ საეკლესიო] იბრძვის, ალავერდობაში თუ ზოგადად, "დალაის" შესრულების ტრადიციის მოშლისათვის, მაგრამ ბერებს არაფერი გამოსდით.

ჩვენთვის ამჯერად აქ უმთავრესი ის არის, რომ "დალაი" "ძველი ომის ღმერთის" სიმღერაა და მის შესრულებაში მთელი ლაშქარი 100-200-300 მხედარი მონაწილეობს. ეს მომენტი, მართალია, მინიატურული სახით, მაგრამ "დალაის" შესრულებაში დღესაც გამორჩეული ატრიბუტია იმ ანგარიშით, რომ მას გარდაცვლილისათვის გაშლილი სუფრის გარშემო შეჯგუფებული მხედრები ასრულებენ.

დილაობა დღესაც ცოცხალი ტრადიციაა!

როგორც ჩანს, ერის სამხედრო ხელოვნება მისსავე სიტყვიერ თუ მუსიკალურ კულტურაში არის თავშენახული. მისი შესწავლა და გამომზეურება – გააქტიურება ჩვენი სადღეისო თუ სამომავლო ამოცანაა.

მეხუთე თავი

ქალი - კარგ ყმათა დედა და მაგალითი

საზოგადოების არსებობა და განვითარება ქალის გარეშე შეუძლებელია. ქვეყნის ისტორიაში ქალის როლი და მნიშვნელობა დიდია. ილია ჭავჭავაძე წერდა: "ქართველებისათვის "დედა" მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც "დედა-ენას" ეძახის, უფროსს ქალაქს – "დედა-ქალაქს", მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას – "დედა-ბოძს", უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს – "დედა-ბურჯს", სამთავრო აზრს – "დედა-აზრს", გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი – "გუთნის-დედას"...[182]

ქალს ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში გამორჩეული ადგილი უკავია.[183] სიცოცხლის შემოქმედი ქალია. მისი სახელი ხალხს მხატვრული სიტყვითაც უკვდავუყვია. ქალები ზრდიან კაი ყმებს, იბრძვიან მამულისათვის, არ ეპუებიან მტერს, ეცემიან სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, სამეუღლეოდ პირშეურცხვენელ მოყმეს ირჩევენ... ხალხური პოეზია გვაცნობს "ქართველი ქალის ამაღლებულ პატრიოტიზმს, გასაოცარ მხნეობას, ნებისყოფის სიმტკიცესა და სულის სიფაქიზეს"[184]. რაკი ერის თავგადასავალში მომხდურთან ომსა და თავისუფლებისათვის ბრძოლას გამორჩეული ადგილი ეთმობა, აქ ქალიც თავის უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს.

ზეპირსიტყვიერებაში წარმოდგენილი საქმიანობის თავისებურებანი ქალს განსაკუთრებული გამორჩეულობით ახასიათებენ. ჩვენი მონოგრაფიის ბუნებიდან გამომდინარე, ომთან ქალთა დამოკიდებულების მრავალფეროვანი საკითხიდან შეიძლებოდა რამდენიმე მომენტზე გაგვემახვილებინა ყურადღება.

როცა ქალს სამეუღლეოს არჩევანის შესაძლებლობა ეძლეოდა, ის, პირველყოვლისა, ირჩევდა კაი ყმას, ვინც ხმალს აჭრევინებდა, ვისაც მკლავის იმედი ჰქონდა. ამ შინაარსის ხალხურ სატრფიალო ლირიკაში გამორჩეულია ივ. ბუქურაულის მიერ თუშეთში ჩაწერილი სასიმღერო შაირი:

თუშის ქალმა თქვა: შევირთავ
ბასრის ჴმლის ამომღებელსა,
სულ უწინ ომში ჩამსვლელსა,
სახელის შინ მომღებელსა. [III, 109]

---

[182] ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ათ ტომად, ტ. III, თბ. 1953, გვ. 428-429.
[183] ან. ხინთიბიძე, ქალი ქართულ ფოლკლორში, თბ. 1956
[184] ქს. სიხარულიძე, საგმირო პოეზიის ძირითადი საკითხები, წიგნში – ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, თბ. 1947, გვ. 21.

გასათხოვარ ქალს ისეთი ვაჟი მოსნონს, ვინც ცელის მარჯვედ ქნევასთან ერთად ისიც იცის, რომ "მტერს ჩაუნათოს დანა" 'IV,გვ.227', მტრისთვის ხმალი ლესოს, ომში ისე შევიდეს და გამოვიდეს, გულში ფიქრი არ ჰქონდეს, მტრის შიში არ იცოდეს, თვალს არ ახამხამებდეს მის ნინ შემართული მახვილის ნინაშე, უშიშარი, შეუპოვერი და დაუმორჩილებელი იყოს. ქვეყანას ასეთი ქალებიც ინახავდნენ; ასეთი ქალობა სანატრელი და მისაბაძი იყო:

ქალობა დაიკვეხოდეს
ქალმა ხვარამზისთანამა,
ვერც გასჭრა ხმალმა ფრანგულმა,
ვერც დააშინა დანამა. [III,114]

ქალები არა მარტო გულადი ვაჟკაცების მოტრფიალენი იყვნენ, არამედ თვითონაც შვენოდათ ქართველქალობა: მეუღლეებთან, მამებთან, ძმებთან, მიჯნურებთან ერთად თვითონაც იცვამდნენ გრილსა რკინასა, თვითონაც მიჰკიოდნენ, პირისპირ ებრძოდნენ მტერს. აქ იდეალური არაფერია. ზეპირსიტყვიერებაში, როგორც წესი, ყველაფერს თავისი წყარო გააჩნია. მაია ნყნეთელის, თინა ნაეკისელის, კახოს თინას, ქრისტინესა და მტერთან მებრძოლ სხვა ქალებთან ერთად დასამახსოვრებელია ნანა თორღვაის ქალისა თუ გიგაიას ცოლის საამაყო სახელები, ჩვენს ფოლკლორულ ბალადებსა თუ ლირიკულ ლექსებს ასე სათუთად რომ შემოუნახავთ. მოძალადე მრავალი იყო, "თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქე, ღლიღვი, დიდო, ქისტი". დ. გურამიშვილის ამ ნათქვამს სრულად ადასტურებს ეროვნული ხალხური სიტყვიერება, პოეზია.

ტრაგიკულია თათრების ერთ-ერთი თავდასხმა. მტრებმა "გიგაც მოკლეს და გიორგიც". ბრძოლა კი ჯერ არ დამთავრებულა:

ქალმა დაჰკივლა თათრებსა –
"საით მიგიდით ცხვარია!"
გაიძრო თავის ფრანგული,
გიგას ნაჭერი არია.
გაჰკრა-გამოჰკრა თათრებსა,
მინდორს გაშალა თავნია,
კაფა და კაფა ურჯულო,
ჭალას ჩაყარა მკვდარია;
გამოუქეჩა ვაცებსა;
ჩეთმას ჩარეკა ცხვარია [III,119].

ილია ჭავჭავაძეს ჭეშმარიტად სწამდა ხალხის რწმენა-დიდაქტიკისა; სჯეროდა, რომ ხალხური ლექს-სიმღერა თაობებს მამულისადმი თავანკარა სიყვარულს აზიარებს, შემოუნახავს სახალხო საქმისათვის გულშეწირულთა ხსოვნას. ხალხური სიტყვიერი კულტუ-

რისადმი ეს დამოკიდებულება ილიამ ხელოვანის იშვიათი ოსტატობით გვითხრა პოემა "აჩრდილის" პროლოგში:

წმინდაა იგი, ვისაც ელირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტავ იმ ვაჟკაცს, ნეტავ იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს.
და არა ერთხელ ჭაბუკთა, ყრმათა
ხმლის ტარზე ძლიერს აუთრთოლებს ხელს,
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
სიბერის ჟამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა,-
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება-
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.[185]

ვაჟა-ფშაველაც ასევე უსვამდა ხაზს გმირისადმი ხალხის დამოკიდებულებას, ხალხის სიყვარულს, ხალხის მცდელობას, რათა ნარმოეჩინა იგი არა რომანტიკული ცდუნებებით, არამედ რეალური, ისეთი, როგორიც იყო, მაგრამ ისეთიც, როგორიც დღეს სჭირდებოდა ერსა და მამულს. "ხალხი მუდამ თვალყურს ადევნებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვავებულს ზნე-ხასიათს, ფანტაზიითაც უმატებდა გმირს თავის გემოვნებისამებრ ზნეობრივსა და ფიზიკურს თვისებას, რათა უფრო მოსანონი გაეხადა იგი ყოველმხრივ"[186]. ცხადია, დიდი შემოქმედის აზრი ეხება არა მხოლოდ მამაკაცებს, არამედ ქალებსაც. კაი ყმის ცნებაში კი, ვგონებთ, მხოლოდ მამრი არ მოიაზრებოდა.

ლექს-სიმღერაში ცოცხლდებოდა ნინაპრის კულტი, იჭედებოდა აწმყოსა და მომავლის შემოქმედი, შორს გაითქმოდა და უკვდავებაში გადადიოდა საამაყო წარსული.

---

[185] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრუ. კრებ. ათ ტომად, ტ. I, პ. ინგოროყვას რედ. თბ. 1951, გვ. 136-137.

[186] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ, კრებ. ხუთ ტომად, ტ. V, თბ. 1961, გვ. 17.

ქალის საქმე, თავგასულ მომხდურთან ბრძოლა და გამარჯვება ათმაგად ამდიდრებდა მსმენელის ზნეობას, უწრთვნიდა კაიქალობას, მისაბაძს ხდიდა თაობებისათვის: თავდამსხმელებმა გერგეტელ ფირანთ აბაის ქალის მოტაცება სცადეს —

გერგეტს მივიდა სოფლადა...
გავაღათ ბოსლის კარიო,
შიგათით გამოვიყვანოთ
ფირანთ აბაის ქალიო.
ქალმა გაიგა, ატირდა —
შინ არა ჩემი ქმარიო.
უკიბოდ ჩაჯდა ბოსელსა,
მოასწრა ბოსლის კარიო.
"აცადე, ოსო, ვერ გახვალ,
ღუდუშაური ვარიო!
მოდეგით გერგეტელებო,
ქალ მე გაუკრენ ხელნიო,
წელთ იარაღი ავყარე,
ტანთ დავანყვიტე ჯმალიო [IV,130].

ჩვენს ზეპირპოეტურ შემოქმედებაში ე.წ. ლეკიანობის თემა გამორჩეულია არა მხოლოდ ასახული ფაქტების სიცხადით, არამედ – თემატიკური მრავალფეროვნებითაც მარბიელ ლეკთა თარეში, მიუხედავად მისი სიხშირისა, ქართველ კაცს ვერც ერთ შემთხვევაში ხელს ვერ ააღებინებს საკუთარი მინა-წყლის, თემ-სოფლის, ოჯახის დაცვაზე. პირიქით, ეს სურვილი უფრო მეტად მჟღავნდება მასში, უფრო მეტად თავგანწირვით უტევს მტერს. ამ ციკლის პოეზიაშიც ქალები თავისი შემართებით, მეუღლისა თუ ძმა-ბიძაშვილების მტერზე ნაქეზებით გამოირჩევიან, ისინი მზად არიან თვითონ გადაეშვან მტერთან ბრძოლაში. ამ შინაარსის მრავალი ძეგლიდან, ნიმუშად, ჩვენ სოფელ ვერონაში, 1961 წელს ჩაწერილი, დ. არაბულისეული ვარიანტი ავირჩიეთ. ბალადური შინაარსის ლექსში "ჩიღოს დალაშქვრა ლეკების მიერ" ცხადადაა გამოკვეთილი შეუპოვარ და უშიშარ ქალთა მონუმენტური სახეები. თხზულება ისეთი გვირისტითაა შეკერილი, რომ მისი დაშლა უთუოდ ავნებს შინაარსის აღქმას, პერსონაჟთა ბუნების გათვალსაჩინოებას, თხზულების სიუჟეტური გააზრების აუცილებლობას. მიუხედავად ამისა, აქ მხოლოდ მისი პირველი-ოცდაორი ტაეპის დამოწმებით დავკმაყოფილდებით:

ჩიღოს ჩავიდა ლაშქარი,
ჭექა ჩაიღა ცისაო,
შინ არა ჩიღოელები
ციხეზე ტიროდისაო.

გიორგი მთვრალაიშვილი
მარტო ციხეჩი ზისაო.
თოფი დაუხვდა მაშლილი,
ქალივით ტიროდისაო.
ეუბნებოდა დედაი:
– შვილო, გავმაგრდათ ქვითაო,
გიორგის ცოლი ეტყოდა,
– ცუდავ, გამეედ ჴმლითაო.
თორე მე გამოვიდოდი,
ქალ ლურჯის პერანგითაო.
გიორგი გამოდიოდა
თავის ფრანგულის ჴმლითაო.
გიორგის ციხის ძირითა,
ამოდის ჩქამი ჴმლისაო,
ნაჴოცსა გიორგისასა
გიორგის ცოლი ჰკვირსაო:
არა ყოფილა ცუდაი,
სდებია გული ქვისაო [III, გვ.107].

საგმირო-საოსტორიო პოეზიაში აშკარად ისმის მებრძოლ ქალთა სადიდებელი რეკვიემი. ვაჟკაცებთან ერთად, ერი ქება-დიდებას ასხამს თავის ერთგულ ქალებს:

ქალიმ ვინ მოხვედ ჭეშოსა,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო,
ლეკი მოკალი ბელადი,
მედროშე დაღესტნისაო [III, 164].

ივ. ბუქურაულის მიერ ჩანერილ ხალხურ თხზულებებში მებრძოლ ქალთა შესახებ ბევრჯერაა მითითებული:

ხუნჩალეს ცულის ნაცადსა
დაღისტან დაჰკვირდისაო [III,174].

ან:

ქალი ციხიდან ქვას ისვრის,
ლეკებს გარეთ ედგ გრიალი...
ჯარ მანდით გაბრუნდებოდა
ლეკისა-სირცხვილიანი...
საკეცეებიც გაანყვეს
გზა მიდის სისხლტიგრიანი,
ლეკნის ბელადებ ჩივიან-
ქალმა უფრ მოგვცა ზიანი [III,196].

ქალი გამორჩეულად პატივისმცემელია ომში დაღუპული მეუღლის ხსოვნისა. მომხდურ მოძალადეს სიკვდილმა უნია: თუშ მამაშვილს მზირი შეუკრებია და ფშავის სოფელი დაულაშქრავს,

ჩავიდეს ცაბაურთასა,
ამტვრიეს ბეღლის კარიო,
პირ და პირაით გადმოჩნდეს
ლომ-ხუზაურა ძმანიო,
ესროლეს პირდაპირითა,
ბეღელს აკერეს მკვდარიო;
თილისძე გამაიპარა,
გადმაიარა მთანიო;
როცა თუშეთში მოვიდა,
გამოეგება რძალიო:
– "მამამთიელ! შვილი რა უყავ,
თინიბექ, ჩემი ქმარიო?"
– თინიბექ ფშავში გავნირე,
სისხლისა ღვინით მთვრალიო.
ქალი ციხეში შავიდა,
ნელთით დაკეტა კარიო;
სანამ წელ შესრულდებოდა
სამჯერ დაიჭრნა თმანიო...

რძალს მამათილმა სამხვეწროდ ხარი გამოუგზავნა და გლოვის შეწყვეტა სთხოვა. თხოვნაზე კი ასეთი პასუხი მიიღო:

მამამთილს შემოუთვალა:
– წელზედ შემარტყი ხმალიო,
იქისაკ წამავალი ვარ,
მასწავლე ფშავის გზანიო;
თუ თინიბექ ვერ ვიძიო,
ლელაიმც ნუღარ ვარიო... [III,205].

ქალის ქადილს, ცხადია, აქამდე არაერთი პრეცედენტი ჰქონდა. იგი არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. ამას ცხოვრების წესი აპირობებდა, მკაცრი სინამდვილე აიძულებდა ასე ეცხოვრა ქალსაც.

"ლეკიანობამ" ჩვენი ზეპირსიტყვიერების მიერ წარმოჩენილ კარგ ყმათა აღზრდის ხელოვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა: "ხალხის ხელოვნებამ" შეძლო ეჩვენებინა სწორედ ის ეპიზოდები, იმ ქალ-ვაჟთა უკვდავი სახეები, ვინც საკუთარი სისხლითა და ოფლით განადიდა მამული, ვინც მემკვიდრეობას საამაყო, მისაბაძ მაგალითად დაუტოვა ბრძოლით შექმნილი თავისი საქმე. ჩვენი სათქმელის დადასტურება გახლავთ დიკლო-შენაქოს ციკლის ეს უმშვენიერესი ეპიზოდიც: დიკლო-შენაქოს მტერი შემოესია. პიროფლიანი თისო ცოგიძე

ეუბნებოდა ბიჭებსა:
ტირილ მაწუხებს დისაო;
ცოლს ამას უჯავრდებოდა:
რას მეფერები პირსაო,
ტყვია თუ გამითავდება,
ფარგულს[187] აგაჭრი ღილსაო.

ქართველი ვაჟკაცების საბრძოლო შემართება თანამედროვე მკითხველ-მსმენელისათვისაც ჟრუანტელისმომგვრელია:

შეთემ სთქვა, ქუმელაურმა:
დღეს დღე არ მირჩევს ცდისაო.
ხმლით გავალ, გადავერევი,
ჯავრი მჭირს ლეკებისაო.
ხუთამდე თქვიდით ნახოცი,
გაჭრა ვინც იცის ხმლისაო.

იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო ომი: სოფელი სოფელს საშველად უხმობს, ისმის საომარი ზარების რეკვა — ლეკები თავს დაესხნენ დიკლო-შენაქოს!

ომალოში ბროლის ციხეს შიშის ქარი აქანავებს. თუშის ბიჭებმა თავიანთი საქმე ქნეს. ვაჟებისათვის ქალებსაც აუბამთ მხარი – ბრძოლაში საბედოც (საბედა) დაცემულა. დაცემულა, მაგრამ არა ლაჩრულად. მადლიერი სახალხო მთქმელი შთამაგონებლად მღერის:

ღმერთმა გაცხონოს, საბედო,
სულ იალაღმთაც[188] არიო!
მანდილი უკან გაიკრა,
წელს შემოიკრა ხმალიო;
გამეერია ლეკებსა,
ჩალად ჩაყარა მკვდარიო;
თანაც გამოჰყვნენ ბიჭები,
დააყრევინეს მკვდარიო [III, 112-113].

ჩვენი ხალხური პოეზია გმირთა ერთი უწყვეტი ჰიმნია. ქალები აქ გამორჩეული შეგნებით მიდიან მამულის სამსხვერპლოზე. ისინი ქვეყნის ერთგულნი არიან შინ და გარეთ. მათი საბრძოლო შემართება მისაბაძია. მათ სხვა სამშობლო, სხვა ქმარ-შვილი არ გააჩნიათ. სხვაგან არსად ეგულებათ კიდევ ასეთი მიწა-წყალი: ალვანში ბევრია სანაქებო მებრძოლი, მაგრამ სულ სხვაა თუში შალვაის ასული. ქალს მოძალადეთა მიერ ქმრის მოკვლა გაუგია...

---

[187] ფარგული, იგივეა, რაც ფარაგი: ფარაგი — ქალის ჩოხის, სადიაცოს ის ნაწილი, რომელიც მკერდს ფარავს, ქხპ, ტIV, გვ. 554.

[188] იალაღი — სამოთხე, ცხონებულთა სამყოფი ან თვით ცხონებული, უმანკო, უცოდველი, ქხპ, ტIV, გვ. 549.

ალვანში სანაქებოა
თუში შალვაის ქალია,
ქმარი მოუკლეს ქურდებმა,
ძალით გალალეს ცხვარია.
ეს რო გაიგო დიაცმა
შამაიხვია თმანია,
აისხა იარაღები,
წელზე შაიბა ხმალია.
თავზე დაიდგა ჩაჩქანი,
საომრად მიდის ქალია.
შაჰკაზმა თავის ლურჯაი
ცხენი ჰყავ ნიავ-ქარია... [III,217].

ზეპირსიტყვიერებაში არც ისაა დავიწყებული, ქალები ომში დაცემულთა ხსოვნის როგორი უმნიკვლო მატარებლები, წინაპართა თუ თანამედროვეთა საეროვნო საქმის როგორი შემფასებელ-დამფასებლები იყვნენ. თვითმხილველის დამაჯერებელი სიცხადით გვიყვება "მუდამ სისხლის ღვრაში" მყოფი თუში მოლექსე ქალი: თუშებისა და ლეკთა ომის ყიჟინა იქაურობას აყრუებს... ლეკები დამარცხდნენ: "ოთხასი ლეკის მარჯვენა შემოაქუჩეს თუშებმა". ამ ომის ისტორიკოსი მთქმელი გვიყვება:

მე მაგის მომლექსობელი
ნოვათას თუშის ქალია.
ლაღიცა არ ვის გეგონოთ,
ტირილით ვიმჯვარ ჯავრია.
შვიდმეტი შემოგვიჩინეს
საკაცით ნოვათაშია,
ოცდათორმეტიც დაჭრილი
ნაქერლის ომობაშია... [III,231].

მართალი იყო ეს ჩვენი მთქმელ-მემატიანე ქალი მაშინაც, როცა ამბობდა:

არა გვაქვს შინ მოსვლის ხანი,
მუდამ ვართ სისხლის ღვარშია.
გვანუხებს, ლეკი, ჩაჩანი,
ვართ მუდამ ლაშქრობაშია... [III,231].

ქალების "სამღერალია" ვინც ხმლის შემოხსნის ღირსია:

ჭერხოში დედან ატირდეს,
ქალმა შასწყივნა ძმანიო:
-ან უპატრონეთ მამულსა,
ან ქალს შემარტყით ხმალიო.
ჩემსა უთხარით საქმროსა,
ბარემ მოიკლას თავიო [III, 257].

ქალის პირით ნათქვამ ამ სარკაზმს ბადალი იშვიათად მოეძებნება.

ცხადია, ხალხურ პოეზიაში, და მით უმეტეს — ხალხურ შემოქმედებაში ზოგადად, ომთან, საომარ საქმესთან ქალთა დამოკიდებულების საკითხი მხოლოდ ზემოხსენებულით არ ამოიწურება.

ქალთა გმირობა-ვაჟკაცობაზე არსებული მრავალი ხალხური ლექსიდან უცნაური შინაარსისაა "ხორამზის ლექსი". ვფიქრობთ, სწორია ამ ლექსის ვარიანტების შესახებ ქს. სიხარულიძის შენიშვნა: ლექსის "ძირითადი ტექსტი (იგულისხმება ქართული ხალხური პოეზიის თორმეტ ტომეული, ტ. III ძირითად ვარიანტებად მიჩნეულ ტექსტებს შორის დაბეჭდილი, გვ.114-115.ზ.ს.) კონტამინაციის ნიმუში ხომ არ არისო" (იქვე, გვ.350). რატომღაც გვჯერა, რომ ძეგლის ძირითადი ვარიანტი თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავში ჩანერილი ტექსტი უნდა იყოს, რამდენადაც მას ხალხური თხზულებისათვის ბუნებრივი კომპოზიცია გააჩნია და ბალადისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას მიჰყვება (სულ სხვაა კონტამინაციის საკითხი!)

ვ. კოტეტიშვილს ეს ლექსი "მზის ამოსვლის მითოსად"[189] მიაჩნია.

არა გვგონია, რომ "ქალი ხვარამზე" საყოფაცხოვრებო ამბის მხატვრული დამუშავების მაგალითი არ იყოს. ამ "ამბავს" საყრდენად ცოლ-ქმრული ურთიერთობა უნდა ედვას, ქალის უუფლებობასა და მამაკაცის ზღვარდაუდებელ უფლებებს უნდა გულისხმობდეს. ამის დასადასტურებლად კი ჩევნს მიერ ძირითად ვარიანტად მიჩნეული ტექსტის მთლიანად დამონმება დაგვჭირდება:

აღმოსავლეთით ამოჩნდა
თვალად ლამაზი ქალიო,
ამაჰყვა საყურ-ბეჭედი,
უჟრიალებდა ქარიო.
თან მოყმე ამაიყოლა,
ნათლად ელება ფარიო.
-აკოცეთ ქალსა ხვარამზეს,
მე ვარ ამ ქალის ქმარიო.
აკოცა ბიჭმა რეგვენმა,
თავს გადიმტვრია ხმალიო.
-რად ეგრე, ბიჭო რეგვენო,
რაზედ მოიკალ თავიო?
გაწყრა, გაჯავრდა ხვარამზე,
მაღლა ჩაშალნა თმანიო,
შაკმაზა მამი ლურჯაი,

[189] ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ. 1961, გვ. 357.

ზედ თავად შაჯდა ქალიო,
სარბენლად არ ეყოფიან
თრიალეთისა გზანიო,
საძოვრად არ ეყოფიან
დიდი ალგეთის მთანიო,
სალოკად არ ეყოფიან
სამნი მარილის ქვანიო,
სასმელად არ ეყოფიან
ალაზანი და მტკვარიო.
მუარდა გუმბრის წყალზედა,
ელვით ენათა თვალიო,
დაეწაფა და ზღვა დაშრა,
გაგლიჯა მოსართავიო [III,351].

ლექსი მდიდარია სიმბოლიკითა და მითოლოგემებით. ძეგლის არქაული პოეტური სახეების სიუხვე გვაფიქრებინებს იმასაც, რომ თხზულების პერსონაჟები თითქოს კოსმოსიდან მოსულან. დედამიწელებთან უცნაური სტუმარ-მასპინძლობის შემდეგ კი ისევ თავისი გზით ბრუნდებიან. ლექსში რაღაც კოსმოსურ ტრაგედიაზეა მინიშნებული, თუმცა კოსმოსურის გამიწიერების ცდაზე უფრო მეტია ნათქვამი, ვიდრე პირუკუ. ამაზე ფიქრს ვერ ვეხსნებით, როცა ლექსში "ქალი ხვარამზე" ვკითხულობთ: "აღმოსავლეთით ამოჩნდა", "ნათლად ეღება ფარი", "სარბენლად არ ეყოფიან", "საძოვრად არ ეყოფიან", "სალოკად არ ეყოფიან", "სასმელად არ ეყოფიან", "ელვით ენათა თვალი", "დაეწაფა და ზღვა გაშრა" და სხვა. გვჯერა ხალხური ჰიპერბოლის გლობალურობისა, თუმცა არც ეს ჰიპერბოლიზებაა ადვილად მისაგნები, რაღაც, ჩვენთვის ამჯერად მიუგნებელი, ფაქტის გარეშე[190].

ქალთა როლი და ადგილი ხალხურ საგმირო პოეზიაში მართლაც თვალსაჩინოა. ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, ვ. კოტეტიშვილი, გ. არაბული იმოწმებიან რა ზეპირსიტყვიერ მასალას, პირდაპირ მიუთითებენ საგმირო სიმღერების შესრულებაში ქალთა დიდი პრიორიტეტის, მისი ნამქეზებლური ბუნების შესახებ. ილია ჭავჭავაძის მიერ 1871 ნელს ჩანერილი საგმირო ლექსი, რომელიც ქს. სიხარულიძის საფუძვლიანი აზრით, "სალაშქრო უნდა იყოს", ამის საუკეთესო დადასტურებად მიგვაჩნია:

---

[190] ლექსის "ქალი ხვარამზე" შესახებ საინტერესო ნარკვევი გამოაქვეყნა ა. სპარსიაშვილმა, ქალი ხვარამზე — კოსმოსიდან? (იხ. კრებული "ქართული ფოლკლორი" №3 (XIX), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, თბ. 2006, გვ. 89-97.)

ნეტავი ლაშქარს შაგვყარნა
სამი ბატონის ყმანიო,
მოგვწივა მძიმე ლაშქარი,
სწორებს გვეცადა თავიო.
მაღლიდან გადმააცქირა
ლამაზი ქალის ჯარიო!
ბევრ ქალს კი შესძულდებოდა
თვალად ლამაზი ქმარიო,
ბევრ ქალს კი შაჰყვარებოდა
პირად ჯუღურა ქმარიო [III, 228-229].

ხალხური პოეზიის მიხედვით, ქალი — კაი ყმა, ის ძლიერი იმპულსია, რომელსაც შეუძლია მტერთან შეუპოვარი ბრძოლის სურვილი შთაბეროს საკუთარ მემკვიდრეებს თუ მის გარშემო მყოფთ, სულერთია, ის ქალი იქნება თუ კაცი, ასევე _ გასათხოვარი თუ საქორწილო, "ახლად წვერშამამავალი" თუ უამრავ მომხდურთან ომით დაღლილი.

და ბოლოს! ქართველი ქალისათვის სამხედრო-პატრიოტული შემართება, ბრძოლა თავისი თემ-სოფლის, თავისი ოჯახის, თავისი სამეუღლეოსა და ა.შ. თავისუფლებისათვის ბრძოლის ტოლფასი იყო.

ქალებმა ომში უკანდახევა არ იციან. ისინი საომარ იარაღს ისევე ოსტატურად ხმარობენ, როგორც ვაჟკაცები, მტერს ბოლომდე უტევენ და თვით უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც კი არ ეპუებიან, თავისუფლებისათვის იბრძვიან და ხშირ შემთხვევაში ამ ბრძოლას ეწირებიან.

ქალები სათმარი თავგანწირულობით სახალხო მთქმელთა ხოტბის ობიექტად იქცევიან; ხალხურ ლექს-სიმღერებში რჩებიან როგორც პირშეურცხვენელი წინაპრები და ასე მიჰყვებიან საუკუნეებს.

ქალები მტერზე საომრად აქეზებენ საქმროებს, შვილებს, მამებს, ძმებს, იბრძვიან მეუღლესთან ერთად, ვაჟკაცურად, პირგაღიმებული ეცემიან ბრძოლაში. დიდი ილიას თქმისა არ იყოს – მათ "განაცოცხლეს სიმღერა ხალხთა", მათი სახელი საუკუნიდან საუკუნეებში მოედინება. ჭაბუკებს ხმლის ტარისაკენ გაახედებს, დედა აკვანთან მღერის იმ ქალთა ხსოვნის სადიდებელს. ამ სიმღერით კი მომავალი იჭედება!

ლოცვა - მამულის ერთგულთა ავგაროზი

აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი.

ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველის ქვეშე მისსა დაიცევ, რათა იტყოდეთ:

უფალო, დიდება შენდა!

ლექსიკური ერთეული ლოცვა ფუძეა ისეთი ტერმინოლოგიისა როგორიცაა: და-ლოცვა, შე-ლოცვა, გადა-ლოცვა და ა.შ. დროთა განმავლობაში ყოველმა მათგანმა თავისი დამოუკიდებელი შინაარსი შეიძინა და ჩამოყალიბდა როგორც ინდივიდუალური შინაარსის მქონე ლექსიკური ერთეული. მიუხედავად ამისა, თითოეულ მათგანში, მეტ-ნაკლებად, მაინც ჩარჩა ფუძესიტყვისეული, მასთან მიახლოებული და მისგან მომდინარე შინა არსი.

სულხან-საბას განმარტებით, "ლოცვა არს გონებითა ღვთისა მიმართ აღსლვა, ანუ თხოვა ჯეროვანი ღვთისაგან. ლოცვა არს ვედრება..." [191]

ლექსემა ჯეროვანს ნ. ჩუბინაშვილი განმარტავს: "რიგიანი, მართებული." [192]

თანამედროვე "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით" კი დალოცვა არის ღვთისათვის ვედრება. ღვთისთვის ვისიმე სიკეთის (ბედნიერების, სიცოცხლის, გამარჯვების...) თხოვნა, გარკვეული წესის შესრულებით." [193]

რ. ბარამიძის მართებული და მოხდენილი თქმით, "ლოცვა... არის შინაგანი მონილოგი, რომელშიც სისრულითა და თვალნათელობით ვლინდება სულიერი სამყარო, განცდები, დამოკიდებულება უზენაესთან, საკუთარ თავთან და გარესამყაროსთან. ესაა აღმზრდელობითი ხასიათის დიდი მონოლოგი." [194] რ. ბარამიძე სხვაგანაც შენიშნავს, რომ "ლოცვაა... საკუთარ ფიქრებში ჩაღრმავების საშუალება,.. იგია ყოველდღიურობის, ამქვეყნიურობისაგან გამათავისუფლებელი და ღმერთთან მიახლოების ჭეშმარიტი საშუალება"

ჩანს "ლოცვა არს ვედრება"(საბა). ასევე "დალოცვა არის ღვთისთვის ვედრება". სრულიად ნათელია ტერმინთა სემანტიკის იდენტურობა.

---

[191] ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 338.

[192] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ. 1961, გვ. 476.

[193] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ. 1955. [ქვემოთ - ქეგლ].

[194] რ. ბარამიძე, გიორგი მერჩულე — ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება, თბ. 2001, გვ. 33.

ლოცვა თვითგამორკვევაა, ნატვრაა. ლოცვა "შინაგანი მონოლოგია". ლოცვა სიკეთისმქადაგებლობაა, ზნეობრივი ამაღლების საფუძველია, დიდი სიკეთისაკენ ლტოლვის ნათელი რწმენაა. "ლოცვა წარგიმართებს ყოველთა გზათა შენთა."[195] იტყვის დიდი ლექსიკოგრაფი **საბა.**

ქრისტიანულ ლიტერატურაში მტრის ხატი აშკარადაა გამოკვეთილი. ეს ყველაზე მეტად მაინც ფსალმუნთა შესახებ ითქმის. შეიმჩნევა, რომ ფსალმუნთა ლაიტმოტივი მტრის წინააღმდეგ ადამიანის მუდმივი აჯანყებისა და ბრძოლის ქადაგებაა. ღვთისადმი საგალობლებში (**ფსალმუნი** – საგალობელი, **საბა**) მკვეთრადაა ხაზგასმული მტრის ზრახვებისა და მისგან თავდაცვის შესახებ, სადაც უპირველესია ღმერთისადმი ღაღადისი, მისთვის მფარველობის თხოვნა. რამდენიმე მაგალითი:

1. აღსდექ, უფალო, შენი რისხვით,
   ამაღლდი გულისწყრომით ჩემს მტრებზე (ფსალმ.7).
2. ღმერთო ჩემო! შენ გესავ,
   ნუ შევრცხვები, ნუ იზეიმებს მტერი ჩემზე (ფსალმ.24).
3. დავედევნები ჩემს მტრებს და წამოვეწევი
   და არ დავბრუნდები ვიდრე არ მოვსპობ (ფსალმ.17).

აშკარაა, რომ საგალობლებს თავისი კერძო მიზანსწრაფვა კი არ აქვთ მხოლოდ, არამედ, ლოცვასთან ერთად, მტრის წინააღმდეგ ადამიანის ამოქმედების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენენ. — მტერი ჩემი სარწმუნოების მტერია და არა მხოლოდ კერძოდ ჩემი! აი, საითკენ მიაპყრობენ მკითხველისა და მსმენელის გულ-გონებას ფსალმუნები.

აქვე საჭიროდ ჩავთვალეთ **აგგაროზ** ცნების გახსენება. "აგგაროზ-ი, ძვ. გულზე სატარებელი რაიმე მცირე ნივთი, რომელსაც ცრუმორწმუნეობით სამკურნალო ძალა ან მფარველის თვისებები მიენერებოდა"(ქეგლ.ტ.I, თბ.1950).

ქართველი კაცი ომში შესვლამდე ლოცულობდა, ღმერთს შენევნასა და მტერზე გამარჯვებას შესთხოვდა. არის თუ არა ეს მომენტი ხალხურ სიტყვირ კულტურაში გამოკვეთილი? ამ შინაარსის ფოლკლორული ტექსტები ზეპირსიტყვიერი შემოქმედების თითქმის ყველა ჟანრსა თუ მრავალფეროვან თემატიკაშია გაბნეული.

ასეთის მკვეთრი ხმა ისმის ყანის მკის ამსახველ ერთ მინიატურაში:

ღმერთო და ჩემო გამჩენო,
შენ მოგვიმართე ხელია:

---

[195] **ს. ს. ორბელიანი**, თხზ. ტ. III, თბ. 1963, გვ. 29.

უწინ შენ მოგვაკვლევინე
ჩვენზე მოსული მტერია![196]

ბრძოლის მომენტში ღვთისადმი მოლაშქრის მიმართვას უფრო შეღაღადების, ხვენნა-მუდარის შინაარსი აქვს, ვიდრე ეს ლოცვისათვისაა დამახასიათებელი:

კვირაე გათენებადა
სისხლსა სწვიმს ზედ კი დარია.
ბევრსა მაელის სიკვდილი
ღმერთო, ქენ სამართალია.[197]

ანალოგიური ფაქტის ფიქსაციაა წარმოდგენილი სხვა ლექსში:

გამაგრდით, ჴევსურთ შვილებო,
აჴსენეთ ღმერთი მაღალი!.[198]

საომრად მზადებისა და გმირის თვითშეძახილების, თვითდალოცვის მაგალითად წარმოგვიდგება ხალხური მინიატურა:

გასჭერი ხმალო და მკლავო,
გულო, ნუ შამიშინდები,
სისხლსა ნაგუბარზედა
ფეხო, ნუ გამიცურდები.[199]

ასეთი ემოციით დატვირთული ლექსი ბევრზე ბევრია ჩვენს ფოლკლორში.

ომში მიმავალ ჩვენს წინაპარს ჰქონდა რწმენა იმისა, რომ ბრძოლაში მას თან თავისი ჯვარ-ხატები ახლდნენ და მკაცრად იცავდნენ მის სიცოცხლეს. თავისი მნიშვნელობით ასეთია ხალხური ლექსი "ბრძოლაში დასაფარავი", რომელიც ელ.ვირსალაძეს 1934ნ მ. ბუჩუკურისგან ჩაუწერია. ლექსი თექვსმეტტაეპიანი რვამარცვლიანი შაირის ზომით არის დაწერილი:

გვწყალობდეს ყველა ხატები
მთლად საქართველოს მხრისაო...

აქვე ჩამოთვლილია მფარველ ღვთაებათა ერთი ნაწილი – წმინდა სამება, ლომისი, კოპალა, .. რომლებიც "მფარველნი, შემნახავნია, თავისის მკვიდრი ყმისაო."[200]

ლექსის სათაური "ბრძოლაში დასაფარავი" ბევრს მეტყველებს თვით ტექსტის მიზანსა და ფუნქციაზე.

---

[196] ჩვენი საოჯახო კოლექციიდან, მთქმელი ლ. სპარსიაშვილი, ჩამწერი ა. სპარსიაშვილი, ახმეტა (ახმეტის რ.), 25. 08. 1972ნ.
[197] ა. შანიძე. ხალხური პოეზია, ტ. I, თბ. 1931, ეგ. 181
[198] იქვე, გვ. 183.
[199] ქართული ხალხური პოეზია, ტ. III, თბ. 1974, გვ. 90-91. (შემდეგ — ქხპ.)
[200] ქხპ, ტ. I, 1972, გვ. 126.

ომისა თუ მონინააღმდეგესთან პირისპირ შერკინების წინ პერსონაჟის ლოცვა ზღაპარშიც არის წარმოდგენილი. ზღაპარში მტერი შეიძლება იყოს ადამიანი, ავსული, დეში, სამტროდ მოსული სხვა ქვეყნელი და ა.შ. ზღაპარში ასეთი შემთხვევა ხშირად მოწინააღმდეგეთა შორის ძალთა არათანაფარდობის დროს არის მოსალოდნელი. სხვა შემთხვევაში გმირი მტრის წინაშე არასოდეს არ შიშობს, შველას ხშირად არავის არ სთხოვს. ეს თავისებური შომენტია ზღაპარში. ხალხის საყვარელი გმირი წინასწარაა აღჭურვილი იმ დიდი ფიზიკური ძალით, რომელიც საკმარისზე მეტია მტრის დამარცხებისათვის, თუმცა ეს ძალა ხშირად არაა პერსონაჟის მიერ აფიშირებული. იგი მხოლოდ მაშინ ვლინდება, როცა ამის საჭიროება დგება. ზღაპარში "ხასან-ხუსანა" საფლავიდან მამის ამოძახილი ერთდაიმავე დროს დალოცვაცაა და წყევლაც: "შვილო, შენ ღმერთმა ისეთი ძალა მოგცეს, რომ დედამიწას უჭირდეს შენი ტარება... შენს ძმებს კი..."[201]

ვაჟად გადაცმულმა ბერნაძის შვილმა დედოფალი აიძულა დაელოცა: "ისე დამლოცე, თუ ქალი ვიყო — ბიჭად ვიქცე, ბიჭი ვიყო – ქალად ვიქცეო. – მართლაც დალოცა. იქცა ეს ქალი ბიჭად. დალოცა ქალაქიც: როგორც ყოფილა, ისევ ისე იყოსო. მოძრაობდეს ისე, როგორც მოძრაობდაო. – გააცოცხლე შენი ქმარი, დალოცეო! – გაცოცხლდა მეფეც."[202] სიტყვის მაგიზმს აქაც თვალსაჩინო ადგილი უკავია.

ზღაპარში, გარკვეულ შემთხვევაში, ლოცვაზე როგორც ქრისტიანის აუცილებელ ავგაროზზე, ცხოვრებისეულ ატრიბუტზე, ხაზგასმითაა მითითებული. ასეთ დროს ლოცვა ზღაპრისეული, ჯადოსნურ-ფანტასტიკური ფუნქციის მატარებელი და პერსონაჟის გადარჩენის, სიკვდილისაგან მისი ხსნის აუცილებელი პირობაა: "თერთმეტი ძმის" ზღაპრის მიხედვით, ვაჭარმა როცა "სულამბარასა და გულამბარას" ამბის მოყოლა დაასრულა, დადგა ჯიხვას თავის მოკვეთის დროც: ვაჭარს უთხრა: - ნება შენი ასრულდეს, მომჭერი თავი, მხოლოდ ერთსა გთხოვ, ქრისტიანი ვარ, ორი წუთით გარეთ აიანზე გამიშვი, ვილოცავ მარტოკა და შემდეგ ნება შენი ასრულდესო. ვაჭარმა იფიქრა, ვერსად ვერ გავა და გავუშვებ, ილოცოსო."[203] ნება დართო. ჯიხვამ თავს უშველა...

ჩვენ ზემოთ უკვე მივანიშნეთ, რომ ლოცვა და დალოცვა მსგავსი შინაარსის მატარებელი ლექსემებია. თუ ლოცვა "გონებითა ღვთისა მიმართ აღსლვაა" (საბა), დალოცვა არის "ღვთისთვის შევედრება,

---

[201] ხალხური სიბრძნე, ტ. I, თბ. 1963, გვ. 116.
[202] იქვე, გვ. 116
[203] ხალხური სიბრძნე, ტ. I, თბ. 1963, გვ. 426.

ღვთისთვის ვისიმე სიკეთის... შეთხოვა გარკვეული წესის შესრულებით."[204] ჩნას, ამ ლექსემებს შორის სემანტიკური მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ ზღაპრიდან "ბერნაძის შვილი" დამოწმებული **დალოცვა, ლოცვის** ანალოგიური უფროა, ვიდრე მისგან განსხვავებული.

ლოცვა-დალოცვის ხალხური ნიმუშების გაცნობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ზეპირსიტყვიერებაში ასეთი ტექსტები მოკლეა და დახვენილი. ისინი მეტისმეტად შეკუმშული ფორმით ამბობენ სათქმელს და ფრიად განსხვავდებიან ქრისტიანული ლიტერატურით ცნობილი ტრადიციული ლოცვებისაგან.

ქრისტიანი კაცი, და მით უმეტეს ქართველი, ნებისმიერ საქმეს ლოცვით იწყებდა და დალოცვით ამთავრებდა. წმინდა ექვთიმე მთაწმინდელი ამბობდა: "წესი კეთილ არს ყოვლისავე, რომელი იწყებდეს სიტყუასა გინა საქმესა, რაითა ღმრთისაგან იწყოს და ღმრთისა აღასრულოს. ვითარცა ღმრთისმეტყველი გრიგოლ იტყვის, ვითარმედ: "დასაბამ და დასასრულ ყოვლისა საქმისა და სიტყჳსა შენისა ღმერთი იყავნ"[205].

ჩვენში, ჩანს, ყველაფერს თავისი საგანგებო ლოცვა ჰქონდა. ასეთი იყო ომიც, მტერთან შებრძოლება, მონინააღმდეგესთან პირისპირ შებმა. **ომსაც** თავისი მფარველი ჰყავდა ისე, როგორც ბევრს სხვა რაიმეს.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ომის **ღმერთი ათინა** იყო "ბერძენთა პანთეონის მშვენება, სიბრძნის, ხელოვნების, ხელოსნობის, მინათმოქმედების, ქალაქთა, წმინდა გონების, შეგნებული ნებისყოფის, მეცნიერებათა, სამართლის, **ომისა** და **მშვიდობიანი** შრომის მარად უბინო ქალღმერთი"[206].... ჩვენში ამ ფუნქციის მატარებელია **წმინდა გიორგი**. ე. გაბიძაშვილი ბესარიონ კათალიკოსის (ორბელიშვილის) ცნობიდან ჩვენთვის ფრიად საინტერესო ასეთ ეპიზოდს იმოწმებს: "სპარსელებთან ომის დროს ქართველი ლამაზი ჭაბუკი, რომელიც მუსრს ავლებდა ქართველების, ე.ი. ქრისტიანების მტრებს, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს იყო ძლევამოსილი წმინდა გიორგი"[207].

---

[204] **ქეგლ**, ტ. III, თბ. 1953, სვ. 493.

[205] ვიმოწმებთ — **წმ. იოანე ოქროპირი**, განმარტება იოანეს სახარებისა, თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმინდელისა, ნაწილი I, თბ. 1993, გვ. 1

[206] **ა. გელოვანი**, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1983, გვ. 33

[207] ვიმოწმებთ — **წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში**, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო **ე. გაბიძაშვილმა**, თბ. 1991, გვ. 8

წმინდა გიორგი, ფოლკლორული თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც, ლაშქრის წინამძღოლია. ამაზე როგორც ზემოთაც ვთქვით, არაერთ ზეპირპოეტურ ტექსტშია მითითებული:

ლაშარელაის ლურჯასა
ფაფარი ჰსხავის გიშლისა;
შაჯდება, გაემართება,
კოტორ გაჰყვება ნისლისა;
თავის ყმათ მიეშველება,
ხან რო არ იყოს მისვლისა.[208]

რაც შეეხება ხალხურ ლექსს "თუშეთის წმინდანები", იქ პირდაპირაა მითითებული:

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულია,
...
მემრინას — ლაშარ გიორგი,
ლაშქართა წინამძღოლია.[209]

"თუშური ჯვარულის" მიხედვითაც ფიწალე (იგივე გიორგი), ლაშქრის წინამძღოლია:

მემრე ვადიდოთ ფიწალე
ლაშქრისა წინამძღვარია.[210]

წმინდა გიორგის ვაჟა-ფშაველასეული ხილვები ხალხური მასალების საუკეთესო ცოდნაზეა დამყარებული. საინტერესოა თათრების წინააღმდეგ ბახტრიონში ომის წინ ლაშარის ჯვრის განწყობილებების ქადაგისეული განმარტება:

გვიქადის გამარჯვებასა,
წინ წაგვიძღვება თავადა.
ჰნახავთ, – ნუ გაგიკვირდებათ,
სიტყვას ნუ ჰკადრებთ ავადა.
გაიგებთ იმის წინძღოლას
მიჰხვდებით კილაკავადა.[211]

ლიტერატურული თუ ფოლკლორული მასალების დამოწმება, ცხადია, კვლავ და კვლავ შეიძლება. მთავარი აქ ის არის, რომ ქართულ მითოლოგიურ პანთეონში წმინდა გიორგი ერთ-ერთი გამორჩეული წმინდანია. მისი ფუნქცია, ცხადია, ზემოხსენებულით არ ამოიწურება: წმინდა გიორგი, ამავე დროს არის მგზავრთა მფარველი,

---

[208] ჭბპ, ტ. I, თბ. 1972, გვ. 114.
[209] იქვე, გვ. 125
[210] იქვე, გვ. 161.
[211] ვაჟა-ფშაველა, პოემები, თბ. 1990, გვ. 172.

გაჭირვებაში მყოფდა დამხმარე და რიგი სხვა ფუნქციების მქონე ღვთაება. ასე რომ ქართველ კაცს ყოველთვის ჰყავდა თავისი ათინა – ომის ღმერთი — ეს იყო, წმინდა გიორგი.

ლოცვა, როგორც ვთქვით, ქრისტიანული წეს-რიგის ერთ-ერთი, ყველაზე უფრო გამორჩეული და აუცილებელი ატრიბუტია. იგი ადამიანის შინაგანი და გარეგანი ძალებისა თუ შესაძლებლობების გარკვეულ სისტემაში მოყვანის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ლოცვა ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხი თუ ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების მაორგანიზებელ-მომწესრიგებელი შინაგანი იმპულსია, რასაც ადამიანი გარკვეული მიზნისაკენ მიჰყავს. არქიეპისკოპოსი პაველე კითხვას – რა არის ლოცვა? ასე პასუხობს: "მარტივად რომ ვთქვათ, ლოცვაა სულისა და გულის აღმართვა, მიქცევა ღმრთისაკენ. ლოცვაზე იმასაც ამბობენ, - განაგრძობს წმინდა მამა, – რომ იგი მეცნიერებათა მეცნიერებაო, ხელოვნებათა-ხელოვნებააო"[212]... წმინდა მამა გვმოძღვრავს: "ლოცვისას კაცი წრფელი მადლიერებისა და სინანულის გრძნობით, გულის სიღრმიდან აღიარებს თავის ყოველნაირ აზრსა და ფიქრს, და იქვე ადიდებს უფალს, მადლობს ღმერთს"[213]

მკითხველი ძალიან ადვილად განსჯის იმას, თუ ომის აუცილებლობის შემთხვევაში, მტერთან პირისპირ შებმა-შერკინების წინ, ლაშქრის მთავარი თუ რიგითი რას უნდა შესთხოვდეს ღმერთს? ცხადია, პირველყოვლისა, მტრის ძლევას, მის დამარცხებას, საკუთარი თავისა თუ მთელი ლაშქრის მფარველობასა და გამარჯვებას, ომში უმსხვერპლობას, მეომართა უვნებლობას და ა.შ.

ლოცვა ჩვენი სარწმუნოების უდიდესი ძალა იყო და დღესაც ასეთად რჩება. საკითხავია: ჩვენს ახლო თუ შორეულ წინაპარს ომში შესვლის წინ ჰქონდა თუ არა ღვთისადმი აღსავლენი "ოფიციალური" ლოცვა? შეუძლებელია ასეთის არარსებობა! აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ასეთი ლოცვა სრულიადაც არაა გამორიცხული, რომ თვით ღვთაება წმინდა გიორგისადმი იყო მიძღვნილი, რამდენადაც, ღმერთთან ერთად, იგი იყო მფარველი ლაშქრისა და მოლაშქრისა.

ირკვევა, რომ, გარდა საკუთრივ ლოცვისა, მართლაც, არსებობდა ომის წინ ლაშქრის, დროშისა თუ საჭურვლის ტრადიციული დალოცვა, რაც წარმოდგენილია წიგნში "საეკლესიო გალობანი".

იმის გამო, რომ თითოეული მათგანის უტილიტარული მნიშვნელობა დღეს უდავოა, საჭიროდ მივიჩნიეთ ზემოხსენებული ლოც-

---

[212] არქიეპისკოპოსი პაველე. ჩვენი სარწმუნოება, საბერძნეთი, ქ. თესალონიკა, 1993, გვ. 94.

[213] იქვე, გვ. 95.

ვებიდან, იმ მომენტებისათვის მიგვეპყრო მზერა, რომლებიც კომპოზიციურად საკმაოდ თავისებურია, იმ ეპიზოდებისათვის მიგვექცია ყურადღება, სადაც უფრო მეტადაა ხაზგასმული თვით ამ ლოცვის უტილიტარული დანიშნულება, მისი ფუნქცია, ადრესატთა მიმართ ამ ლოცვის მთავარი საზრუნავი.

"სავედრებლებში" არის "წესი სამხედრო დროშის კურთხევისა და მხედართა კურხევა საბრძოლველად": აი, ერთი მონაკვეთი ამ ვრცელი ლოცვისა:

"აკურთხენ და განაძლიერენ იგინი და მოეც მათ გული მაძაცებრი, წინააღმდგომთა მტერთა ზედა, ანგელოსი ნათლისა მოუვლინე მათ, მტერთა საშინელი და შემაძრწუნებელი და კადნიერებისა ლტოლვად გარდამაქცეველი: განაშორე მონათა შენთაგან, ან ბრძოლად განმავალთა და ჩუენ ყოველთაგან სიყმილი, და რისხუა, და გვიხსენ ჩუენ ცეცხლისაგან წინა-აღმდგომისა ამბოხებისა: მოგზაურ ექმენ მათ და მოეც მათ ყოველი საცხოვრებელი თხოვა, ასწავლენ და გულისხმიერ ჰყვენ, აცხოვნენ და დაიცვენ და დაიფარენ, განსწმინდენ და სულიერთა სიხარულითა აღავსენ იგინი: სულთა და ხორცთა მათთა შემნე და მფარველ ექმენ: და ვითარცა სახიერმან და მოწყალემან და კაცთმოყვარემან, მიტევება ცოდვათა მიანიჭე მათ, დღესა მას სასჯელისასა შეინყალენ იგინი და ჩვენცა ყოველნი და გვაკურთხენ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა. რათა შენ მიერ შენევნისა და შეწყალებისა და ხსნისა მიმღებელნი დიდებასა და მადლობასა ყოვლითურთ დაუბრკილებლად აღვავლენთ, რამეთუ შენ ხარ ძალი და სიმტკიცე ერთა შენთა და შენდა დიდებასა აღვავლენთ მხოლოდშობილით ძით შენით და ყოვლად წმინდით და სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ".[214]

"სავედრებელნი", როგორც ვთქვით, გვესაუბრება სამხედრო-საბრძოლო იარაღის კურთხევა-დალოცვის შესახებაც, რამდენადაც მამულის დამცველის სიმდიდრე ჯერ იარაღია. თხზულებაში წარმოდგენილი "წესი კურთხევისა სამხედრო საჭურჭლთა" საკმაოდ ვრცელია, თან ახლავს ე.წ. რემარკები, რაც უფრო ფაქტის ე.წ. რეჟისურაზე მიუთითებს. დავკმაყოფილდეთ სამხედრო საჭურვლის კურთხევის ვრცელი წესიდან მხოლოდ რამდენიმე ბოლო მომენტით: "... შემდგომათ ამისა მოიღებს 'სამღვდელო პირი, ზ.ს.' აიაზმის ნყალსა და მით ასხურებს საჭურველსა და იტყვის: კურთხევა უფლისა ღვთისა სინმინდობით დიდებულისა, მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა სხურებითა წმიდისა ამის ნყლისათა, გარდამოხდეს და დაადგრეს

[214] საველრებელნი გალობანი, თბ. 1889, გვ. 41

საჭურველსა ამას და მტვირთველთაცა ზედა მათთა შემნედ და მფარველად ქრისტეს ჭეშმარიტებისა, ამინ!" (და ასხურებს მხედართაცა, რომლისაცა არის საჭურველნი და იტყჳს:)

მხნე იყავნ და განძლიერდინ გული შენი და ჰსძლიე მტერსა შენსა...

რათა მშვილდ ძუალისა ჰყუნეს მკლავნი მორწმუნეთა-თჳსთანი, და განამტკიცოს მარჯჳნე მათი ძალითა ძლიერებისა თჳსისათა, ძლევად და დათრგუნვად მბრძოლთა ჩუენთა...

რათა მოსცეს უძლეველი და მძლეველი დაუცხრომელი სიმტკიცე სიხარულითურთ ქრისტჳს მოსახელესა მხედრობასა ჩვენსა, შემუსვრად მტერთა წინააღმდგომთა ჩვენთა და ყოველთა ვერად სახელთა მზაკუარებათა მათთა, უფლისა მიმართ ვილოცოთ".[215]

მართალია, "საეედრებლებიდან" დამონმებანი ვრცელი გამოგვივიდა, მაგრამ ისინი ასახავენ ისტორიულ სინამდვილეს, რაზედაც ამ შრომაში გვაქვს საუბარი.

"საგალობლების"ამ კრებულში გვაქვს ჩვენთვის ამჯერად საინტერესო კიდევ ერთი ლოცვა. ეს გახლავთ "საეედრებელი გალობა წინააღმდეგ მბრძოლთა." აი, რამდენიმე ამონარიდი ამ ლოცვიდან:

"უფალო ღმერთო ძალთაო, ღმერთო მაცხოვარებისა ჩვენისაო, ღმერთო მხოლოო, რომელი ჰყოფ საკვირველებასა, მოხედენ ან ნყალობითა და მონყალებითა სიმდაბლესა ზედა მონათა შენსათა, და კაცთ-მოყვარებით ისმინე, გაჰკრიდნენ და შეგჳწყალენ ჩუენ: რამეთუ აჰა ესერა მტერნი ჩუენნი შეკრბეს ჩუენ ზედა, რათა წარგვწყმიდონ ჩუენ და დაარღვიონ სიწმიდე ჩვენი; ... "შეგვენიენ ჩუენ ღმერთო მაცხოვარო ჩუენო და გჳხსენ ჩვენ დიდებისათვის სახელისა შენისა, რათა არა სოქუან მტერთა ჩუენთა, ღმერთმან დაუტევნა იგინი და არა არს მხსნელ და მაცხოვარ მათდა: არამედ რათა სცნან ყოველთა წარმართთა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი და ჩვენ ერნი შენნი, და ძლიერებითა შენითა ყოველნივე დაცულნი..." ჰე, უფალო ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, სიმტკიცეო, სასოებაო ჩვენო, და ხელის ამპყრობელო... აღსდეგ შემნედ ჩვენდა, და დაარღვიენ რომელნი განიზრახავენ ჩვენ ზედა ბოროტსა. საჯე მაჭირვებელთა და ბრძოდე ბრძოლთა მათ ჩვენთა და უკუნაქციე შეურაცხი სილაღე მათი შიშად და ლტოლვად: ხოლო მართლმადიდებელსა მხედრობასა ჩვენსა, შენდამი მსასოებელსა, მოანიჭე მრავალთა შინა კადნიერება და სიმხნე, რათა ჰსდევნონ და ეწივნენ მათ და სახელითა შენითა დათრგუნონ იგინი. ხოლო რომელთაცა განუსაჯე, დადებად ბრძოლასა შინა სული თჳსი, სარწმუნოების, მეფისა და მამულიშვილისათვის, შეუნდევ მათ შეცთომანი მათნი... მართლისა მისაგებელისა შენისათა

[215] საეედრებელნი გალობანი, თბ. 1889, , გე. 155.

მიაგე გკრგკნი უხრწნელებისა: რამეთუ შენ ხარ შემნე, და ძლევა და ცხოვრება შენდამი მსასოებელთა და შენდა დიდებასა აღვავლენთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!"[216]

საერთო მტერთან, თუ კერძო მოწინააღმდეგესთან, შებრძოლების წინ ღვთისადმი მიმართვისა და ლოცვის არაერთი მაგალითი შემოუნახავს ქართულ საისტორიო მწერლობას. "ქართლის ცხოვრებაში" ხშირად გვხვდება ცნობები, ლაშქრის წინამძღოლ დიდ მამულიშვილთა საბრძოლო ეპოპეათა ისეთი მაგალითები, როცა მეფე-სარდალი ბრძოლის წინ ჯერ უთუოდ ლოცულობს, გამარჯვებას შესთხოვს მფარველ ღმერთს, ხოლო, შემდეგ პირდაპირ ებმება ბრძოლაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჯუანშერის "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა".

მემატიანე თავიდანვე გვამცნობს ვახტანგის ღვთისმოყვარეობას. იგი წერს: "მაშინ ვახტანგ იზარდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოყელთა მეფეთა ქართველისათა".[217]

როცა ბრწყინვალე კაი ყმამ – ვახტანგმა ოვსეთზე ლაშქრობა გადაწყვიტა, დიდად გაიხარა ლაშქართა სიმრავლით. "და იყო ასი ათასი მჯედარი და სამოცი ათასი ქუეითი, და გამოგზავნა ვარაზბაკურმა (ვახტანგის დედის ძმა, ზ.ს) თორმეტი ათასი მჯედარი... "მოეწონნეს სიმრავლითა, ცხენკეთილობა და მოკაზმულობითა, და იხილნა ყოველნი იგი მხიარულად და აზარვით (აზარი — შემეწია უფალი – საბა) ... აღივსო სიხარულითა და მადლობად ღმერთსა. შემოვიდა ქალაქად, და აღასრულა შჯდეული ერთი ლოცვითა, და მარხვითა, და ღამის-თევითა".[218]

ლოცვის უტილიტარულ ასპექტს ესმის ხაზი მეფის თავგადასავლის მომდევნო ეპიზოდებში:

მდინარის ორივე მხარეს დადგნენ მოწინააღმდეგენი. ოსებს ჰყავდათ ბუმბერაზი "სახელით თარჯან", რომელმაც ვახტანგის მხარეს შესთავაზა: "ვინცა არს თქუენ შორის უძლიერესი, გამოვიდეს ბრძოლად ჩემდა".[219]

ზემოთაც მივუთითებდით და აქაც ვიმეორებთ: ვახტანგის ლაშქარში იყო კაცი, ფარსმან-ფარუხი, რომელსაც "მრავალი ლომი ჴელითა შეეპყრა. ესე განვიდა ბრძოლა თარჯანისად"... პირველივე

---

[216] საგედრებელნი გალობანი, 1889, გვ. 401.
[217] ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ. 1955, გვ. 146
[218] იქვე, გვ, 151.
[219] იქვე, გვ. 152

შერკინებისთანავე "უხეთქა ჴრმალი ფარსმან-ფარუხსა ჩაბალახსა ზედა, და განუპო თავი ვიდრე ბეჭთამდე"[220]. ამან ფრიად დააჭმუნა ვახტანგი. "და დაღამდა დღე იგი, - შესაშური ინტერესითა და თანმიმდევრობით გვიყვება, ჯუანშერი, - და ვახტანგ შევიდა კარვად თჳსად, და ღადვა ლოცვად, და ცრემლითა ევედრებოდა ღმერთსა, და ვიდრე გათენებამდე არა დაჯდა ქუე ლოცვისაგან: ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა".

მეორე დღეს "შთამოვიდა თარჴან კიდესა მდინარისასა, აყუედრებდა კუალად, და ითხოვდა მუქარასა"... ახალგაზრდა მეფემ მნარედ განიცადა თარხანის თავხედობა და გადაწყვიტა თვითონ შებმოდა გოლიათს. "მაშინ ვახტანგ რქუა სპათა თჳსთა: "არა მინდობილ ვარ მე ძალისად ჩემისად და სიმჴნისა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმრთისა დაუსაბამოსათა, სამებისა ერთარსებისა ყოვლისა დამბადებელისათა განვალ თვითბრძოლად თარხანისა".[221] თავის ტაიჭზე ამხედრებასა და თარხანთან პირისპირ შებმამდე, ვახტანგ "გარდაჴდა ცხენისაგან და დავარდა ქუეყანასა ზედა, თაყუანის-ცა ღმერთსა, აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და თქუა: "ჰე, უფალო, დამბადებელო ყოვლისაო და შემმატებელო კეთილთაო, აღმამაღლებელო მოსავთა შენთაო! შენ იყავ მწყე ჩემდა, მოავლინე ანგელოზი შენი ძალად ჩემდა, და დაეცი უსჯულო ისი, და არცხჳნე მგმობართა შენთა, რამეთუ არა ძალისა ჩემისად მინდობილ ვარ, არამედ მოწყალებისა შენისად. მოიქცა ვახტანგ და აღჯდა ტაიჭსა თჳსსა, და რქუა სპათა თჳსთა: "ევედრებოდით ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით".[222] აქ, კიდევ ერთხელ, აშკარად ვლინდება ლოცვის მფარველი ძალა.

ჭაბუკმა ვახტანგმა ოვსთა ქებული გოლიათი თარხანი მოკლა. ამ ეპიზოდს საინტერესოდ ყვება ისტორიკოსი. ამ მონათხრობში მეფის პირიდან ისევ და ისევ ისმის მფარველი მეუფის თაყვანისცემა: თარხანის მოკვლისთანავე "ვახტანგ მასვე ადგილსა გარდაჴდა ცხენისაგან, და დავარდა მიწასა ზედა. თაყუანის-ცა ღმერთსა და თქუა: "კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმან მოავლინე ანგელოზი შენი და დაეც მტერი ჩემი; შენ ხარ აღმამაღლებელი მოსავთა შენთა".

ისტორიული წყაროდან ზემოთმოტანილი მაგალითები ერთდროულად ღვთისადმი ლოცვითა და ღაღადების შინაარსითა ავსილი. აქ ერთხორც და ერთსულ გაერთიანებულია ქვეყნის მეფე და მისი ერთგული ლაშქარი. ხელმწიფისმიერი ლოცვა-ვედრებაც ხალხის, ერის, ქვეყნის სიყვარულით, მისდამი ერთგულებითა და რწმენითაა

---

[220] ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ. 1955, გვ. 152

[221] იქვე, გვ. 152.

[222] იქვე, გვ. 153.

აღსავსე. ეს კი მხოლოდ უფლისადმი უმნიკვლო სიყვარულის დროსაა შესაძლებელი!

ლოცვა, როგორც ჩანს, საკუთარი ფიზიკური და სულიერი ძალებისა თუ შესაძლებლობების ორგანიზების ღვთიური საშუალებაა. ლოცვით მიღწეული შედეგი კი ადამიანის სულიერი, მორალური თუ ზნეობრივი ამაღლების ერთადერთი გზაა. ამიტომ ისმის მთელს ძველ ქართულ მწერლობასა თუ საისტორიო ლიტერატურაში უფლის ხმა: "მხნე იყავნ და განძლიერდი!"

ჯუანშერი არაერთხელ შეგვახსენებს ღვთისადმი კაი ყმის, მეფე ვახტანგის სიყვარულს ლოცვისადმი, მისდამი რიდსა და კრძალვას. ისტორიკოსი ხშირად იტყვის: "ხოლო მეფემან მყოვარ-ჟამ ილოცა და დანვა". "სახელისათჳს ღმრთისა ჩემისა მოვკუდე" და ა.შ, სინდთა მეფესთან შებრძოლების წინ კვლავ იტყვის ვახტან: "ძალითა ქრისტესითა არა მეშინის მე შენგან სიკვდილისა; რამეთუ იგი არს მფარველი ჩემი, რომლის მიერ დაცულ ვარ ყოვლადვე"[223]

ღვთისადმი ლოცვა-ვედრებას უთუოდ აქვს თავისი უძლიერესი ფუნქცია: ადამიანი შეგნებულად, სრულად ეუფლება კერძო, შინაგან და გარესინამდვილეს, რაც უფრო ორგანიზებულს ხდის მის მიზანსწრაფას.

ლოცვის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისეული ცნობები, და მისი დამოკიდებულება ქართველთა ომის ღმერთის წმინდა გიორგის შესახებ: სულთნის მიერ ორგანიზებული ლაშქარი, რომელიც ზღვაში ქვიშაზე მრავალი ყოფილა, "პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ჴელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას. **და წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოლად მას და მჴლავით თჳსითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა**".[224]

ისტორიკოსს ჭეშმარიტად სწამს დავითის ღვთივეკურთხეულობა და ხაზგასმით იტყვის: "ღვთისა მიერ იყო მის ზედა ნიჭი ესე და საქმე ყოვლად საკჳრველი".[225]

საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებს სულ რომ არაფერი შემოენახათ დავით აღმაშენებლის მიერ ღვთისადმი რწმენისა და მისდამი თავდადრეკილ, მოკრძალებულ სიყვარულზე, ბუნებრივია, ლოცვის ფუნქციურობასა და მეფისათვის მის უტილიტარულ კანონზომიერებაზე სათქმელად მისი "გალობანი სინანუ-

[223] ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ. 1955, გვ. 194.
[224] იქვე, გვ. 314
[225] იქვე, გვ. 354

ლისანიც" იკმარებდა. აქ, ამ თხზულების პირველი გალობის ნაწილის დამოწმებაც იკმარებდა:

რომლისაცა წინაშე
ქედდადრეკილ არს ყოველი,
მუხლი ყოველი მოდრკების და ენაი ყოველი
შენსა ხმობს აღსარებასა,
მეცა, სიტყუაო,
აღმსარებელსა მომხედენ![226]

"გალობანი სინანულისანი" გულწრფელი რექვიემია ღვთისადმი დავითის თავდადრეკისა. ეს თხზულება ღვთისადმი გულმხურვალე ლოცვის ტიპიურ ნიმუშად მიგვაჩნია და გვჯერა, რომ მისი თითოეული ტაეპი თუ სტროფი, თითოეული გალობა, დავითის გულისმიერი ლოცვაა, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება ჩვენს ქართულ მწერლობაში. განა ამის ნიმუშად არ გამოდგება თუნდაც მეცხრე გალობის პირველი სტროფი?

ჟამი რაი წულილთა და ჴმელთა აღმოფშჳნვათაჲ წარმოდგეს,
ზარი მეფობისაჲ წარჴდეს და დიდებაი დაშრტეს,
შუებანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებაჲ დაჭკნეს,
სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ, სხუასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემინყალენ, მსაჯულო ჩემო! [227]

ჩვენ გვჯერა, რომ ლოცვის, ღვთისადმი მამულიშვილთა ფიცისა და თავდადებისაკენ მოწოდების ერთ-ერთი კლასიკური ნიმუშია დავით აღმაშენებლის "სიტყვა დიდგორის ომის წინ" (1121 წ.). ეს "სიტყვა", ჩვენი აზრით, ქართული სამხედრო ხელოვნების მჭევრმეტყველების განუმეორებელი ნიმუშიცაა. იგი დღესაც თავისებური ხიბლითაა საინტერესო: აი, მისი პროლოგისეული ნაწილი:

"ეჰა, მეომარო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ; და ერთს რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ესაა, რომ ჩვენ ყველამ **ხელების ცისაკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ**, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით, ვიდრე გავიქცევით; და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შევსულვართ, ხეთა ხშირი ხერგებით შევკრათ, და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ"[228]

---

[226] დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, თბ. 1989, გვ. 19
[227] იქვე, გვ. 28
[228] ეიმოწმებათ: შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი, თბ. 1972, გვ. 109-110

"მხედრობათა შინა აღზრდილი" უპირველესი კაი ყმა დავით, უგანათლებულესი მეფე, ჭეშმარიტად იყო მესსიის მახვილი. მან იცოდა სიტყვის ფასი და ძალა, რასაც იგი წიგნებიდანაც იძენდა. მემატიანე ხშირად მიუთითებს წიგნისადმი მეფე აღმაშენებლის სიყვარულის შესახებ. მას ერთ ხელში მუდამ მახვილი ეპყრა, ხოლო მეორეში – წიგნი. ისტორიკოსი მიუთითებს, რომ დავით ლაშქრობათა მოუწყენელთა მეფე იყო." "მან შრომათა განუსუენებელთა წიგნები იტკრთა" და სადა გარდაჴდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნი მოაქუნდიან ჴელთა". "თჳთ ნადირობასა შინა წიგნნი აქუნდიან ჴელთა". "წიგნივე აქუნდეს უსწრაფესად საქმედ". მემატიანეს არც ის დაინყებია, რომ ეთქვა: "...მარტო წარვიდა ყოვლად უსაჭურველო, ხრმლითა ოდენ და თანა წარიტანა წიგნი ღმრთისმეტყველი". ისტორიკოსის ამ ნათქვამის გამო ზ. კიკნაძე შენიშვნას: "წიგნს წარიტანდა, მითუმეტეს, ღვთისმეტყველს, ცხადია არა თავის შესაყოლებლად ან ფიქრთა გასართველად, რადგან მეფეს, როგორც ვიცით მისი მემატიანისაგან, წიგნის კითხვისას არ სჩვეოდა ზერელობა."

მემატიანეს გულწრფელად სწამს დავითის ნიჭის ღვთიური მადლით ზეშთაგონებისა. ამიტომ ამბობს ერთგან: "ღმრთისა მიერ იყო მის ზედა ნიჭი ესე და საქმე ყოვლად საკჳრველი". დავითმა "ქმნა ომნი საკჳრველნი, რომლითა განაკჳრვნა მხილველნი და მსმენელნი".

შიომღვიმის მონასტრისადმი "ანდერძში" დავითი ამბობდა: "ნუ ოდესმე დამივიწყებთ დაჳითს!" ეს ეპიტაფიური ნათქვამი, მართლაც, ბევრი რაიმეთია მუდამ ჩვენი თანამედროვე, თაობებისადმი შეძახება, მისაბაძი სამაგალითო, სამიზნე უზენაესი.

როგორც წესი, ლოცვის ტრადიციის გამოვლენის იშვიათი ფაქტებია წარმოდგენილი ჩვენს ძველ ქართულ მწერლობაში. ასეთს შევხვდებით იაკობ ხუცესის "შუშანიკის წამებაში", გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში", შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში", დავით გურამიშვილის "დავითიანში", ახალ და ზოგჯერ უახლეს ქართულ მწერლობაშიც კი. ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს ლოცვანი, რომელნიც წარმოითქმოდნენ ომის წინ, ომის დროს თუ ომში გამარჯვების შემთხვევებში. ქართულ საისტორიო მწერლობის მაგალითზე ნათელია, რომ ასეთ ლოცვებს ფასდაუდებელი ძალა და მნიშვნელობა გააჩნიათ.

აღნიშნული თვალსაზრისით ტრადიციას არც XIX საუკუნის ჩვენი მწერლობა ღალატობს. ამის უთუო დადასტურებაა ქართული რომანტიზმის წარმომადგენელთა შემოქმედების არა ერთი და ორი ნიმუში. ამ მხრივ თვალსაჩინოა გრ. ორბელიანის პოემა "სადღეგრძელო."

გრ. ორბელიანი მართლმადიდებელი გენერალური იყო. მან კარგად უწყოდა სამხედრო წეს-განგებანი. ვინ თუ არა გრ. ორბელიანმა

იცოდა ომის დაწყების წინ თუ მისი გამარჯვებით დამთავრების შემთხვევაში, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღვთისადმი აღვლენილ ლოცვას. პოეტმა დიდებულად იცის ნინაპართა საბრძოლო ტრადიციები. ეს ცოდნა ხორცშესხმულია თხზულების იმ ეპიზოდში, სადაც თამარის დროის საქართველოს ერთიანობისა და ლაშქარმრავლობაზეა ლაპარაკი.

თამარის დროშის ქვეშ გაერთიანებული საქართველოს სურათი თხზულების ავტორის მიერ დიდი პოეტური გზნებითა და ისტორიის ჭეშმარიტი ცოდნით არის გასხივოსნებული. ყველაფერთან ერთად პოემაში ხაზგასმულია მეფის მიერ ომში წასვლამდე ლაშქრის დალოცვის მამა-პაპეული ტრადიცია. გავიხსენოთ პოემის ეს ეპიზოდი:

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი;
კახიფარ-შუბით, თუში-ხმლით, ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!
მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით...
თამარი ლოცას ჯვარითა, ჯარს ამხნევს გულის უხვებით;
გული მეფისა ზღვა არის, უსაზღვროება ნყალობით!..[229]

თამარის ლოცვას ამჯერად სრულიად საქართველო ისმენს! აქ "საქართველოს ყველა კუთხით მოეყარა თავი ერსა" (აკაკი) მხოლოდ მეფის ლოცვა-დალოცვის შემდეგღა მიდის საომრად ქართველთა ლაშქარი.

ლოცვის უპირველესი ფუნქცია კი ომში თითოეული მეომრის თუ მთელი ლაშქრის დაცვა-გადარჩენაა. ლოცვა ავგაროზია, რასაც შეუძლია ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლთა უვნებელყოფა.

მტერთან შერკინების წინ ღვთისადმი მამულისა და ერის შეევედრების, ომის წინ ლაშქრის მხედართმთავრის უფლისადმი ლოცვის ტრადიციის ბრწყინვალე ნიმუშად მიგვაჩნია ნ. ბარათაშვილის პოემა "ბედი ქართლისას" პირველი კარის პროლოგი, სადაც წარმოდგენილია მეფე ერეკლე მეორის ლოცვა ომის წინ. ეს ომი 1795 წლის კრწანისის ომის სახელითაა ცნობილი.

ერეკლეს ამ პოეტიზირებულ ლოცვაში არეკლილია მეფე-სარდლისა და დიდი სტრატეგიის სულიერი ტკივილები, ღთისადმი თავდადრეკილი სიყვარული, მრავალათასიანი მტრის წინააღმდეგ ქართველ მამულიშვილთა თავგანწირვის წინასწარი განცდა, კარზე მომდგარი დუშმანის ძლიერება და საკუთარი ლაშქრის სიმცირე...

[229] გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ. 1959, გვ. 93

ერთი სიტყვით, ერეკლე მეორის ეს ლოცვა, ერის გადარჩენისათვის ღმერთისადმი შევედრების განუმეორებელი ნიმუშია. ყველაფერი ეს სულ რვატაეპედ სტროფშია დანნეხილი. ლოცვაც ხომ, როგორც ნესი, მოკლე და სულის მომაბრუნებელი უნდა იყოს!

"მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე, ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!"

და შემდეგ, დაასკვნის პოეტი:

ასე ილოცდა მეფე ირაკლი
ბანაკსა თვისსა გულით მხურვალი.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
მამულისათვის მეფისა ცრემლი![230]

აქ, როგორც ვხედავთ, ერეკლე მეფის ლოცვა ბიბლიის ღრმა ცოდნის საფუძველზეა დალიანდაგებული. ეს არაა რემინისცენცია. აქ ბიბლიური განცდები და ტექსტისეული ტერმინოლოგია ბევრს მეტყველებს ლოცვისადმი ნ. ბარათაშვილის სხვარიგ დამოკიდებულებაზე.

საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული ლოცვის შესახებ ახალი ქართული მწერლობის ნიმუშებში დაცულ მასალებზე როცა ვმჯელობთ, ჩვენი მიზანი გარკვეულია: ვაჩვენოთ მხოლოდ ის ეპიზოდები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენენ ქრისტიანულ წესს, ტრადიციას. აქ, უთუოდ გამორჩეულია ვაჟა-ფშაველას პოტური ეპოსი.

ცნობილია, რომ დიდი შემოქმედის პოეტური ხილვები, ლამის, ზღვარდაუდებელია. "ძნელად დასაჯერებელია, რომ იგი – მითოლოგიური ნარსულის მკვდრეთით აღმდგარი შვილი – ჩვენი თანამელროვეა" (გრ. რობაქიძე).

თ. ჩხენკელი შენიშნავს: გრ. რობაქიძე უფრო ადრე 1932 წელს წერდა: ვაჟა-ფშაველა "თითქოს მითოსიდან იყო მოვლენილი".

"ვაჟა-ფშაველას პოეზიის პირველსაფუძველი მითოსია" მართალია, აქამდე "ვაჟას შესახებ ბევრი რამ ითქვა უმეცრული" 'მ. კვესელავა', მაგრამ გენიოსის მიერ აგებული სამყარო ისეთ ქვაკუთხედს ეყრდნობა, რომლის ძვრა უმეცრებას არ შეუძლია. ეს გახლავთ ღვთის სიყვარული, ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების, ეროვნული ტრადიციების მყარი ცოდნა. ასეა ბევრ შემთხვევაში. ასეა ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ფაქტთან დაკავშირებითაც.

---

[230] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ. 1968, გვ. 139

სარწმუნოების ძალისხმევისა და ადამიანის ცხოვრებაში მისი ფასდაუდებელი მნიშვნელობის შესახებ ვაჟა-ფშაველამ თვალსაჩინოდ მიუთითა, სხვათა შორის, პოემაშიც "ბახტრიონი".

ღმერთის რწმენისა და მისდამი ლოცვა-კურთხევის საეროვნო მნიშვნელობაზე პოემაში უხვადაა მოთხრობილი. აქ კაი ყმები იმ სამყაროდან ამოზრდილ ოაზისებს გვანან, რომელთა სულში ღვთისა და ხატის უმნიკვლო სიყვარული უქრობ კანდელად ანთია. ისინი ამ ღვთაებრივი მასალისაგან არიან ნაძერწნი. ისინი მხოლოდ თავისი სალოცავით არსებობენ, შრომობენ, ომობენ, იღვწიან. ომის წინ სალოცავად ლაშარის ჯვარში მოსულ, ღამის წყვდიადში ჩაკარგულ ფშავ-ხევსურთა ლაშქარის ხატს ასე ხედავს ვაჟა:

მთაზე დაენთო ცეცხლები,
როგორც ვარსკვლავნი ცაზედა,
თავმოხდით სდგანან მხედარნი
თავის ბატონის კარზედა...[231]

ლაშქრის აქ მოსვლას ერთი მიზანი აქვს:

ხატი რას ურჩევს, ნეტავი,
რა გამოუვათ ბრძანება?"[232]

მდუმარე ხატიონს, ხვალ რომ ბახტრიონს მტერთან საომრად მიეზიდება, "ხატის პირისპირ ნახვით" შემკრთალი ქადაგი სასიხარულო ამბავს მოახსენებს:

"-უამს ჩვენს ლაშარის ჯვარსა,
მის კარს რომ შავიყარენით,
ქვეყნის წამწყმედთან საომრად
მალეც რო ავიყარენით.

დიდია ჩვენი ბატონი,
მადლით ცას სწვდება მთებურა;
თან გვატანს თავის ლოცვასა,
ფრანგული ამეენურა;
გვიქადის გამარჯვებასა,
ნინ ნაგვიძღვება თავადა,
ჰნახავთ – ნუ გაგიკვირდებათ...[233]

ვაჟა ადამიანისა და მისი სალოცავის, მისი მფარველი ღვთაების ურთიერთობის ხატვის დიდოსტატია. აქ კი ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ მოლაშქრეთა მფარველი ლაშარის ჯვარი მლოცველ მხედრიონს

---

[231] ვაჟა-ფშაველა, პოემები, თბ. 1990, გვ. 171
[232] იქვე
[233] იქვე

თან ატანს "თავის ლოცვასა". გასაგებია თუ ამ "ლოცვაში" რა იგულისხმება, პირველყოვლისა კი, ცხადია, მტრის დამარცხება, რაც მფარველმა ღვთაებამ ადრევე შთაუნერგა და უწინასწარმეტყველა თავის საყმოს. ხატის მიერ ამ სასიხარულო ცნობას მოჰყვა ფშაველხევსურთა "საღმთო" – ლაშარის ჯვრის დიდება, თამარ მეფის ქებათა-ქება,, ბრძოლის ველზე დარჩენილთა მოსაგონარი, გმირთა ხოტბა-დიდება.

როგორც ჩანს, ომის წინ მოლაშქრეთა საჯარო დალოცვის ტრადიცია არც ვაჟა-ფშაველას ისტორიულ პოემა "ბახტრიონის" სიუჟეტშია უგულებელყოფილი.

ამჯერად გადავხედეთ ა. ნერეთლის შემოქმედებასაც. აქ საინტერესო აღმოჩნდა მართლაც დიდებული პოემა "თორნიკე ერისთავი".

ა. ნერეთელს აქაც ქართული ეროვნული ტრადიციის გამოყენებისათვის მიუმართავს. მხედველობაში გვაქვს ომის წინ ლაშქრის დალოცვა: როცა სარდალმა ლაშქრის ნაწილების მხედართუფროსებს ფუნქციები თუ ამოცანები გააცნო, როცა ლაშქარი შესაბამისი გეგმის მიხედვით განალაგა, შემდეგ მოახსენა:

მეტს არას გეტყვით!.. რა საჭიროა
მომეტებული სიტყვა და რჩევა?
აქ შეგეწიოსთ წმინდა გიორგი
და მაღლით ღმერთმა მოგცეთ კურთხევა![234]

სრულიად აშკარაა, რომ აკაკი პოემაში საომარი მოქმედების დაწყების წინ მხედართმთავრის მიერ ლაშქრის დალოცვის ცნობილ ტრადიციას იცავს. თხზულების ამ თავის ეპილოგური სტროფიც ამის კიდევ ერთი დადასტურებაა:

ეს თქვა თორნიკემ და გაისტუმრა
სარდლები ჯარის მოსამზადებლად
და თვითონ-კი იქ დარჩა სულ მარტოდ
მლოცველად ღვთისა და მადიდებლად.[235]

ლოცვა ჩვენი თანამდევი ძალაა, რითაც ვიმარჯვებთ მიწიერებაზე, მტერსა და ავისმქნელზე.

ამრიგად, ლოცვა-დალოცვა, როგორც ირკვევა, საომარი საქმიანობის აუციელებელი ატრიბუტია; მას ქრისტიანულ რელიგიაში გამორჩეული ადგილი უკავია. ტრადიციას გარკვეულ ანგარიშს უწევს ჩვენი ფოლკლორი და მწერლობა.

---

[234] ა. წერეთელი, თხზულებანი ხუთ ხუთმეტ ტომად, ტ. V, თბ. 1956, გვ. 62
[235] იქვე

მუსიკალური ფოლკლორი კაი ყმის კულტის კვალდაკვალ

მუსიკალური ფოლკლორის შინაარსსა და დანიშნულებათა შესახებ საუბრისას ნინ წამოვნევთ მასში გაზავებულ იმ საეროვნო, სახალხო, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა უტილიტარული მნიშვნელობის მქონე მასალებს, რომელთა დევიზი ერთადერთია: „სამშობლო! _ უპირველეს ყოველისა“ [გ. ტაბიძე]. ასეთ სიმღერებს თემატიკური მრავალფეროვნება ახასიათებს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველა გზა ერთში მთლიანდება, რომელიც ეკლესიისაკენ მიდის. ეგ ეკლესია ჩვენი სალოცავია, რასაც ერთი სახელი — სამშობლო ჰქვია. ეს სიმღერები აშკარად მეტყველებენ მამულისადმი ქართველი ხალხის სიყვარულზე, მისთვის თავდადების აუცილებლობაზე, საზოგადოებრივ, საერთო-სახალხო ინტერესებზე. ამ რთული, თემატიკურად მრავალფეროვანი სიმღერებიდან ისეთ ტექსტებს ვაქცევთ ჩვენი მსჯელობის ობიექტად, სადაც უფრო ცოცხლადაა გამოკვეთილი მათი საბრძოლო-პატრიოტული შინა არსი.

ქართველი ერის თავგადასავალში ომი უფრო მეტობს, ვიდრე მშვიდობა. ქართველი ყოველთვის მომხდურის პირისპირ იდგა. იგი, ბუნებრივია, სიმღერითაც იბრძოდა.

ხალხურ საგმირო-სავაჟკაცო სიმღერებს გრ. ჩხიკვაძე ცალკე გამოყოფს. „ქართული ხალხური სიმღერის“ პირველ ტომში [1960] მასალის თემატური დაჯგუფების შესახებ საუბრისას მკვლევარი წერს: ნიგნის „ყოველ განყოფილებაში მუსიკალური მასალა დაყოფილია ჟანრებად და დაცულია შემდეგი თანმიმდევრობა – შრომის, საყოფაცხოვრებო, საგმირო-სავაჟკაცო, საისტორიო, საწესჩვეულებო...“[236]

მეცნიერი სხვაგანაც მიუთითებს ხალხური სიმღერის თემატურ-ჟანრობრივ მრავალფეროვნებაზე, სადაც კვლავ ცალკე გამოყოფს კაი ყმის დამახასიათებელ სიმღერებს, როგორც ქართველი ხალხის ფიქრებისა და მისწრაფებების გამომხატველ მუსიკალურ შესაძლებლობას. ჩვენთვის ამჯერად საყურადღებოა გრ. ჩხიკვაძის მიერ ამ კრებულში წარმოდგენილი სიმღერები, რომელთა შინაარსი საგმირო-პატრიოტულია და, ამასთან, სამხედრო-სალაშქრო ხასიათს ავლენენ. ასეთი ბუნების სასიმღერო ტექსტი კრებულში ნოტის ბოლოსაა გატანილი. ჩვენ სწორედ ეს ტექსტები გვაინტერესებს.

---

[236] გრ. ჩხეიძე, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. I, თბ. 1960, გვ. XIV

საჭიროდ ჩავთვალეთ ჯერ ქართული ხალხური სააკვნო თუ იავნანის ლექს-სიმღერებისათვის მიგვექცია ყურადღება.

ქართული საბავშვო ფოლკლორი მდიდარია თავისი მხატვრული სახეებით, საოცრად დახვეწილი იდეურობით, ტროპული მრავალფეროვნებით.

საბავშვო სიმღერებში მოჩანს ქართველი კაცის იდეალი, ნიშნები იმისა, როგორ ადამიანად სურს საკუთარი პირმშოს აღზრდა. იგი პაპისათვის ოქროს გუთანია, ბებიისათვის – თეთრი მანდილი... ხოლო მამისათვის – ერთ შემთხვევაში ციხე-ქალაქია, სხვა შემთხვევაში კი – მისი ქამარ-ხანჯალი.

პირმშოსადმი განსაკუთრებული სიფაქიზე და ზრუნვა გამოსჭვივის ქართული იავნანებიდან, საძეობო სიმღერებიდან, მოსაფერებელი ლექს-საგალობლებიდან. ამ ლექსებში, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს მშრომელი კაცის საზრუნავი, მისი სურვილები, ინტერესები, მისი სადღეისო და სახვალიო ფიქრი. თბილი, სათუთი და გამჭვირვალეა იავნანების ყოველი სიტყვა, ტაეპი, სტროფი, ყოველი სიმბოლო.

ნანი, ნანი ყმაწვილო!
თეთრი პურის ნაწილო!
მამის ოქროს გუთანო,
დედის ჩიქილ-მანდილო!
ბიძის ქამარ-ხანჯალო... [237] [20,20]

ყველაფერი ეს ჯერ ნატვრაა, რომელმაც ხორცი უნდა შეისხას, გაიზარდოს, სინამდვილედ იქცეს, მემკვიდრე კაი ყმად უნდა აღიზარდოს!

ანა ღვინიაშვილი საბავშვო ფოლკლორის საკითხებზე მუშაობისას წერდა: "სიმღერა ადამიანს შველოდა თავმდასხმელთა წინააღმდეგ თავდასაცავად, სიმღერა ბრძოლისათვის უხმობდა მეომრებს, სიმღერა ადიდებდა სახალხო გმირებს. მოუწოდებდა ვაჟკაცობისა და გულადობისაკენ, სამშობლოსა და ხალხის გადარჩენისათვის.[238]

"იავნანაში" გვესმის მტრის შემმუსვრელი მუქარა, გრძნობა მისი გასრესის გარდუვალობისა, რაც ხელოვნების სხვადასხვა დარგებში სხვადასხვა სიმბოლური საშუალებებითაა გადმოცემული. ფოლკლორისტ ნ. შამანაძეს 1961 წელს სოფ. ზ. ხოდაშენში [კახეთში] ჩაუნერია ლექსი:

---

[237] ხალხური სიტყვიერება, კრებული შეადგინეს, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთეს ქს. სიხარულიძემ და ფ. ზანდუკელმა, თბ. 1972, გვ. 20

[238] ანა ღვინიაშვილი, ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, თბ. 1962, გვ. 87

ჭირი მოგჭამოს დედამა,
შე ცელქო, დაუდეგარო.
ნანა შვილო, შამოგეველე,
მტრის გულზე ფეხით შემდგარო.[239]

ვკითხულობთ სტროფს და უნებლიეთ გვაგონდება ხელოვნების არაერთი შედევრი. ასეთია თუნდაც პეტრე პირველის ძეგლი სანკტ-პეტერბურგში, რითაც ნაჩვენებია, ცხენზე ამხედრებული დიდი მეფე როგორ თრგუნავს ბოროტების სიმბოლოს – გველს. განა ქართველთა სათაყვანებელი ხატი წმინდა გიორგი, რომელიც ბოროტების სიმბოლოს, ურჩხულს, შუბით გმირავს, ნაცნობი არ იყო ამ ლამაზი პოეტური ტაეპის — "მტრის გულზე ფეხით შემდგარო" – შემოქმედისათვის?!

სხვა "იავნანაში" დედა მღერის:

მამაშენი ებრძვის მტერსო, ნანი-ნანინა.
დაგიბარა მამამ ესო, ნანი-ნანინა.
კვალში მალე გამომყვესო, ნანი-ნანინა.
მამა მიხვდა, როცა თქვაო, ნანი-ნანინა,
შენგან გმირი გამოვაო, ნანი-ნანინა.[240]

ლექსის პრეამბულაში კი ნათქვამია:

გზაზე მიდის თურქი კრული, ნანი-ნანინა,
მამაშენის ცულდაკრული, ნანი-ნანინა,
მტერი კვლავ იმუქრებაო, ნანი-ნანინა,
აგვაოხრეს თურქებმაო, ნანი-ნანინა.

ხალხური ტექსტის მიხედვით, მტრის ვინაობა ნათელია; ლექსის ნარმოშობის ეპოქის დადგენაც შესაძლებელია. ამჯერად კი ჩვენთვის თვით იავნანების იდეური, მათი ფუნქციური თუ ცხოვრებისეული ასპექტებია საინტერესო.

1882 წელს პ. უმიკაშვილის მიერ ჩაწერილ იავნანის ერთ ტექსტში ვკითხულობთ:

ნანა, ნანა, მამასა...
შემოგაკრავ ქამარსა.
ზედ დაგკიდებ ხანჯალსა...

ხალხურ სიმღერებში საბრძოლო იარაღსა და, კერძოდ, ხანჯალზე მითითება, თვით ამ სიმღერის სიძველის ერთ-ერთი ნიშანი უნდა იყოს.

სიმღერებში განსაკუთრებით საინტერესოა იმ ადამიანური თვისებების ჩამოთვლა, რაც მომავალი მამულიშვილისათვის საჭირო და

---

[239] მოგვაქვს ანა ღვინიაშვილი, ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, თბ. 1962, ვგ. 24

[240] იქვე, გვ. 25

აუცილებელია: შეუპოვრობა, მტრისადმი შეურიგებლობა, დაუმორჩილებლობა, სულიერი სიმტკიცე, გმირული შემართება და ა.შ.

ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილ, აპ. ცანავას თარგმნილ და გ. შეთეკაურის მიერ ლექსად განყობილი იავნანის მეგრულ ტექსტში დედა თავის პაწიას შეაგონებს:

დიდიც იყო, გაუმაგრდი
ქვეყნის ტრიალს, შვილო,
და მსუბუქად თავი არსად,
არსად დაიჭირო.[241]

დედის სიმღერაში ისმის შვილის უსაზღვრო სიყვარული, რაც ქართული მწერლობის სიყვარულის ფონზე უკეთ ნარმოჩინდება. მესხურ საბავშვო საგალობელში ვკითხულობთ:

დაიძინე, ტარიელო,
შოთას აზრისაო.[242]

იავნანის ციკლის სიმღერებში მითითებულია მშრომელი კაცის მწარე წარსულზე და იმ საოცნებო სურვილებზე, რაც ასე სანატრელი იყო გლეხკაცისათვის. ნიმუშად ერთი "სალალაოს" დამოწმებაც იკმარებდა, რომელიც ახალციხეშია ჩაწერილი.

დან-დანი, დან შვილო,
ატმისა გულგაჭრილო,
გოგმანით მოფრენილო,
დედის კაბისა ღილო,
მამიდის მწვანე ბოსტანო,
მამის ქამარ-ხანჯალო,
პაპის ჩაყრილო ვენახო,
დაბერებული მენახო![243]

სააკვნო სიმღერებიდან თუ იავნანებიდან მოყოლებული ხალხური სიმღერა ქართველ კაცს თან ახლდა სიცოცხლის მთელ გზაზე - დაბადებიდან სიკვდილამდე. ცხადია, სიმღერაც ზრდიდა ჩვენს მეობას, ჩვენს კაცობას, ჩვენს სულიერებას. ამიტომ არის, რომ იგი დღესაც თან გვახლავს შინ და გარეთ, ლხინსა თუ ჭირში, შრომაში, ომში... ხალხი სიმღერით ამიტომ შეგვაგონებს, გვასწავლის, გვწრთვნის. ხალხურ სიმღერაში, როგორც გრ. ჩხიკვაძე შენიშნავს, „მკაფიოდ არის გამჟღავნებული ხალხის წარსული თუ აწმყო, გაჭირვება თუ დალხინება, მისი ყოველგვარი განცდები, მისი სულისკვეთება და მისწრაფება"[244]

---

[241] ხალხური სიტყვიერება, თბ. 1972, გვ: 27

[242] იქვე,

[243] იქვე, გვ. 29

[244] გრ. ჩხიკვაძე, პარტიოტიზმის თემა ქართულ ხალხურ სიმღერებში, თბ. 1958, გვ. 3

თემატურად მრავალფეროვანი ხალხური სიმღერიდან, აშკარაა რომ შეიძლება ცალკე გამოიყოს კაი ყმის აღზრდა-ჩამოყალიბების ამსახველი ლექს-სიმღერები. მათ თავიანთი უტილიტარული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ. ჩვენ დღესაც გვიხდება ბრძოლა, ვიცავთ მამულს, ვშრომობთ, ვიღვწით.

ყველგან და ჩვენშიც სიმღერას თავისი მიზანი აქვს. ცნობილია, რომ აღზრდის პროცესი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამოდიოდეს. სიმღერით ნათქვამ დიდაქტიკას მეტი საქვეყნო ძალა გააჩნია, მეტად შეუძლია მსმენელზე ზემოქმედების მოხდენა:

ვაჟასა თქვენისთანასა,
განა თუ აგრე სმა უნდა, –
ადრიან დილას ადგომა,
გრილსა რკინასა ცმა უნდა.[245]

სიმღერა მის შემსრულებელსა და მსმენელს შთააგონებდა სიბრძნეს, ქველობას, სიმტკიცეს, უშიშარობას, – სიკვდილს, მაგრამ არდაჩოქებას!

მთიელ ვარ, მთაში გაზრდილი,
მტერო არ შეგიშინდები!
ქუდ-მოხდილ ქვეყნად ვერ ვივლი,
კლდეზედაც არ დავვარდები!
შვიდს ვირჩევ, შვიდჯერ სიკვდილსა
ხელში არ ჩაგივარდები [გვ. 64].

ვაჟკაცს ხმლისა და მკლავის ძალა უფრო შვენის, ვიდრე სოფელში კოხტაობა:

ვაჟკაცს არ გამოადგება
სოფელს შვენება თავისა,
ხმალს უნდა აჭრევინებდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა [გვ. 110].

საქართველოს მთასა და ბარში მეომარი თუ მწყემსი თავისი ვაჟკაცობისა თუ ერეკლე მეფისადმი სიყვარულის სიმღერას სიბერემდე არ ივიწყებდა. სიმღერა მამულის მოტრფიალეს აძლევდა ხალისსა და მხნეობას, ასწავლიდა წინაპრის დარდიან ისტორიას.

ვაჟი ვიყავ და ვყვაოდი,
ქორულად შევქენ ნავარდი;
ერეკლე მეფის მტრის ჯარსა
თავს ვეცი, ბოლოს გავვარდი [გვ. 169].

სიმღერითაც ყალიბდებოდა მამულის მომავალი "პურ-წყალი", ქვეყნის დამცველი და მომვლელი კაი ყმა. სამშობლოს ერთგულებას

[245] აქ და ქვემოთ გვერდები მითითებულია, **ქართული ხალხური სიმღერა**, რედაქტორ-შემდგენელი გრ. ჩხიკვაძე, ტ. I, თბ. 1960.

მარტო ფიცი არ ყოფნიდა. საჭირო იყო ხმლის ქნევის ცოდნა! მტრის ჯავრისმჭამელი კი არა, მასთან ბრძოლაში შემკვდარის მზრდელი იყო ჩვენი სიმღერა. ამაზე ფიქრითაა სავსე ლექსი "კიდევაც დაიზრდებიან" თავისი შესაბამისი ე.წ. "დანართებით":

კიდევაც დაიზრდებიან
ქართლში ლეკვები მგლისაო;
ისე არ ამოსწყდებიან
ჯავრი შეჭამონ მტრისაო.

იქვე:

თქვენი ჯერია, ბიჭებო,
ხელი დაიდეთ ხმალზედა,
თორემ ყორნები სძღებიან
წინაპართ ნაომარზედა.

და კიდევ:

ვაჟკაცნი, მთაში ნაზარდნი
ომშიაც კი ნახვენ ლხინსა,
მტერსა მტრულად დახვდებიან,
მოკეთეს მოსჭამენ ჭირსა [გვ. 177].

კარგ ყმათა ხალხური ლაშქრული სიმღერები ხშირად არა მხოლოდ პიროვნების აუცილებელ საომარ ამუნიციაზე მიუთითებენ, არამედ – მეომრის ოჯახური სიწმინდისა და პატიოსნების დაცვაზეც. ასეთი შინაარსით ჟღერს მრავალთა შორის ცნობილი ლაშქრული:

ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო;
დაბრუნება და შინ მოსვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო [გვ. 205].

ანალოგიურია სიმღერა „მხედრულის" ტექსტიც [გვ. 380]. იგივე ტექსტი ახლავს ასევე ცნობილ ხალხურ სიმღერას „გაფრინდი, შავო მერცხალო" [გვ. 380].

სიმღერაში „არაგვისპირული ლაშქრული" ზემოთაც ვთქვათ, რომ ხაზგასმულია სამშობლოსადმი ერთგულებისა და მისთვის თავგანწირვის აუცილებლობის რწმენა, იმაში დარწმუნების დიდი სურვილი, რომ ბრძოლის ველიდან გამოქცეული მშიშარა კაცის შინმოსვლას სიკვდილი სჯობს.

ქალებს ჩაუბამთ ფერხული
და გასძახიან არაგვსა:
"არაგვო, უყარაულე
ომში მიმავალ ლაშქარსა.
თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
ლამი აჭამე შერცხვენილს,
რომ სახლში ვეღარ მოვიდეს [გვ. 207].

ხალხური პოეზია ერთი უსასრულო პოემაა, რომლის ცენტრალური გმირი კაი ყმაა. გვგონია, რომ ზეპირსიტყვიერი ძეგლი "წყალსა მოჰქონდა ნაფოტი" ხალხური ლაშქრული სიმღერა უნდა იყოს ასევე. ამაზე, პირველყოვლისა, თვით ტექსტის შინაარსი მეტყველებს, რასაც იქ გამოყენებული ლექსიკაც ადასტურებს. ხალხურ სიმღერაში ნათქვამია:

წყალსა მოჰქონდა ნაფოტი
ალვის ხის ჩამონათალი.
დაღექ, ნაფოტო, მიამბე —
სად ვინ რა დაგაბარაო.
მეგობარი ხომ არ ნახე,
ბევრჯერ შენ ნაპირს მდგარაო.
თუ ნახე, ხომ არ მიმგლოვდა,
თვალთ ცრემლი ხომ არ ღვარაო?!
ლაშქრათ წასულთა ძმებთანა
დამა რა დაგაბარაო?
-"შენი მეგობარი, - გეტყვი,
შუა გზას ვნახე დაჭრილი.
დავჯექ და ბევრი ვიტირე
ზედ მივაყარე ქვა წვრილი" [გვ.220].

ზეპირსიტყვიერი პოეზიის კრებულებში მოტანილი ზოგი ტექსტი ნაკლებ ვარიანტულ ცვლილებებს განიცდის, რაც პირველ ყოვლისა, მისი სასიმღერო დანიშნულებით უნდა იყოს განპირობებული. სიმღერა, როგორც ჩანს, ხალხურ პოეტურ თხზულებას მეტ მდგრადობას უნარჩუნებს, რაც იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ დამდგარა დრო ფოლკლორული ძეგლის გაყინვისა.

როგორც ნარმოდგენილი ლექსიც მიგვანიშნებს, ნაფოტი, ალვის ხის ჩამონათალი უკვე მომხდარი ომის სიმბოლიკური ნიშანი უნდა იყოს.

ხალხურ ლექსში "შუღლი ქნეს ხახიკაურთა" პოეტური ჰიპერბოლა – "ნაფოტ ამოდის ფარისა" ომის სიმძაფრის შესახებ მკაცრ ხაზგასმას უნდა წარმოადგენდეს" :

შუღლი ქნეს ხახიკაურთა
ჭერა მადლია თვალისა.
შვიდთა სცეს ძაღლიკაურსა,
ნაფოტ ამოდის ფარისა.[246]

ჩვენთვის საინტერესო ტაეპზე თ. რაზიკაშვილის მიერ დართული კომენტარი ასეთია: "ფარები დასჭრეს, ნაფოტებად აქციესო".[247] იშვიათი მეტაფორაა!

---

[246] ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული , 1931, გვ. 425

[247] იქვე.

აღნიშნული პოეტური ტროპი სხვა ხალხურ ლექსშიც გვხვდება: თ. რაზიკაშვილს ხევსურეთში ჩაუწერია ასევე "თუშების დაცემა ხოშარაზე", სადაც ფიქსირებულია ტრაგიკული ბედი დათვია სანათაურისა...

გაღვარდი ხოშარის ჩრდილში
მტვრევა გამოდის კარისა,
"მიშველე"-ობით ძახილი
გამოდის შენის ქალისა.
ქალს კუკუმაურ მაუვა,
მეზობელია კარისა.
სანათაურის ჭერხოში
ნაფოტ ეყარა ფარისა [გვ.184]

ხალხურ ლექსში "ბეკი და გიგაური" ანალოგიური შინაარსისა ჩანს ტაეპი — "დაგლიჯა ფარის რგოლები".

ბეკმა თქვა ბეკერაულმა,
ჴმალმა ვერ შამაშინაო,
გიგაურაის ფრანგულმა
კოჭუკულმ გამაფრინაო,
დაგლიჯა ფარის რგოლები,
ბორბალა დამარბინაო![248]

ქართული ზღაპარიც კარგად იცნობს ნაფოტის სიმბოლურ მნიშვნელობას, მაგრამ იქ მას სხვა ფუნქციური დატვირთვა გააჩნია.

აშკარაა, რომ ლექსი "წყალსა მოჰქონდა ნაფოტი" ნამდვილად საბრძოლო ხელოვნების ამსახველი ხალხური პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში ჩანს.

სალაშქრო-მხედრული მუსიკალური ფოლკლორი მთლიანი ხალხური პოეტური შემოქმედების გამორჩეული შენაკადია. სიმღერა იყო და დღესაც რჩება თაობათა პატრიოტული შეგნებითა და რწმენით აღზრდის სამსახურში.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ლაშქრულ-მხედრული ხასიათის ხალხური პოეტური შემოქმედება თავისებური სფეროა და გამორჩეული ზრუნვა სჭირდება მის შენარჩუნებას.

ხალხურმა სიმღერამ შეძლო დღემდე მოეტანა ქართველი კაცის საბრძოლო განწყობილება და შემართება. თაობიდან თაობაზე სიმღერითაც გადადიოდა მამულის სიყვარული. კაი ყმისათვის სიმღერა იყო არა მხოლოდ ვაჟკაცობის გამოვლენის ფორმა, არამედ მისი ფარი და მახვილიც. სიმღერა იყო ძალა, რომელიც მტერზე შეტევისა და გამარჯვების რწმენით ავსებდა მებრძოლს, პატრიოტს, მამული-

[248] ქხპ. ტ. IV, თბ. 1975, გვ. 187

შვილს. კაცს მხოლოდ მაშინ შეუძლია იყოს ამაყი, როცა თავს ქვეყნის წინაშე ვალმოხდილად თვლის. მართალია, დღევანდელი "ვალი" უფრო სხვაა. ვიდრე იგი ნარსულში იყო, მაგრამ სამშობლო მიწისა თუ საერთოდ – საკუთარი კერა-კარ-მიდამოს დაცვის აუცილებლობას დრო ვერ ცვლის. ყველა დროის ქართველის ანბანური ჭეშმარიტებაა:

ვაჟკაცს არ გამოადგება
სოფელს შვენება თავისა,
უნდა ხმალს აჭრევინებდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა.[249]

კაცი შენი ხმლით, შენი ხანჯლითა და შენი ფარ-შუბით ხარ კაცი. აქ იარაღზე პირდაპირი მნიშვნელობით არაა საუბარი. საქმე ის არის, რომ ჩვენმა წინაპარმა საუკუნეების მანძილზე თავისი საბრძოლო კოდექსი შექმნა, რასაც სამშობლოს დაცვის დიდი შეგნება დაუქვემდებარა. ამ შეგნებით აღზარდა თაობები. ეს შეგნება, როგორც მუხტი, ისე ჩადო თავის ხალხურ სიტყვიერ კულტურაში, რომელიც მხოლოდ მაშინ იწყებს ამუშავებას, როცა ამისი აუცილებლობა დგება. ასე იყო წარსულში, ასეა ახლაც. არა გვგონია რაიმე გაუცვდა იმ თაობიდან ამ თაობამდე ხალხურ სიმღერას რომლის ტექსტსაც კიდევ დავიმონმებთ:

მთიელ ვარ, მთაში გაზრდილი,
მტერო, არ შეგიშინდები!
ქუდ-მოხდილ ქვეყნად ვერ ვივლი,
კლდეზეც არ დავვარდები!
შვიდს ვირჩევ, შვიდჯერ სიკვდილსა,
ხელში არ ჩაგივარდები![250]

ხალხურ სიმღერებში აშკარად მოჩანს მისი თითოეული გოჯისა თუ მტკავლისადმი, სამშობლოს თითოეული კუთხე-კუნჭულისადმი უმწიკლო სიყვარული და თავდადება; მოჩანს კაი ყმის თანდაყოლილი ერთგულება მამულისადმი, სიძულვილი მოღალატისა, რწმენა იმისა, რომ არც მშობელი ქვეყნის მიწა-წყალს შეუძლია დაინდოს ომიდან გამოქცეული, სირცხვილნაჭამი ნაკაცარი, თავლაფიანი გულნამცეცა. კიდევ გავიხსენოთ უმშვენიერესი ხალხური სიმღერა "არაგვისპირული ლაშქრული".

ქალებს ჩაუბამთ ფერხული
და გასძახიან არაგვსა:
"არაგვო, უყარაულე
ომში მიმავალ ლაშქარსა.

---

[249] ქხპ, ტ. III, თბ. 1974, გვ. 178
[250] გრ. ჩიტაია, დასახ. კრებ. გვ. 64

თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
ლამი აჭამე შერცხვენილს,
რომ სახლში ვეღარ მოვიდეს![251]

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ასე, მთელი სამყარო ერთიანად აიმართება "ომშიით გამოქცეული" ბშიშარას წინააღმდეგ. გავიხსენოთ, რას მოთქვამს ომიდან გამოქცეული შვილის გამო ნინოლას დედა ვაჟა-ფშაველას პოემიდან "ბახტრიონი":

ნეტავი თავზე დამეცეს
მთა-ღელე ბარიანადა!
ნეტა არც შვილი მყოლიყო,
არც გავჩენიყავ დედასა.
თუ ამას შავესწრებოდი,
ამდენ სირცხვილის კრეფასა.
შვილო, სირცხვილი მაჭმიე,
ძუძუ დასწყევლე დედისა...[252]

გრძელდება დედის ზარიანი მოთქმა სოფლისგან მოკვეთილი მოღალატე შვილის ცხედართან. ხალხი რაღას ამბობს?

თასი დაღვარეს ხატშია,
ახლოს მიუდგეს არვინა.
ნინოლას დანაშაული
აწეულია ცამდინა.

არც ვინ სამარეს გაუთხრის,
არც ვინ შაუკრავს კუბოსა;
მარტომ იტიროს დედამა,
ცრემლები დაიგუბოსა![253]

უფრო ტრაგიკული ვითარების წარმოდგენა გაჭირდებოდა!

ხალხური შემოქმედება ბევრ საიდუმლოს ინახავს. აქ აშკარად მოჩანს წარმართული თუ უფრო ადრინდელი წარსულის კვალი, რაც ღვთაებათა ურთიერთდაპირისპირებისა და ბრძოლის ასპექტსაა დაქვემდებარებული. ვფიქრობთ, რომ ასეთის შემოქმედების უშორესი ნიმუში უნდა იყოს ხალხური ლექსი „მშვილდ-ქაიბური ბერისა". ლექსი, ჩვენი აზრით, ახლა ძნელად გასარკვევი რომელიღაც ორთაბრძოლის რემინისცენცია უნდა იყოს:

მშვილდ-ქაიბური ბერისა
ქუდიელზედა ხვიოდა:

---

[251] გრ. ჩხეიძე, დასახ. კრებ. გვ. 207
[252] ვაჟა-ფშაველა, პოემები, თბ. 1990, გვ. 200
[253] იქვე, გვ. 201

წამაუქადლავ მუზასა,
გულის ფიცარი სტკიოდა.
ამდენი სისხლი ედინა,
წყალივით ჩამოსდიოდა...
ქარი იყო და ხვიოდა,
ფოთოლი ჩამოდიოდა,
ხმა ჩემის ქაიბურისა
ქუდიელს შემოჰხვიოდა:
მუზას მივარტყი ისარი,
ბეღელას გული სტკიოდა:
წყალი არ იყო იმდენი,
რაც იმას სისხლი სდიოდა.[254]

ვფიქრობთ, ტექსტის სიძველეზე მეტყველებს არა მხოლოდ ნარმოსახული სამყაროს თავისებურება, არამედ – თხზულების ლექსიკა და ასასახავი ობიექტის ნარმოჩენის მაღალპოეტური შესაძლებლობანიც.

ქრისტიანულ მითებსა და ლეგენდა-თქმულებებში ხშირად გვხვდება ღვთაებათა პირველობისა თუ უპირატესობის ჩვენების ამსახველი ეპიზოდები. ეს ურთიერთობა პირველობისათვის ბრძოლის ტოლფასი იყო. ამიტომ არის, რომ ხალხურ სიტყვიერ ხელოვნებაში სათქმელის სიმძიმე ღვთაების სიძლიერეზეა გადატანილი. ნიმუშად ორიოდე მაგალითიც იკმარებდა:

ამბობდა გუდანის ჯვარი:
დიდი ვარ როგორც ყაენი[255]

კიდევ:

კოპალავ კარატიონო,
მკლავით შამძლეო, ფალთოო,
არც მაშინ დაშინდებია,
დევთკე რა გაემართაო.
არ დაშინდების კოპალა
თუ ლახტი მაიმართაო[256]

ან:

ბრძანებდა ლაშარის ჯვარი
– ცას მე ვარ ოქროს შიბითა[257]

---

[254] ქხპ. ტ. I, თბ. 1972, გვ. 133
[255] ქხპ, ტ. I, 1972, გვ. 122
[256] იქვე, გვ. 131
[257] იქვე, გვ. 119

ანდა:

დღესამ დღეობა ვისია? –
წმინდისა გიორგისია.[258]

ხალხურ ლექსში, როგორც ვთქვით, ღვთაებათა შორის დაპირისპირებისა და ბრძოლის ბევრი ეპიზოდია დამოწმებული. მაგრამ, უფრო მეტად, ლექსებში ღვთისშვილთა და ხალხის მტერთა შორის ურთიერთბრძოლაზეა საუბარი. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში გამარჯვებული ყოველთვის ღვთისშვილია. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

ადგეს, ნავიდეს ხთისშვილნი,
მოძმეთ უჭირდეს მჯარიო.

გატეხეს ქაჯთა ქალაქი,
დაასხეს ნავთის წყალიო.[259]

კიდევ:

– ქაჯავეთ რად იარები,
გიორგი, მგელთა ფერაო.
– ვალი მიკიდავ, ვალსა ვსთხოვ,
რას მკითხავ ქრისტის დედაო.
სინას შჭედს ქაჯთა მჭედელი,
მივასწრევ წურვაზედაო:
ქურთემულ[260] მაუგლეჯიე
ცხენი შავაგდი ზედაო...[261]

არ იქნებოდა უადგილო თუ ვიტყოდით, რომ ხალხური ლექსი ეპოქისა თუ თაობათა საფიქრალსა თუ სადარდებელს უყრის თავს. ძნელია გადაფასება იმისა, რასაც ხალხის გულისნადები ჰქვია. პოეზიაში ადამიანი არა მხოლოდ სათქმელის ხატოვნად თქმას ცდილობს, არამედ, ამას ძალიან ხშირად, მშვენივრად ახერხებს კიდეც. ზეპირმა სიტყვამ მთელი ქვეყანა უნდა მოიაროს, ყველას უნდა გააცნოს შენი წუხილი და შენი სიხარული, რათა იმ სხვას გააგებინო, რომ შენც იმისთანა ადამიანი ხარ, როგორიც ის თვითონაა. უფრო ზუსტად, ისე, როგორც ხალხურ ლექსშია:

---

[258] ჭაპ, ტ. I, 1972, გვ. 115
[259] იქვე, გვ. 117.
[260] ქურთემული– სამჭედრო გრდემლი
[261] ჭაპ, ტ. I, თბ. 1972, გვ. 116

იდუმლის კოშკო მაღალო,
სასეიროზე დგახარო.
ქვეშ ქალნი მოგისხდებიან,
შენ, ჩრდილო, სითკენ ნახვალო?!
ვერ გაგიგია, ყმანვილო,
ულვაშაშლილო, ახალო,
როგორც შენ ბრუნავ, ისე მე,
ამ წუთისოფელს დახვალო.[262]

ხალხური ლექსი შენი, ჩემი, ჩვენი მღელვარების სიმღერაა. წლებს თავისი მიაქვთ და მოაქვთ. ბევრი რამ გუშინდელი, დღეს აღარ ვარგა, დღევანდელი ხვალ აღარ ივარგებს. არის პირიქითაც! ყველაფერი ეს ხალხურ სიტყვიერ კულტურაში იყრის თავს და საბოლოო ანგარიშში ხელთ გვრჩება ერის სულიერი მოძრაობისა თუ ყოფითი თავისებურებების მხატვრული ისტორია.

[262] ჩვენი საოჯახო კოლექციიდან

მერვე თავი

კაი ყმა ხალხურ აფორიზმში

აფორიზმი ბრძნული აზრის ხატოვნად გადმოცემაა. აფორიზმი „სხარტულად გამოთქმული აზრია, რომელშიც განზოგადებულია დიდი საყოფაცხოვრებო გამოცდილება, ხალხური სიბრძნე".[263]

თვით მწერლობაშიც აფორიზმის წარმოქმნას ხალხური საწყისი უნდა ჰქონდეს. საფუძვლად მისი თავწყარო უნდა იყოს ზეპირსიტყვიერი ანდაზა. სხვა საკითხია თუ როგორ ხდება ლიტერატურული აფორიზმის ე.წ. **კვლავწარმოება.**

საგმირო-საისტორიო ლექსი ქართული ზეპირსიტყვიერი, სასიმღერო ფოლკლორის გამორჩეულად დიდი ნაწილია. მასში განსაკუთრებული სიღრმითა და აზრის მუდმივი თანამიმდევრობით ხასიათდება აფორიზმი. ქს. სიხარულიძე წერდა: **„საშობლოსათვის თავდანწირვა**, მხნეობა, მეგობრისათვის თავდადება, დაჩაგრულთა და სუსტთა მოსარჩლეობა... გმირობის სავალდებულო ნორმად არის აღიარებული ქართულ ხალხურ პოეზიაში საერთოდ და - კერძოდ აფორიზმში"[264]. მკვლევარი იქვე დასძენდა, რომ გმირის ნათელსა და ჯანსაღ ოპტიმიზმს, **მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში შეუდრეკელობასა და სამხედრო ოსტატობას** [265] განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხალხურ აფორიზმში.

მეცნიერი იმაზედაც მიუთითებს, რომ „საგმირო აფორიზმების ერთი ნაწილი **სალაშქრო სიმღერებია**"[266].

საომარი ხელოვნების ცოდნა სამშობლოს დაცვის გარდუვალობით არის ნაკარნახევი. ხალხური ლექსის საბრძოლო ხასიათი ერის ისტორიული ცხოვრების ძნელბედობითაა გაპირობებული. ხალხური ლექსი თაობებს ზრდიდა და მემკვიდრეობას უანდერძებდა მამულის ერთგულებისა და მისთვის თავდადების აუცილებლობას. ამგვარი იდეით ცოცხლობდა და ცოცხლობს ფოლკლორული აფორისტიკა, მდიდარი თავისი თემატიკით, დახვეწილი თავისი მხატვრულობით, მამულისა და ეროვნული მთლიანობის ძლიერი განცდით.

ლიტერატურული წარმოშობის აფორიზმთან შედარებით, ხალხურ აფორიზმს თავისებური, მისთვის დამახასიათებელი ბუნება გააჩნია. ეს გახლავთ მისი მუდამ განახლებადობა, დროში უწყვეტობა,

---

[263] ქეგლ, ტ. I, თბ. 1950

[264] ქს. სიხარულიძე, საგმირო პოეზია, იხ. ქართული ხალხური პოეზია თორმეტ ტომად, ტ. III, თბ. 1974, გვ. 15

[265] იქვე

[266] იქვე, გვ. 17

ხალხთან მუდმივი კავშირი, მასთან ყოფნა, მისი ერთგულება, მის სულიერ სამყაროსთან განუშორებლობა.

აფორიზმში ხალხის ისტორიული წარსული, მისი ცოდნა და დაკვირვება-გამოცდილებაა ჩადებული. ყოველივე ეს მომცრო ზეპირსიტყვიერ ძეგლში ქვეცნობიერად ჩანს.

სამშობლოს დაცვა, მისთვის თავდადების შეგნება მოითხოვს კაი ყმის, გმირის მუდმივ შემართებას, სიჩაუქეს, შიშშეუვალობას, ფიზიკურსა და სულიერ სიმტკიცეს, რაც ხალხური არაერთი აფორიზმის წყაროა. აი, თუნდაც:

ვაჟკაცსა – გული რკინისა,
აბჯარი – თუნდაც ხისაო,
თვალნი – ქორებულ მხედველნი,
მუხლები შევარდნისაო [III,79].

დამოწმებულ სტროფში სახისმეტყველების ყველა მაგალითი ხალხის დაკვირვებიდანაა მოხმობილი: ხალხმა-შემოქმედმა იცის, რომ ბრძოლაში საომარ იარაღთან ერთად, გულოვნება, სიფხიზე და ჯომარდობა მეომრის აუცილებელი ატრიბუტიკაა. შემოქმედმა ხალხმა ისიც იცის, რომ "ვაჟკაცი გულადი პურადზე სამი გაფრენით მეტია". "გულადობა" კი, ჩანს, "ვაჟკაცობის" სინონიმია:

ვაჟკაცო, გულო ჯომარდო,
აბჯარი გინდა ხისაო [III,79].

– ვაჟკაცი, გმირი, კაი ყმა – ერთიმეორის შემავსებელი, ან თითქმის იდენტური ცნებებია.

კაი ყმის „სიკარგე" მაშინ გამოჩნდება, როცა

კარგი ყმა მაშინ კარგია,
ჴმალნი რო შევლენ ელვასა,
მოციქულობდენ ისარნი,
შუბნი აძლევდენ ენასა [III,79].

კაი ყმა ფიზიკურად ძლიერი უნდა იყოს ისე, რომ

ჴმალს უნდა აჭრევინებდეს,
იმედი ხქონდეს მკლავისა [III,80].

კაი ყმა ღვთის მორჩილი და თემ-სოფელში თავმდაბალია. ომში პირველი შედის და გვიან გამოდის — ასეთია ხალხის დიდაქტიკა; ასეთი უნდა იყოს ის, ვისაც „სახელის ქნა" უნდა:

ჯარნი რო დაჯარდებიან,
ჯარზე თავდაბლად დასჯდოდი;
თარეშნ რო დაერჩევიან,
ცხენ შაჰკაზმოდი, შასჯდოდი;
თუ რო სახელის ქნა გინდა,
კაი ვაჟკაცთან დაზდგოდი,
ჩასელით ჩახვიდი ნინწინა,
გამოსვლით უკან დასდგოდი! [III,82-82].

ასეთია კაი ყმობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კოდექსი, რასაც ერის ცხოვრებაში კონსტუტუციური ძალა და მნიშვნელობა გააჩნია.

კაი ყმობა ადამიანის მოღვაწეობის უმთავრესი მიზანია და ზეპირსიტყვიერ ჟანრებში მისი განფენილობა ბუნებრივ რეალობად წარმოგვიდგება.

ერის უპირველესი საზრუნავია თაობის სულიერების აღზრდა – ეს კარგად იცის შემოქმედმა ხალხმა. ეს ცოდნა ლექსადაა გარდაქმული და ხალხისვე სამსახურში ჩაყენებული.

გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო [III,82].

დამონმებული ხალხური საგმირო მინიატურა რომელიღაც ზეპირსიტყვიერი ტექსტის გადარჩენილი ნაწილის შთაბეჭდილებას ტოვებს. აშკარად იგრძნობა, რომ მისი დავიწყებული მონაკვეთი საბრძოლო-სალაშქრო შინაარსის ტექსტი უნდა ყოფილიყო.

იყო გამარჯვებაც და დამარცხებაც. დამარცხებული კი ბოლომდე რჩებოდა მტრის შეურიგებელ მორკინალად. გმირული სული ღორძინდებოდა, მუდამ ახალ ძალებს იკრებდა, ბოლომდე შეურიგებელი რჩებოდა:

მტერო, დამჩაგრე, არ ვტირი,
ტირილი დიაცთ წესია,
ბევრჯელ ვყოფილვარ ამ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია!
მაცალე, ერთი გავმართო
ჩახმახით ცეცხლის კვესია,
სულ ერთად მოგამკევინო,
რაც ჩვენზედ დაგითესია [III,82].

მებრძოლი სული ვერ ეგუება დამარცხებას, მისი ცხრაკლიტულში ჩასმა შეუძლებელია, მას ვერ დააშინებ, ვერ უბრძანებ.

მებრძოლისათვის უმთავრესია საომარი იარაღი და კარგი საფერხე-ცხენი. ეს ფაქტი არც ხალხურ აფორიზმშია ქვიშაწაყრილი. როგორც უკვე აღინიშნა, კაი ყმის ატრიბუტიკაში ცხენს უთუოდ გამორჩეული ადგილი უკავია. ზემოთაც ვთქვით, კარგი ცხენი ომში გამარჯვების საწინდარიაო:

ცხენ-კარგის დედას დავნატრი;
ლაშქარს წინდაწინ წადგება!
მემრე თოფ-კარგის დედასა —
ერთის ნასროლით დარჩება... [III,84].

ცხენი მაშინ არის კარგი, როცა მისი ღირსია მხედარი და პირიქით.

ცხენისა მამწონ ცხენობა,
ოთხზევე ეკრას ნალები,
ზედ იჯდეს სვილის ფერაი,
ესხდეს ქორივით თვალები,
სოფელზე შამაიაროს,
გამაჰხედავდეს ქალები [III,102]

ომის ხელოვნებას ბალღობიდანვე აჩვევდა ნინაპარი მომავალს. ეს პროცესი მუდმივი, მემკვიდრეობითი იყო. ახალთაობა განისწავლებოდა საომარი საქმის ცოდნითა და ერთგულებით. აქ არ შეიძლებოდა ზერელობა, მიფუჩეჩება, ღალატი, ჩათვლემა. მამულის დაცვას, მის მოვლა-პატრონობას რუდუნებით შესწავლა-ათვისება სჭირდებოდა. ცოდნა და მხოლოდ ცოდნაა იმის საწინდარი, რასაც სამშობლოსა და თემ-სოფლის სიყვარული ჰქვია. დღენიადაგ წვრთნა, დარიგება, შეგონება – ასეთია ხალხური სიბრძნის ბუნება. – მინდა, არ მინდა! აქ გამორიცხულია. – სნავლა სიბერემდე! – ყველგან და ყოველთვის!

ველს ნახვალ, ბენიკურაო,
რა გითხრა, რა დაგაბარო?
გეტყვი; ძილს ნუ დაენდობი,
– ძილი ვაჟკაცის მკვლელია.
გეტყვი: – თოფს ნუ დაენდობი,
– ჩახმახ ეშმაკის ცხენია.
გეტყვი: – ხმალს ნუ დაენდობი,
– ხმალი მშიერა მგელია,
სადღეოდ გულის მკეთეი,
სახვალოდ ლიბუს მთხრელია;
გაგატანინებს მამულსა,
გედვას კარის პირს მტყელია.
ნურცა – რას მკლავს დაენდობი,
მკლავი სხვისაიც გრძელია.
ნურცა-რა მუჴლს დაენდობი,
– მჯობი ბევრისა ბევრია [III,108].

ნარმოდგენილი ხალხური ძეგლის მთავარი აზრი ის არის, რომ, როგორც ჩვენი ანდაზა ამბობს: – მჯობთა მჯობი არ დაილევა, მართლაც, – „მჯობი ბევრისა ბევრია". გულზვიადობა და სხვისი ძალების დაუფასებლობა დამარცხების მიზეზია, მიუღებელი და უარსაყოფია! – ამისი ცოდნა კი – აუცილებელი.

ომს თავისი კანონები აქვს. მეომრის ბიოგრაფიაში მემკვიდრეობითობას თავისი ადგილი უკავია. ხშირად ხომ „კვიცი გვარზე ხტის"! ფაქტი არც ხალხურ სასიმღერო საგმირო მინიატურაშია დავიწყებული:

გაფრინდი, შავო მერცხალო,
ჩაჰყევ არაგვის პირსაო...
რა ომი გაუჭირდება
შენი დედ-მამის შვილსაო! [III,100].

ვაჟკაცს ფარი და ხმალი ამშვენებს და არა – "სოფელს შვენება თავისა". კაი ყმას "ტურფადა ჰხდების აბჯარი!" [გვ.101]. კარგი ის არის, ვინც "საომრად ცისა მეხსა" ჰგავს, მისი კაი ყმობის გამომცდელი ომია

ნადირი როგორ მაიკლას
სამჯერ მთა გადუვლელადა.
კაი ყმა როდი იცდება,
ომში შიგ შეუსვლელადა? [III,107].

წინაპარს საომარი ლელო ახლოც ჰქონდა და შორსაც. მანძილი ერთი-ორად ამძიმებდა სევდას, მეტი იყო შინდაუბრუნებლობის სამწუხარო პერსპექტივა. გულსაც და გონებასაც ეს აფორიაქებდა, აძლიერებდა ფიქრთან შენივთულ მოლოდინს, ტკივილს:

ვაჰ გულო, ვაჰ გონებაო,
ვაჰ სიშორეო გზისაო!
წასვლაო, აღარ მოსვლაო,
ლაშქრით მამაცი ყმისაო! [III, 113].

ეს „სიშორე გზისა", წასვლა და აღარ მოსვლა საკუთარი შვილის, მეუღლის, ბიძის, პაპის.. ახლო წარსულიდანაც კარგად ახსოვთ ჩვენს მამებს და პაპებს, ბებიებს, დღესაც რომ იმ გზას გაჰყურებენ, რომლითაც გააცილეს 1941-1945 წწ. „სამამულო ომში" თავისი შვილი, მეუღლე, ძმა.. შინმოუსვლელობის ტკივილი კი არც მსუბუქდება, არც ნელდება.

აფორიზმი იმის აფორიზმია, რომ გვჯეროდეს მისი შინა არსისა, მუდამ ჩვენთან იყოს, გვეხმარებოდეს, სულს გვიწვრთნიდეს, გვასწავლიდეს, რომ „ჭირში გატეხა არ ვარგა", რომ „ტირილი დიაცთ წესია", რომ კაი ყმის სიკვდილი „სოფლობის წახდენაა", რამეთუ იგი „სოფლის ფასია", იმაზე ტკივილიანი ფიქრია, რომ მის შემდეგ „უფროსთანა ან მტერთანა წინ ვიღა წაგვიძღვებაო".

ხალხს უყვარს მამულსდამწყემსებული ვაჟკაცი. მარტო გარეგნობა კი არა მხოლოდ, კაცს მეომრობა და მოლაშქრეობა უნდა შვენოდეს:

დაგკვლია, ალვის ხეს ღგევხარ,
– თვალნი არ ამოგვწვდებიან:
საომრად ცისა მეხს ღგევხარ,
– სწორნი ვერ დაგედრებიან [III,101].

კიდევ:

ოშკაცნო, მშვილდნო რქისანო,
გოზა-ნითელნო, ფალთონო,
არც მაშინ შაშინდებითა,
ომში რო შახოლთ მარტონო? [III,101].

კაი ყმის თოფსაც კი სხვანაირი ხმა აქვს, გამორჩეულია მისი ექო:

ჴმა მამწონს თქვენის თოფისა,
იცის გველივით წივილი... [III,102].

მოლაშქრეობა, საომარი იარაღის ცოდნა კაი ყმისათვის თავმოწონების სათავეა, მერედა რა ოსტატურადაა წარმოჩენილი აფორიზმში ეს აზრი

შენი ჭირიმე, როსტომო,
მშვილდი შენ გინდა რქისაო.
აუშვი ბროლის მკლავზედა
ისარი სინგულისაო [III,103].

მებრძოლის გული ზღვას ჰგავს, ფოლადივით ჟღერს, ომში შესვლისას არ იცის შიში და ძრწოლა. ვაჟკაცს წელზე ნაბამი ხმალი ამშვენებს, ყიანითელი ისარი, თოფი და ფარია მისი სამკაული.

ომში თანადგომა და ერთგულება კაი ყმის უმაღლესი ზნეობაა. მოძმის ღალატი სიკვდილის ტოლფასია. აფორიზმში დაგმობილია უნდობლობა და გაუტანლობა, მოღალატეს და მშიშარას აფორიზმით ხალხი არისხებს და სასიკვდილოდ იმეტებს:

სნორს სწორის მოღალატესა
ხიდნიმც წყლად ჩაუცვივიან,
მშვილდიმც გაუგლეჯს სამბურსა,
ისარნიმც ჩაუცვივიან! [III,99].

ვინ მოსწონს აფორიზმის შემოქმედს? — დარბაისელი კაი ყმა! ვინც ომის წეს-რიგი საფუძვლიანად იცის და ყოველ წამს იცავს მას:

ყმაწვილო, ბენიკუაო,
დარბაისლობა იცია?
ნინ ჩასვლა, უკვენ ამოსვლა,
ჩაშველებაი იცია?
დაგეჭრა სწორ-ამხანაგი? –
ჩასვლა-შაშველა იცია? [III,99].

კაი ყმის ეთიკა "დარბაისლობის" ხალხური სემანტიკა აქ, როგორც იტყვიან, ხელისგულზე დევს. როგორი სიზუსტითა და სიცხადით, სიბრძნითა და ფაქტის ზედმიწევნით ცოდნითაა წარმოდგენილი ომში მეომრის ჰუმანიზმი, ჯარისკაცთა ურთიერთთანადგომის, დაცვის, ურთიერთგაფრთხილების აუცილებლობა. სწორისა და თანამოლაშქრისადმი თანადგომამ, მასზე ზრუნვამ, მოძმის სიყვარულმა ხალხური ლექსით შემოინახა საამაყო ნინაპართა

სახელები; "ნათქომის" გამცხადებელი თუში ჩერქეზიშვილისა, ხევსური აპარეკასი, ბერი მინდიასი, გმირი როსტომისა, მაისტელი ვაჟების, ფშაველების, გუდამაყრელების, მთიულებისა და სხვათა და სხვათა. მთის ხალხურმა პოეზიამ უთუოდ მეტად უკვდავყო მეომარ გმირთა სახელები. ხალხურ აფორიზმშიც მთა, შედარებით ბართან, ხშირად დომინირებს:

ვაჟკაცნი, მთაში გაზრდილნი,
ომშიაც კი ნახვენ ლხინსა,
მტერსა მტრულად დახვდებიან,
მოკეთეს მოსწამენ ჭირსა [III,89].

საქართველოს მთისა თუ ბარის ხალხური პოეზია კაი ყმობის, ვაჟკაცობის საყოველდროო საგალობელია:

მთიელო, მთაში გაზრდილო,
ხმალს როდი მოგიშივდება,
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შეგიშინდება.
სისხლისა ნაგუბარზედა
ფეხი არ მოგიცურდება,
უკან დახევა არ იცი,
სისხლი რო შაგიხურდება [III,87].

სხვა მაგალითი:

თუში ვარ, მთაში გაზრდილი,
მტერსა არ დაუვარდები,
უქუდოდ ქვეყნად არ ვივლი,
კლდეზედაც გადავვარდები [III,86].

ზეპირსიტყვიერ აფორიზმში, შეიძლება ითქვას, ჩვენი წინაპრის მიერ გადახდილი ომების სრული პანორამაა ნარმოდგენილი. მთავარზე მთავარი აქ ის არის, რომ იგი თავისი ქვეყნის, მინა-მამულის, თავისი მთისა და ბარის ერთგული დამცველი და მომვლელ-შემნახავი იყო.

ხალხური აფორიზმი, ლამპრად ანთებული, მოკაშკაშე ლექსიმღერა თავისი შთამაგონებელი ძალით სრულიად საქართველოს სწვდებოდა და მამულისადმი თავდადების შეგნებით კვებავდა თითოეულ ქართველს. ახლაც, ახლაც გვჭირდება ის!

მეცხრე თავი

კაი ყმა ერთისა და მრავლის პირისპირ ხალხურ ბალადაში

მტერთან შერკინებული მებრძოლის გმირული შემართების ჩვენება ნარმატებითაა შესაძლებელი ხელოვნების ისეთ დარგებში, როგორიც არის ფოლკლორი, მხატვრული ლიტერატურა, კინო, თეატრი და ა. შ. ერთი ერთისა და მრავლის წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევაში კარგად ჩანს კაი ყმის საბრძოლო ნიჭი და უნარი, მოხერხებულობა, მკლავის ძალა, მოქნილობა, მისი უპირატესობა, რითაც თავითავს აყვარებს მაყურებელს, მსმენელს, მკითხველს.

ორთაბრძოლას თავისი მიზანი და დანიშნულება გააჩნია. ასეთ ომში ფეხდაფეხ მისდევ შენს ფალავანს, შენი ხალხის სათაყვანებელ გმირს, კაი ყმას, ვისაც შეუძლია გაგიყოლიოს, აღგზარდოს, გამოგიწვიოს.

ორთაბრძოლების დახასიათებისათვის სხვა ფოლკლორულ ჟანრებთან შედარებით, უხვ მასალას იძლევა ბალადა. იგი ლიროეპიკური თხზულებაა და მისთვის ბუნებრივია დრამატიზმი. დ. გოგოჭური წერს, რომ „ქართულ ხალხურ ბალადებში მაინც საგმირო თემატიკაზე შექმნილი ნანარმოებები სჭარბობს"[267]. რაკი ბალადა უფრო ხშირად პერსონაჟის ცხოვრების დრამატული ეპიზოდის წარმოსახვაა, გასაგებია, რომ აქ ლირიკული და ეპიკური გვერდიგვერდ თანაარსებობენ. ეპიკური სწორედ ლირიკულისა და დრამატულის თანაარსებობით არის ნარმოჩენილი. თუ ბალადისათვის ლირიკულისა და ეპიკურის თანაარსებობა სხვა ჟანრებისაგან მისი გამორჩეულობის ძირითადი ნიშანია, მას მესამე ნიშანიც უნდა დავუმატოთ – დრამატიზმი, ურომლისოდაც ნაკლული იქნებოდა ბალადის თვითმყობადობა.

ამჯერად ხალხურ ბალადაში ერთი ერთისა და მრავლის წინააღმდეგ ბრძოლების თავისებურებანი გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც ასეთი თხზულებები კაი ყმას სრული სისავსით წარმოგვიდგენენ. აქ გათვალსაჩინოებულია მეომარი გმირის ბრძოლის ხელოვნების მთელი ინფრასტრუქტურა. ჩვენთვის მთავარია იმის ჩვენება თუ ზეპირსიტყვიერი თხზულების შემოქმედი ხალხისათვის რა არის მისაბაძი, საამაყო, სამაგალითო.

---

[267] დ. გოგოჭური, ქართული ხალხური ბალადა, იხ. კრებული-მაღლა მთას მოდგა, შემდგენელი დ. გოგოჭური, თბ. 1990, გვ. 4

ორიოდე სიტყვა ქართული ხალხური პოეზიის „შედევრის" [ნ. შამანაძე], ცნობილი ბალადის „შემომეყარა ყივჩაღის"[268] შესახებ.

თხზულების შესახებ ბევრია დაწერილი. ეს ბალადა, როგორც ვ. კოტეტიშვილი შენიშნავს, XIII-XIV საუკუნეებზე გვიანი წარმოშობისა არ უნდა იყოს"[269]. შეიძლება ითქვას, რომ „შემომეყარა ყივჩაღი" ორთაბრძოლის კლასიკური ნიმუშია. ბალადა ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობის ჩვენების იშვიათი მაგალითია. ამასთან, იგი გულბოროტი, მასპინძლის ოჯახის შეურაცხმყოფელი, სტუმარ-მასპინძლობის ქართული მამაპაპური ტრადიციების შემლახავი სტუმრისადმი სამაგიეროს მიზღვის სანიმუშო თხზულებაცაა.

ჩვენი შორეული წინაპარი რუდუნებით ქმნიდა და საკუთარი სისხლის ფასად იცავდა ოჯახის სიწმინდეს, ცოლ-ქმრულ წეს-რიგს, რაც ბალადის ლაიტმოტივს წარმოადგენს. იგი თავსაც შეაკლავდა მტარვალს, თუკი აუცილებლობა კარნახობდა: გათავხედებულმა ყივჩაღმა როცა ყველა ცხოველური გრძნობა დაიკმაყოფილა, ახლა ლაშარის ჯვრის ყმის მეუღლის დასაკუთრება მოისურვა, რაც ძალიან ძვირად დაუჯდა. სტუმარ-მასპინძლის ხელჩართული ბრძოლა დიდი პოეტური ექსპრესითაა გადმოცემული. ამ ბრძოლაში მკაცრად იკვეთება ქრისტიანული რწმენის სიყვარული, ოჯახის, მეუღლის პატიოსნებისათვის თავგანწირვა, რაც ტრადიციით მოჰყვება ქართველ ხალხს. ბალადა ისეა მოქსოვილ-დაგვირისტებული, რომ ჭირს მისი დაშლა, ცალკე ეპიზოდებად მისი დანანევრება.

შემომეყარა ყივჩაღი
სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა.
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყვანდა სიდედრისასა.
ან კი ცოლს როგორ მივცემდი
შვილსა გაზრდილსა სხვისასა.

---

[268] შ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ. 1956; ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, თბ. 1931; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, თბ. 1957; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ. 1961; ნ. შამანაძე, იხ /შემომეყარა ყივჩაღის" დაბოლოებისათვის, კრებულში — ქართული ფოლკლორი, XIV, 1984 და სხვა.

[269] ვ. კოტეტიშვილი, მითითებული კრებული, გვ. 364

ხელი მოხვია, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა.
შესტირა საბრალო ქალმა:
"ვაი ცოლს ცუდის ყმისასა!"
მეც გულმა ვეღარ გამიძლო,
მოვზიდნე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა.
მაგრამ დაუცდა მუხანათს,
ვენაცვლე მადლსა ღვთისასა.
ახლა მე შემოუქნივე,
ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა.
გავჭერი ცხენი და კაცი,
წვერიც მომიხვდა ქვიშასა.
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელი მზისასა,
ცოლი სიდედრსა მივგვარე,
ის კი იქა სჭამს ქვიშასა.[270]

ბალადაში ცხადად ჩანს მასპინძლის გულუხვობა, სტუმრის თავაშვებულობა, დაუნდობელი ორთაბრძოლა, მფარველი ღვთაების ძლიერება და ისიც, რომ მოწინააღმდეგენი მხედრები არიან. მოუთოკავი თავაშვებულობის დამარცხება რომ არა, ფოლკლორული ძეგლის დრამატულ ეპიზოდს, სადაც სტუმარ-მასპინძლის ხელჩართული ბრძოლაა გადმოცემული, ცხადია, არ ექნებოდა ის დატვირთულობა, რაც თხზულებას ააქტიურებს, მატებს ემოციურობას და სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

ისტორიული თემატიკის მქონე მრავალ ხალხურ ბალადას შორის საინტერესოა ლექსი "შალვა შავლეგოსი". გ. ლეონიძე "ქართლის ცხოვრების" მონაცემებზე დაყრდნობით, მიუთითებს, რომ "შალვა-შავლეგის თქმულების საფუძველი ნამდვილი ისტორიული ფაქტია."[271] პოეტის თქმით, "ქართლის ცხოვრების" მოწმობით, "შავლეგოს თქმულებაში ხალხის ხსოვნას შემოუნახავს XII-XIII საუკუნის გმირი შალვა ახალციხელი და მისი ძმა ივანე, რომელთაც თავისი ძველი გმირობით ადიდეს თამარის მეფობა".[272]

ამჯერად შავლეგის შესახებ შემონახული ფოლკლორული ტექსტებიდან ერთი მომენტი გვაინტერესებს. მას შემდეგ, რაკი ვიცით,

---

[270] აქ და ქვემოთ გვერდები მითითებულია დ. გოგოჭურის მიერ შედგენილი ზემოხსენებული კრებულიდან.

[271] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ. 1958, გვ. 414.

[272] იქვე, გვ. 415

რომ "შალვა და ივანე თამარის ჯარის წინამძღოლები იყვნენ" [გ. ლეონიძე], რაც, უდავოა, რომ დიდი ვაჟკაცობისა და რისკის შედეგი უნდა იყოს, არ გვინდა დავიჯეროთ მტრის მიერ შალვას ისე დამორჩილება, როგორზედაც ლაპარაკია ხალხურ ლექსში. ჩვენ უფრო მომხდურთან შალვას დიალოგი გვაინტერესებს. გააფთრებულ ომში

შალვას ცხენი წამოექცა
ვინროსა და ავს ალაგსა,
თავსა თურქი ნამოადგა
ვინროსა და ავს ალაგსა,
– დამკარ, თურქო, რასა ჰშიშობ,
თუ გული გაქვს მამაცისა!
დაჰკრა თურქმა, დასჭრა შალვა
თეძოსა და ავს ალაგსა.

ეს ადგილი ანალოგიურად იკითხება ტექსტის სხვა ვარიანტებშიც. ლექსის ამონარიდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩანს, რომ შავლეგო განიარაღებულია. მას ახლა მხოლოდ ვაჟკაცური სული და შემართება შერჩენია! ძნელი დასაჯერებელია, რომ ამით ამოიწურა სათქმელი! აკი ცნობილია, რომ ხალხურში არსებული მასალის მხოლოდ ფრაგმენტებია დღემდე მოღწეული. უნდა დავეთანხმოთ გ. ლეონიძის შენიშვნას: "ეს ორიოდე ნაწყვეტიც შალვა-შავლეგოს შესახებ, ჩემი აზრით, ჩვენამდე სრულად ვერ მოღწეულ შალვა-შავლეგოს ძველ ქართულ სარაინდო ეპიკური ციკლის ფრაგმენტებს უნდა წარმოადგენდეს"[273]

ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, ჩანს, შავლეგოს გმირული ღვაწლის ამსახველი ეპიზოდები მის შესახებ არსებულ ზეპირსიტყვიერ მასალებს თანდათან ჩამოსცილდა. ამ პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებასაც, რომ შავლეგოს შესახებ "თქმულება [და იქნებ პირველი ფოლკლორული ვარიანტებიც? – ზ.ს.] მხედრულ წრეში იყოს აღმოცენებული" [გ. ლეონიძე]. ამ "წრეში" კი შავლეგოსადმი დამოკიდებულება თანდათან იცვლებოდა. არადა, მხოლოდ შავლეგოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დამამცირებელი, მისი გმირობის გამაიაფებელი ეპიზოდი, რაც თურქი მდევრისადმი მის სრულ მორჩილებაზე მიუთითებს, რატომ უნდა შემოგვრჩენოდა?! ანდა "ორასი თურქის მომკვლელი" განა ისე დაძაბუნდა, რომ ასე უომრად შეღაღადა მტერს:

დამკარ, თურქო, რასა ჰშიშობ,
გული თუ გაქვს მამაცისა!.

სახელოვანი გმირი ნუთუ ასე განაიარაღა მისმა მოიმედე ხალხმა? არა გვგონია! ის კი უარსაყოფი არ უნდა იყოს, რომ შავლეგოს

[273] გ.ლეონიძე, დასახ. კრებ.გვ. 417.

შესახებ არსებული ზეპირსიტყვიერების "დავინყებაში" გარკვეულ როლს ასრულებდა ორთოდოქსი სამხედრო უწყება, რომელსაც ნინაპრის კულტზე საზრუნავად აღარ ეცალა.

ცოტაც და რვა საუკუნე შეუსრულდება შავლეგოს შესახებ არსებულ ხალხურ თქმულებას. იგი 1225 წელს საქართველოზე ჯალალედინის მძვინვარე ლაშქრობის ამბავს ასახავს.[274]

ხალხური ლექსი დღესაც პატივითა და დიდებით იხსენიებს გმირ ნინაპარს. შავლეგოს სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ უნდა იყოს შექმნილი მითოსური სახეებით მდიდარი შავლეგოს ციკლის კიდევ ერთი ლექსი "შალვა შურისა მძებნელი". ვნახოთ ლექსი:

შალვა შურისა მძებნელი
მთას ქორებულად ჰკიოდა.
მე მონადირე მეგონა,
მას თურმე გული სტკიოდა,
ნაიგდეს ვიწრო ხევშია,
მთა-ბარი სულ ზედ ხვიოდა.
გულს ერჭვა თეთრი ისარი,
კილოზე სისხლი სდიოდა,
თავის თავს არა სჯაერობდა,
თავისს სნორებსა სჩიოდა,
ორასი თურქის მომკველი
უომრობასა სჩიოდა.[275]

ძნელია დაიჯერო, რომ "ორასი თურქის მომკველი" ისე ჩაბარდა თავზე წამომდგარ თურქს, როგორც ეს ზემოხსენებულ ტექსტშია ნათქვამი!

ჩვენთვის საინტერესო ბრძოლის ბალადური ნიმუშია ხალხური ლექსი "გოდერძის ამბავი". ვფიქრობთ, რომ თხზულება სამი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს: პირველში – გოდერძის სიზმარია გადმოცემული, მეორეში – მოძალადესთან მისი პირისპირ შებმა და მესამეში – გმირის სიკვდილი.

ლექსის მეორე ნაწილი კლასიკური მაგალითია ორთაბრძოლისა: ცხენზე ამხედრებული გოდერძი უცხო მხარეს გავიდა და ნახა, რომ ერთ სოფელს "კაცი ქალს ეძალებოდა". ქალმა დახმარება ღმერთსა და გოდერძის შველა შესთხოვა. დაუნდობელ ორთაბრძოლაში გმირმა მოძალადე მოკლა და გათავისუფლებული ქალი ცხენზე შემოისვა.

---

[274] გ. ლეონიძე, დასახ. კრებ. გვ. 412-419

[275] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძისა, თბ. 1961, გვ. 105; აქვე-ვარიანტები, გვ. 280-283.

მაშინ ნამოდგა მტრის ურდო,
გოდერძის გაუდგებოდა,
შემოტრიალდა გოდერძი,
ურჯულო ეჯარებოდა,
გაავსო ჭალა ლაშქარმა,
ბელადს სიათა შვენოდა,
ერთი შეჰყვირა გოდერძიმ,
ბელადს ცა უწითლდებოდა.
გაკვესა ხმალმა ნალესმა
ნვერი მინაზე წვდებოდა,
რამდენი წამოენია,
იმდენი მიწას წვებოდა.[276]

კაი ყმამ ბევრს დაუღამა დღე. ხმლით ცელავდა მტერს. ქალს ენანება მისი გამათავისუფლებელი. მტერთან ჭიდილს არ ეშვება გმირი: „ხოცა და ხოცა" მომხდური: ცხენს ნალები დააცვდა, „ხმალი ვადაში გადაუტყდა"... და მოკლეს გოდერძი. მისი სიზმარი ასე ახდა. სიზმარი კი მდიდარია სიმბოლიკით. იქ ნათქვამია, რომ ცა წითლად იღებება, დედა ტირის, ცხენი ტორებზე დგება, ალვის ხე წაქცეულა, მამა წვერს იგლეჯს, ცოლი იცრემლება და ა.შ. ბალადა მდიდარია ტრაგიკული განცდით, უხვია დრამატული ნოტებით, ხსოვნაში რჩება ეროვნული გმირის ნიშან-თვისებები, ის კომპონენტები, რამაც დავიწყებას გადაარჩინა ყველა თაობისათვის მისაბაძი კაი ყმა.

კაი ყმისა და მტრის ჯგუფის ურთიერთდაპირისპირებისა და ომის ფიქსაციის თვალსაზრისით, საინტერესო მრავალი ხალხური ბალადიდან გამოვყოფთ ერთს – „შატილს გადიდდა ხოხობი". ეს ტექსტი ფოლკლორისტიკაში საგმირო ბალადის ციკლში განიხილება.[277] ამ შემთხვევაში დატვირთვა მოდის თხზულების მთავარი პერსონაჟის საბრძოლო კოლიზიებსა და მის შედეგებზე _ უთანასწორო ბრძოლაში იმარჯვებს ეროვნული გმირი! თხზულების სიუჟეტი აგებულია ფაბულაზე თუ როგორ დაესხნენ ქისტები გოდერძის ციხეს და გაიტაცეს ქალი, რომელსაც ტყვეობიდან თხისტყავიანი კაი ყმა იხსნის. „თხისტყავიანობა" კაი ყმის უბრალოებაზე მიუითითებს და იმაზეც – რომ გმირი ფასდება არა მდიდარი გარდერობით, არამედ მდიდარი ზნეობრივ-ეთიკური ნორმების პრაქტიკული გამოვლენით „ძნელბედობის ჟამს თანამემამულეებთან თანადგომით, მათთვის თავგანწირვით".

ბალადის ეპიზოდებიდან ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა თხისტყავიან თადიაურთან მარბიელთა დიალოგი და მისი შედეგი.

---

[276] გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, თბ. 1957.

[277] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, თბ. 1961, გვ. 66

ეს ბალადის ყველაზე უფრო დრამატული ეპიზოდია. აქ იკვეთება ის კანონზომიერებანი, რაც ასე დამახასიათებელია კაი ყმის ბუნებისათვის, კერძოდ მტრის მიმართაც კი თავმდაბლობა, ეთიკური სიმაღლე და ის, ხალხური ლექსის მიხედვით რომ ვთქვათ, „რო გაჭირდება – მჭექარი".

კბილებამდე შეიარაღებულ შვიდ ძმას სოფელ ახადში ციხე დაურბევია და „იქით" მოტაცებულ ქალს მოატირებენ: ხალხის საყვარელი გმირი მოძალადესთან შეხვედრისასაც დავდაჭერილი და დინჯია:

შამახედა თხის ტყავიანი,
ამბავი ჰკითხა ჭკვაზედა:
– ე ქალ საითღა მოგყავისთ,
ცრემლ რო ჩამოსდის თვალზედა?" [გვ.140].

თავაზიან კითხვაზე მოძალადეთა პასუხი უკმეხია, მოურიდებელი:

– ე ქალ ახადით მოგვყავის,
შატილს ჩამოვსვამთ ჯარზედა,
მაგის საქმარეც აქა გვყავს... [გვ.140]

ქალი გზაზე მოტირის. ძალადობა მძლავრობს, იძულებითობა აშკარაა. თხის ტყავი გმირისათვის მხოლოდ ნიღაბია. მას გარეგნული სამკაულები არ სჭირდება, მისი აქსესუარი მისივე მარჯვენა და ის ზნეობრივი სიმაღლეა, რისთვისაც ამ ნუთში იგი მტერს წინ აღუდგა. ვაჟკაცის ქადილი ყალბი არასოდეს არ არის. იგი პირდაპირ საქმეზე გადადის:

– თუ თქვენ ეგ წაგაყვანინოთ,
ნვერიმც ნუ მსხმია ყბაზედა,
შინამც ნუ მივალ ცოცხალი,
სწორნიმც ნუ დამსმენ ჯარზედა.

ულვაშის დაფიცება და ჯარზე დასმის ხსენება წინაპირობაა მოწინააღდეგეებთან ხმალდახმალ, პირისპირ შეჭიდებისა, რაც, თავის მხრივ, მკაცრი განაცხადია დაჩგრულისადმი დახმარებისა, თანამემამულის დაცვისა. წამიც და იწყება უთანასწორო ბრძოლა:

შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა
გაიკრა ხელი ხმალზედა.
შამეეტია ფშაველი,
შვიდთავ თავ მასჭრა წამზედა,
შვიდსავ მარჯვენა ააჭრა
ერთის ამლათის ხანზედა,
შვიდსავ იარაღ აჰყარა... [გვ.141].

ბალადა "შატილს გადიდდა ხოხობი" ქართული ხალხური პოეზიის ოქროს ფონდში შედისო", – ნერს გ. კალანდაძე.[278] ჩვენ დავუმა-

[278] გ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 57

ტებდით: ბალადა "შატილს გადიდდა ხოხობი" ხალხური სიტყვის ხელოვანის ნიჭისა და უნარის გამობრწყინებაა, ძეგლია ხალხის მაღალპოეტური აზროვნებისა, კაი ყმის კლასიკური წარმოჩენისა.

ბალადაში დიდი პოეტური გზნებით არის ნაჩვენები ორთაბრძოლის მაგალითები. აქ ძლიერია მხატვრული სიტყვით წარმოდგენილი შერკინების სურათები. ხალხურ სიტყვას თავისი ემოცია ახლავს, რაც მსენელსა თუ მკითხველზე გასაოცარ ზემოქმედებას ახდენს. ბალადაში "ნაროზ ბლოველი" პოეტური სახისმეტყველებითაა საუბარი ბლოელი ვაჟკაცის შესახებ. იგი არის "ბლოში გაზრდილი მიმინო", "ქორი ზარებულ მკივანი", ვისთვისაც ძუძუ ქრისტეს დედას უწოვებია – რა თვალშეუდგამი ჰიპერბოლაა! მან ჩასაფრებულ მტერთან შერკინებისას

ჯერე იომა ცხენ-დი-ცხენ,
მშვილდი აყეფა რქიანი,
მემრ ხმალი ამაამღერა
ვადათით მელანქრიანი,[279]
ერთი შამახკრა ტიმღელსა,
ნაწყვეტნი გზის ძირ ხყრიანო.
მეორე ნაქაფროელსა,
თითნი ვადაზე ხკრიანო,
მესამე შამოუბრუნა,
სისხლის წყარონი დიანო [გვ.173].

ორთაბრძოლის ამსახველი ბალადის კლასიკურ ნიმუშად მიგვაჩნია აგრეთვე ლექსი "ფხოველი და შავანელი". თხზულება ტოლფასი ძალის მქონე დაპირისპირებულთა [ვინ იცის, იქნებ მოსისხლეთა!] პოზიციის დათმობის გარეშე შერკინებისა და ორივეს სიკვდილის ამსახველი, პოეტურად დახვეწილი მხატვრული ტილოა. შთამაგონებელია ბალადის დიდაქტიკური ეპიზოდი. იგი რვამარცვლიანი მონორითმით დაწერილი თოთხმეტტაეპედია. აი, ისიც:

ერთი ვაჟკაცი ფხოველი
შავ-წყალს საომრად დადგაო,
ადგა და შინ ნამოვიდა,
გზას შავანელი შაჰხვდაო,
ჩაჭრეს, ჩაკაფეს ერთურთი,
მაშველი აღარ შაშჩაო.
ცითა მოვიდა ყორანი,
მაგათ ნაომარს დახყვაო,
ჯერა დაითვრა სისხლითა,

[279] მელანქრიანი – მინანქრიანი, მომინანქრებული (ალ. ჭინჭარაული).

მემრე ლეშ ჭამა, გაძღაო,
ადგა და ისევ წავიდა,
მაგათ ვაგლახი დასცაო:
„ორნივ ყოფილან უჭკონი!
ერთმ მაინც რად არ დასთმაო?!“ [გვ.180]

ვკითხულობთ ბალადას და თვალწინ ნარმოგვიდგება ფიზიკურად ორი ერთიმეორეზე უკეთესი, მაგრამ ერთნაირად ჯიუტი, თავისნვერა, საკუთარ უპირატესობაში ფრიად დარწმუნებული კაი ყმა. ყველაფერი ეს წყალში გადაყრილს ჰგავს, როცა არ არის გათვალისწინებული დათმობის აუცილებლობა, იმის შეგნება, რომ ძალა კი არ ხნავს ყოველთვის აღმართს, არამედ – სიტუაციაში გარკვევა, იმის ცოდნა, რაც შ. რუსთაველმა გვასწავლა: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“.

იმ ბალადებიდან, სადაც ასახულია ურთიერთმოწინააღმდეგეთა უთანასწორო ბრძოლა, როცა ერთი იბრძვის მრავლის წინააღმდეგ, კიდევ ერთს, ამ მხრივ ტიპიურ ბალადას შევავლოთ თვალი. ეს არის საისტორიო შინაარსის ნანარმოები „გიგა და გიორგი“. აქვე გვინდა ხაზგასმით შევნიშნოთ, რომ ეს ბალადა რვამარცვლიანი, 148 ტაეპიანი თხზულებაა, რაც ხალხური ბალადების ერთი ნაწილის თავისებურებაზე გვაფიქრებინებს: ამ ნანილს აქვს ბალადისაგან განსხვავებული მოცულობა და სიუჟეტის განვითარების განსხვავებული ფორმა. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ბალადები ხალხური პოემის სახეობანია. ვთვლით, რომ ხალხური პოემის განვითარების შესაძლებლობებს შორის ცალკეულ შემთხვევებში მასში ბალადური ფორმის გამოყენება სახალხო მთქმელების მიერ დასაშვებად არის მიჩნეული. ამ აზრს უთუოდ მხარს უნდა უჭერდეს აგრეთვე სასულიერო ლექსის ერთი ნანილი, სადაც ეპიკური სტილი და სიუჟეტის გავრცობის პოემისეული ფორმა უნდა იყოს გამოყენებული. ერთი სიტყვით, ხალხური პოემის თავისებურებათა შესწავლა კვლავ და კვლავ მომავლის საქმეა. აქ დავძენდით, რომ „არსენას ლექსი“, „ანა ბაჯის ლექსი“, „მიხას ლექსი“ და სხვ. ხალხური პოემის განვითარების გარკვეული ეტაპი უნდა იყოს, ბალადური ფორმა კი – ამ ეტაპის ადრეულ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს.

ხსენებული ბალადა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ჩვენ ამჯერად მომხდური მტრის წინააღმდეგ ბრძოლის რამდენიმე ეპიზოდი გვაინტერესებს.

ოცდათექვსმეტმა მარბიელმა ლეკმა ჩეთმადან თუშების თორმეტი ფარა ცხვარი გაიტაცა. ეს ამბავი გიგამ სოფელში ძმას – გიორგის შეატყობინა. ორკაციანმა მდევარმა მალე მიაგნო კვალს. პირველსავე ბრძოლაში „გიორგის გიგა მოუკლეს“. ამან გიორგი უარესად აანთო საომრად.

ოცდათექვსმეტსა ბელადსა
მარტომ შაუკრა გზანია.
შვიდი შასწირა გიგასა:
– იყავით მაგის ყმანია!
იმ გრძელსა სოფელს გაჰყევით,
ლიტრით უზიდეთ წყალია.
თითო შასწირა მწყემსებსა;
– უკან უბრუნეთ ცხვარია.
თითო შასწირა ფარეხსა:
– დახვეტეთ გომის კარია.
თითო ძაღლებსა შასწირა:
– უკეთეთ სალაფავია.
შვიდი თითონაც იმძღოლა,
– მეც მომინდება ყმანია" [გვ.60-61].

მტრის ჟლეტით გავეშებულ გიორგის უცებ მობეზრდება თოფის სროლა და ხმალდახმალ გადაეშვება ბრძოლაში.

ხმალდახმალ გადმოერია
ლეკმა დაუგდო გზანია,
აგრე დაკაფა ლეკები,
როგორც ნადირმა ცხვარია [გვ.61]

ქანცმილეულ გიორგის
"დაჰვარდა თავის ხმალია"
მტერმა დრო იპოვა:
დასჭრეს, დაკაფეს ლეკებმა,
როგორც საქადე მხალია...
გიგაც მოკლეს და გიორგიც,
არც-ერთი აღარ არია [გვ.61]

და აი, თითქოს ყველაფერი გათავდა. მომხდურმა უნდა იზეიმოს გამარჯვება, მაგრამ არა! ყველაფერი თავიდან იწყება: თუშთა დიდი რაზმი გამოჩნდა. ბრძოლა განახლდა:

წამოენივნენ თუშები,
როგორც რომ ნიავქარია,
ნინ-ნინ მოუკლეს ბელადი,
დაარტყმევინეს მხარია.
აგრე გაწყვიტეს ლეკები,
მოამბე აღარ არია [გვ.61].

შემდეგ გიგა-გიორგის გლოვობს ფშავი, ტირის ცხენი, სამი დღე-ღამე "ვაცმა არ გასძრა რქანია", გლოვობენ ძაღლები, ტირიან ჩეთ-მაში ჩაკლულ ლეკთა და თუშთა მეუღლეები.

ქართული ხალხურ ზეპირპოეტურ ნანარმოებთა შორის გვაქვს ბალადური ფორმის ისეთი ტექსტები, რომელთა ფუნქცია უმთავ-

რესად ის არის, რომ წარმოგვიდგინონ გმირობა-ვაჟკაცობის მაძიებელი პერსონაჟი. ასეთი კაი ყმა ძველი ქართული საგმირო-საფალავნო რომანის გმირივით თვითონ დაეძებს ფათერაკებით მდიდარ სათავგადასავლო შეხვედრებს. ამიტომ მოგზაურობს იგი ქვეყნიდან ქვეყანაში, კუთხიდან კუთხეში. ასეთი ქმნილების ნიმუშს ჩვენ უკვე ვიცნობთ მოსე ხონელის "ამირანდარეჯანიანის" სახით.

აღნიშნული საფალავნო რომანის ერთ-ერთი ეპიზოდის ანალოგიურიაო თითქოს ქართული ხალხური ლექსი "სოლოღა". ბალადა ახალთაობის გმირულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის თვალსაზრისით იმდენად თავისებური და საინტერესოა, რომ იგი დიდმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა თავისი "დედა ენის" 1876 წლის გამოცემაში დაბეჭდა.[280]

ლექსი გარკვეულ ადგილს იკავებს ხალხურ საისტორიო ბალადებს შორის. თხზულება იმდენად ზოგადქართულია, მასში წარმოდგენილი ჩვენი წინაპრის ამაყი სული იმდენად მაღალეროვნული შეგნებითაა სავსე, რომ სოლოღას ვაჟკაცობით ყოველი დროის ქართველს შეუძლია იამაყოს. ნაწარმოებში ნაამბობია იმის შესახებ, სოლოღა როგორ "დადგა სტამბოლის გზაზედა"; როგორ ეახლა ხონთქარს; ვეზირმა რა თავაზიანობით მიიღო და სთხოვა ეამბა თავისი აქ მოსვლისა და, მაშასადამე, გარკვეული გასაჭირის შესახებ და ა.შ. როგორც მოჯირითისა და მიზანში მსროლელის სახელი შორს გავარდნია სოლოღას. ხონთქრის კარზე კი სახელგანთქმულია არაბი. ხონთქარი ამჯერად "შინ არ დაუხვდა სოლოღას". არაბთან შეჯიბრი კი გარდაუვალია. სოლოღას საუკეთესო ცხენი მოჰგვარეს:

ნავიდნენ, გამოიყვანეს
შვიდი წლის ნაბამ ხამზედა,
შვიდ მეჯინიბეს ეჭირა,
მაინც დგებოდა ყალყზედა.[281]

სოლოღა არაბთან შეჯიბრისათვის საბრძოლო იარაღითაც აღჭურვეს:

შვიდი ისარი მიართვეს
ნამწამს იღებდა თმაზედა.

ცხენისადმი სოლოღას დამოკიდებულება ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი სათუთი სიყვარულითაა დახატული:

სოლოღამ ხელი გადუსვა,
აკოცა ორსავ თვალზედა,
– შენი მურაზის ჭირიმე,
შენ გამიყვანე თავზედა,

[280] იხ. ი. გოგებაშვილი, თხზ. სრ. კრებ. ათ ტომად, თბ. 1957, გვ. . 273-275
[281] იქვე, გვ. 52

შენსა უნაგირს დაგადგამ,
ალმასი უზის თავზედა.[282]

"ჰინდუსტანზე" განთქმულმა არაბმა უკმეხად შესთავაზა სამკვდრო-სასიცოცხლო "თამაში". როგორც ბუნებრივია მედიდურთათვის, არაბმა იუკადრისა სოლოღას მოკრძალებული მისალმება. მან სამჯერ სროლით სოლოღას დამარცხება უწინასწარმეტყველა. სახელისმაძიებელ გმირს პირველმა ნასროლმა მხარზე გადაუარა, მეორედ ნასროლი "ცხენს მოხვდა უნაგირზედა", მესამე კი ალმასსა ასხლტა განზედა". ჯერი არაბზე მიდგა. სოლოღა ერთხელ სროლას შეპირდა:

– რიგი შენია გაქცევა,
რიგია პირობაზედა
ერთს გესვრი, ახლა, არაბო,
ისიც ღვთის სამართალზედა

და დაიწყო შერკინება:

სწრაფად გაიქცა არაბი,
სოლოღა მისდევს კვალზედა.
ერთი ესროლა სოლოღამ,
დაასვა ბეჭის ფრთაზედა,
არაბი ძირს გადმოვარდა,
ცხენი გარბოდა წყალზედა.
შემოეხვივნენ მოლები
ყურანს აბერტყენ თავზედა.[283]

ამის გამო ხონთქრისაგან სოლოღა „ტანისაგან თავის მოცლას" ელოდა. მოხდა პირიქით: მბრძანებელმა დიდი საჩუქრებით გამოისტუმრა, თან ქებაც გამოატანა: „ნადი ახლა და იარე გაბედვით მთა და ბარზედა!"

„სოლოღა" ბალადების იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელთა მიზანია წინაპრის სახელოვან საქმეთა განდიდება, აქედან გამომდინარე – მომავალ თაობათა, კარგ ყმათა პატრიოტიზმისა და ვაჟკაცობის სულისკვეთებით აღზრდა.

მტერთან შებრძოლების ამსახველი ბალადების კლასიკურ ნიმუშებს შორის აქ კიდევ ერთს დავიმოწმებთ. ამ ლექსს ჩვენი უახლოესი წინაპრები ჩვეულებრივი ლხინის დროს მღეროდნენ. ეს არის „ოსმალში თათარს აქებენ", რომელიც ბალადების დ. გოგოჭურის მიერ გამოცემულ ზემოხსენებულ კრებულში დასათაურებულია ასე — „ხვედია გუდამაყრელი". შევნიშნავთ, რომ ამ კრებულში ტექსტების დასათაურების თავისებური ტენდენცია თვალსაჩინოა. კრებულში ასეა ნარმოდგენილი ლექსები: „გიორგი მეძღვარიშვილი", „გიორგი ავთიაშვილი", „ოთარ ორხელაშვილი", „ყაყიჩი შავერდაშვილი" და ა.შ.

---

[282] ი. გოგებაშვილი, იქვე, გვ. 52
[283] იქვე, გვ. 53

ხალხური ლექსის დასათაურების ასეთი ნესი, როგორც ცნობილია, ტრადიციული არ არის ზეპირსიტყვიერი ძეგლისათვის. იქუფრო თხზულების პირველი ტაეპი ან მისი დასაწყისი სიტყვებია სათაურად წარმოდგენილი.

ოსმალო თათარი სხვებთან ერთად, შირაქზე თავდასასხმელად, მეცხვარეთა ამოსახოცად და იქიდან ცხვრის ფარების გასატაცებლად ემზადება, რაც იშვიათი ფაქტი არ იყო თუნდაც ახლო ისტორიულ ნარსულში. მომხდურნი „ხვედიას შემოხვდებიან გუდამაყრელის შვილს" და მკაცრად მოსთხოვენ — „მოგვეც ჩიხტაო"[284]. მეცხვარე მკაცრ უარზეა.

მე ჩიხტას ვერას გაჩუქებთ,
ფარა მაბარავ სხვისაო.

შებრძოლება გარდუვალია:

შემოეტივა თათარი,
იმედიც აქვის ცდისაო.
გაჯავრებული მემცხვარე
სახეში შაიკვრისაო.
თათარს დაადვა მაჟარი
მარცხენა ძუძუს ძირსაო;
გადაგორდება თათარი,
პირს სისხლი ამოსდისაო.

ბალადის ეპილოგი მეცხვარის ბრძოლის მიზნად და წარსულში მტრის მიერ მიყენებული ტკივილებისათვის სალბუნის დადებად, სამაგიეროს მიზღვის აუცილებლობად ჟღერს:

გეძებდით, თათრის შვილებო,
ჯავრი მაქვს ნინა წლისაო.
შარშან რომ თუშებ დახოცეთ,
იმათას ვიღებ სისხლსაო... [გვ.40].

ბალადაში სათქმელი მეტად დახვეწილი, კონდენსირებული ფორმითაა გადმოცემული. ამბავი თუ ერის, ხალხის ინტერესების გამომხატველი არ არის, ვერ იქცევა სახალხო მთქმელთა მიერ ლექსად დამუშავების ობიექტად. ეს უკვე კანონზომიერებაა, რაც ასე ბუნებრივი და აუცილებელი თავისებურებაა ზეპირსიტყვიერებისა.

ხალხური ლექსი მუდამ მზრდელია სულისა. იგი დღესაც სამშობლოს საზღვრებისაკენ ფხიზელი თვალით ხედვას გვასწავლის, გონებას გვიხედნის, მამულზე ფიქრით გვავსებს, ჩათვლემის უფლებას არ გვაძლევს, გვეძახის, მოგვიწოდებს!

როგორც ჩანს, ბალადაც, სხვათა და სხვათა შორის, ქართული ხალხური პოეზიის უმდიდრეს რეპერტუარში, მამულისა და ერის გადარჩენისათვის მებრძოლი კაი ყმის სადიდებელი სიმღერაა.

---

[284] ჩიხტა - უხეირო, უვარგისი საკლავი (ციკანი, ბატკანი).

მეათე თავი

პატრიოტული ნაკადი ხალხურ სანახაობრივ კულტურაში

ვაჟა-ფშაველა, ეხებოდა რა ხალხურ საბავშვო თამაშობათა წარმომავლობის საკითხს, 1900 წელს გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილ წერილში „მოხვედ მშვიდობითა" მახვილგონივრულად შენიშნავდა: „მთელი სათამაშოები, რომელთაც დღეს ბალღები ერთობიან, წარსულ კაცობრიობის სურათებია. მომეტებული ნაწილი მოგვაგონებს ომიანობას, ძარცვას, ტაცებას, ტყვედ შეპყრობას, და სხვადასხვა, რომელთაც წინა დროში ცხოველი ძალა ჰქონდათ, დღეს კი მხოლოდ ჩრდილს წარმოადგენენ იმისას, რაც მაშინ სცოცხლობდა, რითაც ცხოვრება სულს იდგამდა. დღეს ერთ დროს ცხოველი მოვლენა სათამაშოდ გადაქცეულა და იქ, ქვითინი ისმის, სისხლი და ცრემლი იღვრება, უზრუნველი სიცილ-ხარხარი გაისმის".[285]

ქართული ხალხური თამაშობანი, სულერთია, მათი შემსრულებლები ასაკოვანი არიან თუ ბავშვები, ძალიან ხშირად ისეთ ელემენტებსა და ეპიზოდებს შეიცავენ, რომელთა დანიშნულება უპირველესად არის მოქმედ პირთა თუ მაყურებელთა წვრთნა, სამშობლოსა და ხალხის სიყვარულის ინტერესებით, რაც ადამიანში ოდითგანვე არის კოდირებული. ჩვენ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ეროვნული თვითმყოფადობისა და სამშობლოს სიყვარულის მაღალი შეგნება, რწმენა იმისა, რომ ქვეყანას სჭირდება თაობა, რომელიც უზრუნველყოფს ერის მშვიდობას, თავისუფლებას, მტერთაგან დაცვას.

ჩვენში ყოველ ხალხურ მისტერიას გარკვეული მიზანი აქვს. კაი ყმის აღზრდისა და მისი კაცურ-კაცად ჩამოყალიბების ინტერესი კი ბევრ მათგანს ჰქონდა. ამ თვალსაზრისით მხოლოდ მათი ნაწილია აღნერილი და შესწავლილი [ივ. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია, რ. ერისთავი, დ. ჯანელიძე, ი. გრიშაშვილი, ჯ. ნოღაიდელი, გ. წერეთელი ი. მჭედლიშვილი, შ. სიხარულიძე, გ. ჭელიძე და სხვ.] ეს მასალები მკვლევარს უთუოდ დიდ სამსახურს უნევენ. ასეთი თამაშობების შინაარსიდან აღსანიშნავია ტყვის მოტაცება ან გათავისუფლება, ციხის აღება, მტრის დამორჩილების, გამარჯვების გამომხატველი ზეიმი და ა.შ.

ყველა ასეთი სანახაობის აქ ნარმოდგენა, ცხადია, ძნელი იქნება. ზოგი მათგანის გაცნობა კი აუცილებლობად მიგვაჩნია. ერთი ასეთთაგანია შეთესა და შამილის ბრძოლა.

---

[285] გაზეთი ივერია , 1900 წ. №176.

თუშეთში ამ ტრადიციული ხალხური დრამის დეკორს გვთავაზობს ს. მაკალათია. მოთამაშეთა საომარი აღკაზმულობა, თამაშის განვითარება და შედეგები პირდაპირ მიუთითებენ ხალხური სანახაობის მიზანმიმართულებასა და ფუნქციაზე. ნინასწარ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლას დიდი საჯაროობა და საზეიმო ელფერი ახლავს. იგი უმთავრესად იმართება გვიან, ვახშმობის შემდეგ. თამაშის მაკალათიასეული აღწერა ასეთია: „შამილი გადაცმული იყო ქისტურად, შეთე კი თუშურად. ორივე შეიარაღებული იყო ხის ხმლებით. შეთეს გულზე ეკიდა ჩვრის მენდლები და მხრებზე ჩინები ეკერა. ორივე ხის ხმლებით იბრძოდნენ, მაგრამ გამარჯვება ნრეულს შეთეს დარჩა. ზოგჯერ შამილი თურმე იმარჯვებს... გამარჯვებული შეთე მხიარულობდა".[286]

აშკარაა, რომ შეთესა და შამილის გარეგნული აქსესუარი გარდერობთან ერთად, საომარი იარაღია. ხის ხმლებით პაექრობა, მტერზე გამარჯვებული შეთეს მხიარულება-ზეიმი იმ ისტორიული სინამდვილის ცოცხალი დადასტურებაა, რასაც ხალხურ სანახაობრივ ხელოვნებაში შეუფარებია თავი, რითაც დავინყებას გადარჩენილა.

დ. ჯანელიძის შეფასებით, „შეთესა და შამილის ბრძოლა" „ისტორიულ-გმირული ხასიათის ხალხური დრამის ნიმუშია".[287] ამ ისტორიული ფაქტის შესახებ ვრცელი გამოკვლევა შემოგვთავაზა ისტორიკოსმა ვ. ელანიძემ.[288]

დ. ჯანელიძე „ბერიკაობის" სიუჟეტური ელემენტებიდან ცალკე გამოყოფს მის „მხედრულ, სალაშქრო მოტივებს".[289] მიუთითებს, რომ მათ, ამ ელემენტებს, ხალხური სანახაობის სტრუქტურაში, ხსენებულ „მოტივებს" „მოქმედების წარმმართველი ძალა მოუხვეჭიათ".[290] მკვლევარს „სალაშქრო ბერიკაობის" ნიმუშად თუშეთში XVII საუკუნის შემდეგი გადმოცემა მოაქვს: კაცებს „ქალურად გადაუცვამთ, ხელში თითისტარები დაუჭერიათ და მატყლის რთვა დაუწყიათ. ხმას არ იღებდნენ. ხალხი ეკითხებოდა, რათაო, ბოლოს სთქვეს:

– ჩვენ ვაჟკაცები აღარ ვართ! აღარც თქვენა ხართ ვაჟკაცები. ჩვენ თათრებმა დაგვიჭირეს ალვანში და დედაკაცებად გამოგვიყვანეს. თუ გუშინ ჩვენ გვიყვეს ეგ ამბავი, ხვალ თქვენ ჩვენი ბედი დაგემართებათ, მაშინ ყველა ფშაველები ჩაიცვამთ დედაკაცურად, დაიჭერთ ხმლის ნაცვლად თითისტარსა და თათრებისათვის დაარ-

---

[286] ს. მაკალათია, თუშეთი, თბ. 1933, გვ. 206-207

[287] დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ. 1948, გვ. 339

[288] ვ. ელანიძე, შეთე გულუხაიძე, იხ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. IX, თბ. 1999, გვ. 12-34

[289] ვ. ელანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 377

[290] დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 375

თავთ მატყლს. ხალხი აღელდა, იარაღი აისხა და თავგანწირული ბრძოლით თათრები გარეკა საქართველოდან"[291] მკვლევარი იმონმებს სათანადო წყაროს.[292]

წარმოდგენილი „სალაშქრო ბერიკაობა" ახლა წარსულის გაცრეცილი რემინისცენცია უფროა, ვიდრე მხოლოდ ისტორიული სინამდვილის ამსახველი ხალხური სანახაობა. აქ კარგ ყმათა მოღვაწეობის პრინციპიც ცოცხლადაა გამოკვეთილი — „ჯავრი არ ჭამონ მტრისანი"!

ერის სანახაობრივ ხელოვნებაში გამორჩეული ადგილი უკავია ყეენობას. დიდია ამ სახალხო დღესასწაულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. იგი ყველიერის დასასრულს „შავ ორშაბათს" ეწყობოდა.

არაერთი მკვლევარი თუ მწერალი ეხება „ყეენობის" თავისებურებებს: [ყეენობას დასაბამი არაბების შემოსევის დროიდან მისცემია" [გ. წერეთელი], „ყეენი" XIII-XIV საუკუნეზე არა უადრესი ტერმინია" [ივ. ჯავახიშვილი], „ყეენობა გვაგონებს ბრძოლას ზამთრის და გაზაფხულისას, ბრძოლას, რომელიც თავდება ზაფხულის გამარჯვებით" [ალ. ხახანაშვილი].

ყეენობის შესახებ ძნელია ანგარიში არ გაუწიო პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის თვალსაზრისს. მისი თქმით, „ყეენობა თავის პირვანდელი სახით ომის მისტიფიკაციას წარმოადგენდა".[293] ყეენობის მისტერიის შინაარსის ასახსნელად დიდია ივ. ჯავახიშვილის დაკვირვების მნიშვნელობა: „ამ დღესასწაულის დედა-აზრი უცხო ხალხის მეთაურის ქართველთა მეთაურისაგან მძლეობის განსაზიერება უნდა ყოფილიყო".[294]

დ. ჯანელიძემ ქართული ხალხური სანახაობრივი კულტურისა და კონკრეტულად ყეენობის ნიმუშების შესწავლისას ცალკე გამოყო ამ კარნავალის სალაშქრო-პატრიოტული ასპექტები, როცა „მტრების ურდოებით გარემოცულ ქვეყანაში ბევრს ზრუნავდნენ ხალხის ვაჟკაცური და გმირული სულის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე".[295] ყეენობის სალაშქრო-პატრიოტულ ბუნებაზე საუბრისას, მკვლევარმა ცალკე გამოყო თუშეთში შემონახული ხალხური კარნავალი „ტყვეობა", ხევსურეთში დაცული თამაშობა „დარბევა", კახური ფერხული „შავლეგო", მეგრული „ძიხირ ძინობა", გურული – „ალაია" და სხვა.

---

[291] დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 377

[292] ი. მჭედლიშვილის ჩანაწერები, საქ. სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის ხელნაწერი №38. ჰდ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 377ჰ

[293] ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ. 1927, გვ. 28

[294] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ. 1928, გვ. 69

[295] დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 335

ეგნატე ნინოშვილი რომანში „ჯანყი გურიაში" გურული „ალაიას" დეფინიციის შემდეგ თვით მისტერიის აღწერასაც იძლევა. მწერლის ცნობები, ცხადია, უტყუარია და სანდო: „გურულებს ჩვეულებად აქვთ,– წერს ე. ნინოშვილი, – მტერს, რომ დაიმორჩილებენ, თოფებს ქვეშ გააძვრენენ და შემდეგ მისცემდნენ თავის ქვეყანაში დაბრუნების ნებასო. ამგვარად თოფებს ქვეშ გაძვრენას ალაია ჰქვია"[296].

ალაიას შესრულების სურათი, მწერლის აღწერით, ასეთია: მონაწილენი „კედლებივით აღიმართებოდნენ აქეთ და იქით ნაპირზედ იმ გზისა, რომლითაც დამარცხებული მტერის ჯარი თავის ქვეყანაში უნდა დაბრუნებულიყო. მეთაური შესძახებდა გურულებს: „აბა, გააკეთეთ თოფები!" ამ დაძახებაზედ გურულები თითქოს გზას სერავენ თოფებით, შეაჯვარედინებდნენ თოფებს ისე, რომ ადამიანი თუ არ დაიკუნძებოდა, ისე აღარ შეეძლო ამ თოფებით დახურულ გზაზე გავლა. ამის შემდეგ იმართებოდა სასაცილო სცენა; დამარცხებული მტრის ყოველი მეთაური და ჯარისკაცი უნდა წელში მოხრილიყო და ისე გაევლო გამარჯვებულთა თოფით გადახურულ გზაზე"[297].

აღწერილ მისტერიაში გამოკვეთილია დამარცხებული მტრისადმი მშრომელი ხალხის დამოკიდებულება, რაც საკმაოდ ჰუმანურია, ვიდრე სხვა შემთხვევებში შეიძლებოდა ყოფილიყო; თოფებით გზის „გადახურვა" უთუოდ გულისხმობს მოძალადის დამორჩილებას; მტრის ყოველი ჯარისკაცის „დაკუნძვით" [წელში მოხრით, ზ.ს.] გავლა თოფებს ქვეშ, ხაზს უსვამს მტრის სრულ მორალურ და ზნეობრივ დამორჩილებას. მართალია, თუშურ „ტყვეობასა" და ხევსურულ „დარბევაში" სამხედრო-პატრიოტული შინაარსი გაცრეცილია, ახლა მათი სანახაობრივი მხარე რემინისცენციის დონეზეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხურ კარნავალთა ეს ნიმუშები მაინც შესაძლებლობას გვაძლევენ ცოცხლად წარმოვიდგინოთ წარსულში მათი დანიშნულება, პრაქტიკული მნიშვნელობა, მათი უტილიტარული ფუნქცია.

საომარი ხელოვნების უფრო ფართო პანორამაა წარმოდგენილი ხალხური საფერხულო სანახაობრივი კულტურის სხვა ნიმუშებშიც. მრავალთა შორის სალაშქრო შინაარსის თვალსაზრისით საინტერესოდ მოჩანს „ჟღელეს ჩამოდგა". ამაზე უნდა მიუთითებდეს მისტერიის შინაარსი და ტექსტში შემორჩენილი ცნობა, კერძოდ - „ჟღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი".

ჟღელეს ჩამოდგა
დამწყები (ცალკე): ჟღელეს ჩამოდგა,
დამწყები (გუნდთან: ერთად): ჟღელეს ჩამოდგა,

---

[296] ე. ნინოშვილი, თხზ. სრ. კრებ. თბ. 1932, გვ. 92.
[297] იქვე, გვ. 91

დამწყები (ცალკე): ოო, ჟღელეს ჩამო -
დამწყები (გუნდთან): დგა, ჟღელეს ჩამოდგა
დამწყები (ცალკე): დიდი ლაშქარი;
დამწყები (გუნდთან): ო, ჟღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი.[298]

ხალხურ თამაშობა-კარნავალებში სალაშქრო ასპექტების ძიებისას ყურადღებას იქცევს ჩვენი ფოლკლორული საცეკვაო ხელოვნება. ხალხური ქორეოგრაფია უმდიდრესი მასალაა იმისათვის, რათა ქართული ცეკვების სალაშქრო-პატრიოტულ ბუნებაზე მივუთითოთ და მათი შორეული წარმომავლობა ვამტკიცოთ. აქ მხოლოდ ერთ მათგანს დავიმოწმებთ. ეს გახლავთ ხორუმი [„ხორონი"] რაც მეცნიერებაში, სრულიად სამართლიანად, მხედრულ ცეკვადაა მიჩნეული.[299] აი, აღნიშნული ცეკვის თავისებურების შესახებ რას წერს ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთი დიდი მკვლევარი დ. ჯანელიძე: „ხორონი, რომელსაც ხორუმის სახელწოდებით ვიცნობთ, ძველი ქართული მიმიკური სანახაობაა. მასში აზრი და გრძნობა უსიტყვოდ, სხეულის მოძრაობით, რიტმით, ჟესტით და მიმიკით არის გადმოცემული. ხორონი ოთხი სურათისაგან შესდგება. პირველ სურათში წარმოადგენენ ქართველთა რაზმის მიერ მტრის მახლობელი ადგილების დაზვერვას – დაბანაკებისათვის ხელსაყრელი ადგილის მოსაძებნად: მეორე სურათში განსახიერებულია მტრის დაზვერვა; მესამეში – შეტაკება და მეოთხე, საფინალო სურათში – მტერზე გამარჯვება და ბრძოლიდან ზეიმით დაბრუნება".[300]

არა მხოლოდ ქართულ ხალხურ სიტყვიერ კულტურაში, არამედ ქორეოგრაფიასა და თუ გნებავთ, ქანდაკებაში, მხატვრობაში და ა.შ. აშკარად შეიძლება პატრიოტულ-სალაშქრო შინაარსის მქონე კომპონენტების დანახვა. აქ ხალხურ კარნავალთა თუ მისტერიათა მნიშვნელობა უთუოდ გამორჩეულია, რამდენადაც ისინი ხალხური სანახაობითი ხელოვნების პრაქტიკული შესაძლებლობებია, წლის კალენდარში ისინი უთუოდ იგულისხმებოდნენ. ასეთი დღეობა-დღესასწაულები კი ფაქტის მეტი აფიშირების საშუალებას იძლეოდა, რაც სამხედრო საქმისადმი აუცილებელი ზრუნვისა და თაობათა აღზრდის სამსახურში გამორჩეულ აუცილებლობას წარმოადგენდა. ეს მიზანი დღემდე მოჰყვება ქართულ ხალხურ სანახაობრივ კულტურას.

საზოგადოების ყოფითი კულტურის ცვალებადობასთან ერთად უთუოდ იცვლებოდა ტრადიციებისადმი მისი დამოკიდებულებაც. დღეს, ვთქვათ, ხორუმიც აღარაა თავისი პირვანდელი სახით შემორ-

---

[298] ვიმოწმებთ — გ. ჭელიძე, ქართული ხალხური დრამა, თბ. 1087, გვ. 212
[299] დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 201-202
[300] იქვე, გვ. 101-102.

ჩენილი. ბერიკაობის სტრუქტურაში ცვლილებების გამო დ. ჯანელიძე შენიშნავდა: „ბერიკაობის მთელ რიგ სიუჟეტებში მხედრულ, სალაშქრო მოტივებს მოქმედების წარმმართველი ძალა მოუხვეჭიათ. ეს ალბათ მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, როდესაც ბერიკაობა საკულტო მნიშვნელობას დასცილდა და საერო სანახაობა-გასართობად იქცა."[301]

რაც შეეხება კახურ ფერხულს „შავლეგო", ტყვის განთავისუფლების სცენებითაცაა საინტერესო;

„შავლეგოს" ტექსტზე დაკვირვებით დ. ჯანელიძე შენიშნავს: „შავლეგო ყოფილა გმირი, სნორ-ამხანაგის გამტანი. ...ერთი სიმღერის მიხედვით, შავლეგო თურმე მოუკლავთ და მისი სისხლის ასაღებად დედამისს ხელში აუღია ხმალი"[302]. ხალხურ ლექსში დედის ქადილი მართლაც შთამბეჭდავია:

შავლეგ დედა მოტიროდა,
მოიშლიდა გიშრის თმებსა:
„ჩემი შავლეგის მომკვლელი
ჩქარა მიჩვენეთ ნამზედა,
თუ იმას თავი არ მოვჭრა,
გამცვალეთ კახის ქალზედა![303]

მოზღვავებულ მტერთან კაი ყმის შერკინების უმშვენიერეს ნიმუშად წარმოგვიდგება მომხდურთან შავლეგოს ომის ამსახველი, პოეტური სახეებით მდიდარი ზეპირსიტყვიერი ძეგლი:

შავლეგ ჩამოხტა შავსა გრილოსა,
ომი მოგვიხდა, ომი რა ომი!
ლეშის ნაკუწი ხორათ დგებოდა,
სისხლის ნაღვარი ზღვას ერეოდა,
შუბის ნამტვრევი მცასა ხვდებოდა.[304]

აქ ყოველი მხატვრული სახის ხილვის საფუძველი არსებობს, შესაძლებლობა გვეძლევა კაი ყმისეული საომარი ბატალია გავისიგრძეგანოთ, აღვიდგინოთ მისი მხატერული ხატი. თუ არა ცოცხალი ემოცია, ვფიქრობთ, ძნელი იქნებოდა ხალხურ საძეობო თუ იავნანების თემატიკაში „შავლეგოს" ლექს-სიმღერებისა თუ პერსონაჟის მოღვაწეობის გათავისება.

ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანი შინაარსისაა თუშური „ტყვეობა". მისტერიაში მოთამაშენი რომელიმე უბანს, სოფელს ესხ-

---

[301] დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ გვ. 163
[302] იქვე,
[303] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ. 1937, გვ. 368
[304] იქვე, გვ. 369

მიან თავს", ისმის „თოფების სროლა". ინსცენირებაში ხაზგასმულია „ტყვეთა ტაცება". დამარცხებული მხარე „ტყვეების გამოსყიდვას" „ქვაბსაკლავით" ახერხებს. ანალოგიური შინაარსი აქვს სვანურ საბავშვო თამაშს „ლიდშნალ", რაც „სოფელზე მტრის თავდასხმის ინსცენირებას ნარმოადგენს" [დ. ჯანელიძე]. ხსენებული თამაშის დეკორი ასეთია: „ყოველ ყმაწვილს 12 წლიდან აქვს ხის ლეკური [დაშნა], რომელსაც იგი ინახავს წლიდან-წლამდე, სანამ დანიშნულს ხნოვანებას არ გადასცილდება. ნათლისღების მომყოლს ორშაბათს ღამით ერთი სოფლის ბავშვები დაიკიდებენ ამ დაშნებს და თავს მოიყრიან სოფლის ერთ უკაცურს სახლში. დილით ადრე დგებიან, ჩამოიელიან სოფელს და ყოველს მოსახლისას მიდიან ერთად. სახლში შესვლისთანავე ყმაწვილები ამოიღებენ თავისებურს ქარქაშებისაგან დაშნებს და ურტყამენ სხვადასხვა ავეჯეულობას ოჯახისას, რომელიც კი ოჯახში ჩამოკიდებულია, - ერთი სიტყვით, მოქმედობენ ისე ჩქარა და აღელვებული, თითქო ოჯახს იერიშით იღებენო. ხშირად ოჯახი იძულებულია, ძალით გარეკოს კარში პატარა „მეომარნი", თუმცა ისიც ახსოვს, რომ ჩვეულებას პატივი უნდა სცეს".

სვანური საბავშვო თამაშის „ლიდშნალ" აქსესუარი – ყმაწვილების ასაკი [12 წელი], მათი „შეიარაღება", უკაცურ სახლში თავმოყრა, დილაადრიან სოფლის "დალაშქვრა" და სხვა, უთუოდ უსვამს ხაზს მის სალაშქრო შინაარსს. ასეთი საბავშვო ხალხური თამაშობანი კი საქართველოს მთასა და ბარში, არც თუ ისე ცოტაა ფიქსირებული.

აღნიშნულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ასეთი შინაარსის საბავშვო თამაშები მომავალი კაი ყმების აღზრდის ერთ-ერთი ხალხური მასობრივი საშუალება იყო. ცხადია, იგი, როგორც დამოწმებული მასალიდანაც ჩანს, მაყურებლის, მისტერიის მონაწილე მასის სათუთ მოპყრობას ამიტომაც საჭიროებდა.

ქართული ხალხური სანახაობრივი კულტურის მთელ ისტორიაში კაი ყმის თავისებურებათა ნარმოჩენას გამორჩეული ყურადღება ექცეოდა. ასეთი პიროვნება სჭირდებოდა ყველა დროს, თემს, ტომს, – ყველა ეპოქას, თვით ისეთ უძველსსაც კი როგორიც „ამირანიანშია" ასახული. თვალსაჩინოა ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევაში წინაურდება კაი ყმის როლი, მისი მნიშვნელობა საერთო სახალხო საქმეში. ადამიანი მიმბაძველია თავისი ბუნებით, რაც უეჭველად თვალსაჩინოვდება ჩვენი წინაპრის ყოფიერებასა თუ ცნობიერებაში, რის მხატვრულ გარდასახვასაც მისივე ზეპირი პოეტური სიტყვა ნარმოადგენს. დაკვირვება აჩვენებს, რომ ხალხური სანახაობრივი კულტურის მასალებში ხშირად ის მომენტებია ხაზგასმული, რაც კაი ყმობის აუცილებელი ნიშანია. ეს გახლავთ მისი დაუოკებელი სწრაფ-

ვა ბოროტების აუცილებელი მოსპობისა; ზეიმი მტერზე გამარჯვებისა, რამეთუ ეგ მტერი მისი კერძო კი არა, არამედ, ზოგადად ადამიანის მოდგმის მტერია. აღნიშნულის ერთ-ერთ დასტურად, სხვათა შორის, მიგვაჩნია უძველესი მისტერიალური დრამა „ამირანის ფერხული". ვნახოთ აღნიშნული დრამატული ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი, რაც თხზულების პროლოგშივეა ფიქსირებული:

ამირანი

შენ, კაცო, კაცო, ვინ ხარო?
სახელი შენი მითხარი!

დევი

შენ ჩემს სახელს რას კითხულობ?
უსუპის ძმისწული მოკვდა,
იმის საჭმელად მივალო.

ამირანი

შენ ადამიანს ვინ შეგაჭმევს,
შენ მოსაკლავად მე მოვდივარ,

გუნდი (ფერხული)

ამირან და დევი შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა ძიგძიგი
ამირანმა დევი დასცა,
დასცა და მხარი მოსტეხა,
დაანყებინა ღრიალი...[305]

ჩვენ მიერ დამონმებული მაგალითით, ამირანი კეთილი გმირია. დროის მიხედვით, ამირანი კაი ყმის იდეალური მოდელია: შეუპოვარი, შემმართებელი, ბოროტების მთრგუნველი, ადამიანურობის მუდმივი მოსარჩლე, დამთმობი, დაჩაგრულთა დამცველი, თავისი „ქვეყნის" ერთგული დარაჯი.

„ამირანის ფერხულის" მისტერიის შემორჩენილი ფოლკლორული მასალა იმის დამაჯერებელ საბუთსაც იძლევა, რომ ვთქვათ: ღვთაებათა შესახებ დღემდე არსებულ საკულტო ზეპირსიტყვიერ ძეგლებში აშკარადაა ფიქსირებული თვით ღვთაებათა, როგორც უპირველეს კაი ყმათა ნიშან-თვისებები. მკვლევარი დ. ჯანელიძე ასეთ ცნობას იმოწმებს; „ამირანის ფერხულის" დამთავრებისას გუნდი მღეროდა: „მრავალი ეს დრო მშვიდობით მოგვასწროს აქ მყოფ ხალხს; ასე სამარჯვო [საქმეს] გვიზამს წმ. გიორგი".[306]

---

[305] სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბ. 1939, გვ. 384

[306] დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 122

ღვთაებათა, როგორც უპირველეს კაი ყმათა, კაი ყმობის ნიშან-თვისებები უთუოდ მოჩანს ღვთაებათა ხალხურ სადიდებლებში, რაც ხალხური რელიგიური კულტის უმნიშვნელოვანესი უბანია. გვგონია, რომ მათი შესრულების დეკორი, გარემო, პრაქტიკული მხარე გამორჩეულია ფაქტის დემონსტრირებით. ეს მასალები, ჩვენ ვიტყოდით, კაი ყმის ქებათა-ქების იშვიათი ნიმუშებია:

რამდენიმე მაგალითი:

გაუმარჯოს ფუძის ანგელოზს,
ყმის მეშველს, უყმო ყმის დამშველებელს...

გაუმარჯოს ლომისას
ხოროსანს ტყვეთა დამხსნელსა.[307]

კიდევ:

აემ ჭიქა ბარძიმზედა შენ გადიდას,
და შენ გაგიმარჯოს, გმირო კოპალავ,
ლაღო ლახტიანო.[308]

სხვა სადიდებელში ნათქვამია:

შენამც გამარჯვება..
კოპალაო, დევ-კერპა მეომარო,
დევ-კერპთ გადამსხვაებელო,
და ხორციელთ დამხმარეო.[309]

თუშური „ჯვარულის" მიხედვით, „ფიწალე ლაშქრის წინამძღოლია", „თევდორე შავგრემანია"; ეს უკვე კაი ყმის თანამედროვე ატრიბუტიკაა.

ხალხურ სადიდებელში აშკარად მოჩანს, რომ ხატ-ღვთაებები „ხთის მოლაშქრე-მორაზმენი" არიან, ისინი ზეციურ მხედრობას წარმოადგენენ;

გაგიმარჯოსთ, პირქუშ მოლაშქრე „მორაზმენო".

ან:

გაგიმარჯოსთ ღმერთმა,
ხთიშობლის ლაშქარნო.[310]

ანდა:

და თქვენ გაგიმარჯოს, ლაშქარნო
ხთისანო, ხთიშობლისანო.[311]

---

[307] ქხპ, ტ. I, 157.
[308] იქვე, გვ. 152
[309] იქვე, გვ. 149
[310] ქხპ. ტ. I, თბ. 1972, გვ. 152
[311] იქვე

საეჭვო არ ჩანს ის აზრი, რომ კაი ყმა ღვთის შვილია, მისი მოლაშრე, მისი ერთგული მსახური, ცხოვრების წეს-რიგში მისეული კანონების გამტარებელი...

ხალხურ კარნავალთა და მისტერიათა სამხედრო-სალაშქრო თავისებურებანი, რა თქმა უნდა, ქვეყნის პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით იყო გაპირობებული. ზოგი მათგანის გახსენება-აღდგენა და სინამდვილესთან შერწყმა-დაკავშირება ბევრ სიკეთეს მოუტანს თანამედროვეობასაც. მათში ის ცეცხლია ნაცარწაყრილი, რომელიც გვჭირდება დღეს ქართველი კაი ყმის აღზრდისათვის.

კაი ყმის საომარი საჭურველი ხალხურ პოეზიასა და სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“

კაი ყმის, მამულიშვილის, ქვეყნის ერთგული გუშაგის საომარი შეიარაღების ნაირნაირობა ფართოდ არის ასახული ჩვენს ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში. მტერთან ბრძოლის დიდი გამოცდილების მქონე ჩვენმა ხალხმა ბრწყინვალედ იცის საომარი იარაღის ძალა და მნიშვნელობა. ამიტომ საომარი საჭურვლის შესახებ თავის დამოკიდებულებას, ცოდნას, გამოცდილებას სამშობლოს დაცვის, მშობლიური მიწა-მამულისათვის თავდადებას სამხედრო ხელოვნების თვალსანიერით გამოხატავს და ლექსითაც ამჟღავნებს ამას. კაი ყმის ასპარეზი, მისი შემართება თავგანწირულობა, შესაძლებლობანი, მტერთან შერკინება იარაღის გარეშე წარმოუდგენელია!

თვალი გადავავლოთ წინაპრების შეიარაღების არსენალს, ვნახოთ მამა-პაპანი, კაი ყმანი რა იარაღით იწონებდნენ თავს, რა იარაღით ამაყობდნენ.

ხმალი ომში მეომრის საუკეთესო მეგობარია, მტერთან ბრძოლაში ბასრი მახვილია, სანდო, გამტანი და დამჯერი თანამზრახველია: ხალხურ ლექსში, შექებულ კარგ ყმასთან ერთად, უთუოდ იხსენიება მისი საომარი იარაღიც:

გახუავ, ჴეთეშაურო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარია!
ტუტილის კუდურს დაბრუნდა,
ამაამღერა ჴმალია.
– გამოდი, ეხლა ვიომათ,
მემეტე რომენ ხარია?!"
ჴმლითა სცა აჴვათ ბელადსა,
ფეჴთ ქვეშ გალეწა მკვდარია.[312]

ხალხურ ლექსში ხმალს ალესულობა, გაფხავებულობა ამშვენებს, რაც ისევ და ისევ მებრძოლის ძალ-გულოვნებაზეა დამოკიდებული:

ბაბუტამა და გიგიმა
გზა დაისწავლეს მთისასა.
შაჴალს ჩაუსხდეს ჩრდილშია,
ძალს აჴსენებენ ხთისასა,

[312] **ქართული ხალხური პოეზია** (ქვემოთ ქხპ), თორმეტ ტომად, ტ. IV, თბ. 1975, გვ. 58

არხოტის ჯვარი თან სტანავ,
ფხასაც აჩვენებს ჴმლისასა...[313]

ხმალი მებრძოლის იმედია:

ფერაულთ ახალ-ვაჟები
ნყნარა გახედვენ ლიშანსა,
ეტანა ქეთელაური,
ჭერას გონობდა მჯრისასა.
„თოფი თუ არ დამიჯერებს“.
იმედს დადგება ჴმლისასა.[314]

ხალხურ პოეზიაში ხმალი ხშირად პოეტური მეტყველების, ტროპისა თუ პოეტური ფიგურის ამა თუ იმ სახედაა გამოყენებული.

ხმალი ლიტოტესის საინტერესო მაგალითადაა წარმოდგენილი:

მზეო, დაბზანდი, ტიალო,
ჴმალ დაღბეს, ალარ სჭრიანა.[315]

ხმალი პოეტური მეტაფორაა:

საძელეს დაგვხედნენ ვეშაგნი
დაფხაულები ჴმლითაო.
გაფრინდი, ვერ გაუნიე,
წყერი მოგაბეს ჴმლისაო.[316]

ხმლის ფუნქციაზე ბევრი ხატოვანი სიტყვა-თქმის შინაარსია დაყრდნობილი. მონინააღმდეგის დამორჩილება-განიარაღება ლამაზად არის წარმოდგენილი ხალხურ ლექსში. კაი ყმას

ბევრი შაუკრავ ყაჩაღი,
ნელზეით შაჴსნა ჴმალია.[317]

ხმალზე ხელის დადება მეტაფორული სახისმეტყველებაა და შეუპოვრობის, დაუდეგარობის, სიამაყის სიმბოლიკითაა სავსე:

ნამოვლენ საძაუგოდა,
აუდგა გზირი გზაზედა,
გადიხახანა ვაჟამა,
ჴელი დაიდჟა ჴმალზედა.[318]

როგორც ხატოვან, პოეტურ სამკაულს, **ხმალზე ხელის დადებას** თავისი მხატვრული დატვირთვა აქვს და გულუშიშრობის, ბრძოლისათვის მზადყოფნის, დაუმორჩილებლობის ნიშანია:

---

[313] ჭაჭ, თორმეტ ტომად, ტ. IV, თბ. 1975, გვ. 61.
[314] იქვე, გვ. 65
[315] იქვე, გვ. 73
[316] იქვე, გვ. 87
[317] იქვე, გვ. 66.
[318] იქვე, გვ. 97.

შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა
გაიკრეს ხელი ხმალზედა.
შამეეტია ფშაველი,
შვიდსავ თავ მასჭრა წამზედა,
შვიდსავ მარჯვენა ააჭრა
ერთის ამლათის[319] ხანზედა.[320]

როგორც დაკვირვება ცხადყოფს, ხალხურ ლექსსა თუ მის ცალკეულ ეპიზოდებში არსებული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები ცალკე შესწავლას საჭიროებს. ჩვენ ასეთ მასალებს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მივაპყრობთ მზერას და ნიმუშად მხოლოდ თითოროლა მაგალითის მოტანით ვკმაყოფილდებით.

რაკი საბრძოლო იარაღის წარმოება ჩვენში მასობრივი არ იყო, წინაპრები საჭიროებდნენ მის ყიდვას. სხვათა შორის, ზეპირსიტყვიერ პოეზიაში ეს მომენტიც არაა დავიწყებული. ხალხურ ლექსში მითითებულია იმის შესახებაც, რომ მომავალი პატრონი საბრძოლო იარაღს შემთხვევით, პირველი შეხედვისთანავე არ ყიდულობდა. საყიდელ იარაღს ისევე სჭირდება სინჯვა, როგორც ცხენს:

ხმალსა, ჯილაგად იკითხვენ,
მემრ იყიდიან რკინასა.
მაამებს შენისთანაი,
არ ჰკარგავს თავის ჯილაგსა.[321]

ერთ თავისებურებასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში: საქმე ის გახლავთ, რომ ზეპირსიტყვიერი ლექს-სიმღერის ის თავისებურება, რის შესახებაც ამჯერად ვამახვილებთ ყურადღებას, ასახავს და აირეკლავს საბრძოლო ხელოვნების ტრადიციულ სამყაროს. იგი, ეს ხელოვნება, ხალხის მიერ ასეული წლებით არის შემოწმებული. ქართველმა კაცმა თავისი საზოგადოებრივი თუ ეთიკურ-ზნეობრივი მოღვაწეობის დროსა და სივრცეში მტერთან ბრძოლის მტკიცედ შემუშავებული მორალური კოდექსი შექმნა, ჩამოაყალიბა და ცხოვრებაში დაამკვიდრა. მას, ამ კოდექსს, თავისი ძირითადი საყრდენი და რიგი ნიშან-თვისებებისა გააჩნია. ყველაფერისათვის რომ თავი ერთად მოგვეყარა და ერის არსებობისა თუ გადარჩენის მანიფესტი გვეწოდებინა, არ იქნებოდა უზუსტო. ხალხურ სიმღერაში დამკვიდრდა, პირველყოვლისა, საზოგადოებისათვის სასარგებლო ის წეს-რიგი, ზნეობრივი აუცილებლობა, რითაც ერი ერობს, კაცი კაცობს, ტრადიცია გამუდმებით იმეორებს და ამკვიდრებს.

---

[319] უცბად, სწრაფად.
[320] ქხპ, ტ. IV, თბ. 1975, გვ. 121
[321] ქხპ, ტ. III, თბ. 1974, გვ. 97

საომარი იარაღისადმი დამოკიდებულება ხალხურ ლექსში შიშველ დეკლარაციას კი არ წარმოადგენს, არამედ პიროვნების საომარ საქმიანობასთანაა შერწყმული, მასზეა დამოკიდებული, მისგან გამომდინარეობს. საბრძოლო იარაღი, როგორც ასეთი, ცალკე, პატრონისა თუ მომხმარებლისაგან დამოუკიდებლად ვერ წარმოიდგინება. ეს, ერთი შეხედვით, ბუნებრივი ფაქტორია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საბრძოლო იარაღი მხოლოდ მებრძოლი პატრონის ხელშია ლამაზი და მშვენიერი.

ქართველმა კაცმა, როგორც ვთქვით, საბრძოლო იარაღთა ნამდვილი საგალობელი შექმნა. ქებათა-ქება ეძღვნება განსაკუთრებით ხმალსა და ხანჯალს, თოფს და ა. შ.

ხმლის, როგორც საბრძოლო იარაღის, შესახებ ქართულ ხალხურ პოეზიაში არაერთი და ორი ლექსია ცნობილი. ასეთ ტექსტებში ბევრია ქებათა ქება. ქართლში ჩაწერილ სიმღერაში „ვაჟკაცს არ გამოადგება" არის ასეთი სტროფიც:

ხმალო, ფრანგისა ნაჭედო,
ვაჟმა გაგჭედა, დაგფერა,
ერეკლემ – ჩვენმა ბატონმა,
საომრად ჯვარი დაგნერა.[322]

ცნობილია ტექსტის სხვა ვარიანტიც:

ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო,
თელავში თუშმა გაგფერა,
გაკურთხა მეფე ერეკლემ,
საომრად ჯვარი დაგნერა.[323]

სახელმწიფოს წინამძოლთან დაკავშირება საბრძოლო იარაღს სხვა ელფერით ავსებს.

ხალხურ საბრძოლო ხელოვნებაში, ხმალთან ერთად ხშირადაა საუბარი თოფის შესახებ. საომარი იარაღის ფუნქცია მის აქტიურ პრაქტიკულ გამოყენებაშია საძიებელი. თოფი ერთ-ერთი ასეთ იარაღთაგანია. მაგალითი უამრავია. ჩვენ მხოლოდ ორიოდეს დავიმონმებთ:

„ქისტო, ჩაგიგდით ხელადა,
ნუღარ გახედავთ ჩრდილსაო",
ჯერ თოფი დახკრა ციცქასა,
მემრელა ჩამოსთრისაო.[324]

---

[322] ჟრ. ჩხიკვაძე, დასახ. კრებ. გვ. 175

[323] თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფონდი, №1025

[324] მაჟარი – თოფის სახეობაა.

ან:

ჩამაეხვივნეს თოფებსა,
მაჟრებმ მაიღეს ძგრიალი,
ბიძიასადამც იქნები,
ქისტ, დაწევ გულს ნატყვიარი.[325]

ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში, სხვათა შორის, თოფიც პოეტური ტროპის ნიმუშად ხშირადაა გამოყენებული:

თოფი ჰიპერბოლაა:

თოფი ჭეხს, მთაში ელობენ,
თოფის ცეცხლისგან თენდება.[326]

თოფი შედარებაა:

სიკვდილი ჩაგოიძესი
თოფივით იქამს ჩქამსაო.[327]

თოფი მიმართვის ობიექტია:

თოფო, მოგიკვდეს მჭედელი,
მარჯვენა გაეხმი მკლავზედა.[328]

თოფი — ხირიმი, როგორც ჩანს, ჩვენი უახლოესი წარსულის იარაღის სახეობაა: ხირიმი შემოტანილი კაჟიანი თოფი ყოფილა.

1. თოფებ სჭეხს საჯარეშია,
ჯირიმებ თავის ჭკვაზედა[329]
2. შვიდთავ ხირიმებ უყიდა,
დაჰკიდა შვიდსავ მხარზედა.[330]
3. საომრად გულ-ჯავრიანი
ბევრჯელ ისრივა ჯირიმი.[331]

თოფის სახეობათა შორის იხსენიება ბერდანაც: (დიალექტში– ბერდენკა)

– დაიცათ, ურჯულოებო,
ეგ ნუ გგონიათ ტიალი,
ბერდენკა გადმოუბრუნა,
თოფმა მაიღო გრიალი.[332]

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების ფოლკლორული ჩანაწერების ლექსიკაში უკვე ჩნდება იარაღის ახალი სახეები: ვინტოვკა, არშავიანი და სხვა. 1939 წელს ფშავში ჩაწერილ ტექსტში ვკითხულობთ:

---

[325] ჭხპ, ტ. IV, თბ, 1975, გვ. 63
[326] იქვე, გვ. 78
[327] იქვე, გვ. 79
[328] იქვე, გვ. 110
[329] ჭხპ, ტ. IV, თბ. 1875, გვ. 118
[330] იქვე, გვ. 121
[331] იქვე, გვ. 51
[332] იქვე, გვ. 118

დამაგრდით ჩვენებურებო,
ხან არ ორთ სიკვდილისანი.
აღარ გვაქვ ჯინტოვკაები,
ჯავრნ რით ვიყარნათ მტრისანი?![333]

თოფი და თოფ-იარაღი სინონიმურ ცნებებად მოჩანს:

არ გვქონდას თოფ-იარაღი,
არ გახედავდა ლიშანსა![334]

ანდა:

ნუ სწირავთ თოფ-იარაღსა,
ნაპირს ხართ ადგილისასა.[335]

კარგი თოფის პატრონისა და თოფის ხმარების, ტყვიის გასროლიდან გამომდინარე ახალი სიტყვათწარმოებაცაა მოსალოდნელი. ამის საუკეთესო მაგალითებია:

დაგთოფეს კისტნის ჭალასა,
მზეამოდენის ხანსაო.
თოფ დაგკრეს, მთისა არნივო,
შამაიჭუჭავ მჯართაო.[336]

კიდევ:

ცხენ-კარგის დედას დავნატრი:
ლაშქარს ნინდანინ წადგება!
მემრე თოფ – კარგის დედასა
ერთის ნასროლით დარჩება.[337]

თოფის უამრავ სახეობათა შორის, რაც ხალხურ პოეზიაშია ფიქსირებული, მოხსენიებულია აგრეთვე სიათა. იგი არის „ერთგვარი ძველებური თოფი:"[338]

ჭეხით გადენას ამბობენ
ნიქაის სიათისასა.[339]

ან:

პატარა ბიჭი ოსისა,
შავარდენია კლდისაო,
აიღო ხელში სიათა
ბუჩქის ძირს ამოჯდისაო...[340]

---

[333] ქხა, ტ. IV, თბ, 1975, გვ. 57,
[334] იქვე, გვ. 96
[335] იქვე, გვ. 97
ქხა, ტ. IV, თბ. 1975, გვ. 83
[337] ქხა, ტ. III, თბ. 1974, გვ. 84
[338] ქეგლ, ტ. VI, თბ. 1960.
[339] ქხა. ტ. IV, თბ. 1975, გვ. 89
[340] იქვე, გვ. 129

ანდა:

დაჯდება ივანეური,
დღე-შუ გაღლესავს ჯმალსაო
გადავა წინგარდაზედა
გაღმართებს სიათისაო.[341]

ლექსემა იარაღი, რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა სახის იარაღს გულისხმობს:

გათენებამდე მაკრიფეს
სოფელში ქუდოსანია,
მემრ **იარაღი** მაკრიფეს;
თოფი, ხანჯარი, ხმალია.[342]

თოფის სინონიმად, ხალხურ ლექსში ხშირად არის ხსენებული **არშავიანი**: იგი შაშხანის სახეობა ყოფილა.[343]

ამზადე თოფ-იარაღი
პატრონა არშავისაო.[344]

სხვა ლექსში იარაღის მთელი არსენალია წარმოდგენილი:

ტახტის თავითი მიკიდავ
აბჯარი ასასხმელია:
ხანჯარი სპილოს ტრიანი,
თავი — ბოლომდე ჭრელია,
ვინტოვკა არშავიანი
წინა რეჟიმი ძველია;
ერთ გვერდზე **ნაგან** შეიბა,
სხვას გვერდზე **მაუზერია.**[345]

საბრძოლო იარაღთა შორის, გარდა ზემოაღნიშნული თოფისა და ხმლისა, ხალხურმა ლექსმა გარკვეული ადგილი დაუთმო შეიარაღების სხვა სახეობებსაც. ასეთია: **ხანჯალი, ისარი, შუბი, ფარი, სიათა** და სხვა. ქვემოთ საილუსტრაციოდ მხოლოდ ტიპიური ტექსტებია დამონმებული. ხალხურ პოეზიაში კი ასეთი იარაღი არაერთხელაა ხსენებული.

ხანჯარი:

აიმ დროს გამაელვიძა,
ჴელებს უკონვენ მჴარზედა.

---

[341] ქხპ, ტ. IV, თბ. 1975, გვ. 180
[342] იქვე, გვ. 113
[343] ქხპ, ტ. XII, თბ. 1980, გვ348
[344] ქხპ, ტ. XII, თბ. 1980, გვ. 35
[345] ქხპ, ტ. IV, თბ. 1975, გვ. 117

„ვაი თქვენს გაგას, ძაღლებო,
ხანჯარ არ შამჩა ტანზედა!"
ღილღველს ახგლიჯა ხანჯარი,
იმასავ დასცა გულზედა.[346]

ფრანგული უფრო ხანჯლის მჭრელობით გამორჩეულობის ეპითეტია და არა იარაღის სახეობა: ხალხურ პოეზიაში ეპითეტი ხშირადაა გამოყენებული:

ამხანაგებ რო მიცვარცეთ
ნახალიზრებო სხვაზედა.
თუ გინდა, ხმალ-და-ხმალ მადით,
ფრანგულებ ვცადოთ ჭრაზედა![347]

სხვა მაგალითი:

მთიბელავ, შენი ფრანგული
იტირებს, გადაიქცევა.
ავაჰმე, ჩემო პატრონო,
შენფრად არავინ მექცევა.
ვერვინ შამიტანს ომშია,
შამიტანს-გამამექცევა.[348]

ისარი:

ცოცხალ შინ ვერ დავბრუნდები,
იქ ვერ გავწირავ მამასა,
ციხეს დაუნგრევ ისრითა
ნვერზე გადავდებ ქამანდსა.[349]

შუბი:

— ქნევა ხმალისა,
ძგერა შუბისა,
შუბის ნალენი
ზეცას ცვიოდა,
ჩამოსცვიოდა.[350]

ფარი:

შუღლი ქნეს ხახიკაურთა,
ჭერა მადლია თვალისა,
შვილთა სცეს ძაღლიკაურსა,
ნაფოტ ამოდის ფარისა.[351]

---

[346] ქხპ, IV, თბ. 1975, გვ. 43
[347] იქვე, გვ. 116
[348] ქხპ, ტ. IV, თბ. 1974, გვ. 97
[349] იქვე, გვ. 48
[350] იქვე, გვ. 127
[351] იქვე, გვ. 70

კიდევ:

ძაღლიკას ჩამახვევიყვნეს
ხახიკაურსა ცხრანია:
„ა დედას ძაღლიკაისას,
შინ დამრჩომივა ფარია!"[352]

დანა:

ვაჟისძის გადამღებელო,
თორღვავ, რა გქონდა ფარადა?
სამკლავენ უჴმარებიან,
დანა ხქონია ჴმალადა![353]

მშვილდ-ისარი:

ჯერე მოვიდეს ჭანთელნი
მშვილდ-ისრიანნი ყმანია,
სხვას ხალხზე ნამეტნავადა
იმათ გვიყვიან ძალია.[354]

ჩაჩქანი:

აქორელისა მთაზედა
ლურჯა სძოვდ იალაღზედა,
ხანდისხან შეთამაშდებოდ,
შეგოგდებოდა ნალზედა.
ზედ ზისა თოთოს ქედაი,
ჩაჩქან უელავს თავზედა.[355]

დამოწმებული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველი კაცი, თავდამსხმელი იყო იგი თუ თავდამცველი, თავის შეიარაღებას ამდიდრებდა ყველა იმ საბრძოლო იარაღით, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა, შესაძლებლად მიაჩნდა მისი შეძენა და გამოყენება.

ზეპირსიტყვიერებაში თუ „ახალი დროის" შეიარაღების ნიმუშებსაც ვხვდებით, როგორიც არის: ვინტოვკა, ნაგანი, რევოლვერი და ა.შ. ეს, პირველ რიგში, იმის მაუწყებელი ფაქტებია, რასაც რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ანარეკლი შეიძლება ვუწოდოთ, როცა რუსულმა იარაღმა, რუსულ მმართველობასთან ერთად, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულს უწია.

ფაქტის დამოწმების საუკეთესო შესაძლებლობაა 1941-1944წწ. ომის პერიოდის ხალხური პოეზიისათვის თვალის ერთი შევლებაც კი.

1941-1945 წწ. ომის ამსახველ ეროვნულ ზეპირსიტყვიერებაში ფრონტზე თუ ზურგში მყოფი სახალხო მთქმელები თვითმხილველის

---

[352] ჭხპ, ტ. IV, თბ. 1975, გვ. 70
[353] იქვე, გვ. 174
[354] იქვე, გვ. 58
[355] იქვე, გვ. 111

ემოციით გვიყვებიან საბჭოთა იარაღის მრავალსახეობაზე, მის საბრძოლო პოტენციალზე, შიშისმომგვრელ ბუნებაზე, დამანგრეველ ძალაზე. აქ საუბარია: ავტომატის, ზარბაზნის, „კატუშას“, ხიშტის, ბომბის, „მაქსიმას“, შაშხანის, ტანკის, გემის, ყუმბარის და რიგი სხვა საბრძოლო იარაღისა და ტექნიკის შესახებ. რამდენიმე მაგალითი:

ეხლა მივდივარ ომშია
ავტომატ ავახმიანო.[35ა] [XII, გვ.100]

მაღლიდან მოდის ყუმბარა
ძირს დედამინა სკდებაო [XII, 110]

მაუახლოვდეს გოროდსა,
ჯახ-ჯუხ დგა ზარბაზნისა [XII, 112]

კაკანებს ტყვიამფრქვევები,
თანაც ქუხს ზარბაზანია [XII,103].

ვინტოვკა მხარზე მკიდია,
ბომბი მეკიდა ნელზედა [XII,105].

ტანკი მოათრევს მუხლუხსა,
კაცის გვამების მთაზედა [XII,105].

ბევრ ფაშისტს მივცხე მკერდშია,
შაშხანის ტყვია ცხელია [XII,109] და სხვა.

ხალხური ლექსით ზემოთ წარმოდგენილი საბრძოლო იარაღის არსენალი, ჩანს, იგივეა, რაც სახელმწიფო შეიარაღებაში შეიძლებოდა ყოფილიყო.

ზეპირსიტყვიერ ლექსში, ცხადია, საუბარია სახალხო ლაშქარზე და არა მუდმივ ჯარზე, რაც უფრო ახალი დროის სახელმწიფო სტრუქტურის კომპონენტია. ამდენად, ზეპირსიტყვიერებაში არსებული იარაღი და მისი ტერმინოლოგია დროის ანარეკლიცაა.

დაგვაფიქრა **საგმიროს** დეფინიციამ. ლექსემა ხშირად გვხვდება ზეპირსიტყვიერ ტექსტებში.

საგმიროც კაი ყმის საჭურველია. ქართველი ერის საბრძოლო ხელოვნება უძველესია. ჩვენმა ზეპირმა მხატვრულმა სიტყვიერმა კულტურამ, ხშირ შემთხვევაში, ისეთი ლექსიკა შემოინახა, რომელსაც საგულდაგულო მოვლა, შენახვა და შესნავლა სჭირდება. ასეთთა შორის გვეგულება ლექსემა **საგმირო**.

რაკი ტერმინი საგმირო შემოგვეფეთა, ცოტა შორიდან შევხედოთ მას.

ღვთისშვილთა შესახებ არსებულ ხალხურ ლექს-სიმღერებში, და არა მარტო იქ, ხშირად გვხვდება ტერმინი საგმირო. ლექსში „ღვთის-

[35ა] აქ და ქვემოთ მითითებულია ქხპ. ტ. XII, თბ. 1980

შვილთ დაბადება" ვკითხულობთ: „მორიგემა მეც კაბა ჩამაცვა სისვისაი"...

საგმიროდ მამცა ოქროს ბურთვი
ქაჯთ ბუბუნეებით მოტანილი [I,128].

ბუბუნა, ხატის ენაზე, ნიშნავს ხარს. მაშასადამე, ღვთისშვილ თერგვაულს მორიგემ ქაჯთა ხარებით მოტანილი ოქროს ბურთვაი მისცა საგმიროდ. ნათელია, რომ ტექსტის ინფრასტრუქტურა ერთობ საინტერესოა. იქვეა ნათქვამი:

კოპალას მისცა მორიგემა
ასლიტრიანი **საგმიროი** სინისაი.

თ. რაზიკაშვილს ხევსურეთში ჩაუწერია ხალხური სიმღერა „კოპალა", სადაც მითითებულია:

მორიგემ შამამილოცა
საგმირო ას-ლიტრიანი [I,129]

ჩამწერის მიერ ლექსთან დაკავშირებული თქმულების საინტერესო კომენტარებში **საგმიროს** შესახებაცაა მითითებული. ღმერთმა კოპალას მოუმატა „ძალაცა და საგმიროც" (I, გვ.302-303).

სულხან-საბა განმარტავს: „საგმირო, გმირის საფერი.[357] იდენტურია ლექსემის ნ. ჩუბინაშვილისეული ახსნაც.[358]

აშკარაა, რომ „საგმირო" სემანტიკით „ძალის" იდენტური არ არის. ალ. ჭინჭარაულთან „საგმირო" და „ლახტი" გაიგივებულია: საგმირო ვითომც დევებთან მებრძოლი ხატების იარაღი (შდრ. ლახტი)".[359] სწავლული იქვე განმარტავს ლახტსაც: „ცრურწმენით: ავსულებთან მებრძოლი ხატების [კოპალა, იახსარი...] იარაღი"[360]. ლახტი, სულხან-საბას მიხედვით, არის იარაღი „უმკუდთელო საცემი საომარი".[361] „უმკუდთელო" მრგვალს, უნაინბუროს უნდა ნიშნავდეს. ლექსშიც ასევეა: „საგმიროდ მამცა ოქროს ბურთვი".

საგმირო დანიშნულების მქონე სახელია. [როგორც; სა-ოჯახ-ო, საჭაშნიკ-ო და ა. შ.]. **საგმირო** ასეთი შინაარსის სახელი არ უნდა იყოს. იგი გმირობის ჩადენისათვის საჭირო აუცილებლობაზე უნდა მიუთითებდეს. „საგმირომ" ადამიანი გმირად უნდა აქციოს. **გმირის** თანამედროვე ერთ-ერთი განმარტება კი ასეთია: „ძველი ეპიკური პოემისა და მითების მთავარი მოქმედი პირი, რომელიც დაჯილდოებული იყო ზეკაცური ძალით"[362]. **საგმირო** კი ნიშნავს – „გმირის შესაფერი, გმი-

[357] ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 288
[358] ნ. ჩუბუნაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ. 1961, გვ. 341
[359] ალ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ. 1969, გვ. 229
[360] იქვე, გვ. 168
[361] ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 180
[362] ქეგლ. ტ. II, თბ. 1951

რის დამახასიათებელი", და კიდევ: „გმირის შესახებ, გმირის მადიდებელი".[363]

ფოლკლორული მასალა არ იძლევა **საგმიროს** წარმოდგენილი განმარტების გაზიარების საფუძველს. თ. რაზიკაშვილის ზემოხსენებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „კოპალა იმ დევთან წავიდა შესაჭიდებლად, რომელიც ისეთი ღონიერი ყოფილა, რომ „ღმერთსაც კი შეეჭიდებოდა თურმე".

„თავი მომპარსეო, ეტყვის დევს კოპალა, თურმე კოპალას გრძელი თმა ჰქონია. თავის პარსვის დროს, დააჭერს დევი თავზედ კოპალას და კინაღამ კისერს მოსტეხს. კოპალა ამის შემდეგ ნასულა და უთხოვნია ღვთისათვის: თუ ძალას და საგმიროს არ მომიმატებ, მე იმ დევს ვერაფერს დავაკლებო.

მოუმატა ღმერთმა ძალაც და **საგმიროც**" [ხალხური სიბრძნე. ტ. I,გვ.303].

კოპალა ღმერთს სთხოვს: „თუ ძალას და საგმიროს არ მომიმატებ, მე იმ დევს ვერაფერს დავაკლებო". აშკარაა, რომ **საგმირო**, რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ძალა. **საგმირო** გამორჩეულ შესაძლებლობაზე მიუთითებს.

საგმიროს მიღება მხოლოდ ღვთის დახმარებით არის შესაძლებელი, მაგრამ საგმირო ნამლის დამზადებაც ყოფილა შესაძლებელი. ხალხურ ზღაპარში „ოქროკაცა" ნათქვამია, რომ მენახირეს „ოქროკაცამ დაალევინა საგმირო ნამალი, შესვა რაშზე და უთხრა:

– გაფრინდიო!..."[364]

კიდევ: ჭიდაობაში მონაწილეობით დაინტერესებული ბიჭი „გაიქცა ოქროკაცასთან და უთხრა; - ჩემი ხელმწიფის მოჭიდავე ჭიდაობს და მინდა იმას დავეჭიდოო! — ოქროკაცამ დაალევინა სამივე დის საგმირო ნამალი და ბიჭი შეიქნა მძლავრი".[365]

ხალხური მასალების მიხედვით ჩანს, რომ **საგმირო** ყოვლისმძლეველი ძალის მიმნიჭებელი ნამალია. იგი ძალაზე მეტზე, ზეძალაზე მიუთითებს. გმირი, ჩანს, მხოლოდ ასეთი ძალის მფლობელობით შეიძლება იყოს გმირი.

ზემოთ დამოწმებული ტექსტების მიხედვით, საგმირო ასლიტრიანია [„ასლიტრიანი საგმირო სინისაი"].

სინა — რვალი არს უთეთრესი და ხმა კეთილმჟღერალე — წერს სულხან-საბა.[366]

ლიტრა ძველი საზომ-საწყაო ერთეულია. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, „თავდაპირველი ქართული ლიტრა, რომაულის მსგავ-

[363] ქეგლ. ტ. VI, თბ. 1960

[364] ხალხური სიბრძნე, ტ. I, თბ. 1963, გვ. 195

[365] იქვე, გვ. 186

[366] ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 318

სად, 327, 45 გრამის შემცველი უნდა ყოფილიყო".[367] ლექსის მიხედვით, ასლიტრიანი ახლანდელი 3 კილო და 2745 მეასიათასედი გრამი იქნებოდა.

ზემოხსენებული **ლახტის** შესახებ ა. შანიძე ვეფხისტყაოსნის ლექსიკონში განმარტავს: „თავ-მსხვილი საცემარი ჯოხი, კეტი".[368]

ნ. ჩუბინაშვილი განმარტავს: ლახტი – „საცემი ან საომარი გრძელი, უტარო მათრახი, დაწნული თასმისაგან, ანუ მეტალისა".[369]

ხალხურ ლექსში, ჩანს, ლითონის ლახტზეა ლაპარაკი. იგი, ჩანს, უფრო პრაქტიკული იარაღია ეშმაკ-მაცილებთან ბრძოლის დროს.

ორიოდე სიტყვა „ამირანიანთან" დაკავშირებით.

დევებთან [ეშმაკ-მაცილები] ერთ-ერთი ბრძოლის დროს ამირანს ძალა არ ეყო, რათა მოწინააღმდეგე დაემარცხებინა. ქრისტე ღმერთმა ამირანს კვლავ „დიდი ღონეც დაანათლა". ნათლიამ ნათლულს დარიგება მისცა: „ყოველი ადამიანი გიყვარდეს, იყავი გულკეთილი, გაძლევ ძალს, მარა, თუ უსამართლოდ მოიქცევი, დაისჯები" [ბიბლიური ხმაა!]. აშკარაა, რომ ძალა, რომელსაც თავისი განსაკუთრებულობით და ყველა სხვა ძალისაგან გამორჩეულობით საგმირო ჰქვია, ღვთის მიერ არის ბოძებული. ეს ის ძალაა, რასაც მისი მფლობელი წმინდანის რანგში აჰყავს. საგმირო ფიზიკური ძალითა და სულიერებით გამორჩეულთა, უფლისადმი რწმენით აღსავსე ადამიანთა – „წმინდა მხედართა" – კაი ყმათა ღვთიური ჯილდოა, რაც მხოლოდ იშვიათთა წილ-ხვერდია.

საგმიროს მფლობელი ღვთის შვილია. საგმირო წამლის დალევით გაძლიერება კი, როგორც ჩანს, მინიერთა შესაძლებლობაა.

საგმირო ღვთისშვილთა უძველესი საომარი იარაღია, რაც ხალხურმა მეტყველებამ შემოინახა.

გმირმა კი ერისა და მინა-მამულის სამსახურში „ჯაჭვი პერანგად გაცვითა". მან იცის, რომ „დატევებასა მტრისასა დანონა უნდა, გან ძალი"[370].

საგმირო კაი ყმის უძველეს საომარ იარაღთაგანია.

ხალხური პოეზიის მიხედვით, საბრძოლო ტრადიციებთან, საომარ საქმიანობასთან უმჭიდროეს კავშირშია სათანადო ლექსიკა. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე მივუთითებთ:

ლაშქარი მებრძოლთა ხალხმრავალი ჯგუფია, რომელიც მოცემულ შემთხვევაში, ხელმძღვანელის, წინამძღოლის მიზნებს ახორციელებს, იბრძვის ხალხის, ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ.

---

[367] **იგ. ჯავახიშვილი**, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ. 1996, გვ. 613

[368] **შ. რუსთაველი**, ვეფხისტყაოსანი, თბ. 1957, გვ. 366

[369] **ნ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი, თბ. 1961, გვ. 259

[370] **ქართული ხალხური პოეზია**, თორმეტ ტომად, ტ. III, თ. 1974, გვ. 81

ლაშქარი, ლექსიკოლოგიური ლიტერატურით იგივეა რაც **ჯარი**. ჯარი კი — შეიარაღებული და საბრძოლველად მომზადებული ადამიანების ერთობლიობაა, **ლაშქარია**.

ხალხურ ლექსში ლაშქარი რაიმე აზრით მნიშვნელოვანი ფაქტის გამო შეიარაღებული ხალხის შეკრებას, შეგროვებას გულისხმობს.

ღილღოს იყრების **ლაშქარი**
ერთის ურჯულოს თავზედა:
ადგიან, წამოვიდიან
გაგაის მუქარაზედა.

სხვა მაგალითი:

მარტუამ ბუკულიშვილმა
ლაშქარს შამასდევა ზარია;
ეგრე დაფანტა **ლაშქარი**,
როგორც მგელმ ფანტოს ცხვარია.[371]

კიდევ:

ჭალაზე შამოდიოდნენ
ქალი და ქალის ქმარია,
უკან მოსდევდა ლაშქარი...[372]
ძაღლი ურჯულოს ჯარია.

ლაშქარი, ძალიან ხშირად, მოძალადის სიმრავლეზე მიუთითებს:

არდოტში რა ამბავია?
ჩამატეხას ღგავ ცისასა;
ამბობენ ლაშქრის მოსვლასა:
„გარდმაჯდა არიშკისასა“.
შვიდკან ჩაუსხეს მალული
ცხვარ-ნყემსსა არდოტლისასა.
„ჯელად წაასხეს“, იძახან
ჯარაენისასა, ტყვისასა.[373]

ლაშქარი ზოგჯერ ორი კაცის სიმრავლის სიმბოლური ექვივალენტიც არის:

ოროლთა გულქანის ძეთა
ლაშქრის ოდენა სცადიან.[374]

ვიდრე სხვა საკითხებზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მივიჩნიეთ აგრეთვე თვალი შევავლოთ მტრის ხატის ხალხურ გააზრებასაც. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა მტერია, ვინც ადამიანების მშვიდ ცხოვ-

[371] ჭაპ, ტ. IV, თბ. 1975, გვ. 46
[372] იქვე, გვ. 51
[373] იქვე, გვ. 96
[374] იქვე, გვ. 107

რებას ხელყოფს. მას ზოგჯერ თათარი ჰქვია, ზოგჯერ ლეკი, ოსმალო, ქისტი, თურქი, ბუსურმანი და ა. შ. თუ არა სისხლის ძიება, შურის ძიება, სამაგიეროს გადახდა, თვითონ ქართველი კაცი პირველი არ ესხმის მტერს, სულ ერთია, იგი მეზობლად ცხოვრობს თუ შორიდანაა მოსული.

ხალხური პოეზიის მიხედვით, მტრის ხატი ისეა წარმოდგენილი, როგორადაც ის მიჩნეულია ხალხის მიერ: იგი, პირველ რიგში, მომხდურია, მარბიელია, სხვისი უბედურების მოსურნე, საძარცვად და საკლავად მოსული მოძალადეა. ასეთთან საუბარი მხოლოდ იარაღის ენითაა შესაძლებელი!

ვიდრე წინ წავიდოდეთ, გადავხედოთ როგორ წარმოგვიდგენს ლექსიკოლოგიური ლიტერატურა მტრის ცნებას.

მტერი — სულხან-საბა ორბელიანი განმარტებით, არის „ავის მდომი".[375] „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მიხედვით, „მტერი" არის ვინმესთვის ავის მდომი, ავის მოქმედი პირი".[376] **მტერი** შენი ყველა სიკეთისა და სიხარულის გამანადგურებელია, შენი მამულის შემცილებელ-დამპყრობია, შენი ოჯახის დამანგრეველია.

მტრის დეფინიციაში ყოველთვის ბოროტება და უბედურება დომინირებს. ასეა ლიტერატურაში, ისტორიაში, ფოლკლორში. ტიპიურია ზეპირსიტყვიერი ლექსიც:

ტირილითა და ვიშითა
მტერნი არ შეგვიბრალებენ:
მოვლენ, დაგვწვენ და დაგვდაგვენ,
მზე იყოს, დაგვიბნელებენ.
სადაც რო გაგვეწევიან,
დღე იყოს — დაგვიღამებენ.
სადაც არ გაგვეწევიან,
მუქარას დაგვიბარებენ! [377]

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ზეპირსიტყვიერ თხზულებაში მთელი სიზუსტითაა გამოკვეთილი მომხდურის, მტრის, ბარბაროსის ხატი. არაერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ მუდმივი დაუმორჩილებლობისა და შეტევის შესახებ:

ბატონისა ვარ ლაღი ყმა
მტერო, არ შეგეპოვები,
მოგიბრუნდები, ხმალსა გცემ,
ან მოგკლავ, ან შეგაკვდები![378]

---

[375] **ს. ს. ორბელიანი**, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 228
[376] **ქეგლ**, ტ. V, თბ. 1958.
[377] **ქხპ**, ტ. III, თბ. 1974, გვ. 85
[378] იქვე, გვ. 86-87

მტერთან ბრძოლის, მასთან მუდმივი ომისა და ნინააღმდეგობის გამომხატველი მრავალი ზეპირსიტყვიერი სიმღერიდან ჩანს, რომ ქართველი კაცი ბოლომდე არასოდეს არ ნებდებოდა მომხდურს. თ. რაზიკაშვილს ქართლში ასეთი სიმღერაც ჩაუწერია:

მტერო, დამჩაგრე, არ ვტირი,
ტირილი დიაცთ წესია,
ბევრჯელ ვყოფილვარ ამ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია!
მაცალე ერთი გავმართო
ჩახმახით ცეცხლის კვესია,
სულ ერთად მოგამკევინო,
რაც ჩვენზედ დაგითესია.[379]

მტრის ხატის გამოკვეთას ზეპირსიტყვიერებაში დიდზე დიდი მასალა ეძღვნება. ჩვენი ისტორია ამის აუცილებლობას გვკარნახობდა. მისი დავიწყება თუ მიჩუმათება არ ეგების!

ზეპირსიტყვიერ თხზულებებში ბევრია მტრის ეპითეტი: იგი ვერაგია „მტერი გაგვიჩნდა ვერაგი"[XII,104], მტარვალია [„მტარვალთა შური ვიძიო" [XII,100], ქვენარმავალია „ფაშისტი ქვენარმავალნი" – [XII,100], კაცი მხეცურია „გამოჩნდა კაცი მხეცური" – [XII,107] სისხლის მხვრეპელია „გამოჩნდა კაცი..., უმანკო სისხლის მხვრეპელი" – [XII,107], ცოფიანი ავაზაკია „მაგრამ ცოფიან ავაზაკს ცეცხლზე დაუსხით წყალია" - [XII,114] და ა. შ.

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ იმ კანონზომიერ აუცილებლობას, რაც ასე შერწყმია ერის სულიერ ცხოვრებას, სულიერ მემკვიდრეობას: კვლავ და კვლავ მხედველობაში გვაქვს ბრძოლის მთელ გზაზე მფარველი ღვთაების შემნეობის განუშორებელი იმედი, რწმენა იმისა, რომ ადამიანთან ყოველთვის არის მისი სალოცავი ხატი. მფარველი ხატის რწმენა სულიერი იარაღი იყო და, სხვათა შორის, ყველა იარაღზე უფრო იმედიანი იარაღი. და არის დღესაც ასე!

ქრისტიანულ სარწმუნოებას ჩვენში მდიდარი ისტორია აქვს. ქართველი კაცის სალოცავ ხატ-ღვთაებათა გალერეაში, თავისი საბრძოლო ხელოვნებითა და ხალხის მტერთან ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებებით არაერთი წმინდანი გამოირჩევა. წმინდა გიროგი, კოპალე, იახსარი, პირქუში და სხვანი ხალხური ლექსის გამორჩეული სახოტბო სახელებია. ეს ის ხატ-ღვთაებებია, რომელთა მამულიშვილურ თავგადასავალსაც უკავშირდება შორეულ ნარსულში ქართველი კაცის ავბედითი ისტორია. ისინი, კაი ყმები, ერის საამაყო შვილები იყვნენ, ქვეყნისა და ხალხის მტერთან მებრძოლი სწორუპოვარი გმირები. მ. ჩიქოვანი როცა ქართველი ხალხის მი-

[379] ქხპ, ტ. III, თბ. 1974, გვ. 82

თოლოგიური პოეზიის თავისებურებებს განიხილავდა, მიუთითებდა: „ჩვენ გვჯერა ხალხური გადმოცემებისა“.[380] კოპალას შესახებ კი შენიშნავდა: გვჯერა, რომ „კოპალა მართლაც ცოცხალი ადამიანი იყო.. მრავალ საარაკო საქმეთა ჩადენის გამო, მოხდა მხატვრული იდეალიზაცია, ზებუნებრივ ძალებთან მისი დაკავშირება“...[381]

წმინდა გიორგის შესახებ არსებული უამრავი ხალხური ლექსიდან ერთი 1941 წელს ივ. ხორნაულის მიერ არის ჩანერილი. ამ ვარიანტშიც კარგად ჩანს დიდი წმინდანის ამაღლებული მხატვრული სახე: მისი ცხენი სხვებისაგან სრულიად განსხვავებულია. იგი უჩვეულო მათრახის მპყრობელია, თავისი საყმოს ერთგული დამცველი და საბრძოლო სულისკვეთებით აღმზრდელია:

წმინდა გიორგი ცხენზე ზის,
ქვეშ უქრის ნიავქარია,
მკვარზედა ჰკიდავ მათრახი
სამოცდა სამი მჯარია,
ვისაც დაუქნევს, დააჩნევს, –
მაგის დაკრული მწარია.
შამაუარა საყმოთა,
სუ შააგროვა ყმანია,
უგულოს გული ჩაუდვა,
წელზე შააბა ჯმალია! [382]

წმინდა გიროგი ლაშქრობისა და ომიანობის, მოლაშქრეთა და მგზავრთა მფარველი ღვთაებაა. ამაზე არაერთი ლეგენდა, ლექსი თუ თქმულებაა შექმნილი. ჩვენთვის ამჯერად მთავარია ის, რომ თვით ღვთაებათა იერარქიაში ბევრი მათგანი თავისი საბრძოლო ხელოვნებითა და ხალხის მტრებთან შეუპოვარი ბრძოლითაა გამორჩეული. აი, რამდენიმე მაგალითი:

თავადი წყაროსთაველი
დევების ნაფრენს მისდევდა,
ისროდა კილო-წითელსა,
მშვილდ ყორნებულად მიჰყეფდა.[383]

სხვა მაგალითი:

დიდია წმინდა სამება,
კიდით-კიდემდე ელავსო,
თავის ყმის გამჯავრებელსა
ნაბადივითა სთელავსო...[384]

---

[380] ქსა, ტ. I, თბ. 1972, გვ. 59
[381] იქვე
[382] ქსა, ტ. I, 1972, გვ. 141
[383] იქვე, გვ. 141
[384] იქვე, გვ. 350

უძველეს ზეპირსიტყვიერებად მიჩნეულ ლექს-სიმღერებში ლაშქრობათა შესახებ ხშირადაა საუბარი. ასეთი ტექსტები უხვად შეიცავენ შორეული წარსულისათვის ნიშანდობლივ თავისებურებებს, რაღაც შინაგანი გაუცხოვების შესაძლებლობებს, ფსიქოლოგიური განცდის სიღრმისეულობას, რაღაც უთქმელ თუ აუხსნელ დაძაბულობას. ასეთი ტექსტი ბევრია. მაგალითად, ელ. ვირსალაძეს სოფელ სეთურნში [მთიულეთი], 1950 წელს ერთი ასეთი ტექსტი ჩაუწერია:

ხორასნის ლაშქრად ვიყავით
ჩვენ ლომნი ლომისისანი,
მანდ შამაგვესმა ჟღერანი
ჟამურ ბერციხის კლდისანი...[385]

ხალხურ სიმღერაში ამბავი ისეთ პოეტურ სახეებშია გაცოცხლებული, რომ თუ ყურს მივუგდებთ, მაშინვე ჩაგესმით ბერის მშვილდ-ქაიბურის ზღაპრული გრგვინვა-ხვივილი, დაჭრილი მკერდიდან მომდინარე სისხლის თქრიალი, ბრძოლის გამო ატეხილი ქარის გრიალი, ხეს რომ ფოთლებს გლეჯს, ომში საომარ იარაღად აქუხებული ბრძოლის ხმა და ა. შ. ჩვენ სხვაგან ვთქვით და აქაც ხაზს ვუსვამთ იმ შესაძლებლობას, რაც საბრძოლო იარაღებთან ერთად ადამიანის ფიზიკურ ხმას გააჩნია. ასე ყოფილა შორეულ წარსულშიც, რაზედაც ამ ტექსტშიც არის მინიშნებული:

ხმა ჩემის ქაიბურისა
ქუდიელს[386] შემოჰხვიოდა. [I,133]

ღვთიშვილთა საომარი ასპარეზი, ხშირად, დევ-მაცილთა სამყაროა. ისინი კი, თავის მხრივ, მშრომელ ადამიანთა დაუძინებელი მტრები არიან. სახალხო მთქმელები დევებთან ღვთიშვილთა ბრძოლას ხატავენ არა როგორც ძალის გამოცდის ფორმას, არამედ როგორც სამკვდრო-სასიცოცხლო ომს. ამ ბრძოლაში აშკარად იკვეთება ღვთაების საბრძოლო ოსტატობა, საბრძოლო იარაღის ძლიერება, აქედან გამომდინარე კი — მისი დიდი ფიზიკური ძალა და მოძალადეზე გამარჯვების გარდუვალობა. დევებთან მებრძოლი იახსარის ლექსში ვკითხულობთ:

მაშინ კი გადაუფრინდი,
გამაუცვალე ჟამია.
ლახტი ვესრიე საკმიდან,
ზედ გამავხურე ბანია.

---

[385] ქხპ. ტ. I, თბ. 1972, გვ. 139
[386] მთაა

ერთ კიდევ გამამიარდა,
არ მიუბრუნე თავია.
საგმირო ნამავიმაღლე,
კლდეს მააფარა ტანია.
კლდე ოთხად დავანაფოტე,
დევს წამავსთხარე თვალია...[387]

ქართულ ხალხურ სალაშქრო ლექს-სიმღერებში ყურადღება გამახვილებულია მოლაშქრეთა გადაადგილების შესაძლებლობებზეც. აქ უმთავრესად ცხენზეა ლაპარაკი. კარგი ცხენი, იარაღთან ერთად, ომში გამარჯვების უპირველესი პირობაა, სულ ერთია, ვინ იქნება მებრძოლი – ერი თუ ბერი, ბოგანო თუ მეფე.

ერთი ფშაური [დუშეთის რ. სოფ. ხორხი], 1969 წელს ჩაწერილი ტექსტის მიხედვით, კოპალა დევებს ცხენზე ამხედრებული ებრძვის და ამარცხებს კიდეც:

გმირი კოპალა ცხენზე ზის,
ცხენი მიდის და გოგდება,
მის სამტროდ დევნი აშლილან,
ყველა დიდ მთაზე გროვდება.
გმირი კოპალა ცხენზე ზის,
მიდის და მიუხარია.
მხარზე ჰკიდია მათრახი
სამოცდასამი მხარია.
გმირი კოპალას შიშითა
დევებს ვერ გაუხარიათ.
მისი მარჯვენა მძლავრია,
მისი დაკრული მწარეა.[388]

ვთქვით, რომ მებრძოლისათვის კარგი ცხენი, კარგ იარაღთან ერთად, მტერზე გამარჯვების წინაპირობაა. ხალხურ პოეზიაში, შეიძლება ითქვას, ცხენის შესახებ არაერთი ქებათა-ქებაა შექმნილი, რასაც ჰიმნიც კი შეიძლება ვუწუდოთ. ასეთ სიმღერებში ცხენი უამრავი ეპითეტითაა მოხსენიებული. ესენია: ლურჯა, საღარი, ზერდაგი, ნითლა, მერანი, ნისლისფერა, ტაიჭი და სხვ. ვნახოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

ცხენი და ძროხა გარეკეს,
დიდ ბათიროელთ ცხვარიო.
ბათირს ვინ შეატყობინა,
ლურჯაი ჰყვანდა ჩქარიო;

---

[387] ჭხპ, ტ. I, თბ. 1972,
[388] ჭხპ, ტ. I, თბ. 1972, გვ. 131

მდევართ ბათირი გამოუდგ,
ლურჯას მაღლ ეჭირ თავიო.
გზიდან დაბრუნდა ბათირი,
ლურჯამ დააგდო ნალიო.[389] [IV,111]

ჩავალის, ჩაეუბნება
ტუნკით ივანე საღარსა [IV,48]

საფერჴედ ზერდაგ შახკაზმა,
ზედ ქორი შაჯდა მჯრიანი. [IV,48].

შანუხებულმა მერანმა
ჩალენა ნალურსმალიო. [IV,49]

დეზი ჰკრა, წითლა გამალდა,
ეგ მუხლით ნიავ-ქარიო. [IV,49]

შაკაზმა ნისლის ფერაი,
ცხენი ჰყავს ნიავ-ქარია. [IV,71].

თეთრ ტაიჭოსანს ხედევდეს,
მწევარს არხოტის ჯვრისასა [IV,74]

საკუთარი შესაძლებლობების გარდა, ცხენი ერთადერთი საშუალებაა მებრძოლის გადაადგილებისა. ამდენად, ბუნებრივია ის ინტერესი, რასაც ხალხი-მებრძოლი, დამცველი თუ შემოქმედი იჩენს მის მიმართ.

ვფიქრობთ, სრულიადაც არ იქნებოდა უმართებულო თუ აქვე ხალხური შემოქმედებიდან ზემოთდამოწმებულ საომარ არსენალთან, მის შინა და გარე ინფრასტრუქტურებთან ერთად, ხალხური მეტყველებიდან სულხან-საბა ორბელიანის მიერ შეკრებილი საომარი იარაღის ლექსიკასაც დავიმონმებდით, რაც უხვადაა წარმოდგენილი ლექსიკოგრაფიის „სიტყვის კონაში". ამას ორი მოსაზრებით მივმართავთ. ერთი, რომ სულხან-საბა უმრავლეს შემთხვევაში, სიტყვის სემანტიკის ახსნის დროს ზეპირმეტყველებას ეყრდნობა, რასაც პირდაპირი კავშირი აქვს ხალხურ შემოქმედებასთან, მის ზეპირსიტყვიერ კულტურასთან; მეორეც, ხალხური ლექსი და „სიტყვის კონა" ერთბაშად უყრიან თავს ერის მეტყველებას, იარაღის შესახებ არსებულ მდიდარ ლექსიკას. ისინი ერთმანეთს უთუოდ ავსებენ, ამდიდრებენ და სრულყოფენ კაი ყმის ჩვენთვის საინტერესო შეიარაღების არსენალს.

„სიტყვის კონა" ქართული ლექსიკოლოგიის ისტორიის ერთერთი თავფურცელი და ფასდაუდებელი საუნჯეა. მას არა მხოლოდ

[389] მაგალითები და გვერდები დამოწმებულია ქხპ, ტ. IV, თბ. 1975

წმინდა საენათმეცნიერო თუ საყოფაცხოვრებო, არამედ ქართველი კაცის, კაი ყმის შეიარაღების მრავალფეროვნების შესწავლის თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ლექსიკის შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ ძველ საქართველოში საბრძოლო შეიარაღების სახეობანი [ასევე, სამხედრო ჩინთა ნომენკლატურა, რაც ამჯერად ჩვენი კვლევის ჩარჩოს გარეთ რჩება].

„სიტყვის კონაში" წარმოდგენილი, იარაღის სიხშირის ამსახველი ლექსიკა მხოლოდ მეჩვიდმეტე ან მეთვრამეტე საუკუნეების საქართველოს კუთვნილება არ არის. იგი, ჩვენის აზრით, მოედინება წინა საუკუნეებიდან. ენის ლექსიკური ფონდი კი, როგორც ბაზისი, მხოლოდ ერთი ეპოქითა თუ საუკუნით არ იფარგლება. „სიტყვის კონისეული" ლექსიკა, მისი ერთი ნაწილი დღესაც, თანამედროვე მეტყველებასაც გარკვეულ სამსახურს უწევს – ავსებს და ამდიდრებს მას.

„სიტყვის კონიდან" იარაღისა და შეიარაღების ლექსიკა ჩვენ ცალკე გამოვკრიბეთ. ამან საშუალება მოგვცა ნათელი წარმოდგენა შეგვქმნოდა იმის შესახებ თუ ძველ საქართველოში რა სახის შეიარაღება გვქონდა.

ომისა და სამხედრო იარაღის „სიტყვის კონისეულ" ლექსიკაზე დაკვირვებამ აშკარად დაგვანახა, რაოდენ დიდია ქართული ენის ლექსიკური ფონდის სულხან-საბასეული ცოდნა; გარდა ლექსიკისა, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა განმარტებები, ამა თუ იმ საღექსიკონო სიტყვას ზოგ შემთხვევაში რომ ერთვის.

უადგილოდ არ მიგვაჩნია გაგვეხსენებინა ლექსემა **საჰხედროს** თანამედროვე განმარტება: „**საჰხედრო**, ომის წარმოებისათვის განკუთვნილი; ქვეყნის თავდაცვასთან, არმიასთან, ჯართან დაკავშირებული"[ქეგლ., VI]. ტერმინის განმარტება „სიტყვის კონაში" არ არის წარმოდგენილი. თუ **შჱედრის** სულხან-საბასეული განმარტების შინაარსს გავისიგრძეგანებთ, აღმოჩნდება, რომ დღეს **შჱედარ [საშჱედრო]** ტერმინის შინაარსი გაფართოებულია. იგი უფრო ბევრისმთქმელი და მრავალისმომცველი ლექსემა გამხდარა.

„სიტყვის კონიდან" გამოკრებილი საომარი შეიარაღების ნიმუშები ვცადეთ ანბანური თანმიმდევრობით მოგვეწოდებინა:

აკიკანი, ოროლი, შუბი.[390]

აჯის შშვილდი, როსტომიანში მოუყვანიათ. ფალაურის ენით რქის მშვილდი [გვ.50].

აორ, მახვილი ორპირი [გვ.22].

აშქარი, ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა და უფროსად საცავთა ჯაჭვთა [გვ.19].

---

[390] აქ და ქვემოთ მასალები და გვერდები დამოწმებულია სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონა", თბ. 1949

ბუნი, შუბის ტარი [გვ.55].

ბუდე ენოდება ჴმლის ქარქაშსა [გვ.54].

ბოძალი, ისარი ორპირი [გვ.52].

გმური, ჴელშუბა [გვ.75].

დანაკად — ითქმის მახვილიც [გვ.89].

დაშნა, მოკლე ჴრმალი [გვ.95].

ზარადი — ზუჩის ჯაჭვი [გვ.126].

ზუჩი, იგივეა, რაც ჩაბალახი[გვ.422]

ზუფანი, სასროლი მოკლე შუბია [გვ.130].

ზარბაზანი, დიდი თოფი [გვ.126].

თოფი, ცეცხლის სასროლი [გვ.139].

თურგანი, მოდიდო თოფი [გვ.140].

თური, სომხურად ჴრმალი [გვ.140].

თორნი, ტანსაცმელია რკინისა [გვ.139].

ისარი, ისარი ზოგადი სახელი არს ყოველთა ისართაჲ, ხოლო განიყოფებიან სხუა და სხუად სახელებითა. ფრთე დაბალი და პირ ნურილი, რომელსა ყივჩაყნი და თურქნი იქონებენ არს **საყალნო**.

ზოგიერთი ისარი, ფრთე მობრტყე და პირმობრტყე არს **სარჩა**. მისგან უგრძესი, პირ დიდი და ფრთე მაღალი არს **ქეიბური**.

ისარი **სარჩის** მსგავსი და პირგანპებული, მომცრო არს **ქიბორჯი**.

ისარი **ქეიბურის** მსგავსი, პირ დიდი და განპებული არს ბოძალი.

ისარი **სარჩის** ტოლი, სამ ფრთოსანი, უპირო, ნუჩრ მგრგუალი არს ყოდალი

ყოდლისა უგრძესი ნუჩრმნუჩტი, ჯვარედად ჩხირ დასხმული არს ღრჯა.

ფრთე მაღალი, გრძელი, გრკალ შემოღებული არს **სეფქა**.

უფრთო, უპირო ისარი არს **გეზი**.

სამალი არს ღარი რკინისა სატყორცებელი და ისარი მტკაველ-ზედ მეტი მის ღარით სასროლი.

სხუანიც რამ ისარნი არიან რომელსამე **ბოძლად** უწოდებენ და სხუასა სხუასა.

ხოლო ყრმათა ისარ ცუდასა **წინწკიტელა** [გვ.152-153].

კალდიში, ჴმალია ერთი რიგი [გვ.158].

კატარღა, ნავია საბრძოლელი [გვ.162].

კინენი, საბრძოლელია ბუმბერაზთა, მსგავსი შუბის ტარისა, მსხჳლი, შესაყარად და ასაზეებლად. ვიეთნი **შუბის პირსაც** დაასმიდეს [გვ.167-168].

კურტაკი,ესე არს სამოსელი მეომრისა, საჩინო, ჯაჭუთა გარეგან [გვ.176].

ლახვარი, ლახვარიცა განიყოფებიან: რამეთუ ოროლი არს, რომელსა აკინაკად უჴმობენ, ლახვარი ორ პირი და ბუნ გრძელი.

გშური არს ლახუარი პირპტყელი და ბუნ გრძელი.

საოხედი არს ლახუარი პირბრტყელი და ბუნ ზომიერი, ვიეთნი ჴელშუბს უჴმობენ;

გეონი არს ლახუარი მონლო და სამძგიდე: ბუნი მცირედ კაცისა უმაღლესი.

შუბი არს ლახუარი სამ ძგიდე და ბუნ გრძელი;

ხიშტი არს ლახუარი პირგრძელი, ძგიდე მახკლი ტარკოტა.

ზუფანი არს ლახუარი მსგავსი გეონისა, ბუნ ნრთეული, შორით სასროლი, რომელ არს ლიბანდაკი.

ლახტი, უმკუთელო საცავი საომარი [გვ.180].

ლეკური, უვადო ჴრმალი, გინა ლეკეთისა [გვ.181].

ლიბარდა, ჰრომაულად შუბსა ეწოდება, ხოლო ლიბანდაგი ქართულში ამისთჳს მოუყვანიათ: მოკლე შუბაკი [გვ.182].

მაზრაკი, შუბი [გვ.188].

მოლაშქრე, ლაშქართაგანი [გვ.218].

მუზარადი, ზუჩი [გვ.229].

მშჯლდი, ისრის სატყორცებელი [გვ,133].

მახვილი, ესე არს მსწრაფლ მკუცთთელი რკინა, გინა თვალი და გონება [გვ.198].

ორპირი, მახვილი ორგნითვე მკვეთი [გვ.266]

ოროლი, შუბი [გვ.266].

პოლოტკი, რკინის ფიცარი, ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი [გვ.275].

საოხედი, არს ლახუარი პირბრტყელი და ბუნ ზომიერი, ვიეთნი ჴელშუბას უჴმობენ [გვ.292].

საჭურველი, – აბჯარი აღსაკაზმავი [გვ.310].

სატევარი, ხანჯალი [გვ.303].

საბარკალი, ესე არს მოკლე ჴრმალი ცხენზედ დასაკრავი [გვ.287].

ტყვია, ბრპენი [გვ.340].

ფარი, დასაფარებელი საჭურველი [გვ.355].

ფილაკვანი, ჟამთა პირველთა ციხის მებრძოლნი სასხლეტსა რასმე მომართევდნენ დიდი ლოდის სასროლად ციხის შესამუსრავად. [გვ.258].

ქამანი, სუსტი მშვილდი [გვ.366].

ყაწიში, ხრმლის სამხარღლიე [გვ.402].

ყელე, ხანჯალი [გვ.402].

შუბი, არს ლახუარი პირ გრძელი, ძგიდე მახკლი ტარკოტა [გვ.180]

შურდული, ქვის სატყორცი [გვ.420].

ჩელთი, ბრტყელი მახვილი [გვ424].

ჩაბალახი, ესე არს თავსახურავი საომარი, გინა წკმაში თავს ჩამოსაცმელი რამე [გვ.422].

ხანჯალი, სხვათა ენაა, საგვერდული მახვილია; ქართულად სატევარი ჰქუან [გვ.464].

ხიპი, დაშნა ცუდა, რეცა ხრმალი [გვ.467].

ხიშტი, პირგრძელი ლახვარი [გვ.468].

ჴელისაპყრობი, ჴრმალი [475].

ჴრმალი, ესე გვარნიცა მრავალ გვარნი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილთაებრ და რომელიც ჴრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი მკუჱთელი და სრულია, გლუვი იყოს, თუ გამოფერდილი, ანუ ღაროსანი, გორდა თუ კალდიმი, – ამას ქართველი ჰყვარობენ.

ფრაგნიცა ესეთსა და სხვა რიგთაცა ახალსა არა ჰრიდებენ.

არაბნი სხვარიგსა, სპარსნი სხვასა, თემითა თემად, რომელიმე დრეკილსა, რომელიმე შუჱტთა, სხვანი ბასრთა, სხვანი რბილთა.

არამედ ბრძენნი და გამოცდილნი, ღუანლისა მძლენი მჴედარნი საქებურად ამას დასდებენ რომელი გუარიანიცა იყოს, ძველი და არა ღვლარჭნილი, არცა სადა მცირედი სიმრუდე ჰქონდეს, არცა მაღალ დაბლობა აჩნდეს ცახეთაცა ოდენი, ლიბრი იყოს და არა თეთრ, ზომიერ სიგრძით და სიბრტყითა, ნინა კერძო მცირედ განხრილი და არა საშუალ; ძვალთა და რკინათა მკუჱთელ და თჳთ უვნებელ, ადრე არა დამბლაგველ, უტალ უნაფრცხენო, ყუა ზრქელ, გინდე სწორ, შაშარ მოკლე.

თუცა ესრე სრული ვერა ჰპოო ერთისა და ორისა კლებისათჳს ნუ დაინუნებთ, სრული გჳან საპოვნარია [გვ.475].

ჯავშანი, არს აბჯარი რკინისა, ტანს საცვამი ჯაჭვი.

ხოლო ამა ჯავშანთა გვარნი არიან ხუთ: **სამანქანი, ზეიდალი, ხოსროანი, ქირაფქა, და ჯაბალა.**

სამანქანი არს ჯაჭჳს თვალი მგრგუალი, სამ ფარეშოსანი, შიგნით ნიკარტოვანი, რბილი და გარდაგრეხით ძნიად გასატეხელი;

ზეიდალი არს მსგავსი სამანქანისა და თითო რიგი ჯაჭვის თვალი მთელი, უფარეშო, თითო თვალი ფარეშოსანი;

ხოსროვანი არს მსგავსი ზეიდლისა და ქუჱდა პირ ღარღაროვანი;

ქირაფქა არს მობრტყე ჯაჭჳს თვალი, ფარეშოსანი რბილი, ბასრი და უფრორე ბასრი, გარდაგრეხით ადვილად გასატეხელი;

ჯაბალი არს მსგავსი ქირაფქისა, ჯაჭჳს თვალ მგრგუალი, რომელსამე ფარეში მგრგუალი და რომლისამე ეკლებრივი;

ესე ხუთნი აბჯარნიცა სხვა და სხვა გუარნი იქნებიან, რომელიმე თვალ გრძელი, რომელიმე თვალ ფართო, რომელსამე ფარეში სხვადასხვაობა და ჯვარედი, არამედ ამავე ხუთთაგანი არიან;

არამედ ჯავშანთა სისრულე და სიკეთე ესე არს, რომლისგანაცა იყოს; გრძელი და ფართო იყოს და ჯაჭჭს თვალი რაზმად დაწყობილი იყოს, ფარეშ მშვენიერი და ძნელად გასაჴნელი, ნოტიობაში გვიან დაგესლდეს, ყრილი არა ჰქონდეს, კალთიდამ შედევნებით უსხო და უსხოსი იყოს, მკერდთა, ბეჭთა და ღლიათა უზოქელესი და მიყრილი იყოს.

ქირაფქის თვალი ჴრმალსავით იზევდეს და საშანქისა მრავალ საგრეხი იყოს, რომელსაც ნიკარტი ჰქონდეს გუარიანი და რომელსაც ღარი მოჴდომილად. ერთისა და ორის კლებისათჳს ნუ აძაგებთ, სრული ძნელია;

ხოლო თორნი არს მთელი რკინა პოლოტიკი ტან ჩასაცმელი [გვ.477-478].

ჯაჭჭი, ჯაჭჭ ეწოდების ყოველსა ილეკროსა ერთი მეორეში გაყრილსა: აბჯართა, ჯავშანთა [გვ.478].

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „სიტყვის კონა" სრულიადაც არ არის მხოლოდ ძველი, ან თუნდაც მე-18 საუკუნეში არსებული ქართული იარაღის ლექსიკის არსენალი.

დიდი მოაზროვნის ეს ლექსიკოგრაფიული ნაშრომი დღესაც დიდ სამსახურს გვიწევს;

ზემოთ ვთქვით, რომ ზოგი ლექსემის განმარტებისას ერის სულიერი მამა დამრიგებლური ტონით გვმოძღვრავს, გვასწავლის, გვიფრთხილდება, გვაფხიზლებს. ამისათვის აქ ორიოდე მაგალითიც იკმარებდა: როცა ჯავშან ტერმინის ახსნას გვთავაზობს, მისი უამრავი სახეების ჩამოთვლა-განმარტებების შემდეგ შეგვაგონებს: „ერთისა და ორის კლებისათვის [საუბარია ჯავშნის სახეობების ნიშანთა სიმრავლეზე, ზ.ს] ნუ აძაგებთ, სრული ძნელია"

ჴრმლის განმარტებათა შემდეგ ლექსიკოგრაფი წერს: „თუცა ესე სრული ვერა ჰპოვო ერთისა და ორისა კლებისათჳს ნუ დაიწუნებთ, სრული გჳან საპოვნარია"

ასეთი კომენტარები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან არა მხოლოდ საბრძოლო იარაღის თავისებურებათა სულხან-საბასეულ გააზრებაზე, არამედ ამ იარაღთა ნიშნების გარკვეულ უსრულობაზე, მაგრამ მათი შეძენის აუცილებლობაზეც.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს, „სიტყვის კონას", გარკვეული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული ეროვნული ჯარისა და მისი შეიარაღების ისტორიისათვის.

A Good Guy in Georgian Folklore

The monography of Zaza Sparsiashvili "A Good Guy in Georgian Folklore" is the result of author's long term observation on the samples of Georgian folklore.

The author of the book selects the materialsihoroughly from the rich national folklore to analyze, classifies appropriately according to their peculiarities and comes up to conclusions.

Presented themes are full of detailed analysis that give a good chance to the reader to observe the infrastructure of a Good Guy as in the folk poetry also in epic works. Folk is the creator of telling the truth. They've got their own laws, attitudes, theory and practice to give the right orientation about the qualities, environment and concept of a Good Guy. They underline who, Iwhen and what for owned this name, why he is considered to be the attractive sample or the dedicated patriot.

Analysis of the give materials in the book open the way for the reader to better understand the deeds of close or distant ancestors done for the sake of their nation or the motherland; the idea of the proverb: "The man going foreward is the bridge of those coming afterward", what could be a worthy sample of fighting for better future of the motherland and its citizens.

The book had already been ready to be published by 2002, but for the sake of different reasons it couldn't be.

Although the development of the society is mainly based on the knowledge of techniques or maritial art skills but it's more difficult or almost impossible to establish any novelty without knowing and taking into consideration whatever are made by our ancestors as a will. .

A son should know where his father has stopped.

Kai Kma (ein Held; ein mutiger Mensch) in der georgischen Folklore.

Die Monografie von Sasa Sparsiaschwili „Kai Kma in der georgischen Folklore" is das Ergebnis der langen Beobachtungen des Autors über die Denkmaler des mündlichen volkseigenen Schaffens.

Der Autor des Buches sucht skrupulös die Stoffe für die Analyse aus dem reichen mündlichen Schaffen aus und gibt ihrer Besonderheiten die entsprechende Qualifikation, macht Schlussfolgerungen.

Die in der Arbeit vorgestellte Thematik ist durch die geschaftliche Analyse untersuchten Materials saturiert, was eine beste Bedingung dafür ist, damit der Leser die Infrastruktur vom Kai Kma, sowohl auf dem Beispiel der volkseigenen Poesie, als auch der volkseigenen Epos aufgepasst.

Das Volk - der Schöpfer - stellt sich als Meister vor; es sagt die Wahrheit.

In der Sache der Erziehung der Generationen verfügt das Volk über seine Gesetze, seine Weltanschauung, seine Theorie und Praxis, damit es der Gesellschaft Beispiel und einen richtigen Orientierungspunkt gibt, damit es die Vorstellung davon hat, wer und wann ist der Mensch Kai Kma und auch davon, wer und wann, dank welcher Verdienste er diesen Titel gefestigt hat; wer ist Beispiel der Nachahmung für die Generationen und wer ist der Patriot, der vom Glauben voll ist.

Die Analyse der im Buch vorgestellten Materialien öffnet dem Leser den Weg, damit er allseitig das Verdienst des nahen oder fernen Vorfahren vor seiner Nation und seinem Land begreift, damit in ihm der Sinn des volkseigenen Ausspruches „Der vorangehende Mensch ist die Brücke" tief durchgedrungen ist, damit er Beispiel für die Nachahmung im Kampf für die beste Stimmung und für die Zukunft sowohl des Vaterlandes als auch der Nation wird, was sein Land und jedes sein Mitglied braucht.

Das Buch war zur Ausgabe schon im Jahre 2002 fertig, aber wegen vieler Gründe wurde es nicht gedruckt.

Freilich, hängt die Entwicklung der Gesellschaft in vielen von der Technik und von den Fertigkeiten der Kampfkunst ab, aber es ist die Einführung vom Neuen ohne Kenntnisse der lebenswichtigen Gesetze, die von den Vorfahren geerbt sind, und ebenso die Gegenwart, die aus der Vergangenheit verlassen worden ist, schwer oder vollkommen unmöglich.

Der Sohn soll wissen, wo der Vater stehengeblieben ist.

Das Buch war zur Ausgabe schon im Jahre 2002 fertig, aber wegen vieler Gründe wurde es nicht gedruckt.

Удалец в грузинском фольклоре

Монография Зазы Спарсиашвили « Удалец в грузинском фольклоре» является результатом долгих наблюдений автора над памятниками устного народного творчества.

Автор книги тщательно перебирает материалы богатого национального устного творчества, дает соответствующую квалификацию их особенностей, а также делает соответствующие выводы.

Представленная в труде тематика насыщена деловым анализом исследуемого материала, что является наилучшим условием для того, чтобы читатель проследил инфраструктуру удальца, как на примере народной поэзии, так и народного эпоса.

Народ же – творец, предстает как мастер говорить правду.

В деле воспитания поколений народ располагает своими законами, имеет свое мировоззрение, свое теорию и практику для того, чтобы дать обществу пример и правильный ориентир, иметь представление о том кто такой человек и когда он может именоваться удальцом, а также о том, кто и когда, благодаря каким заслугам закрепил за собой это похвальное звание, кто является примером подражания для поколений и патриотом, полным верой.

Анализ представленных в книге материалов открывает читателю дорогу для того, чтобы он всесторонне осознал заслугу далекого предка или ближнего своего перед своей нацией и страной, чтобы в него глубоко проник смысл народного изречения: «Мостом становится идущий впереди человек», для того, чтобы стал примером для подражания в борьбе за лучшее настроение и будущее отчизны и нации, что так нужно стране, каждому ее члену.

Книга была готова к изданию еще в 2002 году, но по многим обстоятельствам и причинам ее не удалось напечатать.

Правда, развитие общества во многом зависит от техники, навыков боевого искусства, но совершенно невозможно внедрение нового без знания жизненных законов, унаследованных от предков и прошлого, а также настоящего, вышедшего из прошлого.

Сын должен знать, где остановился отец.

ზაზა სპარსიაშვილი



ფოლკლორისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დაიბადა 1962 წლის 17 ივნისს, ქალაქ თელავში.

აქვს უმაღლესი ფილოლოგიური განათლება.

1996 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

მისი საკვლევაძიებო მუშაობის ძირითადი დარგია ფოლკლოროსტიკა, ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობანი. ავტორია ნიგნებისა: ფოლკლორული ძიებანი (1995); წინაპართა კულტი და ვაჟას პოეზია (1999); ეს ჩვენი მეფე ერეკლე (1999); საჩუქარი ქართულ ფოლკლორში (2002)

სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს ოცდაათზე მეტი ნაშრომი: წერილები, ნარკვევები და გამოკვლევები ფოლკლორულ-ლიტერატურული უთიერთობათა საკითხებზე.

სარჩევი

კაი ყმა ქართულ ფოლკლორში 3
წინასიტყვაობა 4
შესავალი 5

პირველი თავი

კაი ყმის ზღაპრისეული მოდელისათვის 18

მეორე თავი

„ამირანიანი"" კაი ყმის სახისმეტყველების სამზერიდან 33

მესამე თავი

მეფე – სწორუპოვარი კაი ყმა 49

მეოთხე თავი

კაი ყმისა და მისი სიკვდილის სახისმეტყველება
ხალხურ სამგლოვიარო პოეზიაში 74

მეხუთე თავი

ქალი - კარგ ყმათა დედა და მაგალითი 122

მეექვსე თავი

ლოცვა მამულის ერთგულთა ავგაროზი 133

მეშვიდე თავი

მუსიკალური ფოლკლორი კაი ყმისკულტის კვალდაკვალ ... 151

მერვე თავი

კაი ყმა ხალხურ აფორიზმში 164

მეცხრე თავი

კაი ყმა ერთისა და მრავლის პირისპირ ხალხურ ბალადაში . 171

მეათე თავი

პატრიოტული ნაკადი ხალხურ სანახაობრივ კულტურაში . 184

მეთერთმეტე თავი

კაი ყმის საომარი საჭურველი ხალხურ პოეზიასა და
სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონაში" 194